

კაზუსების კრებული

ბიორგი რუსიაშვილი

ვადებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი



გამომცემლობა
„ერისთავის
სამცბრო“

შინაარსი

§1 ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა	5
I. შესავალი	5
II. გერმანია.....	5
კაზუსი: „მაჩაბლისეული რიჩარდ III“	9
კაზუსი: „ავტომოყვარულები“	17
კაზუსი: „დამსხვრეული ალავერდის ქალები“	26
III. force majeure ფრანგულ სამართალში	50
Cass. civ. Ire, 9.03.1994 (Bull.civ. I.91):	52
Cass. civ. Ire, 12.04.1995 (JCP 1995. II.22467):.....	53
Cass. com., 11. 10. 2005 (Bull. civ. 2005, IV, Nr. 206, 222 sq.;	
JCP 2005, IV, 2078):	54
IV. შედარება გერმანული სამართლის ოჯახთან	54
RG, Urt. v. 14. 01. 1928, in: RGZ 119, S. 397 ff.:.....	56
BGH, Beschl. v. 25. 11. 1998, NJW 1999, 635:	58
BG, Urt. v. 03. 09. 1985, BGE 111 II, 354:	58
V. ინგლისი.....	59
Paradine v Jane [1647] EWHC KB J5:	59
Taylor v Caldwell [1863] EWHC QB J1:.....	59
Krell v Henry [1903] 2 KB 740:.....	60
§2 ნაკლოვანი ნივთის მიწოდება.....	62
I. შესავალი	62
II. მყიდველის უფლებები ნაკლოვანი შესრულებისას.....	63
კაზუსი: „ფრანგული ავეჯი თქვენს ოფისში“	67
კაზუსი: „დავინყებულები მაგიდების (შესაგებლის) ძიებაში“	80
კაზუსი: „სოკო“	82
კაზუსი: „მოტომობილი“	90
§3 ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად	101
კაზუსი: „პორშე 911-ის სპეციალური მოდელი“	111
§4 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი	121
„გაუზომელი მიწის ნაკვეთი“	122
კაზუსი: „კაროლინის კუნძულები“	128
კაზუსი: „ნარუმატებელი ქორწინება“	140
§5 ხელშეკრულებიდან გასვლა	149
I. გერმანია	149
კაზუსი: „ძველი BMW 316i“	156
კაზუსი: „ქართველი ვაჟკაცი“	166

კაზუსი: „ავთო (მატყუარა) სინალაგმა და ნადირობის ტრფიალი გოგი“	174
კაზუსი: დამწვარი „ემმაკნი“	194
კაზუსი: „ჩხენკელი და მისი ძმა“	210
II. საფრანგეთი	218
III. ინგლისი	221
§ 6 მესამე პირი ხელშეკრულებაში	225
გერმანია	225
კაზუსი: „გაშორებული ქმარი“	230
კაზუსი: „ზურაბ ვეშაპიძის აგარაკი“	235
კაზუსი: „ნაჩუქარი BMW X6“	238
კაზუსი: „გასეირნება ანტალიაში“	242
§ 7 წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა	251
I. შესავალი	251
II. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა	255
RGZ 78, 231:	255
BGH ZIP 1998, 1134:	256
III. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი	257
1. აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთების დაცვა	257
2. ქონების დაცვა	257
BAG, JZ 1964, 324:	258
BGH, NJW, 1998, 302:	259
კაზუსი: „ეზო ჭიშკრის გარეშე“	260

§1 ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ლიტერატურა: BROX/WALKER, SchuldR AT²⁹ (2003), § 29 Rn. 17 ff.; CANARIS, Die von beiden Parteien zu vertretende Unmöglichkeit FS Lorenz (2004), 147; EMMERICH, BGB-Schuldrecht Besonderer Teil, § 3 IV 1 Rn. 14 (13); HEMMER/WÜST/TYROLLER, Schuldrecht AT (2014), 112; KÖHLER/LORENZ, Prüfe dein Wissen, SchuldR II¹⁸ (2007), Fall 8; *Looschelders*, Schuldrecht AT⁹ (2011); Rn. 455-483; MEDICUS, Bürgerliches Recht²⁰ (2004), Rn. 275; MEDICUS, Schuldrecht I¹⁸ (2008), Rn. 503g; RANIERI, Europäisches Obligationenrecht³ (2009), 636; Palandt/HEINRICHS, BGB⁶⁷, § 243 Rn. 5; § 278 Rn. 7; § 300 Rn. 1-7; ZIMMER, Das neue Recht der Leistungsstörungen, NJW 2002, 1.

I. შესავალი

ყოველი ხელშეკრულება იდება იმისათვის, რომ შესრულდეს და თუ არ სრულდება, ხდება მისი იძულებით შესრულება. მაგრამ ხანდახან ამ იძულებით შესრულებას აზრი არ აქვს, რადგან შესრულება შეუძლებელია. რომის სამართლისათვის ცნობილი პრინციპი *impossibilium nulla est obligatio* (შეუძლებლის შესრულების ვალდებულება არ არსებობს), ამა თუ იმ ფორმით, დღესაც ცნობილია ყველა თანამედროვე მართლწესრიგებისათვის, თუმცა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები ყველა მართლწესრიგში ერთი და იმავე არ არის. გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებმა უკვე კარგა ხანია გადაუხვიეს რომის სამართლის ტრადიციას და შესრულების შეუძლებლობას სულ სხვა ადგილი მიუჩინეს ხელშეკრულების დარღვევის დოგმატიკაში.

II. გერმანია

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არის მოვლენა, რომელიც აფერხებს ვალდებულების შესრულებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან საერთოდ გამორიცხავს მას. გერმანული სამართლის ოჯახის მართლწესრიგებში შეუძლებლობა ვალდებულების ისეთივე რიგითი დარღვევაა, როგორც ყველა სხვა დარღვევა, მაგალითად, ნაკლოვანი შესრულება, შესრულე-

ბის ვადის გადაცილება და ასე შემდეგ. თუმცა ეს გადაწყვეტა ყოველთვის არ იყო აღიარებული; შეუძლებლობა ყოველთვის არ იყო ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი რიგითი შემთხვევა და ეს ასე არ არის მიჩნეული სხვა მართლწესრიგებში. გერმანულ გადაწყვეტას უპირისპირდება ფრანგული და ზოგადად რომანული ქვეყნების მოდელი, რომელიც ემყარება რომაული სამართლის ტრადიციას – შეუძლებლობა ამ მართლწესრიგებში არის ვალდებულების შესრულების საზღვარი, რის იქითაც აღარ შეიძლება შესრულების მოთხოვნა. გერმანიაში კი, ეს შეუძლებლობა იწვევს მხოლოდ პირველადი ვალდებულების გაქრობას გსკ-ის 275-ე პარაგრაფის შესაბამისად, რის შემდეგაც გადავდივართ მეორად მოთხოვნებზე – თუ მოვალეს მიუძღვის ბრალი ამ შეუძლებლობის დადგომაში, მაშინ ის კრედიტორს უნაზღაურებს ზიანს.

დღესდღეობით გერმანულ სამართალში გამოყოფენ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის არაერთ სახეს:

1. „საწყისი შეუძლებლობა“ სახეზე, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება უკვე მისი წარმოშობის მომენტისათვის შეუძლებელია.
2. „შემდგომი შეუძლებლობა“ ეწოდება შეუძლებლობას, რომელიც ვალდებულების წარმოშობის შემდგომ დგება. ამის გარდა, შეუძლებლობას განასხვავებენ ნამდვილობისა და არანამდვილობის კრიტერიუმის მიხედვით.
3. „ნამდვილი შეუძლებლობა“ გულისხმობს ვალდებულების შესრულების შემაფერხებელ გადაულახავ გარემოებებს. „ნამდვილ შეუძლებლობას“ იწვევს, მაგალითად, ბუნების დაუძლეველი ძალა, რასაც ასევე ფიზიკური შეუძლებლობა ეწოდება.
4. „ობიექტური შეუძლებლობა“ სახეზე, როდესაც ვალდებულების შესრულება, როგორც კონკრეტული მოვალისათვის, ასევე ყველა სხვა პირისათვის გამორიცხულია.
5. „სუბიექტურ შეუძლებლობად“ იწოდება შემთხვევა, როდესაც ვალდებულების შესრულება მხოლოდ მოვალისათვის არის შეუძლებელი.
6. გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილში მოწესრიგებულია „პიროვნული შეუძლებლობის“ შემთხვევა, ანუ როდესაც მოვალეს ვალდებულება პირადად აქვს შესასრულებელი (შრომითი ხელშეკრულება, სხვა მომსახურების ხელშეკრულებები). ამ დროს, მისი პირადი მიზეზის

გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოირიცხოს მისთვის ვალდებულების შესრულების დაკისრება. 7. „ნამდვილ შეუძლებლობას“ უპირისპირდება „პრაქტიკული შეუძლებლობა“, რომელსაც სხვაგვარად, ასევე, ეკონომიკურ შეუძლებლობასაც უწოდებენ, მოწესრიგებულია გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილში და გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ვალდებულების შესრულება მხოლოდ შეუსაბამო ხარჯებითაა შესაძლებელი. პრაქტიკული შეუძლებლობის მაგალითი, რომელიც თითქმის ყოველ გერმანულ სახელმძღვანელოშია მოყვანილი, არის ზღვის ფსკერზე დამკვიდრებული ბექედი, რომლის ამოღებასაც შეუსაბამო ხარჯები სჭირდება¹. ამ შემთხვევაში შესრულების ვალდებულება არ ქრება ავტომატურად კანონის საფუძველზე, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ მოვალე ამ გარემოებაზე მიუთითებს – გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი წარმოადგენს შესაგებელს. მოვალეს შეუძლია არ წარადგინოს ეს შესაგებელი და მაინც შეასრულოს ვალდებულება შეუსაბამო ხარჯების განევით. 8. „თვისობრივი შეუძლებლობა“ ეხება შემთხვევას, როდესაც მხოლოდ ნაკლოვანი შესრულებაა შესაძლებელი, ხოლო ჯეროვანი შესრულება შეუძლებელია. 9. „ნამდვილი შეუძლებლობის“ ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს სამართლებრივი შეუძლებლობა. მაგალითად, ყოფილი ექიმი კისრულობს პაციენტისათვის ოპერაციის ჩატარებას სახლის პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობს შესაბამის ლიცენზიას. ასევე სამართლებრივი შეუძლებლობაა სახეზე, როდესაც გამყიდველს ნივთის მიწოდება მხოლოდ პროდუქციის შემოტანის აკრძალვის დარღვევით შეუძლია. თუმცა, თუ ხელშეკრულება არანამდვილია გსკ-ის 134-ე და 138-ე პარაგრაფების შესაბამისად (ანუ ამორალურობისა და კანონსაწინააღმდეგოობისა და გამო), მაშინ გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, რა თქმა უნდა, არ გამოიყენება. 10. გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი ეხება ასევე „ნაწილობრივი შეუძლებლობის“ შემთხვევას. შესრულების ვალდებულება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ის შეუძლებელია, ქრება, ხოლო დანარჩენ ნაწილში რჩება ძალაში. თუ კრედიტორს არ აქვს ინტერესი ნაწილობრივი შესრულების მიმართ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს

¹ ZIMMER, NJW 2002, 1.

ზიანის ანაზღაურება მთლიანი ვალდებულების სანაცვლოდ ან გავიდეს ხელშეკრულებიდან შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით. 11. „გარდამავალი შეუძლებლობისას“ შესრულების ვალდებულება გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად გამორიცხულია მხოლოდ დროებით. თუ ეს გარდამავალი შეუძლებლობა მოვალის ბრალითაა გამონვეული, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს შესრულების დაყოვნებით გამონვეული ზიანი. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლდეს, ასევე, გარდამავალი შეუძლებლობის დროსაც.

კაზუსი: „მაჩაბლისეული რიჩარდ III“

მყიდველი მ შეიძენს გ-ს ბუკინისტურ მაღაზიაში შექსპირის „რიჩარდ III“-ის მაჩაბლისეული თარგმანის პირველ, 1893 წლის გამოცემას. თუმცა, იმის გამო, რომ გ-ს სურს კიდევ რამდენიმე ხნით თავი მოიწონოს ვიტრინაში გამოდებული ნივთით, შეთანხმდებიან რომ მ ნაყიდ ნივთს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ წამოიღებს. ხელშეკრულების დადებიდან ორი დღის შემდეგ გ-ს მაღაზიას მოკლე ჩართვის შედეგად უჩნდება ხანძარი, რის შემდეგაც, მაღაზიაში არსებული ყველა ნივთი, მათ შორის მ-სათვის მიყიდული შექსპირის თარგმანიც, განადგურდება. ერთი კვირის შემდეგ, როდესაც მ ნაყიდი ნივთის წამოსაღებად შემოივლის და მომხდარის შესახებ შეიტყობს, გ-სგან მოითხოვს იმავე გამოცემის სხვა ეგზემპლარის გადაცემას, რაზეც გ მიუგებს, რომ ეს გამოცემა მას ჰქონდა მხოლოდ ერთი ცალი. თავად მოკლე ჩართვა გამონვეული იყო ძაბვის ვარდნით, რომელთან დაკავშირებითაც გ-ს ასევე არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

რა მოთხოვნები აქვთ მხარეებს ერთმანეთის მიმართ?

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი²	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>§243. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება. (1) თუ პირი ვალდებულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემაზე, მაშინ მან უნდა გადასცეს საშუალო სახისა და ხარისხის ნივთი. (2) თუ მოვალემ გააკეთა ყველაფერი ის, რაც მისი მხრიდან აუცილებელია ასეთი ნივთის მიწოდებისათვის, მაშინ ვალდებულება შემოიფარგლება მიწოდებული ნივთით.</p>	<p>მუხლი 382. ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას. თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.</p>

² გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმები მოყვანილია GIZ-ის მიერ 2010 წელს გამოცემული თარგმანის (მთარგმნელი: ზ. ჭეჭელაშვილი) მიხედვით.

§283. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება გამოირიცხულია. თუ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ვალდებულება §275 1-3 ნაწილების თანახმად, მაშინ კრედიტორს შეუძლია §280 1-ლი ნაწილის პირობების შესრულების გათვალისწინებით შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად გამოიყენება §281 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები.

§300. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები. (1) კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ განზრახვისა ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. (2) თუ ვალდებულების საგანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მისი შემთხვევით დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადადის იმ მომენტიდან, როდესაც იგი ვადაგადაცილებულად მიიჩნევა შეთავაზებული ნივთის მიუღებლობის გამო.

მუხლი 392. მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

§326. საპასუხო დაკმაყოფილებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შესრულების ვალდებულების გამოირიცხვის შემთხვევაში. (1) თუ მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ გამოირიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებაც; ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება §441 მე-3 ნაწილი. 1-ლი წინადადება არ მოქმედებს, თუ მოვალეს ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე. (2) თუ კრედიტორი იმ გარემოებისათვის, რომლის საფუძველზეც მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მხოლოდ ის ან უმთავრესად თავად არის პასუხისმგებელი ანდა თუ იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს, _ მაშინ მოვალე ინარჩუნებს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის მის ანგარიშში ჩათვლა, რასაც იგი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად ზოგავს ან საკუთარი სანარმოო ძალების სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს ანდა ბოროტი განზრახვით არ იძენს. (3) თუ კრედიტორი §285 თანახმად ითხოვს ვალდებულების საგნისათვის მიღებული საზღაურის დაბრუნებას ან საზღაურის მოთხოვნის დათმობას, მაშინ იგი რჩება ვალდებული საპასუხო დაკმაყოფილებაზე. თუმცა, ეს უკანასკნელი მცირდება იმდენად, რამდენადაც საზღაურის ღირებულება ან საზღაურის მოთხოვნის უფლება §441 მე-3 ნაწილის თანახმად რჩება ნაკისრი ვალდებულების შესრულების ღირებულებაზე ნაკლები.

მუხლი 406. საპასუხო შესრულების მიღების უფლება. 1. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამონწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას. 2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ საპასუხო შესრულების საფუძველი იმ დროს დადგა, როცა კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. მ-ს მოთხოვნები გ-ს მიმართ:

1. წიგნზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ წიგნზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, რისთვისაც აუცილებელი ნასყიდობის ხელშეკრულება მ-სა და გ-ს შორის სახეზეა.

თუმცა ნასყიდობის დადებასთან წარმოშობილი ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის გადახდის მოთხოვნა შეიძლება გაქარწყლებულიყო მას შემდეგ, რაც ის შეუძლებელი გახდა. გსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესრულების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია იმ ფარგლებში, რომელშიც იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის დადების შემდეგ ნასყიდობის საგანი განადგურდა, შესრულება შეიძლება მაინც არ გამხდარიყო შეუძლებელი, თუ საქმე ეხებოდა გვაროვნულ ნივთს. გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულება მოვალემ ყოველთვის უნდა შეასრულოს (გსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 382-ე მუხლი), სანამ არ მოხდება ამ ვალის კონკრეტიზირება, ანუ ვალდებულება არ შემოიფარგლება მთელი გვარიდან ერთ-ერთი ნივთით, რაც გარდაქმნის ამ ვალდებულებას გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულებიდან ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთით შესრულების ვალდებულებად (გსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში ვალდებულება არ ეხებოდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთს. მიუხედავად იმისა, რომ 1893 წელს „რიჩარდ III“-ის მარბლისეული თარგმანი ერთზე მეტ ეგზემპლარად იქნებოდა გამოცემული, წიგნის გამოცემიდან

ერთ საუკუნეზე მეტია გასული და თითოეული ეს ეგზემპლარი წარმოადგენს მეორად ნივთს, ხოლო ყველა მეორადი ნივთი კი არის ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი. შესაბამისად, ამ ნივთის განადგურების შემდეგ მისით შესრულების ვალდებულება აღარ არსებობს, გსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი დანაწესი არ მოიპოვება³, საქართველოშიც, შეუძლებელი ვალდებულების შესრულება შეუძლებელია და ათავისუფლებს მოვალეს ამ ვალდებულებისაგან.

2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ეს 1-ლი და მე-3 ნაწილებისა და 283-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3-ე ნაწილების) შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, გ-ს დაერღვია ნასყიდობიდან გამომდინარე ვალდებულება, რაც სახეზეა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ფორმით. თუმცა ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა ვალდებულების ბრალეული დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში მოკლე ჩართვით გამონვეული ხანძარი მოხდა გ-ს ბრალისაგან დამოუკიდებლად, რის გამოც ის არ ანაზღაურებს ზიანს.

შედეგი: შესრულების შეუძლებლობის გამო მ-ს არ აქვს გ-საგან შესრულების მოთხოვნის უფლება და რადგან შესრულების შეუძლებლობა არ არის გამონვეული გ-ს ბრალით, ის არ ანაზღაურებს არც ზიანს.

II. გ-ს მოთხოვნები მ-ს მიმართ:

ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის

³ სსკ-ის 401-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ დასათაურებულია, როგორც შესრულების შეუძლებლობა, ეხება მხოლოდ ვადის გადაცილების შემთხვევას და შეესაბამება გსკ-ის 297-ე პარაგრაფს და არა 275-ეს.

მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად, რომელიც წარმოიშვა ნასყიდობის დადებასთან ერთად, თუ ეს მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის გაქარწყლებული.

თუმცა ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა შეიძლება გაქარწყლებულიყო გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, თუ, გსკ-ის 275-ე მუხლის 1-3-ე ნაწილებში მონესრიგებული შეუძლებლობის გამო, აღარ არსებობს საპირისპირო მოთხოვნის უფლება – ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება.

სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ცოტა განსხვავებულად არის ფორმულირებული, ვიდრე გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტი და აწესრიგებს პირდაპირ გამონაკლისს ზოგადი წესიდან, რომლის მიხედვითაც, ერთი მოთხოვნის გაქარწყლება ავტომატურად აქარწყლებს საპირისპირო მოთხოვნას – ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც საპირისპირო მოთხოვნის გაქარწყლება კრედიტორის ბრალით მოხდა. თუმცა სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უკუდასკვნით გამომდინარეობს ასევე გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის წესი – თუ შესრულების შეუძლებლობა, რომელიც მოვალეს ათავისუფლებს შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორის ბრალით არ არის გამონკვეული, მაშინ მოვალე კარგავს საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლებას.

ჩვენს შემთხვევაში ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემა გახდა შეუძლებელი გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად და მოვალე ათავისუფლდა ამ ვალდებულებისაგან.

თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც ერთი მოთხოვნის გაქარწყლება ავტომატურად არ იწვევს საპირისპირო მოთხოვნის გაქარწყლებას. ორი მათგანი მონესრიგებულია გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილში (სსკ-ის

406-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებში). თუ მოვალის მიერ შესრულების შეუძლებლობა გამონკვეულია კრედიტორის ბრალით ან შეუძლებლობის მომენტის დადგომისათვის კრედიტორი აცილებდა მიღების ვადას, მაშინ ერთი შესრულების გაქარწყლება ავტომატურად არ აქარწყლებს საპირისპირო შესრულებას.

თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში შესრულების რისკის გადასვლის წესები ასევე შეიძლება წარმოადგენდნენ იმ გამონაკლისებს, რომელთა დროსაც გამყიდველი შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებასთან ერთად ავტომატურად არ კარგავს საპირისპირო მოთხოვნას.

ხელშეკრულების ფარგლებში რისკები გადანაწილებულია შემდეგნაირად: გსკ-ის 275-ე და 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად კრედიტორი ატარებს შესრულების რისკს, ანუ რისკს, რომ ნივთის განადგურების შემდეგ (თუ გვაროვნულ ნივთს ეხება საქმე მთლიანი გვარის განადგურების შემდეგ) ის შესრულებას ვეღარ მიიღებს. ფასის რისკს, ანუ იმ რისკს, რომ შესრულების შეუძლებლობის შემდეგ მიიღებს ფასს, ატარებს მოვალე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-300 პარაგრაფის მე-2 ნაწილი ამ შესრულების რისკს გადააკისრებს კრედიტორს, თუ ის იყო ვადაგადაცილებული. ანუ, თუ გსკ-ის 243-ე პარაგრაფი, გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში, შესრულების რისკს აკისრებს მოვალეს, მე-300 პარაგრაფის მიხედვით, ეს რისკი (შემთხვევითი დაღუპვისა და ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობით დაღუპვის რისკი) გადადის კრედიტორზე, თუ ის ვადაგადაცილებულია. მაგრამ ეს, მოცემულ შემთხვევაში, მაინც არ გამოგვადგება, რადგან შესრულების რისკი უკვე თავიდანვე გადასულია, სახეზეა რა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი.

გსკ-ის მე-300 პარაგრაფისაგან (სსკ-ის 392-ე მუხლისაგან) განსხვავებით, გსკ-ის 446-ე პარაგრაფი (სსკ-ის 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მოიცავს როგორც შესრულების, ისე ფასის რისკს და ეხება შემთხვევას, როდესაც გამყიდველი მყიდველს გადასცემს ნაყიდ საგანზე მფლობელობას ისე, რომ ჯერ არ გადასცემს საკუთრებას (მაგ. საკუთრების პირობადებული გადაცემა). თუ მოხდა ნივთის გადაცემა, მოვალემ უნდა გადაიხადოს სრული საფასური, მიუხედავად იმისა, რომ ნივთი შემდგომში შეიძლება განადგურდეს და მყიდველმა ვეღარ მოიპოვოს მასზე საკუთრება.

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, რისკის გადასვლის დანაწესების მიხედვითაც შეუძლებელია საპირისპირო მოთხოვნის შენარჩუნება.

შედეგი: გ-ს არ აქვს მ-საგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება.

საბოლოო შედეგი: შესრულების შეუძლებლობისა და საპირისპირო მოთხოვნისაგან გათავისუფლების გამო მხარეებს ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები არ აქვთ.

კაზუსი: “ავტომოყვარულები”

გ და მ თავგადაკლული ავტომოყვარულები არიან. ერთ დღესაც გ, რომელსაც სურს გამოცვალოს თავისი უკვე მობეზრებული სპორტული მანქანა (რეალური ფასი: 2300 ლარი), ამ მანქანას მიჰყიდის მ-ს 2000 ლარად. თუმცა სანამ თავის მანქანას საბოლოოდ დაემშვიდობებოდა გ გადაწყვეტს კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს მ-ს მისი უპირატესობა გ-ს ამჟამინდელი მანქანის წინაშე. ასპარეზად დიღმის ტრასას აირჩევენ და თვალის დახამხამებაში მ და გ უკვე მიქრიან ტრასაზე გადაჭარბებული სიჩქარით და ყოველგვარი წინდახედულობის ნორმების დარღვევით. ერთ-ერთ მოსახვევში გ ვეღარ დაიმორჩილებს საჭეს, დაეჯახება მ-ს მანქანას, რის შემდეგაც ორივე მანქანა გადავარდება სავალი ზოლიდან, რამოდენიმეჯერ გადატრიალდება და გახდება ჯართში ჩასაბარებელი. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მ მოითხოვს გ-საგან მსგავსი სპორტული ავტომანქანის გადაცემას, ხოლო გ ნასყიდობის ფასის გადახდას; რბოლისას მ დაშვებულზე მეტად რომ არ მიახლოებოდა გ-ს ავტომანქანას, მ შეიძლება საჭის დამორჩილებასა და ავარიის თავიდან აცილებას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>§241. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები.</p> <p>....</p> <p>(2) თავისი შინაარსის მიხედვით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას.</p>	<p>მუხლი 316. ცნება.</p> <p>....</p> <p>2. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.</p>

§249. ზიანის ანაზღაურების ფორმა და ფარგლები.

(1) პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

§254. თანაბრალეულობა.

(1) თუ ზიანის დადგომას ხელი შეუწყო დაზარალებულის ბრალეულმა მოქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ისევე როგორც ანაზღაურების მოცულობა, დამოკიდებულია იმაზე, უფრო მეტად რა მოცულობით არის გამოწვეული ზიანი ერთი ან მეორე მხარის ბრალით. (2) აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება უმოქმედობაში, მიექცია მოვალის ყურადღება იმ უჩვეულოდ დიდი ზიანის საფრთხეზე, რომლის შესახებაც მოვალემ არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა ანდა დაზარალებულმა არ მიიღო ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. შესაბამისად გამოიყენება §278 ნორმა.

§276. მოვალის პასუხისმგებლობა.

(1) მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას, თუ დადგენილი არ არის უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა ან იგი არ გამომდინარეობს ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან, კერძოდ კი, გარანტიის ან საქონლის დამზადების რისკის კისრებით. შესაბამისად გამოიყენება §827 და 828 ნორმები. (2) გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ზრუნვას. (3) მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან განზრახვისათვის.

მუხლი 408. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა. 1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში.

1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. (2) აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება უმოქმედობაში, მიექცია მოვალის ყურადღება იმ უჩვეულოდ დიდი ზიანის საფრთხეზე, რომლის შესახებაც მოვალემ არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა ანდა დაზარალებულმა არ მიიღო ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. შესაბამისად გამოიყენება §278 ნორმა.

მუხლი 395. ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ წინასწარი შეთანხმების დაუშვებლობა.

1. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. 2. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახვი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

§280. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას.

(1) თუ მოვალე არღვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე თავის ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ...

მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას.

1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

ამოხსნა:

(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)

I. მ-ს მანქანაზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მანქანაზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ეს მოთხოვნა წარმოიშვა გ-სა და მ-ს შორის ნასყიდობის დადებასთან ერთად.

თუმცა ეს მოთხოვნა შეიძლება აღარ არსებობდეს გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ მისი შესრულება შეუძლებელი გახდა. ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, თუ შესრულების მიზნის მიღწევა უკვე აღარ შეიძლება. მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობა ეხებოდა მეორად ნივთს, რომელიც არის ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული. მისი განადგურების შემდეგ ამ ნივთზე მფლობელობა-საკუთრების გადაცემა, ან მისი სხვა ნივთით ჩანაცვლება გახდა შეუძლებელი, რის გამოც არა მხოლოდ მოვალისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია ვალდებულების შესრულება – „ობიექტური შეუძლებლობა“ გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 ვარიანტის შესაბამისად. გ გათავისუფლდა შესრულების ვალდებულებისაგან.

შედეგი: მანქანაზე მფლობელობისა და საკუთრების გადაცემის მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადა-

დების (სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად აღარ არსებობს.

II. გ-ს ნასყიდობის ფასის მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად, თუ ეს საპირისპირო მოთხოვნა არ გაქარწყლებულა გსკ-ის 326-ე პარაგრაფის (სსკ-ის 406-ე მუხლის) შესაბამისად.

1. საპირისპირო მოთხოვნის გაქარწყლება

ნასყიდობის ფასის მოთხოვნა, რომელიც წარმოიშვა ნასყიდობის დადებასთან ერთად, შეიძლება გაქარწყლებულიყო გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, თუ აღარ არსებობს მისი საპირისპირო მოთხოვნა. მყიდველის მოთხოვნა მანქანაზე მფლობელობისა და საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ დავადგინეთ, აღარ არსებობს შეუძლებლობისდა გამო (გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი).

1.1. კრედიტორის ბრალით გამონვეული შეუძლებლობა

თუმცა მიუხედავად საპირისპირო მოთხოვნის გაქარწყლებისა, გამყიდველი შეინარჩუნებდა თავის მოთხოვნის უფლებას, თუ გარემოება, რომელიც გამყიდველს ათავისუფლებს შესრულების ვალდებულებისაგან (ანუ შესრულების შეუძლებლობა), მხოლოდ ან მეტწილად მყიდველის ბრალით იქნებოდა გამონვეული (გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)⁴. მ-მ მართლაც შეიტანა წვლილი გ-ს მეორადი მანქანის განადგურებაში, რის შემდეგაც დადგა შესრულების შეუძლებლობა – დასაშვებზე მეტად რომ არ მიახლოებოდა გ-ს

⁴ კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილება და ფასის რისკის გადასვლის შემთხვევები – როდესაც მყიდველი ასევე არ თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, მიუხედავად საპირისპირო მოთხოვნის დაკარგვისა, – აქ თავიდანვე არ გამოგვადგება.

მანქანას, გ სავარაუდოდ არ ამოყირავდებოდა. თუმცა არც თავად გ იყო სრულებით უბრალო. მასაც სიჩქარისათვის რომ არ გადაეჭარბებინა, სავარაუდოდ შესძლებდა, საჭის დამორჩილებას. შესაბამისად, შესრულების შეუძლებლობა გამონვეულია ორივე მხარის ბრალით (50/50) და არც ერთი არ არის მეტწილად პასუხისმგებელი ამ შეუძლებლობაზე.

1.2. ორმხრივი ბრალით გამონვეული შეუძლებლობა

ორმხრივი ბრალით გამონვეული შეუძლებლობა, როდესაც არც ერთი მხარის ბრალი არ აჭარბებს მეორის ბრალს (ან მხოლოდ უმნიშვნელოდ აჭარბებს), არც ქართულ და არც გერმანულ კანონში მონესრიგებული არ არის.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ შემთხვევის გადასაწყვეტად სამი მოსაზრებაა გამოთქმული.

ა) პირველი მოსაზრება⁵: საპირისპირო შესრულების მოთხოვნა რჩება ძალაში, თუმცა მისი მოცულობა უნდა შემცირდეს კრედიტორის ბრალის შესაბამისად, გსკ-ის 254-ე პარაგრაფის მიხედვით. ანუ გამყიდველს ექნება 1000 ლარის მოთხოვნის უფლება.

დიფერენციაციის მეთოდით განისაზღვრება ის ზიანი, რომელიც მყიდველს მიადგა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობით (გსკ-ის 280-ეს 1-ლი და მე-3 ნაწილი და 283-ე პარაგრაფი, სსკ-ის 394-ეს 1-ლი და მე-2 ნაწილი), რომელიც, თავის მხრივ, უნდა შემცირდეს გსკ-ის 254-ე პარაგრაფის ანალოგიით გამოყენების შედეგად. მანქანა რომ არ განადგურებულიყო მყიდველს ექნებოდა მანქანა, რომლის ღირებულებაც არის 2300 ლარი 2000 ლარად. შესაბამისად, მისი ზიანი შეადგენს 300 ლარს. მართალია, მისი ნამდვილი ზიანი შეადგენს 1300 ლარს, რადგან ის ახლა ვეღარ იღებს მანქანას და 1000 ლარი მაინც უნდა გადაიხადოს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ათასი ლარიც ზიანია, ის არ ანაზღაურდება მოვალის ბრალის არარსებობის გამო – ბრალი უკვე გავითვალისწინეთ და მას მეორეჯერ ვეღარ

⁵ CANARIS, FS Lorenz, 147, MEDICUS, Schuldrecht I, Rn. 503g; შეჯამებისათვის შეად. Palandt/GRÜNEBERG, § 326 Rn. 15.

გავითვალისწინებთ, სწორედ ამიტომაც იხდის მყიდველი 1000 და არა 2000 ლარს. ამის გამო, ანაზღაურდება მხოლოდ 300 ლარი, მაგრამ გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (სსკ-ის 415-ე მუხლის) მიხედვით მასაც ვყოფთ ორზე.

ბ) მეორე მოსაზრება: საპირისპირო შესრულების მოთხოვნა რჩება მთლიანი მოცულობით ძალაში, მაგრამ კრედიტორს, რომლის მოთხოვნის უფლებაც შეუძლებელი გახდა, აქვს სუროგაციის მეთოდის მეშვეობით შესრულების ნაცვლად ზიანის მოთხოვნის უფლება, რომლის მოცულობაც უნდა შემცირდეს გსკ-ის 254-ე პარაგრაფის შესაბამისად. მოცემული გადაწყვეტის უპირატესობას წარმოადგენს გსკ-ის 254-ე პარაგრაფის პირდაპირი გამოყენების შესაძლებლობა.

ექსკურსი: მაგალითად, ა-მ და ბ-მ გაცვალეს თავ-თავიანთი ავტომანქანები და ა-მ, სანამ ბ-ს თავის მანქანაზე საკუთრებას გადასცემდა, ბრალეულად გაანადგურა ეს მანქანა. დიფერენციაციის მეთოდის მეშვეობით, ბ-ს შეეძლებოდა მხოლოდ იმ ნამატი ღირებულების მოთხოვნა, რომლითაც ა-ს მანქანის ღირებულება აჭარბებდა მისი მანქანის ღირებულებას. სუროგაციის მეთოდის მეშვეობით, ბ-ს ათვის შეეძლებოდა ბ-სათვის გადაეცა საკუთრება საკუთარ მანქანაზე და სანაცვლოდ მოეთხოვა ა-ს განადგურებული მანქანის სრული ღირებულება. გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი ასეთ დაშვებას არ ენიშნავს, რადგან კრედიტორი გსკ-ის 249-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის იქნებოდა ზიანის მომტანი ფაქტი რომ არ დამდგარიყო. გაბატონებული მოსაზრებით კრედიტორს აქვს უფლება აირჩიოს დიფერენციაციისა და სუროგაციის მეთოდებს შორის. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, დასაშვებია თუ არა სუროგაციის მეთოდით ვალდებულების შესრულების ეფექტის გამონვევა.

გ) მესამე მოსაზრება: ორივე გადაწყვეტის ნაკლს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი საპირისპირო შესრულების მოთხოვნას ძა-

ლაში ტოვებენ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხრიდან თანაბარი ბრალის შემთხვევა გსკ-ის 326-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებით (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მონესრიგებული არ არის. ამ მოსაზრების თანახმად თანაბარი ბრალეულობის შემთხვევაში აღარ არსებობს ასევე საპირისპირო ვალდებულების შესრულების მოთხოვნა გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. გ ვერ მოითხოვს მ-საგან ვერც მთლიან და ვერც განახევრებულ ფასს.

ასევე არ აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის მოთხოვნის უფლება, რადგან (გსკ-ის 283-ე პარაგრაფის/სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით) ამისი წინაპირობაა თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობა, რომელიც გახდა შეუძლებელი. მოცემულ შემთხვევაში კი მოვალე თავისუფლდება ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, რომელიც ყოველთვის შესაძლებელია. შესაბამისად, აღარ არსებობს ვალდებულება, რომლის ნაცვლადაც გამყიდველი მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას.

თუ მესამე მოსაზრებას გავიზიარებთ, რომელიც კანონის ტექსტთან ყველაზე ახლოსაა, გამყიდველი დაკარგავდა ფასის მოთხოვნის უფლებას, რადგან ამ მოთხოვნის შენარჩუნება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ შეუძლებლობა გამონვეული იქნებოდა მხოლოდ ან უმთავრესად მყიდველის ბრალით. სხვა შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ვარიანტის (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უკუდასკვნით მიღებული) წესი. მოცემულ შემთხვევაში შეუძლებლობა არ არის გამონვეული მხოლოდ ან უმთავრესად კრედიტორის ბრალით, რის გამოც ის არა მხოლოდ კარგავს ფასის მოთხოვნის უფლებას, არამედ ასევე ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას შესრულების სანაცვლოდ, როგორც ზემოთ ვახსენეთ.

III. გ-ს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დამატებითი ვალდებულების დარღვევის გამო

თუმცა მიუხედავად შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების გამორიცხვისა, გ-ს შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დამატებითი ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად.

კრედიტორს ხელშეკრულებიდან ეკისრება დამატებითი ვალდებულება, არ გახადოს მოვალის ვალდებულება შეუძლებელი. ეს ვალდებულება მ-მ დაარღვია, რის შედეგადაც გ-მ საკუთარი ვალდებულების შეუძლებლობასთან ერთად დაკარგა ასევე საპირისპირო მოთხოვნის უფლება, გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (უკუდასკვნა სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან), რადგან მასაც მიუძღოდა შეუძლებლობის დადგომაში ბრალი და ეს შემთხვევა არ არის მოცული გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის საგამონაკლისო დანაწესით (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). საპირისპირო მოთხოვნის დაკარგვა წარმოადგენს გ-ს ზიანს. ეს ვალდებულება გ-მ დაარღვია ბრალეულად – გაუფრთხილებლობით – გსკ-ის 276-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით. მან არ გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი წინდახედულობა, როდესაც დასაშვებზე მეტად მიუახლოვდა გ-ს გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავ ავტომანქანას. ამ გაუფრთხილებლობისათვის ის პასუხს აგებს ამ პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით. გ-ს აქვს, ამრიგად, მ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

თუმცა ანაზღაურებადი ზიანის მოცულობა უნდა შემცირდეს ამ ზიანის დადგომაში გ-ს თანაბრალეულობის შესაბამისად, გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (სსკ-ის 415-ე მუხლის) მიხედვით, ანუ 50%-ით. გ-ს ექნება მხოლოდ დაკარგული ფასის ნახევრის, ანუ 1150 ლარის მოთხოვნის უფლება.

გამყიდველს ასევე შეუძლია ამავე საფუძვლით მოითხოვოს

მყიდველისაგან ზიანის ანაზღაურება სხეულის დაზიანებისათვის, რომელიც მას მანქანის გადაყირავებით მიადგა, თუმცა ამ ზიანის ანაზღაურების მოცულობაც უნდა განახევრდეს.

საბოლოო შედეგი: გ-ს აქვს მ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დამატებითი ვალდებულების დარღვევის გამო გსკ-ის 280-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 241-ე მუხლის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 394-ეს 1-ლი და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილების) შესაბამისად.

კაზუსი: „დამსხვრეული ალავერდის ქალები“

ღვინით მოვაჭრე მიხო (მ) იმყოფება სიღნაღში სექტემბრის მინურულს გამართულ ღვინის ბაზრობაზე, სადაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვნის და შეიძენს მელვინე გოგიასაგან (გ) 150 ბოთლ საფერავს, “ალავერდის ქალები” - “განსაკუთრებული მარაგი, 2004 წლის ჩამოსხმა“. ფასზე მორიგების შემდეგ, მ შესთავაზებს დამატებითი ანაზღაურების სანაცვლოდ ღვინის პირდაპირ თბილისში, მის საწყობში გაგზავნას, რაზეც გ დათანხმდება. გ მეორე დღესვე გაამზადებს ტვირთს გასაგზავნად და დაურეკავს თავის მეზობელ ვასოს, რომელიც სიღნაღში ტვირთის გადამზიდველი ერთადერთი კომპანიის მფლობელია. თუმცა წინა დღის ნაბახუსევ ვასოს ამ დროს ჯერ კიდევ ტკბილად სძინავს და ცოლის შეჯანჯღარებას მხოლოდ სტვენით პასუხობს. გ საბოლოოდ ხელს ჩაიქნევს ვასოს გაღვიძების მცდელობაზე, თუმცა იმის გამო, რომ მ ღვინოს ამავე საღამოს ელოდება, მარნიდან გამოიყვანს თავისთან დასაქმებულ ძმისშვილს, ვანოს, დასვამს ღვინით დატვირთულ მანქანაზე და გაუყენებს თბილისისაკენ გზას. გომბორის გზაზე საღამოსკენ ნისლია ჩამონოლილი. მიუხედავად იმისა, რომ ვანო საკმაოდ ფრთხილად ატარებს მანქანას, უეცრად ნისლიდან საპირისპირო ზოლზე გამოვარდნილი ნიკას (ნ) წინაშე ის უძღურია. შეჯახების შედეგად ყველა ბოთლი დაიმსხვრევა.

1. ამ ამბის შეტყობის შემდეგ მ გ-საგან ითხოვს გადახდილ ფასსა და 750 ლარს, როგორც მოგებას, რომელსაც ის მიიღებდა ღვინის გაყიდვიდან.

2. მ-ს ასევე აინტერესებს, თუ გ-საგან რამის მოთხოვნის მცდელობა უშედეგოდ დასრულდება, ხომ არ შეუძლია მას ნ-საგან მოითხოვოს რაიმე, ან მოსთხოვოს გ-ს ნ-ს მიმართ მოთხოვნის უფლების დათმობა.

ვარიანტი: შეიცვლებოდა თუ არა რამე ნისლიდან საპირისპირო ზოლზე არა ნიკა, არამედ მარანში გვარიანად შეზარხოშებული ვანო რომ გამოვარდნილიყო?

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

§14. მეწარმე.

(1) მეწარმეს წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამეწარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. (2) უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას წარმოადგენს ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

§252. მიუღებელი შემოსავალი.

ასანაზღაურებელი ზიანი მოიცავს ასევე მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება შემოსავალი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ან განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ კი, ღონისძიებების გატარებისა და უსაფრთხოების ზომების მიღებისას, სავარაუდოდ იქნებოდა მოსალოდნელი.

§269. ვალდებულების შესრულების ადგილი.

(1) თუ ვალდებულების შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც გარემოებებიდან, კერძოდ კი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსიდან არ გამოდინარეობს, მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ ადგილზე, რომელზეც მოვალეს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი. (2) თუ ვალდებულება წარმოიშვა მოვალის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, მაშინ საცხოვრებელი ადგილს ცვლის საწარმოო ერთეულის ადგილი, თუ მოვალეს თავისი საწარმოო ერთეული ჰქონდა სხვა ადგილზე. (3) მარტო იმ გარემოებიდან, რომ მოვალემ იკისრა გაგზავნის ხარჯები, არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ დანიშნულების ადგილი შესრულების ადგილად უნდა ჩაითვალოს.

მუხლი 411. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის.

ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

მუხლი 362. ვალდებულების შესრულების ადგილი.

თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: ა. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში - იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა; ბ. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში - იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ - მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

§278. საკუთარი საქმეების მიმართ გულისხმიერება.

მოვალე პასუხს აგებს თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. §276 მე-3 ნაწილის ნორმა არ გამოიყენება.

§281. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას.

(1) იმდენად, რამდენადაც მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მას, კრედიტორს შეუძლია §280 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მან უშედეგოდ დაუდგინა მოვალეს ვალდებულების შესრულების ან ჯეროვანი შესრულებისათვის გონივრული ვადა. თუ მოვალემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი არა აქვს. თუ მოვალე არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, თუ დარღვევა უმნიშვნელოა.

§323. ხელშეკრულებაზე უარი თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო.

(1) თუ ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას ან ასრულებს მას ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ უშედეგოდ განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლის ან დამატებითი შეს-

მუხლი 396. მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის.

მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას.

... 2. მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას.

1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება

რულების შემდეგ. (2) დამატებითი ვადის დადგენა ზედმეტია, თუ: 1. მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს, 2. მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღამდე ან განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულებაში შესრულებისადმი მისი ინტერესის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას, ან 3. არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ამართლებს ხელშეკრულებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმას.

(3) თუ ვალდებულების დარღვევის ბუნების გამო ვადის დადგენა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ მის ადგილს იკავებს გაფრთხილება. (4) კრედიტორს შეუძლია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნინაპირობები. (5) თუ მოვალემ განახორციელა ნაწილობრივი შესრულება, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი არა აქვს. თუ მოვალემ შესრულება განახორციელა ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ ვალდებულების დარღვევა არაარსებითია. (6) ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამორიცხულია, თუ მხოლოდ კრედიტორი ან უმთავრესად იგი არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა ანდა თუ იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს.

გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. 2. არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ: ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებაზე განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

გ. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა. 3. ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ: ა. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა; ბ. დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; გ. ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი; დ. მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ. 4. კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები. 5. მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.

§446. რისკისა და ვალდებულებების გადასვლა.

გაყიდული ნივთის გადაცემით მყიდველზე გადადის მისი შემთხვევით დალუპვისა და შემთხვევით გაუარესების რისკი. გადაცემის მომენტიდან მყიდველს ეკუთვნის ნივთის სარგებელი და მას ეკისრება ნივთის უფლებრივი ტვირთი. გადაცემას უთანაბრდება, თუ მყიდველი აცილებს ნივთის მიღების ვადას.

§447. რისკის გადასვლა ნივთის გაგზავნით ნასყიდობის შემთხვევაში.

(1) თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა ექსპედიტორს, გადამზიდავს ან გადაზიდვისათვის განსაზღვრულ სხვა პირსა თუ ორგანიზაციას. (2) თუ მყიდველმა გასცა სპეციალური განკარგულება გაგზავნის ხერხის შესახებ და გამყიდველმა არსებითი მიზეზის გარეშე არ შეასრულა ეს განკარგულება, მაშინ გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე ამის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის.

მუხლი 482. ნივთის შემთხვევით დალუპვის რისკის გადასვლა.

1. გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დალუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

მუხლი 482. ნივთის შემთხვევით დალუპვის რისკის გადასვლა.

... 2. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დალუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდაველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

ამოსავალი კაზუსის ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. მ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გადახდილი ფასის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მოთხოვნის უფლება გადახდილი ფასის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-4, 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 405-ეს 1-ლი და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. თუ

გათავისუფლდებოდა შესრულების ვალდებულებისაგან გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-3 ნაწილების შესაბამისად, მაშინ მ-ც გათავისუფლდებოდა ფასის გადახდის ვალდებულებისაგან (გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და შეეძლო უკვე გადახდილი ფასი უკან მოეთხოვა გსკ-ის 326-ეს 1-ლი და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 405-ეს 1-ლი და 352-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

1. მ-სა და გ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება გსკ-ის 433-ე პარაგრაფის (სსკ-ის 477-ე მუხლის) მიხედვით და მ-მ გადაიხდა ნასყიდობის ფასი.

2. გსკ-ის 326-ეს მე-4 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით მ-ს შეიძლება ჰქონდეს ამ ფასის უკან მოთხოვნის უფლება. მოცემული დანაწესების მიხედვით, ფასის უკან მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს მოვალის გათავისუფლება საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის შესატყვისი არ მოიძებნება, რის გამოც იგივე შედეგს – გადახდილი ფასის უკან დაბრუნებას – გ ნასყიდობიდან პირდაპირ გასვლისა და მის შედეგად წარმოშობილი ორმხრივი რესტიტუციის ურთიერთობის ფარგლებში თუ მიაღწევს, სსკ-ის 405-ეს 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

2.1. გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გ უნდა გათავისუფლებულიყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან, მისი შესრულების შეუძლებლობის გამო, გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-3 ნაწილების შესაბამისად. მ-სთან დადებული ნასყიდობით გ-ს ეკისრებოდა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მ-სათვის 150 ბოთლ ღვინოზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის ვალდებულება, რაც თავდაპირველად წარმოადგენდა გვაროვნული ნივთების გადაცემის ვალდებულებას. თუმცა ეს ვალდებულება, შეიძლება, გარდაიქმნა კონკრეტულ ღვინის ბოთლებზე საკუთრების გადაცემის ვალდებულებად, თუ მოხდა შესრულების საგნის ე. წ. კონკრე-

ტიზაცია გსკ-ის 243-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესრულების საგანს წარმოადგენდა გვაროვნული ნივთი, თუ მოვალემ გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრიდან აუცილებელია ასეთი ნივთის მიწოდებისათვის, ვალდებულება მიწოდებული ნივთით შემოიფარგლება.

2.2 კონკრეტიზაციის მომენტი ცალკეულ შემთხვევებში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ვალდებულება იყო შეთანხმებული: წამოღების, მიტანისა თუ გადაზიდვის. ნაკისრი ვალდებულების ტიპი განისაზღვრება შესრულების ადგილის (სადაც შესრულების მოქმედება უნდა განხორციელდეს) და შესრულების შედეგის ადგილის (ანუ სადაც უნდა დადგეს შესრულების შედეგი) მიხედვით. წამოღების ვალდებულების დროს შესრულების მოქმედებისა და შედეგის დადგომის ადგილი არის მოვალის საცხოვრებელი ადგილი. ის წარმოადგენს კანონით მოწესრიგებულ შემთხვევას (გსკ-ის 269-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 362-ე მუხლი) და საექვოობისას მიიჩნევა შეთანხმებულად. მიტანის ვალდებულების დროს შესრულების მოქმედება და შედეგი დგება კრედიტორის საცხოვრებელ ადგილზე, მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტია, რომ მოვალე კისრულობს ვალდებულებას, საკუთარი რისკით მიაწოდოს კრედიტორს ნივთი. გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში შესრულების მოქმედების განხორციელების ადგილი არის მოვალესთან, ხოლო მისი შედეგი დგება კრედიტორთან – მოვალე კისრულობს მხოლოდ გადამზიდველისათვის ნივთის გადაცემას. გაგზავნის ვალდებულება უნდა შეთანხმდეს ხელშეკრულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ზემოხსენებული კანონისმიერი დანაწესი. განსხვავებით მიტანის ვალდებულებისაგან – როდესაც შესრულების შედეგი დგება მოვალის მიერ ნივთის კრედიტორთან მიტანით – მ-მ და გ-მ შეთანხმეს, რომ ამ უკანასკნელს მხოლოდ ნივთის გაგზავნის ვალდებულება დაეკისრებოდა. ის ფაქტი, რომ გაგზავნის ხარჯები იკისრა მყიდველმა, მეტყველებს სწორედ გაგზავნის ვალდებულების სასარგებლოდ და მიტანის ვალდებულების საწინააღმდეგოდ (*argumentum ex* გსკ-ის 269-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი).

2.3 გაგზავნის ვალდებულებისას კონკრეტიზაცია ხდება ნივთის (ნივთების) გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტში⁶. ამ მომენტიდან კრედიტორზე გადადის ე. წ. “შესრულების რისკი”, ანუ რისკი იმისა, რომ შესრულების საგნის განადგურების შემთხვევაში, ის ვეღარ მოითხოვს თავიდან შესრულებას და მოვალე გათავისუფლდება ამ შესრულების ვალდებულებისაგან.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში გ-მ ნივთები გადასაზიდად ჩააბარა არა გადამზიდველს, არამედ თავისთან დასაქმებულ საკუთარ ძმიშვილს, მაგრამ, გსკ-ის 243-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიზნიდან გამომდინარე, ეს საკმარისი უნდა იყოს შესრულების საგნის კონკრეტიზაციისათვის. მოცემული დანაწესის მიზანს წარმოადგენს მოვალის დაცვა და მის გარეშე, მოვალე ვალდებული იქნებოდა გაგზავნილი ნივთის განადგურების შემთხვევაში ყოველ ჯერზე თავიდან შეესრულებინა, მხოლოდ იმიტომ, რომ გვაროვნული ნივთის თავიდან მოპოვება შესაძლებელია. მოვალის თავიდან შესრულების ვალდებულება შეიძლება გაგრძელებულიყო დაუსრულებლად. ამის საპირისპიროდ, გსკ-ის 243-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი მიზნად ისახავს განსაზღვრული მომენტის შემდეგ მოვალის გათავისუფლებას შესრულების ვალდებულებისაგან. ნორმის ამ მიზნიდან გამომდინარე, ასეთი მომენტი შეიძლება იყოს როგორც ნივთის გადამზიდველისათვის ჩაბარება, ისე, მისი საკუთარი პერსონალისათვის გადასაზიდად გადაცემა. ვ-სათვის ნივთების გადაცემის მომენტში გ-ს შესრულების ვალდებულება შემოიფარგლა ამ კონკრეტულ ნივთებზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის ვალდებულებით.

კონკრეტული 150 ბოთლის განადგურებასთან ერთად მათზე საკუთრების გადაცემა შეუძლებელი გახდა, როგორც ვ-სათვის, ისე, ნებისმიერი სხვა პირისათვის. ამ მომენტიდან დადგა ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა გსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, მაშინ კრედიტორიც, რომელსაც მოვალის წინაშე აქვს საპირისპირო

⁶ Palandt/HEINRICHS, § 243 Rn. 5; BGH BB 65, 349.

შესრულების ვალდებულება, თავისუფლდება ამ ვალდებულები-საგან.

ქართული სამართლის მიხედვით გადაწყვეტიას, ვალდე-ბულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა იქნე-ბოდა ხელშეკრულების დარღვევა სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რომლის დროსაც დამატებითი ვადის განსაზღვრა არის ზედმეტი (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი) და მყიდველს შეუძლია მოი-თხოვოს გასვლა, რის წინაპირობასაც წარმოადგენს ამ ვასვლის გაცხადება მეორე მხარისათვის სსკ-ის 355-ე მუ-ხლის შესაბამისად. მეორე მხარისათვის ფასის დაბრუნე-ბის მოთხოვნის წაყენებით გასვლა ითვლება კონკლუდენ-ტურად გაცხადებულად.

3. თუმცა მოცემულ შემთხვევაში მ არ გათავისუფლდებოდა სა-პირისპირო შესრულების – ფასის გადახდის ვალდებულებისა-გან, თუ ნივთების განადგურების მომენტში მასზე გადასული იქ-ნებოდა ე. წ. “ფასის რისკი”, ანუ რისკი იმისა, რომ საპირისპირო შესრულების ვერმიღების შემთხვევაში მაინც დაეკისრებოდა ფასის გადახდის ვალდებულება.

ე. წ. “საპირისპირო შესრულების”- ან “ფასის რისკის” გა-დასვლა, ეხება საკითხს, თუ რა ემართება, შესრულების შემთხვევითი შეუძლებლობის დროს, კრედიტორის საპი-რისპირო ვალდებულებას – მაგალითად, მყიდველის ვალ-დებულებას გადაიხადოს ნასყიდობის ფასი⁷. ჩვეულებრივ, ეს საკითხი წყდება გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწი-ლით, რომლის მიხედვითაც კრედიტორი-მყიდველი თავი-სუფლდება თავისი ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მოვალე-გამყიდველი გათავისუფლდა თავისი ნივთო-ბრივი შესრულების ვალდებულებისაგან. ამრიგად, “ფასის რისკს”, ჩვეულებრივ, გამყიდველი ატარებს.

გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იდენტურ ფუნქციას ქართულ სამართალში სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

ასრულებს, საიდანაც უკუდასკვნით გამომდინარეობს, რომ გარემოება, რომელიც მოვალეს საშუალებას აძლე-ვს უარი თქვას თავის შესრულების ვალდებულებაზე (მაგ. შესრულების შეუძლებლობა) და რომელიც არ არის გა-მონვეული კრედიტორის ბრალით, მას ასევე აკარგვინებს საპირისპირო შესრულების მიღების უფლებას. ანუ ფასის რისკს ქართულ სამართალშიც ჩვეულებრივ გამყიდველი ატარებს.

3.1 მოცემულ შემთხვევაში ეს რისკი არ გადასულა გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით, რადგან შეუძლებლობა არ იყო გამონვეული არც მ-ს ბრალით და ის არ იყო არც (მიღების) ვადაგადაცილებული კრე-დიტორი.

3.2. ფასის რისკის გადასვლა შეიძლება მომხდარიყო გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად. მოცემული დანაწესის მიხედვით, გაგზავნის ვალ-დებულების შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა, გადამზიდველისათვის ჩაბარებით გა-დადის არა მხოლოდ შესრულების რისკი, არამედ ასევე ფასის რისკიც. ამ დანაწესის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არ არის გამორიცხული არც გსკ-ის 474-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რადგან ნასყიდობის დადებისას მ-ც და გ-ც მოქმე-დებდნენ, როგორც მენარმეები, გსკ-ის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწი-ლის შესაბამისად.

გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის წინაპირობები:

ა) ნივთი უნდა გაიგზავნოს შესრულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილას. მოცემულ შემთხვევაში შესრუ-ლების ადგილს წარმოადგენდა მოვალის საცხოვრებელი გსკ-ის 269-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ანუ სიღნაღი. ნივთი შეთანხმების შემდეგ უნდა გაგზავნილიყო თბილისში, ანუ სხვა ადგილას.

ბ) გაგზავნა უნდა მოეთხოვა მყიდველს. ჩვეულებრივ, საკ-

⁷ EMMERICH, BGB-Schuldrecht Besonderer Teil, § 3 IV 1 Rn. 14.

მარისია, რომ ვაგ ზავნა მომხდარიყო საერთო თანხმობის საფუძველზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს მოითხოვა მყიდველმა და შესაბამისად, ეს წინაპირობაც სახე ზეა.

ქართულ სამართალში სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილი გსკ-ის 447-ე მუხლის 1-ელ ნაწილთან შედარებით განსხვავებულად არის ფორმულირებული.

ამ დანაწესის გამოყენების წინაპირობაა მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ერთხელ უკვე შეთანხმებული შესრულების ადგილის შეცვლა და არა უბრალოდ ვაგ ზავნის ვალდებულების შეთანხმება, როგორც ეს გერმანულ სამართალშია. თუმცა ეს განსხვავება სავარაუდოდ კანონმდებლის შეცდომის ბრალია, რომელმაც სათანადოდ ვერ გაიაზრა “ვაგ ზავნის ვალდებულებისას” რისკის გადასვლის გერმანული კონცეპტი. გსკ-ის 447-ე მუხლი ემყარება იდეას, რომ მყიდველმა, რომლის მოთხოვნითაც ხდება ნივთის სხვა ადგილას ვაგ ზავნა, ვიდრე ეს შესრულების ადგილია, უნდა ატაროს კიდევ ამ მოთხოვნის გამო გაზრდილი რისკი. ეს რისკი იზრდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მყიდველი გაყიდული ნივთის ვაგ ზავნას მოითხოვს სხვა ადგილას, ვიდრე ეს თავდაპირველად ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ მაშინაც, როდესაც მყიდველი გამყიდველისაგან, რომელიც კლიენტებს ვაგ ზავნის მომსახურებას არ სთავაზობს, ითხოვს სწორედ ამ ვაგ ზავნის ვალდებულების შეთანხმებას.

ქართველი კანონმდებლის მიერ დაფიქსირებული გადანყვეტა შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების დადებისთანავე ვაგ ზავნის ვალდებულების შეთანხმებას, რადგან ვაგ ზავნის ვალდებულებას მიტანის ვალდებულებისაგან განსხვავებს სწორედ რომ შესრულების მოქმედების განხორციელების ადგილი, მიტანისას ეს არის კრედიტორის ადგილსამყოფელი, ხოლო ვაგ ზავნისას გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტი. თუმცა სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვა-სიტყვითი გაგებით, თავიდანვე

შეთანხმება იმისა, რომ გადამზიდველისათვის ჩაბარების ადგილი შესრულების ადგილად ჩაითვალოს, შეუძლებელი ხდება. გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტი მხოლოდ მაშინ ითვლება შესრულების მომენტად, თუ კრედიტორი ვალდებულების შეთანხმების შემდეგ მოგვიანებით შეცვლის ამ შესრულების ადგილს. ეს არასწორია. ქართულ სამართალშიც, ისევე, როგორც გერმანულში, თავიდანვე უნდა იყოს შესაძლებელი ვაგ ზავნის ვალდებულების შეთანხმება, რომლის დროსაც რისკი გადავიდოდა ნივთის გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტიდან. სხვაგვარად, ქართულ სამართალში შეუძლებელი ხდება ვაგ ზავნის ვალდებულების შეთანხმება. ვაგ ზავნის ვალდებულებას მიტანის ვალდებულებისაგან განსხვავებს სწორედ შესრულების მოქმედების განხორციელების ადგილი. ერთ შემთხვევაში ეს არის გადამზიდველისათვის ნივთის ჩაბარება და მეორე შემთხვევაში – კრედიტორისათვის ნივთის გადაცემა, მაგრამ თუ სამოქალაქო კოდექსის ამ დანაწესს სიტყვა-სიტყვით გავიგებთ, მაშინ მხარეთა თავდაპირველი შეთანხმებით შეუძლებელი ყოფილა ვაგ ზავნის ვალდებულების დადგენა, რაც აბსურდულია.

გარდა ამისა, ის საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც 482-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი ვაგების შემთხვევაში გვექნებოდა ამ ნორმით მონესრიგებული, საერთოდ არ საჭიროებს ცალკე მონესრიგებას, რადგან, თუ მყიდველი ხელშეკრულებისა დადების შემდეგ სთხოვს გამყიდველს ნივთის სხვა ადგილზე ვაგ ზავნას, ეს იქნება ჩვეულებრივი ვაგ ზავნის ვალდებულება (დამოუკიდებლად თავდაპირველი ვალდებულების სახისაგან) და გამყიდველის ინტერესები დაცული იქნება ვაგ ზავნის ვალდებულების ზოგადი ნესების მიხედვით, ამ სპეციალური შემთხვევის დამოუკიდებელი მონესრიგების გარეშეც.

ამის გამო, სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ფასის რისკი გადადის ყოველთვის, როდესაც მყიდველის მოთხოვნით ხდება ვაგ ზავნის

ვალდებულების შეთანხმება და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოგვიანებით შეცვლის შესრულების შედეგის დადგომის ადგილს.

შესაბამისად, სახეზეა გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

ფასის რისკის გადასვლისათვის გ-ს უნდა ჩაეზარებინა ნივთები გადამზიდველისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. გადამზიდველის მაგივრად გ-მ ღვინო გაატანა თავისთან დასაქმებულ ძმისშვილს. გადაზიდვის საკუთარი პერსონალის მეშვეობით განხორციელების შემთხვევაში გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამოყენება პრობლემურია:

ა) გაბატონებული მოსაზრების⁸ თანახმად, გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი გამოიყენება ასევე ამ შემთხვევაშიც, ანუ, როდესაც გადამზიდველი არის არა მესამე პირი, არამედ – გამყიდველის პერსონალი. ამ დანაწესის მიზანს წარმოადგენს, გამყიდველის, რომელიც არ არის ვალდებული გადაზიდოს ნივთი, ამ გადაზიდვის რისკისაგან დაცვა.

ბ) სანინალმდეგო მოსაზრების⁹ მიხედვით, გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, რადგან ნივთი, ამ დროსაც, გადაცემამდე გამყიდველის ძალაუფლების სფეროში რჩება და მან უნდა ატაროს მისი შემთხვევითი დაღუპვის რისკი. აქ, რისკი გადადის ზოგადი წესის მიხედვით, ანუ, ნივთის გადაცემასთან ერთად, გსკ-ის 446-ე პარაგრაფის 1-ლი ნინადადება.

გ) კამათის გადაწყვეტა: პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ გსკ-ის 447-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ ემყარება ე. წ. “სფეროების გადანაწილების” პრინციპს და არ წყვეტს რისკის გადასვლის საკითხს

8 შუად. KÖHLER/LORENZ, Prüfe dein Wissen, Schuldrecht II, Fall 8.

9 MEDICUS, Bürgerliches Recht, Rn. 275.

იმისდა მიხედვით, თუ ვის უფრო მეტი ზემოქმედების საშუალება აქვს ნივთზე. ნივთის პროფესიონალი გადამზიდველისათვის ჩაბარების შემთხვევაშიც, გამყიდველს აქვს საშუალება მისცეს მითითებები გადამზიდველს (გერმანიის სავაჭრო კოდექსის 418-ე პარაგრაფი) და, შესაბამისად, მას ამ შემთხვევაშიც მყიდველზე გაცილებით მეტი ზემოქმედების საშუალება აქვს ნივთის შემდგომ ბედზე. ამის საპირისპიროდ, მოცემული დანაწესის გამოყენებისას გადამწყვეტია, არის თუ არა გამყიდველი ვალდებული გააგზავნოს ნივთი. თუ ის ამას კისრულობს მყიდველის მოთხოვნით, როგორც დამატებით ვალდებულებას, მაშინ ის თავისუფლდება იმ რისკისაგან, რისი კისრებაც მას თავდაპირველად არ სურდა. ასეთ შემთხვევებში გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი გამოიყენება არა მარტო გამყიდველის პერსონალის მიერ ნივთის გადაზიდვისას, არამედ ასევე გადაზიდვის პირადად გამყიდველის მიერ შესრულებისასაც. რისკის გადასვლის მომენტად ამ დროს ითვლება გადაზიდვის დაწყების მომენტი.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ვ იყო გ-სთან დასაქმებული და არ იყო პროფესიონალი გადამზიდველი, გამოიყენება გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და რისკიც გადასულად უნდა ჩავთვალოთ ვ-სათვის ღვინის გადაცემის მომენტიდან.

ფასის რისკის გადასვლის შემდეგ მ ველარ გათავისუფლება გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ვ გათავისუფლდა შესრულების საპირისპირო ვალდებულებისაგან, მისი შეუძლებლობის გამო (გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი).

ქართულ სამართალში გერმანული გადამწყვეტის პირდაპირ გადმოტანა შეუძლებელია, რადგან, როგორც უკვე ვახსენეთ, გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის შესატყვისი არ არსებობს. გსკ-ის 326-ე მუხლი, რომელშიც მონესრიგებულია “საპასუხო დაკმაყოფილებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდე-

ბულების შესრულების ვალდებულების გამორიცხვის შემთხვევაში” წარმოადგენს სპეციალურ დანაწესს ხელშეკრულებიდან გასვლისათვის შეუძლებლობის შემთხვევაში და გამორიცხავს გსკ-ის 323-ე მუხლის (სსკ-ის 405-ე მუხლი) გამოყენებას, სადაც მონესრიგებულია ზოგადად გასვლის შესაძლებლობა ვალდებულების დარღვევისას (“ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო”). საქართველოში სსკ-ის 405-ე მუხლის გამოყენება არ არის გამორიცხული ამგვარი სპეციალური დანაწესით, რის გამოც შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევა, მინიჭებდა მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადახდილი ფასის სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უკან მოთხოვნის უფლებას. თუმცა ფასის რისკის გადასვლა სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ქართულ სამართალშიც უნდა აღვიქვათ იმგვარად, რომ ის არა მარტო არ ათავისუფლებს მყიდველს ჯერ კიდევ გადაუხდილი ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, არამედ უჭრის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის უკან მოთხოვნის გზას იმ შემთხვევაში, თუ მან ეს ფასი უკვე გადაიხადა. ფასის რისკის გადასვლის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა შესრულების შეუძლებლობის გამო.

4. შედეგი: მ ვერ დაიბრუნებს გადახდილ ფასს გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

ქართულ სამართალშიც მ ვერ მოითხოვს გადახდილ ფასს ხელშეკრულებიდან გასვლის მეშვეობით სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილის ა) ქვეპუნქტისა და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეშვეობით.

II. მ-ს მოთხოვნა გ-საგან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-საგან ზიანის ანაზღაურების მო-

თხოვნის უფლება გსკ-ის 280-ეს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 283-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის) მიხედვით.

1. როგორც ზემოთ ვახსენებთ, გ-სა და მ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება.

2. ასევე სახეზეა ვალდებულების დარღვევა გსკ-ის 280-ეს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 283-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და მე-2 ნაწილის) მიხედვით ვალდებულების შეუსრულებლობის სახით მისი შეუძლებლობისდა გამო. გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად გ გათავისუფლებულია შესრულების ვალდებულებისაგან.

3. გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების) მიხედვით, მოვალემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს თავისი ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ მოვალის ბრალი ივარაუდება, მოცემულ შემთხვევაში გ მოახერხებს ამ ვარაუდის გაქარწყლებას, რადგან მას არ მიუძღვის არც საკუთარი ბრალი გსკ-ის 276-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით და არ შეეცალება არც მისი კანონისმიერი წარმომადგენლისა ან ე. წ. “შესრულების დამხმარის” ბრალი გსკ-ის 278-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 396-ე მუხლი) მიხედვით.

4. შედეგი: მ-ს არ აქვს გ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ეს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 283-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის) მიხედვით.

III. მ-ს მოთხოვნები ნ-ს მიმართ

1. გ-ს სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები გსკ-ის 280-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 394-ე და შემდგომი მუხლების) მიხედვით გამორიცხულია, რადგან მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს.

2. დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას

გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად წარმოადგენს მ-ს აბსოლუტური სიკეთის დაზიანება. ასეთი სიკეთე მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საკუთრება, მაგრამ ღვინის განადგურების მომენტში ეს საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო გადაცემული მ-სათვის. ღვინო ჯერ კიდევ გ-ს საკუთრება იყო და მისი განადგურებითაც ნ მ-ს აბსოლუტურ სიკეთეს არ შეხებია, რის გამოც დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც გამორიცხულია.

განსხვავებით გერმანიისაგან, საქართველოში 992-ე მუხლი, რომელიც გენერალური დათქმის ფორმით არის ჩამოყალიბებული, ითვალისწინებს არა მარტო აბსოლუტური სიკეთის დაზიანების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას, არამედ ასევე – ანაზღაურებას ქონებრივი ზიანისთვისაც. ანუ ზიანს, რომლის დროსაც დაზარალებულ პირს უშუალოდ აბსოლუტური სიკეთე არ უზიანდება, თუმცა ადგება ფინანსური ზიანი. მოცემულ შემთხვევაში ნ-ს მიერ ბოთლების განადგურებამ მ-ს დააკარგვინა, როგორც ამ ბოთლებზე საკუთრების მოპოვების მანძილზე, ასევე გადახდილი ფასის უკან დაბრუნების მანძილზე, რაც წარმოადგენს მის ქონებრივ ზიანს.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია ნ-ს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა. ჩვეულებრივ, მართლწინააღმდეგობა ყოველთვის სახეზეა, როდესაც პირი პოზიტიური ქმედებით აზიანებს აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც სამართალი იცავს აბსოლუტურად, ანუ ყოველგვარი დაზიანებისაგან. ამისგან განსხვავებით, ქმედების მართლწინააღმდეგობა უნდა დადგინდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მხოლოდ ქონების და არა აბსოლუტური სიკეთის დაზიანება.

მოცემულ შემთხვევაში ნ-ს ქმედება – ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა – მართლწინააღმდეგოა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონის 116-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა მხო-

ლოდ ქმედების მართლწინააღმდეგობა არ არის საკმარისი დელიქტური პასუხისმგებლობისათვის. აუცილებელია, რომ ამ მართლწინააღმდეგობის განმსაზღვრელი ნორმის მიზანს წარმოადგენდეს დაზარალებულის ამ კონკრეტული ზიანისაგან დაცვა. ანუ ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის აკრძალვის მიზანს (სხვა მიზნებთან ერთად) უნდა წარმოადგენდეს მყიდველის დაცვა ნაყიდ ნივთზე საკუთრების მიღების შანსის დაკარგვისაგან. მოცემული ნორმა ამ მიზანს არ ემსახურება. ის იცავს მხოლოდ სატრანსპორტო მოძრაობის უშუალო მონაწილეებს იმ ზიანისაგან, რომელიც მათ შეიძლება მიაყენოს ავტომანქანაზე მჯდომმა ნასვამმა პირმა, მაგრამ არ იცავს ამ მონაწილეების კონტრაჰენტებს (ან სავარაუდო კონტრაჰენტებს) ქონებრივი ზიანისაგან. ამგვარად, მართლწინააღმდეგობის განმსაზღვრელ ნორმის მიზნით არ არის დაცული მ-ს ქონებრივი ზიანი, რის გამოც სახეზე არ გვაქვს მართლწინააღმდეგო ქმედება მ-ს მიმართ და დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხება ქართული სამართლის მიხედვითაც.

შედეგი: მ-ს არ აქვს ნ-ს მიმართ მოთხოვნის უფლება.

IV. მ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ ნ-ს წინააღმდეგ მოთხოვნის უფლებების დათმობასთან დაკავშირებით

1. მ-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება გ-ს მიმართ იმ მოთხოვნების დათმობასთან დაკავშირებით, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს თავის მხრივ ნ-ს წინაშე გსკ-ის 285-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და ე. წ. “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” პრინციპების თანახმად.

1.1. ამისათვის სახეზე უნდა იყოს გსკ-ის 285-ე პარაგრაფის წინაპირობები. მოვალეს იმ გარემოების საფუძველზე, რომლის გამოც, გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-3 ნაწილების თანახმად, თავისუფლდება საკუთარი ვალდებულებისაგან, უნდა შეეძინა სანაცვალგებო საგანი ან ანაზღაურების მოთხოვნა:

ა) როგორც ზემოთ დავადგინეთ, გ გათავისუფლდა მ-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან შეუძლებლობისა და გამო.

ბ) ვალდებულების საგნის სანაცვლოდ შექმნილი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოცემულ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ნ-ს მიმართ დელიქტური მოთხოვნის უფლება, გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად, საკუთრების დაზიანების გამო.

გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) წინაპირობები სახეზეა; ნ-მ ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაანადგურა გ-ს საკუთრება. ანაზღაურებადი ზიანის მოცულობა განისაზღვრება გსკ-ის 249-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 408-ე და შემდგომი მუხლები). გ-ს აქვს მოთხოვნის უფლება იმ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც ექვივალენტურად და კაუზალურად გამომდინარეობს საკუთრების დაზიანებიდან. ამ ზიანის განსაზღვრისას გამოიყენება ე. წ. დიფერენციაციის ჰიპოთეზა: ერთმანეთს უნდა შევადაროთ გ-ს ქონებრივი მდგომარეობა ზიანის მომტანი გარემოების დადგომის შემდეგ და მანამდე. განსხვავება ანაზღაურდება. თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ გ-ს ქონებრივ მდგომარეობას ღვინის ბოთლების დამსხვრევამდე და დამსხვრევის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ მას არანაირი ქონებრივი ზიანი არ მისდგომია, რადგან საკუთრებას ამ ნივთებზე მაინც მალე სამუდამოდ დაკარგავდა, ხოლო სანაცვლოდ მიღებული ფასის დაბრუნება მაინც არ უნევს.

თუმცა ნ-ს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამოორიცხვა მისი გაუმართლებელი პრივილეგირება იქნებოდა. ის გათავისუფლებოდა ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რადგან მ-ს, რომელსაც მართლაც მიაღვა ზიანი, მის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლება არ აქვს. ამის გამო, საკითხავია, უნდა მოხდეს თუ არა მოცემული გაუმართლებელი შედეგის კორექცია, ე. წ. “მესამე პირის ზიანი ლიკვიდაციის” ინსტიტუტის გამოყენებით.

გ) “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” წინაპირობებია:

აა) “მესამე პირის ზიანი ლიკვიდაციის” გამოსაყენებლად აუცილებელია, რომ ზიანი და მოთხოვნის უფლება ერთმანეთს ასცდეს: მას ვისაც ექნებოდა მოთხოვნის უფლება, არ უნდა მიაღვეს ზიანი და დაზარალებულ პირს კი, არ უნდა ჰქონდეს მოთხოვნის უფლება, რაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახეზეა.

ბბ) ზიანისა და მოთხოვნის უფლების აცდენა უნდა იყოს შემთხვევითი. “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში, რადგან ეს წარმოადგენს გადახვევას პრინციპიდან, რომ მხოლოდ ის ზიანია ანაზღაურებადი, რომელიც გამონვეულია სამართლებრივი სიკეთის დაზიანებით. ამის გამო, გამოყოფენ იმ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია “მესამე პირის ზიანი ლიკვიდაციის” პრინციპების გამოყენება. ესენია¹⁰: 1. რისკის გადასვლის შემთხვევა (მაგ. გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის/სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად), 2. არაპირდაპირი წარმომადგენლობა, 3. მესამე პირის ნივთის მიბარება, 4. მინდობილი საკუთრება.

მოცემული შემთხვევა წარმოადგენს რისკი გადასვლის შემთხვევას, რამაც გამოიწვია ის, რომ ზიანი შემთხვევით არ წარმოეშვა იმ პირს, ვისი საკუთრებაც დაზიანდა.

გგ) “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” შედეგია ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთ პირთან თავმოყრა. მ-ს ზიანი ხდება გ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველი გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რომელიც უნდა დაუთმოს მან მ-ს გსკ-ის 285-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებით მოცულია ასევე მიუღებელი შემოსავალი გსკ-ის 252-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და

10 BROX/WALKER, Schuldrecht AT, § 29 Rn. 17 და შემდგომნი.

(სსკ-ის 411-ე მუხლის) შესაბამისად, რაც მოცემულ შემთხვევაში მოიცავს ასევე მიუღებელ 750 ლარს.

შედეგი: მ-ს აქვს გ-ს მიმართ მოთხოვნის უფლება გსკ-ის 285-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებით, რომელიც მას აქვს ნ-ს წინააღმდეგ გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

ვარიანტის ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. მ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ გადახდილი ფასის დაბრუნებასთან დაკავშირებით

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ გადახდილი ფასის დაბრუნების მოთხოვნა გსკ-ის 326-ეს 1-ლი და მე-4 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით.

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული დანაწესის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს მ-ს გათავისუფლება საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით და ფასის რისკის არგადასვლა მ-ზე. გ გათავისუფლდა თავისი შესრულების ვალდებულებისაგან გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მისი შეუძლებლობის გამო, რაც ათავისუფლებს ასევე მ-ს მისი საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. ფასის რისკი მ-ზე არ გადასულა გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

2. თუმცა, საკითხავია, ხომ არ გადასულა ეს ფასის რისკი გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით. როგორც ზემოთ ვახსენეთ, აქ, ფასის რისკის გადასვლა არ გამოირიცხება არც გსკ-ის 474-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის გამო. საკითხავია, სახეზე გვაქვს თუ არა გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის) წინაპირობები:

ა) ნივთის ვაგზავნა მოხდა მყიდველი მოთხოვნით, შესრულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილას. გამყიდველმა გადასცა ნივთი გადამზიდველს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადამზიდველი ვ მასთან იყო დასაქმებული, ეს არ გამოირიცხავს ამ დანაწესის გამოყენებას.

ბ) თუმცა გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის) წინაპირობას წარმოადგენს, რომ რეალიზდეს ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა და არა ბრალეული განადგურების რისკი. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია გ-ს ბრალეულად გაენადგურებინა შესრულების საგანი. მას შესაძლებელია შეერაცხებოდეს ვ-ს ბრალი გსკ-ის 278-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 396-ე მუხლის) შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, რომ ვ იყოს მ-ს “შესრულების დამხმარე”, ანუ პირი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ასრულებდა მოვალე გ-ს ნების შესაბამისად მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, როგორც მისი დამხმარე პირი¹¹.

აა) საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში ასრულებდა თუ არა ვ გ-ს ვალდებულებას. გ-ს ხელშეკრულებით ეკისრებოდა ღვინის მხოლოდ გადამზიდველისათვის ჩაბარება, მისი შემდგომი ტრანსპორტირება მის ვალდებულებაში არ შედიოდა. ვ-მ ნივთი გაანადგურა გაუფრთხილებლობით (ის იყო ნასვამი და დაარღვია მოძრაობის წესები) ტრანსპორტირების დანყების შემდეგ, რის გამოც შესაძლებელია გამოირიცხოს გ-ს ვალდებულების შესრულების ფარგლებში ამ ნივთის განადგურება.

ბბ) თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი არგუმენტი: გ-ს ნივთი რომ გადაეცა პროფესიონალი გადამზიდველი-მესამე პირისათვის, ამ პირის მიერ ნივთის ბრალეულად განადგურების შემთხვევაში მყიდველ მ-ს ექნებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ამ მესამე პირი-გადამზიდველისაგან “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” პრინციპების შესაბამისად – გამყიდველს დაუზიანებოდა საკუთრება, მაგრამ არ მიადგებოდა ზიანი, მხო-

¹¹ 11 BGHZ 13, 113; BGHZ 50, 35; BGHZ 62, 124; BGHZ 98, 334.

ლოდ მყიდველს მიადგებოდა ზიანი, მაგრამ არ ექნებოდა მოთხოვნის უფლება და “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” შესაბამისად მოხდებოდა ამ ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთ პირთან თავმოყრა¹².

იმ დამხმარის მიერ, რომელიც ამავე დროს გამყიდველთან არის დასაქმებული, ნივთის ბრალეულად განადგურების შემთხვევაშიც, გამყიდველს შეიძლება ჰქონდეს მის მიმართ მოთხოვნის უფლება შრომითი ხელშეკრულების დარღვევიდან, თუმცა ეს მოთხოვნა, როგორც წესი, გამოირიცხება შრომის სამართლის პრინციპების – “ზიანის გაქვითვის შიდა საწარმოო წესების” – მიხედვით.¹³ ამ პრივილეგიის გამო, ჩვეულებრივ, დამსაქმებელ-გამყიდველს არ ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დამხმარე-დასაქმებულის წინაშე, რომელსაც დაუთმობდა “მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის” წესის შესაბამისად მყიდველს.

საბოლოო ჯამში, ის ფაქტი, რომ გამყიდველმა ტრანსპორტირებისათვის გამოიყენა საკუთარი პერსონალი, დააზარალებდა მყიდველს, დააკარგვინებდა მას ყოველგვარ მოთხოვნას, როგორც უშუალოდ გამყიდველის, ასევე მესამე პირების წინაშე, რის გამოც გაბატონებული მოსაზრების მიხედვით¹⁴, მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველს არ აქვს ტრანსპორტირების ვალდებულება, მას მაინც შეეარაცხება მისი დამხმარის ბრალი გსკ-ის 278-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 396-ე მუხლის) მიხედვით.

გგ) თუ ამ მოსაზრებას არ გავიზიარებთ, შესაძლებელია, გ-ს მიჩნევა გ-ს დამატებითი ვალდებულების – გსკ-ის 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით – შესრულების დამხმარედ. ნივთის გადაზიდველისათვის ჩაბარების გარდა გ-ს ჰქონდა დამატებითი ვალდებულება არ განეხორციელებინა არც

12 HEMMER/WÜST/TYROLLER, Schuldrecht AT, 112.

13 ამ წესების მიხედვით, დასაქმებული სრული მოცულობით პასუხს მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლებისათვის აგებს, ხოლო მსუბუქი გაუფრთხილებლებისათვის საერთოდ არ აგებს პასუხს.

14 HEMMER/WÜST/TYROLLER, Schuldrecht AT, 112.

ერთი მოქმედება, რომელიც ხელს შეუშლიდა მისი შესრულების შედეგის დადგომას. ამ დამატებითი ვალდებულების შესრულებისათვის მან ჩართო ვ, რომლის ბრალიც მას შეეარაცხება, როგორც საკუთარი ბრალი, ზემოთ ხსენებული მუხლების შესაბამისად.

ორივე მოსაზრება მიდის ერთი და იმავე შედეგამდე; გ-ს შეეარაცხება ვ-ს ბრალი.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ნივთის ბრალეული განადგურება გ-ს მიერ, რაც გამორიცხავს რისკის გადასვლას გსკ-ის 447-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

შედეგი: მ-ს აქვს გ-ს მიმართ გადახდილი ფასის უკან მოთხოვნის უფლება გსკ-ის 326-ეს 1-ლი და მე-4 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

ქართულ სამართალში, იმის გამო, რომ ფასის რისკი ჯერ არ გადასულა, გასვლა არ არის გამორიცხული ვალდებულების დარღვევის – შესრულების შეუძლებლობის – გამო, რის შემდეგაც მ-ს შეუძლია მოითხოვოს გადახდილი ფასის უკან დაბრუნება სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილისა და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

II. მ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 281-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილისა და 283-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის) მიხედვით.

მოცემული მოთხოვნის წინაპირობებია: 1. ვალდებულებითი ურთიერთობა (აქ: ნასყიდობა) და ვალდებულების დარღვევა შესრულების შეუძლებლობის ფორმით (გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-3 ნაწილი, 283-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი), რაც სახეზეა.

ვალდებულების დარღვევა უნდა მომხდარიყო მოვალის ბრალით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ-ს შეეარაცხება მისი შესრუ-

ლების დამხმარის ვ-ს ბრალი გსკ-ის 278-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 396-ე მუხლის) მიხედვით.

შედეგი: გ-მ უნდა აუნაზღაუროს მ-ს ვალდებულების ბრალეული დარღვევიდან წარმოშობილი ზიანი, რომლის მოცულობა განისაზღვრება დიფერენციაციის ჰიპოთეზის მეშვეობით და გსკ-ის 252-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 411-ე მუხლის) მიხედვით და მოიცავს 750 ლარს, როგორც მიუღებელ შემოსავალს.

III. force majeure ფრანგულ სამართალში

საფრანგეთში მოვალეს ეკისრება თითქმის საგარანტიო პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულებისათვის. ის ვალდებულია შეასრულოს მაშინაც კი, როდესაც ამას ფინანსურად კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს და მხოლოდ სრული შეუძლებლობის – ფორსმაჟორის (force majeure) – შემთხვევაში აქვს უფლება უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე. ეს გადაწყვეტა მხოლოდ ერთი შეხედვით ჰგავს გერმანულს. გერმანიაში შეუძლებლობა არის ვალდებულების დარღვევა (მაშინაც კი, როდესაც ეს კრედიტორის ბრალით არის გამოწვეული), ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დარღვევა, მაგალითად, ნაკლოვანი შესრულება, მაგრამ განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებლობა ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან. ნებისმიერი სხვა დარღვევა არ ათავისუფლებს. შეუძლებლობისას მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან და გადავდივართ მეორე ეტაპზე, ზიანის ანაზღაურების ეტაპზე, სადაც გადაწყვეტია ბრალი. თუ მოვალეს ეკისრება ბრალი შეუძლებლობის გამოწვევასთან დაკავშირებით, მაშინ უნდა ანაზღაუროს ზიანი. ფრანგული სისტემის მიხედვით, ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს და ყოველთვის არსებობს, მაგრამ არ არსებობს შეუძლებლის შესრულების ვალდებულება. შეუძლებლობა არის ობიექტური ზღვარი შესრულებისა. ანუ გერმანიაში არსებობს შეუძლებლის შესრულების ვალდებულება, მაგრამ მხარე თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან კანონის სპეციალური დანაწესის, 275-ე პა-

რაგრაფის, მიხედვით. თუმცა, იმის გამო, რომ არსებობდა შესრულების ვალდებულება, მისი შეუსრულებლობა არის ვალდებულების დარღვევა. საფრანგეთში შეუძლებელი ვალდებულება თავიდანვე არ არსებობს, არც წარმოიშობა საერთოდ და არც დგება ზიანის ანაზღაურების საკითხი. რადგან ზიანი იკავებს შესრულების ადგილს, თუ შესრულების ვალდებულება არ არსებობს, მის ადგილს ვერ დაიკავებს ვერც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 1147.

მოვალე ვალდებულია იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია, ანაზღაუროს ზიანი, რომელიც დადგა იმის გამო, რომ მან ვალდებულება არ შეასრულა ან დაავიანა ვალდებულების შესრულება, თუ არ მტკიცდება, რომ შეუსრულებლობა გამოწვეულ იყო გარეგანი მიზეზით (cause étrangère), რომლისათვისაც ის არ იყო პასუხისმგებელი და ადგილი არ ჰქონდა არაკეთილსინდისიერ ქცევას მისი მხრიდან.

მუხლი 1148.

ზიანი არ არის სახეზე, თუ ფორსმაჟორული (force majeure) ან შემთხვევითი გარემოების (cas fortuit) გამო, მოვალეს ხელი შეეშალა მოქმედების განხორციელებაში, ნივთის მიწოდებაში, ან იმ მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, რომელიც აკრძალული იყო ხელშეკრულებით.

მუხლი. 1722.

თუ იჯარის განმავლობაში, იჯარის საგანი სრულად განადგურდა შემთხვევითი მიზეზის (cas fortuit) გამო, იჯარა ავტომატურად ბათილია. თუ ის ნაწილობრივ განადგურდა, მაშინ მოიჯარეს შეუძლია გარემოებებიდან გამომდინარე, მეორე მხარეს მოსთხოვოს ან იჯარის ფასის შემცირება ან იჯარის მოშლა. არც ერთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს.

ფორსმაჟორული გარემოება უნდა იყოს **გარდაუვალი/გადაუ-
ლახავი, მოულოდნელი** და არ უნდა განეკუთვნებოდეს მოვა-
ლის სფეროს (**გარეგანი ხასიათის**).

Cass. civ. Ire, 9.03.1994 (Bull.civ. I.91):

ფაქტობრივი გარემოებები: 1985 წლის 27 ივლისს დილის ხუთ საათზე სამმა ბოროტმოქმედმა შეაღწია სან-ტროპეს ერთ-ერთ სასტუმროში და სასტუმროს პერსონალს იარაღის მუქარით გაა-
ლებინა სეიფები. მოგვიანებით სასტუმროს იტალიელმა სტუ-
მარმა, რომლის ნივთებიც დამნაშავეებმა თან გაიყოლეს, უჩი-
ვლა მეპატრონე კომპანიას და მოსთხოვა 32.850.000 იტალიური
ლირისა და 1.030 დოლარის ანაზღაურება. ეს ფული, მისი თქმით,
შენახული ჰქონდა სასტუმროს სეიფში. სასამართლომ დააკმა-
ყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ შეირაღებული ძარცვა არ
წამოადგენს ფორსმაჟორულ გარემოებას საფრანგეთის სამო-
ქალაქო კოდექსის 1954-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით.
უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება.

სასამართლოს მოტივებიდან: მხოლოდ წინააღმდეგობის განე-
ვის შეუძლებლობა **კონკრეტულ შემთხვევაში** არ აქცევს გარე-
მოებას ფორსმაჟორულად. უკვე დამდგარი გარემოებისათვის
წინააღმდეგობის განევის შეუძლებლობა მხოლოდ მაშინ წარ-
მოადგენს ფორსმაჟორულ მდგომარეობას, თუ, მისი **წინასწარ
გათვალისწინების** შემთხვევაშიც, მისი **თავიდან აცილება შეუ-
ძლებელი იქნებოდა**.

ანუ საფრანგეთში ფორსმაჟორი და ბრალი გამორიცხავენ ერთ-
მანეთს, თუ ბრალი სახეზეა, ფორსმაჟორი არასოდეს არ დად-
გება, განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც მოვალის ან კრედი-
ტორის ბრალით გამოწვეული შეუძლებლობაც შეუძლებლობაა.
თუმცა ცალკეულ შემთხვევაში რთულია ფორს მაჟორისა და
ბრალის არარსებობის გამიჯვნა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ფორსმაჟორული გარემოება უნდა
იყოს მოვალის მიმართ **გარეგანი ხასიათის**.

მაგალითად (Cass. civ. Ire, 24.01.1995 (D.1995.237), თუ კომ-

*პანია ვერ ახერხებს ხელშეკრულებით ნაკისრი მაღალი
ძაბვის ელექტროენერჯის მიწოდებას თანამშრომლების
გაფიცვის მოტივით, ეს არ ჩაითვლება ფორსმაჟორულ
გარემოებად, თუ გაფიცვა არ ატარებს საყოველთაო ხა-
სიათს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში, შეუძლე-
ბელი იყო გაფიცვის გათვალისწინება და მისი თავიდან
აცილება, მოვალე მაინც აგებს პასუხს, რადგან გაფიცვის
რისკი მისი სფეროდან მომდინარეობს.*

Cass. civ. Ire, 12.04.1995 (JCP 1995. II.22467):

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეს ერთ-ერთ კლინიკაში
გადატანილი მშობიარობის შემდეგ 1984 წლის 14 მარტს, დასჭირ-
და სისხლის გადასხმა. გადასხმის შემდეგ დაავადდა აივ-ინფექ-
ციით. მოგვიანებით უჩივლა კლინიკასა და სისხლის ბანკს, რო-
მელიც კლინიკას სისხლით ამარაგებდა. მოსარჩელის ზემოხსე-
ნებული მიზეზით გარდაცვალების შემდეგ 1992 წლის 8 აპრილს,
დავა გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა და სააპელაციო სასა-
მართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ორივე მოპასუხის მიმართ.
უმაღლესმა სასამართლომ წინა ინსტანციის გადაწყვეტილება
მხოლოდ ნაწილობრივ დატოვა ძალაში.

სასამართლოს მოტივებიდან: ზიანის ანაზღაურების გადაწყ-
ვეტილება შეიძლება ძალაში დარჩეს მხოლოდ სისხლის ბანკის
წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ვირუსის
აღმოჩენა შეუძლებელი იყო, ის მაინც არ ატარებდა მოვალის მი-
მართ გარეგან ხასიათს. სისხლის ბანკი, რომელიც ფლობდა მო-
ნოპოლიას სისხლის მიწოდებაზე, ვალდებულია აანაზღაუროს
ამ მიწოდებიდან გამომდინარე ზიანი. პროდუქტის შინაგანი აღ-
მოუჩენადი დეფექტი არ წამოადგენს გარეგან ხდომილებას.

საბოლოო ჯამში, ფორსმაჟორად არ ჩაითვლება იმ რისკის რეა-
ლიზება, რომელიც მომდინარეობს მოვალის სფეროდან, თუნ-
დაც ამ რისკის აღმოჩენა შეუძლებელი იყოს. გერმანიაში ეს
იქნებოდა შეუძლებლობის შემთხვევა. თუმცა სისხლის ბანკს,
სავარაუდოდ, მაინც დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა უხა-
რისხო პროდუქტისათვის.

Cass. com., 11. 10. 2005 (Bull. civ. 2005, IV, Nr. 206, 222 sq.; JCP 2005, IV, 2078):

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ ერთ-ერთ ბანკში დაიქირავა სეიფი. ამ ბანკში მომხდარი ხანძრის შემდეგ, ქალაქის პრეფექტმა გამოსცა ევაკუაციის ბრძანება, შემდგომი ნგრევის საფრთხის გამო. ბანკმა ამის შესახებ შეატყობინა მოსარჩელეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის სეიფი ხანძრის შედეგად პირდაპირ არ დაზიანდა, ის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მრავალთვიანი აღდგენითი სამუშაოების შემდეგ. მოსარჩელემ მოითხოვა იქ მოთავსებული ფასიანი ქაღალდების გამოუყენებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს მოტივებიდან: ფრანგულმა უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა დამაკმაყოფილებელი სარჩელი, იმ მოტივით, რომ ხანძარი არ წარმოადგენდა დაუძლეველ ძალას და, შესაბამისად, ბანკის პასუხისმგებლობა გამორიცხული არ იყო. ბანკი მზად უნდა ყოფილიყო ამგვარი არაჩვეულებრივი, მაგრამ მაინც მოსალოდნელი, სიტუაციისათვის.

IV. შედარება გერმანული სამართლის ოჯახთან

გერმანული და გერმანული ოჯახის მართლწესრიგები ყოველთვის არ იზიარებდნენ ზემოხსენებულ გადაწყვეტას. თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ანუ 1900 წლამდე, გერმანიაშიც, საფრანგეთის მსგავსად, საერთო სამართლისა და სამართლის ისტორიული სკოლის დოქტრინის მიხედვით, მოვალეს ეკისრებოდა ხელშეკრულების შესრულების ბრალისაგან დამოუკიდებელი ვალდებულება. ამ ბრალისაგან დამოუკიდებელი ვალდებულების ზღვარს წარმოადგენდა შემთხვევითი შეუძლებლობა. ემყარებოდა რა რომაულ პრინციპს – *casus a nullo praestantur* (არავინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი შემთხვევისათვის). ხელშეკრულების ყველა სხვა დარღვევისათვის გამოიყენებოდა ბრალეულობის პრინციპზე აგებული პასუხისმგებლობა. თუმცა მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდისაკენ შეიცვალა პარადიგმა და შეუძლებლობა აღიარეს არა სახელ-

შეკრულებო ვალდებულების ობიექტური საზღვარად, არამედ ვალდებულების დარღვევად. ამ დროს ფრანგული და გერმანული სამართლის გზები ამ საკითხთან მიმართებით გაიყო. საფრანგეთში დარჩა ისევ ძველი პარადიგმა, რომლის მიხედვითაც ბრალს არ ექცევა ყურადღება და ფორსმაჟორი მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით განისაზღვრება, ხოლო გერმანიაში კი ბრალისაგან დამოუკიდებელი ფაქტობრივი საგარანტიო პასუხისმგებლობა ბრალზე დამოკიდებულმა პასუხისმგებლობამ შეცვალა. ბრალის ფორმებად აღიარეს განზრახვა და გაუფრთხილებლობა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§276. მოვალის პასუხისმგებლობა (2002 წლამდე)

(1) მოვალე პასუხს აგებს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას. გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ნინდახედულობას. შესაბამისად გამოიყენება §§827 და 828 ნორმები. (2) მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან განზრახვისათვის.

თუმცა ზიანის ანაზღაურების მთავარ წინაპირობად სუბიექტური ბრალის აღიარებასთან ერთად, მოხდა ამ ბრალის ობიექტივიზირება. გაუფრთხილებლობისას ნინდახედულობის მასშტაბად აღარ მიიჩნეოდა პირის ინდივიდუალური განჭვრეტის უნარი და ნინდახედულობის გამოჩენის ინდივიდუალური შესაძლებლობა, არამედ სამოქალაქო ბრუნვის მოცემული წრის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლის განჭვრეტის უნარი.

RG, Urt. v. 14. 01. 1928, in: RGZ 119, S. 397 ff.:

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე იყო გემის მეპატრონე, რომელიც ჩრდილოეთის ზღვაში მეჩქიზე შეჯდა და დაიღუპა. მოპასუხე იყო გემის კაპიტანი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გემის დაღუპვა გამონვეული იყო მოპასუხის ბრალით და ითხოვდა მისგან ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურებას. საკამათო იყო, თუ რამდენად დაარღვია მოპასუხემ გემის მართვისათვის გათვალისწინებული წინდახედულობის ნორმები. სარჩელი არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მოტივებიდან: მოსარჩელემ მოპასუხეს მიანდო გემის მართვა, თუმცა იცოდა, რომ ეს უკანასკნელი გამოუცდელი ზღვაოსანი იყო. მცდარია წინა ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ზემოთ ხსენებული შიდა ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, მოპასუხის ბრალი არ არის სახეზე, რადგან მან საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობიდან და სანაოსნო გამოცდილებიდან გამომდინარე მაქსიმალური წინდახედულობა გამოიჩინა. წინა ინსტანციის სასამართლო მიიჩნევს, რომ მეზღვაურთა ჯგუფში შესაძლებელია გამოცდილებისა და მიხედვით მოხდეს დიფერენცირება. იმ ჯგუფის წარმომადგენელი, რომელსაც მიეკუთვნებოდა მოსარჩელე, მაქსიმალური წინდახედულობის გამოყენებისასაც კი ვერ შესძლებდა კატასტროფის თავიდან აცილებას. გსკ-ის 276-ე პარაგრაფის მიხედვით “სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობა” უნდა განისაზღვროს ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით. დაუშვებელია, სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობის კრიტერიუმად პირთა მხოლოდ ძალზე ვიწრო წრისათვის დამახასიათებელი მასშტაბის გამოყენება. წინდახედულობის მასშტაბს წარმოადგენდა საშუალო დონის, ცოდნისა და გამოცდილების კეთილსინდისიერი კაპიტნის ქცევა. კაპიტანთა ჯგუფში ქვეფეხუფების გამოკვეთა არის პასუხისმგებლობის მასშტაბის ინდივიდუალური კრიტერიუმებით განსაზღვრის მცდელობა, რაც დაუშვებელია.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

[1. Januar 1900-1. Januar 2002]

§ 306. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება მისი დადებისთანავე შეუძლებელია, მაშინ ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად.

მუხლი 1601. თუ გაყიდვის დროისათვის, გაყიდული ნივთი სრულებით განადგურებულია, მაშინ ნასყიდობა არის ბათილი.

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის კოდექსი

ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 119.

§ 920.

(1) თუ იმ გარემოებების გამო, რომლებთან დაკავშირებითაც მოვალეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება, შესრულება შეუძლებელი გახდა, მოთხოვნის უფლება აღარ არსებობს. (3) გამოწვევის ნამოადგენს შემთხვევა, როდესაც რისკის გადასვლა მოხდა კანონის შესაბამისად ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

თუ შესრულება შეუძლებელი გახდა მოვალის ბრალით ან იმ შემთხვევის გამო, რომელზეც ის აგებს პასუხს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ...

ამავე დროს, გერმანიაში, შვეიცარიაში და ავსტრიაში სუბიექტური შეუძლებლობა არ აქცევდა ხელშეკრულებას ბათილად. მოვალე კისრულობდა საგარანტიო პასუხისმგებლობას, ვალდებულების სუბიექტურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით. საფრანგეთშიც სუბიექტურ შეუძლებლობასთან გათანაბრებული შემთხვევა (impossibilité relative) არ ექცევა სამოქალაქო კოდექსის 1601-ე მუხლის მოქმედების სფეროში. საერთო ევროპული პრინციპია, რომ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულების დადებისას ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ მოვალე, რომელიც ვალდებულია გადასცეს ნივთი, კისრულობს გარკვეულწილად გარანტიას, რომ შესრულება შესაძლებელია.

BGH, Beschl. v. 25. 11. 1998, NJW 1999, 635:

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხემ მიაქირავა მოსარჩელეს ოთახები, სადაც მას უნდა მოეწყო სტომატოლოგიური კაბინეტი. მოპასუხემ ასევე იკისრა ოთახების შესაბამისად გადაკეთების ვალდებულება. ოთახების გადაკეთება მოგვიანებით აღმოჩნდა შეუძლებელი სამშენებლო სამართლის, განსაკუთრებით კი, ძეგლთა დაცვის ნორმების გამო. მოსარჩელემ მოიგო ყველა ინსტანციაში და მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სასამართლოს მოტივებიდან: მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებები შესრულება თავიდანვე შეუძლებელი იყო, აქ, გსკ-ის 306-ე პარაგრაფი მაინც არ უნდა იქნეს გამოყენებული. ხელშეკრულება რჩება ნამდვილი და მოვალე ვალდებულია შეასრულოს, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელია, კრედიტორს აქვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

BG, Urt. v. 03. 09. 1985, BGE 111 II, 354:

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხე შვეიცარიულმა კომპანიამ, რომელიც დაკავებული იყო ურანის გამდიდრებისათვის აუცილებელი აპარატურის დამზადებით, მიიღო შეკვეთა პაკისტანიდან. სამუშაოს განხორციელება წინასწარ იყო დაფინანსებული. აპარატურის მიწოდება არ მოხერხდა, რადგან მოპასუხემ მოსახლეობის პროტესტის, დაბომბვისა და საბოლოოდ სახელმწიფო აკრძალვის შემდეგ, რომელიც პროდუქციის იმპორტს შეეხებოდა, შეაჩერა სამუშაოები. მოპასუხემ, რომელსაც უჩივლეს და მოსთხოვეს ზიანის ანაზღაურება, მიუთითა შესრულების ობიექტურ შეუძლებლობაზე.

სასამართლოს მოტივებიდან: თუმცა შვეიცარიულმა უმაღლესმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს არგუმენტი, რადგან მოვლენების მსგავსი განვითარება იყო სავარაუდო. შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობისათვის მოვალე აგებს პასუხს, თუ ის შეპირდა კრედიტორს შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისთვის ეს შესრულება შეუძლებელი გამხდარიყო.

V. ინგლისი

ინგლისში თავდაპირველად მოქმედებდა ე. წ. “აბსოლუტური ვალდებულების” (absolute contract) კონცეპტი.

Paradine v Jane [1647] EWHC KB J5:

ფაქტობრივი გარემოებები: ფერმერმა, რომელსაც უჩივლეს და მოსთხოვეს გადასახადის გადახდა, განაცხადა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის დამუშავება, რადგან პრინცი რუპერტის არმიამ ის განდევნა საკუთარი მიწიდან 4 წლის განმავლობაში.

სასამართლოს მოტივებიდან: სასამართლომ დაადგინა, რომ ვალდებულება, რომელსაც კისრულობს მოვალე არის ყოვლისმომცველი და დაუძლეველი ძალა ვერ გაათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან, რადგან მას შეეძლო ეს შემთხვევა გაეთვალისწინებინა ხელშეკრულებაში.

ეს პრინციპი სასამართლოს პირველად შეარბილა Taylor v. Caldwell-ის გადაწყვეტილებაში.

Taylor v Caldwell [1863] EWHC QB J1:

ფაქტობრივი გარემოებები: დამქირავებელმა დაიქირავა დარბაზი კონცერტების ჩასატარებლად, რომელიც მალევე დაინვა ორივე მხარის ბრალისაგან დამოუკიდებლად. ამის შემდეგ დამქირავებელმა უჩივლა გამქირავებელს და მოითხოვა ამაოდ განეული რეკლამის ხარჯების დაფარვა.

სასამართლოს მოტივებიდან: სასამართლომ დაადგინა, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რომელიც გამომწვეულია ადამიანების ან ნივთების გაქრობით, გარკვეულ გარემოებებში შესაძლებელი ათავისუფლებდეს მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან.

ვალდებულება შეიძლება ასევე ქარწყლდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაშიც.

Krell v Henry [1903] 2 KB 740:
<p><i>ფაქტობრივი გარემოებები:</i> ჰენრიმ დაიქირავა ოთახი, იმისათვის რომ თვალი მიედევენებინა ამ ოთახის ფანჯრებიდან კორონაციის პროცესიისათვის, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩაიშალა. გამქირავებელმა მოითხოვა ქირავნობის თანხის სრული ოდენობით გადახდა, თუმცა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.</p> <p><i>სასამართლოს მოტივებიდან:</i> ვალდებულება შეიძლება აღარ არსებობდეს, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.</p>

დღეის მდგომარეობით ხელშეკრულების ჩაშლასთან დაკავშირებული დეტალები ინგლისში მონესრიგებულია სპეციალური კანონით (Law Reform (Frustrated Contracts) Act 1943).

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა	შეუძლებლობა	ბრალი	ზიანის ანაზღაურება
<i>მისი ადგილი ვალდებულების დარღვევის სისტემატიკაში</i>			
გერმანია	ვალდებულების რიგითი დარღვევა	შეუძლებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მოვალის ბრალით	თუ მოვალეს ეკისრება ბრალი შეუძლებლობის გამოწვევაში, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ზიანი
საფრანგეთი	ფორსმაჟორი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების ობიექტურ საზღვარს	ფორსმაჟორი ვერ იქნება მოვალის ბრალით გამოწვეული	ფორსმაჟორის შემთხვევაში მოვალე ზიანს არ ანაზღაურებს
საქართველო	ვალდებულების რიგითი დარღვევა	შეუძლებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მოვალის ბრალით	თუ მოვალეს ეკისრება ბრალი შეუძლებლობის გამოწვევაში, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ზიანი

§ 2 ნაკლოვანი ნივთის მიწოდება

ლიტერატურა: BROX/WALKER, Besonderes Schuldrecht³¹ (2006); COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung (2012), 381-400; FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Internationales Vertragsrecht (2007), Art. 79 Rn. 2, 13; GRAZIANO, Europäisches Vertragsrecht (2008), 381 ff.; KAPPUS, Vertragsaufhebung nach UN-Kaufrecht in der Praxis, NJW 1994, 984; LOOSCHELDERS, Schuldrecht, allgemeiner Teil⁹ (2011), 170-176; MüKo/GAIER, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil §§ 241-432⁶ (2012), § 349 Rn. 2; MüKo/WESTERMANN, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 3: Schuldrecht Besonderer Teil I §§ 433-610⁶ (2012), § 438 Rn. 38; PILTZ, Internationales Kaufrecht² (2008), § 5 Rn. 77, Rn. 354; SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG) (2010), Art. 46 Rn. 25.

I. შესავალი

ნასყიდობისა და ნარდობის სამართალში არაჯეროვანი შესრულების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ნაკლოვანი ნივთის მიწოდება. ვალდებულების დარღვევა ამ შემთხვევაში მდგომარეობს, გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებისა (სსკ-ის 487-ე მუხლის) და გსკ-ის 633-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 639-ე მუხლის) მოთხოვნების სანინააღმდეგოდ, გადაცემული ნივთის ნაკლოვანებაში. ნასყიდობის სამართალში ნაკლოვანი ნივთის ცნება მოცემულია გსკ-ის 434-ე პარაგრაფში (სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ელ ნაწილში). ნაკლის განსაზღვრისათვის, პირველ ეტაპზე, გადამწყვეტია მხარეთა შეთანხმება და ნივთის შექმნის მიზანი, ანუ მხარეთა სუბიექტური წარმოდგენები ნივთის უნაკლოობასთან დაკავშირებით (ე. წ. „ნაკლის სუბიექტური ცნება“). ამ ცნების მიხედვით, ნივთს, რისკის გადასვლის მომენტისათვის, უნდა ახასიათებდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული თვისებები. თუ ასეთი თვისებები არ არის შეთანხმებული, მაშინ გადამწყვეტია, გამოსადეგია თუ არა ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის და აქვს თუ არა ის თვისებები,

რომლებიც უნდა ახასიათებდეს მსგავსი ტიპის ნივთებს. სხვა ნივთის მიწოდება (ე. წ. aliud) უთანაბრდება ნაკლოვანი ნივთის მიწოდებას, გსკ-ის 434-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი (სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ვარიანტი).

II. მყიდველის უფლებები ნაკლოვანი შესრულებისას

ნაკლოვანი შესრულება, როდესაც ამ ნაკლის გამოსწორება (ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლება ჯერ კიდევ შესაძლებელია) მყიდველს წარმოუშობს მთელ რიგ მეორად უფლებებს, რომელთა შორისაც გარკვეული იერარქია არსებობს. მეორად უფლებები, თავის მხრივ, იყოფიან უპირატესად გამოსაყენებელ (პირველი რიგის/პირველად) და მომდევნო რიგის მეორად უფლებებად.

1. უპირატესად გამოსაყენებელი მეორადი უფლებები

ნაკლოვანი შესრულებისას მყიდველმა, პირველ რიგში, დამატებითი შესრულება უნდა გამოიყენოს, რომლის ფორმებსაც წარმოადგენს ნაკლის გამოსწორება ან ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლება (გსკ-ის 439-ე პარაგრაფი, სსკ-ის 490-ე მუხლი). ეს ორივე მოთხოვნა მყიდველს ენიჭება გამყიდველის ბრალისაგან დამოუკიდებლად. თუ ნაკლოვანი შესრულება გამყიდველის ბრალით არის გამოწვეული და მან მყიდველს ამავდროულად ზიანი მიაყენა (მაგ. დაზიანებულ მაცივრიდან გამოყოფილი სითხე მყიდველ იატაკს უფუჭებს), მას შეუძლია მოითხოვოს შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება (გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი¹⁵). იმ შემთხვევაში, როდესაც დამატებითი შესრულება შეუძლებელია დიდ ხარჯებს მოითხოვს, გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე ან ნივთის ჩანაცვლებაზე. გარდა ამისა, დამატებითი შესრულება ითვლება ჩაშლილად, თუ ნაკლის გამოსწორების ზედიზედ ორი მცდელობა ამაო აღმოჩნდება ან არ არსებობს ჩამნაცვლებელი ნივთი, ან ისიც, თავის მხრივ, ნაკლის მქონეა. გარდა ამისა, გამყიდველმა შესაძლებელია მყიდველის

¹⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით თავი: „ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად“

დამატებითი შესრულების მოთხოვნის საპასუხოდ უბრალოდ არაფერი მოიმოქმედოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებითი ვადის უშედეგოდ ამონურვის შემდეგ, ხოლო წინა ორ შემთხვევაში კი - ამ ვადის გარეშე, მყიდველს შეუძლია გამოიყენოს მომდევნო რიგის მეორადი მოთხოვნები.

2. მომდევნო რიგის მეორადი უფლებები

მომდევნო რიგის მეორადი მოთხოვნების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, მნიშვნელოვანია თუ უმნიშვნელო ის ნაკლი, რომელიც ნივთს ახასიათებს. უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში მყიდველს მხოლოდ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება აქვს (გსკ-ის 441-ე პარაგრაფი, სსკ-ის 492-ე მუხლი), ხოლო თუ ნაკლი მნიშვნელოვანია და გამყიდველმა არ გამოიყენა დამატებითი შესრულებისათვის მიცემული ვადა, მაშინ მყიდველს შეუძლია გავიდეხს ხელშეკრულებიდან (გსკ-ის 440-ე პარაგრაფი, სსკ-ის 491-ე მუხლი), რის შემდეგაც დაიბრუნებს ნივთში გადახდილ ფასს (იხ. გასვლის შესახებ თავი), თუმცა სანაცვლოდ უნდა დააბრუნოს ნივთი და მიღებული სარგებელი. მყიდველს შეუძლია, ასევე, გამყიდველის ბრალის არსებობისას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად (გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-3 ნაწილი და 281-ე ან 283-ე პარაგრაფი, სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3-ე ნაწილები) („დიდი ზიანის“ ანაზღაურება), ანუ დაუბრუნოს მას ნაკლოვანი ნივთი და ზიანის ანაზღაურების სახით მოსთხოვოს ყველაფერი ის, რაც ჯეროვანი შესრულებით უნდა მიეღო. მნიშვნელოვანი ნაკლის შემთხვევაშიც მყიდველს შეუძლია დაიტოვოს ნაკლოვანი ნივთი და მოითხოვოს ფასის შემცირება მცირე ზიანის ანაზღაურებასთან ერთად (ეს უკანასკნელი გამყიდველის ბრალის არსებობისას).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§ 434. ნივთობრივი ნაკლი.

(1) ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი რისკის გადასვლის მომენტისათვის შეთანხმებული თვისებების მქონეა. თუ თვისებები არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება, 1. თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ან 2. თუ იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, ხოლო თვისებები ცხადყოფს, რომ ისინი ჩვეულებრივია ანალოგიური ნივთების შემთხვევაში და მოსალოდნელია მყიდველისათვის ნივთის სახეობის გათვალისწინებით. (3) ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს სხვა ნივთს ან ნივთს მცირე რაოდენობით.

§437. მყიდველის უფლებები ნაკლის არსებობისას.

თუ სახეზეა ქვემოთ მოცემული ნორმების წინაპირობები და თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, თუ ნივთი ნაკლის მქონეა, მყიდველს შეუძლია, 1. მოითხოვოს დამატებითი შესრულება §439 მიხედვით, 2. უარი თქვას ხელშეკრულებაზე §440, 323 და 326 მე-5 ნაწილის მიხედვით ან მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება §441 მიხედვით და 3. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება §440, 280, 281, 283 და 331ა მიხედვით ანდა უშედეგოდ განეული ხარჯების ანაზღაურება §284.

§439. დამატებითი შესრულება.

(1) მყიდველს დამატებითი შესრულების სახით შეუძლია თავისი არჩევანით მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან უნაკლო ნივთის მიწოდება. (2) გამყიდველს ეკისრება დამატებითი შესრულების მიზნით განეული აუცილებელი ხარჯები, კერძოდ, გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 488. ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

1. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. 2. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გააღვინას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას.

1. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. 2. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, საშუაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები. 3. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. 4. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

§440. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ზარალის ანაზღაურების სპეციალური წესები.

გარდა §281 მე-2 ნაწილისა და §323 მე-2 ნაწილში მითითებული შემთხვევებისა, არ არის აუცილებელი ასევე ვადის განსაზღვრა, თუ გამყიდველმა უარი თქვა ორივე სახის დამატებითი შესრულების განხორციელებაზე §439 მე-3 ნაწილის თანახმად ან თუ მყიდველის კუთვნილი დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა ანდა იგი მისთვის მიუღებელია. ნაკლის აღმოფხვრა მიიჩნევა წარუმატებლად მეორე უშედეგო მცდელობის შემდეგ, თუ ნივთის ან ნაკლის განსაკუთრებული ბუნების ანდა სხვა გარემოებებიდან განსხვავებული დასკვნა არ გამოდინარეობს.

§441. ფასის შემცირება.

(1) ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად მყიდველს შეუძლია გამყიდველისადმი წარდგენილი განცხადებით შეამციროს ნასყიდობის ფასი. გამორიცხვის საფუძველი §323 მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით არ გამოიყენება.

მუხლი 491. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება.

1. მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა §52-ე მუხლის მიხედვით. 2. გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს განუვლი დანახარჯები.

მუხლი 492. ფასის შემცირების მოთხოვნა.

თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გავლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

კაზუსი: “ფრანგული ავეჯი თქვენს ოფისში¹⁶”

შპს-ს “ფრანგული ავეჯი თქვენს ოფისში” მფლობელი (მ) გადაწყვეტს გაზაფხულისათვის სიახლე შესთავაზოს თავის კლიენტებს, ფრანგული წითელი ხის მაგიდების სახით, რომლის შესახებაც ამას წინათ ესაუბრა მეგობარი და რომლებიც დიდი მოწონებით უნდა სარგებლობდეს. მ შეუკვეთს ფრანგულ კომპანია გ-ს წითელი ხის 15 მაგიდას. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის შემდეგ გ მიაწვდის მ-ს 15 ცალ შავი ფერის მაგიდას. მაგიდების მიწოდებისას მ იმყოფება შევებული შავი და მაგიდებს მისი ოფისის თანამშრომლები იბარებენ. მხოლოდ 2 დღის შემდეგ, როდესაც მ თავის მეგობარს მოიყვანს ოფისში, რათა მის წინაშე თავი მოიწონოს, აღმოჩნდება, რომ მაგიდები არა ფრანგული წითელი, არამედ შავი ხისგან არის დამზადებული. სირცხვილნაჭამი მ მეორე დღესვე უკავშირდება გ-ს და დაუყოვნებლივ სთხოვს მისი შელახული რეპუტაციის გამოსწორებას. მართალია, შავის ხის ავეჯი იგივე ხარისხისა და ობიექტური ღირებულებისაა რაც წითელი და შესაძლებელია მათი ცალკეულ მყიდველებზე გასხვავება, მაგრამ ფრანგული შავი ხის მუშტრის ნაკლებობის გამო, მხოლოდ 20%-იანი დანაკარგებით. მ, რომელსაც მაგიდების საფასური ჯერ არ გადაუხდია, ითხოვს ორ კვირაში ახალი მაგიდების მიწოდებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს აღარ თვლის ხელშეკრულებით შებოჭილად. გ კი ითხოვს შეთანხმებული ფასის გადახდას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ა. ამოხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის (1980) მიხედვით

მ-ს მოთხოვნები გ-ს წინააღმდეგ

1. შესრულების მოთხოვნა

მ-ს შესრულების მოთხოვნა – ნასყიდობის საგანზე მფლობელისა და საკუთრების გადაცემის მოთხოვნა – ვენის ნასყიდობის კონვენციის 45-ეს 1-ლის ა) ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად – წარმოიშვა ნასყიდობის დადებასთან ერთად (კონვენციის 14-ე და შემდგომი მუხლები).

16 კაზუსი და მისი ამოხსნა ნაწილობრივ გადმოღებულია COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung და შემდგომი.

1. ნაკლოვანი შესრულება

გამყიდველი არ გათავისუფლდებოდა მისი შესრულების ვალდებულებისაგან, თუ სახეზეა ნაკლოვანი შესრულება. კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს ნივთი, რომელიც ხელშეკრულებით შეთანხმებული თვისებების მქონეა. მოცემულ შემთხვევაში მინოდებული მაგიდები სხვა ხისგანაა დამზადებული და არა იმ ხისგან, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, შესრულების მოთხოვნა არ გაქარწყლებულა შესრულებით, რადგან სხვა ხის მაგიდების მინოდება არ წარმოადგენს ჯეროვან შესრულებას, რომელიც გაათავისუფლებდა გამყიდველს მისი თავდაპირველი შესრულების ვალდებულებისაგან. ამის გამო, გ შეიძლება ვალდებული იყოს, ჩაანაცვლოს შავი ხის მაგიდები ნითელი ხისაგან დამზადებულით.

2. ნაკლზე მითითების ვალდებულება

ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნების შენარჩუნებისათვის, მყიდველმა შესაბამის ვადაში უნდა მიუთითოს გამყიდველს ნივთის ნაკლზე (კონვენციის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამ ვადის გაშვების შემდეგ ნივთი მიიჩნევა ხელშეკრულების შესატყვისის ხარისხის მქონედ.

კონვენციის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ნაკლზე მითითების ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მყიდველმა ნივთის ნაკლი აღმოაჩინა ან უნდა აღმოეჩინა. მოცემულ შემთხვევაში მყიდველმა ნივთის ნაკლი აღმოაჩინა ნივთის ჩაბარებიდან ორი დღის შემდეგ და შესაბამისად ნაკლზე მითითების ვადის დინებაც ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ეს ნაკლი უფრო ადრე უნდა აღმოეჩინა. კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მყიდველმა ნივთი უნდა შეამოწმოს მოკლე ვადაში, რომელიც გამოითვლება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, როგორც არის ნივთის სირთულე, მისი შეფუთვა და ნაკლის სახე¹⁷. მაგა-

¹⁷ COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 384.

ლითად, მალფუჭებადი ნივთის შემთხვევაში ეს ვადა არის გაცილებით მცირე, ვიდრე სხვა ნივთების შემთხვევაში, მაგრამ, ასევე, არამალფუჭებადი ნივთების შემთხვევაშიც შემონიშნება, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, 3-4 დღეში უნდა მოხდეს¹⁸. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სამი დღის შემდეგ განხორციელებული მითითება ჯერ კიდევ დროულია.

ნაკლზე მითითება არ საჭიროებს სპეციალური ფორმის დაცვას.

3. ხელშეკრულების არსებითი დარღვევა და ნაკლოვანის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნა

კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ნაკლოვანი ნივთის (ნაკლოვანის ცნება აერთიანებს ასევე შეთანხმებულის მაგივრად სხვა ნივთის მინოდებასაც, რადგან ნაკლოვანი საქონლის ცნება მოიცავს ყველა იმ შესრულებას, რომელიც არ შეესატყვისება ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას¹⁹) მინოდებისას მყიდველს მხოლოდ მაშინ აქვს მისი ახლით ჩანაცვლების მოთხოვნის უფლება, თუ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.

ამგვარი დამატებითი წინაპირობის წაყენებით კანონი მიზნად ისახავს შეცვლის, როგორც დამატებითი მოთხოვნის, საგამონაკლისო დასაშვებობას. ეს წინაპირობა არ მოქმედებს სხვა მეორადი მოთხოვნების შემთხვევებში²⁰.

¹⁸ PILTZ, Internationales Kaufrecht, § 5 Rn. 77; COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung (2012), 384 – ცალკეულ მართლწესრიგებში „შესაბამის ვადად“ სხვა ხანგრძლივობის ვადაა მიჩნეული, მაგალითად, გერმანული უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ნაკლზე მითითებისათვის მყიდველს ერთი თვე აქვს.

¹⁹ COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 386.

²⁰ კონვენცია, როგორც წესი, გამოყენება მაშინ, როდესაც მყიდველი და გამყიდველი სხვადასხვა ქვეყნიდან არიან და ნივთის შეცვლა დამატებით ხარჯებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის გამო, უფრო პრაქტიკულია, გამყიდველმა მყიდველს აუნაზღაუროს ნაკლოვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ვიდრე მიაწოდოს ახალი ნივთი. მხოლოდ მაშინ, თუ ამ ზიანის ანაზღაურებით შეუძლებელია მყიდველის ინტერესების ჯეროვანი დაცვა, უნდა გამოვიყენოთ შეცვლა, თუმცა შეცვლა არ გამოიყენება თუ გამყიდველს არ შეეძლო მყიდველის ამ ინტერესის წინასწარ გათვალისწინება.

კანონის იმ მიზნიდან, რომ მყიდველმა შეცვლა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა გამოიყენოს, გამომდინარეობს ასევე ამ არსებითი დარღვევის განსაზღვრება. დარღვევა უნდა იყოს იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მყიდველის ინტერესების დაცვა სხვაგვარად შეუძლებელი იყოს და რჩებოდეს მხოლოდ ერთადერთი გზა: ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლება.

პროფესიონალი გადამყიდველის მიერ ნივთის შეძენისას მნიშვნელოვანია, შეუძლია თუ არა მას ნაკლოვანი ნივთის განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე გადაყიდვა, ისე, რომ გადაყიდვით მიღებული შემოსავალი წინასწარ განსაზღვრადი იყოს²¹. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოეთხოვოს მას ნაკლოვანი ნივთის დატოვება²² და ჯეროვან და ნაკლოვან შესრულებებს შორის განსხვავების სხვა მეორადი მოთხოვნებით კომპენსირება. აქ ეს შესაძლებელია; გამყიდველს შეუძლია გადაყიდოს ნივთი წინასწარ განსაზღვრადი, 20%-იანი დანაკარგებით. ამიტომაც, ის ვერ გამოიყენებს ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნას.

4. ნაკლის გამოსწორება

მართალია, კონვენციის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია ნაკლის გამოსწორება, თუმცა ეს მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებლობა კონვენციაში ცალკე დანაწესში არ არის მოწესრიგებული, ზოგადი წესი, რომ შეუძლებლის შესრულება არავის შეიძლება მოეთხოვოს, მოქმედებს ამ შემთხვევაშიც²³, რის გამოც გამყიდველი თავისუფლდება ნაკლის გამოსწორების ვალდებულებისაგან.

II. ხელშეკრულებიდან გასვლა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს კონვენციის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. მოცემული

21 SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 25; KAPPUS, NJW 1994, 984 (984); OLG Frankfurt, NJW 1994, 1013 (1014).

22 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 387.

23 SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 12; COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 387.

დანაწესი ანიჭებს მყიდველს, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, რომელიც უნდა გაცხადდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ და კონვენციის 81-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ორმხრივი ვალდებულებების გაქრობას იწვევს.

თუმცა მოცემული დანაწესის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ შეუსრულებლობა, ვადის დაწესების მიუხედავად (კონვენციის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტი), არამედ, ისევე, როგორც დამატებითი შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების არსებითი დარღვევა (კონვენციის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი). ხელშეკრულების არსებითი დარღვევა, როგორც უკვე ვახსენეთ, არ არის სახეზე, რის გამოც გამოირიცხება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

III. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კონვენციის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტისა და 74-ე მუხლის შესაბამისად.

ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით სახეზეა ხელშეკრულების დარღვევა გ-ს მიერ. მ-მ დროულად მიუთითა ასევე ნივთის ნაკლოვანებაზე კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად. კონვენციის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობას არ წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა²⁴. მოვალე მხოლოდ მაშინ არ აგებს პასუხს ვალდებულების დარღვევისათვის, როდესაც ეს დარღვევა გამომწვეულია მისი ძალაუფლების მიღმა მდებარე ფაქტორით, რომელსაც ის ხელშეკრულების დადებისას ვერ გაითვალისწინებდა. შეპირებულის ნაცვლად სხვა ფერის მაგიდების მიწოდება არ განეკუთვნება ამგვარ შემთხვევას.

ზიანის ანაზღაურებით მოვალემ კრედიტორი უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის იქნებოდა ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ეს ვალდებულება მოიცავს ასევე მიუღე-

24 FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 79 CISG Rn. 13.

ბელ შემოსავალსაც²⁵. „დიდი ზიანის“ ანაზღაურებას, როდესაც კრედიტორი უარს ამბობს შესრულებაზე (ან აბრუნებს მიღებულ შესრულებას) და მის მთლიან ღირებულებას ითხოვს როგორც ზიანის ანაზღაურებას, კონვენცია არ იცნობს, რადგან ეს იქნებოდა იგივე, რაც ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულების არსებითი დარღვევის წინაპირობის გვერდის ავლით²⁶.

ამის გარდა, ზიანის ანაზღაურების მოცულობის შემოსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს ზიანის წინასწარგათვლადობა მოვალისათვის. ვაჭარი, რომელიც პროდუქტს აწვდის მეორე ვაჭარს უნდა ითვალისწინებდეს, რომ ეს უკანასკნელი გეგმავს ამ პროდუქციის მომგებიანად გადაყიდვას და ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით ეს მიზანი შეიძლება ჩაეშალოს, რის გამოც ნაკლოვანი პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მყიდველის მიერ მოგების ხელიდან გაშვება მისთვის სავარაუდოა. 20%-იანი დანაკარგები, რაც გამონვეულია ნაკლოვანი ნივთის გადაყიდვით, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს მოვალისათვის წინასწარგათვლად ხარჯებს.

IV. გ-ს ფასის გადახდის მოთხოვნა მ-ს მიმართ

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა კონვენციის 53-ე მუხლის შესაბამისად. ეს მოთხოვნა წარმოიშვა ნასყიდობის დადებასთან ერთად.

თუ მხარეები სხვა რამეს არ შეათანხმებენ, ნასყიდობის ფასი გადასახდელია ნივთის მიწოდებასთან ერთად კონვენციის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ნივთის მიწოდების ქვეშ არ იგულისხმება უნაკლო ნივთის მიწოდება, რადგან ნივთის ნაკლი მყიდველს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ანიჭებს დამატებითი შესრულების ან ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას²⁷ (იხ. ზემოთ). თუ მყიდველს ეს ნაკლი კონკრეტულ შემთხვევაში არ ანიჭებს დამატებითი შესრულების მოთხოვნი-

25 FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 74 CISG Rn. 2.

26 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 389.

27 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 390.

სა და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მაშინ მას არ უნდა ჰქონდეს ნაკლოვანი შესრულების და მიუხედავად ფასის დაკავების უფლება, რადგან ის ამგვარად, “ნაკლის არსებითობის” გვერდის ავლით, ფაქტობრივად მაინც მოახერხებდა ხელშეკრულების ჩაშლას, ან გამყიდველის იძულებას დამატებითი შესრულებისაკენ. არასწორი იქნებოდა, მყიდველი, რომელსაც, ნაკლის და მიუხედავად, არ აქვს ნაკლოვანი შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლება, ჯერ იძულებული ყოფილიყო მიეღო ეს შესრულება, მაგრამ შემდეგ ჰქონოდა საპირისპირო შესრულებაზე უარის თქმის უფლება, სანამ გამყიდველი ჯეროვნად არ შეასრულებდა ან მხარეები ურთიერთშეთანხმებით არ მოშლიდნენ ხელშეკრულებას.

ამის გამო, ნაკლოვანი შესრულების მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში მყიდველს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ფასის შემცირების შესაგებელი გამყიდველის ფასის მოთხოვნის წინააღმდეგ.

V. მყიდველის შესაგებლები

I. ფასის შემცირების შესაგებელი

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს ნასყიდობის ფასის მოთხოვნის მიმართ ფასის შემცირების შესაგებელი (კონვენციის 50-ე მუხლი) ნაკლოვანი ნივთის ღირებულების უნაკლო ნივთის ღირებულებასთან მიმართების პროპორციულად. თუმცა ნასყიდობის ფასის შემცირება ხდება ნაკლოვანი და უნაკლო ნივთის ობიექტურ ღირებულებებში სხვაობის შესაბამისად²⁸. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ შავი ხის მაგიდების გადაყიდვა მყიდველისათვის წითელთან შედარებით მხოლოდ 20%-იანი დანაკარგებითაა შესაძლებელი; ორივე ტიპის მაგიდის ობიექტური ღირებულება ერთი და იგივეა. შესაბამისად, მათ შორის სხვაობა ვერ იქნება ფასის შემცირების კრიტერიუმი.

28 PILTZ, Internationales Kaufrecht, § 5 Rn. 354.

II. ნასყიდობის ფასისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გაქვითვა

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ანგარიშში გაქვითვის უფლება. კონვენციაში გაქვითვის დანაწესის არარსებობის მიუხედავად, აღიარებულია ურთიერთდაპირისპირებული ერთგვაროვანი მოთხოვნების გაქვითვის შესაძლებლობა²⁹.

III. დაკავების უფლება

საკითხავია, აქვს თუ არა მყიდველს ხელშეკრულების დარღვევის გამო გამყიდველის მიმართ ნასყიდობის ფასის დაკავების უფლება. დაკავების უფლებასთან დაკავშირებულ სპეციალურ დანაწესს შეიცავს მხოლოდ კონვენციის 71-ე მუხლი. ამ წესის მიხედვით, მოვალეს, რომელიც ვალდებულია წინასწარ შეასრულოს, აქვს უფლება მაშინ, როდესაც მის მიერ საპირისპირო შესრულების მიღებას საფრთხე ემუქრება, დააყოვნოს შესრულება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში არ არის საეჭვო საპირისპირო შესრულების მიღება, არამედ პირდაპირ ნაკლოვანი შესრულებაა სახეზე. ეს ორი შემთხვევა იდენტური არ არის; ნაკლოვანი შესრულებისას მყიდველს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდული მოთხოვნის უფლებები აქვს, რომელთა გვერდის ავლაც არ უნდა მოხდეს მთლიანი ნასყიდობის ფასის გადახდის დაყოვნებით. მყიდველს აქვს დაყოვნების უფლება, მხოლოდ საპირისპირო მოთხოვნების ღირებულების შესაბამისად. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია დააყოვნოს ნასყიდობის ფასის გადახდა მხოლოდ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესაბამისად, თუმცა გაქვითვასთან მიმართებით ეს მას დამატებით უპირატესობას არ ანიჭებს³⁰.

შედეგი: კონვენციის მიხედვით მ-ს მოცემულ შემთხვევაში აქვს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელიდან

29 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 391.

30 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 392.

გაშვებული მოგების ოდენობით, რომლის გაქვითვის უფლებაც აქვს ნასყიდობის ფასის მოთხოვნის სანაცვლოდ.

ბ. ამოხსნა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით

I. დამატებითი შესრულების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი შესრულების მოთხოვნა გსკ-ის 433-ეს 1-ლი, 437-ეს Nr. 1-ის, 434-ეს მე-3 ნაწილისა და 439-ე პარაგრაფის (სსკ-ის 477-ეს 1-ლი, 488-ეს მე-2 ნაწილისა და 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

დამატებითი შესრულების მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ნაკლოვანი შესრულება გსკ-ის 434-ე პარაგრაფის (სსკ-ის 488-ე მუხლის) შესაბამისად. ნივთის ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი მყიდველს მიაწვდის სხვა ნივთს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული (გსკ-ის 434-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი, სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც სახეზეა ნითელი ხის მაგიდების მაგივრად შავი ხის მაგიდების მიწოდებით. ნაკლოვანი შესრულება არ იწვევს მოთხოვნის უფლების შესრულებით გაქარწყლებას, თავდაპირველი შესრულების მოთხოვნა განაგრძობს არსებობას მოდიფიცირებული ფორმით – ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების ან ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლების ფორმით. ნაკლის გამოსწორება მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია, რის გამოც მ-ს მხოლოდ ნაკლოვანი ნივთის მაგივრად უნაკლოს მიწოდების მოთხოვნის უფლება აქვს.

საკითხავია, ხომ არ დაკარგა მყიდველმა თავისი მეორადი მოთხოვნები ნივთის ნაკლზე დროულად არმითითებით. ნაკლზე მითითების ვალდებულება გერმანიაში აქვს ვაჭარს ორმხრივი სავაჭრო გარიგების შემთხვევაში (გერმანიის სავაჭრო კოდექსის 377-ე პარაგრაფი, სსკ-ის 495-ე მუხლი). შპს არის ვაჭარი მისი სავაჭრო ფორმიდან გამომდინარე³¹. ასევე ვაჭარია ავეჯის გამ-
31 გერმანიის სავაჭრო კოდექსის მე-6 პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და მე-13 პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად. საქართველოში შპს არის მენარმე, მენარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. თუმცა ტერმინ “მენარმის” გამოყენება საკმაოდ პრობლემურია, გერმანული Kaufmann-

ყიდველი ფრანგული კომპანია და ივარაუდება, რომ მყიდველი გარიგებას დებს მისი სავაჭრო საქმიანობის ფარგლებში³². ვაჭარმა (საქართველოში მენარმემ) ნივთი უნდა შეამონმოს დაუყოვნებლივ და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში ასევე დაუყოვნებლივ მიუთითოს გამყიდველს ნივთის ნაკლზე. დაუყოვნებლივ ნიშნავს ბრალეული დაყოვნების გარეშე, რაც გამყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე საკმაოდ მოკლე ვადას გულისხმობს³³. ეს მოკლე ვადა ჩვენს შემთხვევაში დაცულია.

ჩვეულებრივ, გსკ-ის 439-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით მყიდველს, დამატებითი შესრულების ფარგლებში, აქვს, როგორც ნაკლის გამოსწორების, ასევე უნაკლო ნივთის მიწოდების მოთხოვნის უფლება. ნაკლის გამოსწორება – მაგიდების გადაღება – შეუძლებელია (გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილები), რის გამოც მას მხოლოდ უნაკლო ნივთის მიწოდების მოთხოვნის უფლება აქვს.

II. ხელშეკრულებიდან გასვლა

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გსკ-ის 433-ე, 437-ე პარაგრაფის Nr. 2 და 323-ე პარაგრაფის (სსკ-ის 477-ე, 491-ეს 1-ლი ნაწილისა და 352-ე მუხლების) შესაბამისად. გასვლის, ისევე, როგორც ზიანის ანაზღაურების წინაპირობას, წარმოადგენს გამყიდველისათვის ჯეროვანი შესრულების მეორე შანსის მიცემა, ანუ დამატებითი შესრულებისათვის შესაბამისი ვადის დაწესება. ამ ვადის დაწესება მოცემულ შემთხვევაში არ გამხდარა ზედმეტი³⁴.

ის ქართული შესატყვისი არის ვაჭარი. გარდა ამისა, მომხმარებელთა დაცვის სამართლის განვითარებასთან ერთად აუცილებელი იქნება გერმანული „Unternehmer“-ისათვის ქართული შესატყვისის პოვნა, რაც სხვა ვერაფერი იქნება, თუ არა – „მენარმე“. ტერმინთა კოლიზიის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, თუ სამენარმეო (სავაჭრო) სამართალში ტერმინ მენარმეს, მის საქმიანობასთან უფრო ახლოს მდგომი ტერმინი – ვაჭარი –, ჩაანაცვლებდა.

32 საქართველოში ეს დამატებითი წინაპირობები, რომ ორივე მხარე უნდა იყოს მენარმე და გარიგებას დებდეს საკუთარი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, არ მოქმედებს.

33 მაგალითად, BGH, NJW 1954, 1841.

34 შეად. გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა)-გ) ქვეპუნქტები.

დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესებისას კრედიტორმა მოვალეს ცალსახად უნდა მოსთხოვოს შესრულება და, რაც შეიძლება უფრო ზუსტად, მიუთითოს ნივთის ნაკლზე³⁵. ასევე დაკონკრეტებული უნდა იყოს დამატებითი შესრულების სახე, რომელიც კრედიტორმა აირჩია.

დამატებითი შესრულებისათვის მიცემული ვადა საკმარისი უნდა იყოს შესრულებისათვის, რაც ნივთის დისტანციაზე შეძენისას მისი ტრანსპორტირებისათვის აუცილებელ დროსაც მოიცავს. დამატებითი შესრულებისათვის არასაკმარისი ვადის მიცემისას ავტომატურად „ჩაირთვება“ შესაბამისი ვადა³⁶. მოცემულ შემთხვევაშიც, მყიდველმა გამყიდველს უნდა მისცეს „მეორე შანსი“ შესრულებისათვის, რის შემდეგაც უკვე ექნება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რადგან ვალდებულების დარღვევა არ არის უმნიშვნელო, რაც გამორიცხავდა გასვლის შესაძლებლობას (გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადება, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტი). ნივთის მხოლოდ 20%-იანი დანაკარგებით გადაყიდვის შესაძლებლობა, რაც ნაკლოვანი შესრულებითაა გამოწვეული, წარმოადგენს ხელშეკრულების მნიშვნელოვან დარღვევას.

გასვლის გაცხადება შესაძლებელია მოხდეს ასევე პირობადებულად, დამატებითი შესრულების ჩაშლის პირობით. მართალია, გასვლა, როგორც ცალმხრივი გარიგება, ჩვეულებრივ, არ შეიძლება გაკეთდეს პირობადებულად, მაგრამ ეს არ ეხება ისეთ პირობებს, რომელთა დადგომა-არდადგომაც მეორე მხარის ხელშია. ამიტომაც გასვლის გაცხადება შესაძლებელია დამატებითი შესრულების ჩაშლის პირობით³⁷.

III. ფასის შემცირება

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდობის ფასის შემცირების

35 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 395.

36 COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 395.

37 MÜKo/GAIER, § 349 Rn. 2.

უფლება გსკ-ის 433-ე, 437-ეს Nr. 2, 323-ე და 441-ე პარაგრაფების (სსკ-ის 477-ე, 492-ე მუხლების) შესაბამისად. თუმცა გერმანულ და ქართულ სამართალშიც, ისევე, როგორც საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის მიხედვით, ფასის შემცირებისათვის გადამწყვეტია ნივთის ობიექტური ღირებულება. წითელი და შავი ხის მაგიდების ღირებულება ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, რის გამოც, ფასის შემცირება შეუძლებელია.

IV. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს გამყიდველისაგან შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 433-ე, 437-ეს Nr. 3, 280-ეს 1-ლი და მე-3 და 281-ე პარაგრაფების (სსკ-ის 477-ე, 494-ეს 1-ლი, 394-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების) შესაბამისად. ამისათვის, მოვალე-გამყიდველს ბრალეულად უნდა დაერღვია ნაკისრი ვალდებულება, რაც ივარაუდება მოვალის მიერ სანადადმდეგოს დამტკიცებამდე (გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 ნინადადება, სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ნინადადება).

ხელშეკრულებიდან გასვლა არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას (გსკ-ის 325-ე პარაგრაფი, სსკ-ის 407-ე მუხლი). თუმცა გასვლის შემდეგ მყიდველმა უნდა დააბრუნოს ნაკლოვანი ნივთი და გამყიდველმა მყიდველს უნდა დაუბრუნოს მიღებული ფასი (მისი გადახდის შემთხვევაში), რის გამოც, ზიანის ანაზღაურების სახით შესაძლებელია მხოლოდ ე. წ. თანმდევი ზიანის მოთხოვნა (მაგ. გაფუჭებული მაცივრიდან გამოყოფილი სითხით დაზიანებული იატაკის ღირებულების) და ნივთის ობიექტურ ღირებულებასა და ფასს შორის განსხვავების მოთხოვნა³⁸. მოცემულ შემთხვევაში არც ერთი ტიპის ზიანი არ გვაქვს სახეზე, რის გამოც გასვლასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მყიდველისათვის არაფრის მომცემია.

თუ გამყიდველი ახალი უნაკლო ნივთის მიწოდებას დაა-

ყოვნებს ან გასვლის შემდეგ მყიდველი უნაკლო ნივთის თავიდან შეძენამდე ხელიდან გაუშვებს რაიმე მოგებას, მას შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს ამ ზიანის, როგორც დაყოვნების შედეგად წარმოშობილი ზიანის, ანაზღაურება გსკ-ის 280-ეს 1-ლი და მე-2 და 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 404-ე მუხლის) შესაბამისად.

V. გამყიდველის ფასის მოთხოვნის უფლება

გამყიდველს ნასყიდობის ფასის მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად წარმოეშვა ნივთის მიწოდებასთან ერთად. თუმცა მყიდველს შეიძლება ჰქონდეს შესაგებელი ამ ფასის გადახდის მოთხოვნის წინააღმდეგ.

VI. ერთდროულად შესრულების შესაგებელი

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს გამყიდველის ფასის მოთხოვნის მიმართ ერთდროულად შესრულების (შეუსრულებელი ხელშეკრულების) შესაგებელი გსკ-ის 320-ე პარაგრაფის (სსკ-ის 369-ე მუხლის) შესაბამისად. დამატებითი შესრულების მოთხოვნა წარმოადგენს თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის წაგრძელებას, რომლის შესრულებამდეც კრედიტორს აქვს შეუსრულებელი ხელშეკრულების შესაგებელი.

³⁸ COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 397.

კაზუსი: „დავინყებულები მაგიდების (შესაგებლის) ძიებაში“

ისევე, როგორც კაზუსში „ფრანგული ავეჯი თქვენს ოფისში“, გამყიდველი აწვდის მყიდველს წითელი ხის მაგიდების ნაცვლად შავი ხის მაგიდებს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მ-ს ნასყიდობის ფასი უნდა გადაეხადა მაგიდების მიწოდებიდან წელიწადნახევრის შემდეგ. მ-მ დაუთქვა გ-ს დამატებითი შესრულებისათვის ვადა; გ-მ ამ ვადაშიც არ შეასრულა და მხარეებმა ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნები დროებით დაივინყეს. გავიდა სამი წელი და გამყიდველი ითხოვს საფასურს.

რისი უფლება აქვს მყიდველს?

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§320. შესაგებელი შეუსრულებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

(1) იმ პირს, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ვალდებულია შეასრულოს პირველმა.

§218. სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულებიდან გასვლა.

(1) ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულებისათვის ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ვალდებულების შესრულების ან შესრულების შემდგომი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია და მოვალე ამაზე მიუთითებს. აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც მოვალეს §275 1-3 ნაწილების, §439 მე-3 ნაწილის ან §635 მე-3 ნაწილის მიხედვით ვერ მოეთხოვება ვალდებულების შესრულება და ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულებისათვის მოთხოვნის უფლებები ხანდაზმული იქნებოდა. §216 მე-2 ნაწილიდან უცვლელი რჩება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 369. უარი ვალდებულების შესრულებაზე.

იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

ამოხსნა:

(გერმანული სამართლის მიხედვით)

მოცემულ შემთხვევაში მყიდველი გამყიდველს ვედარ მოსთხოვს ვერც დამატებით შესრულებას და ვერც ზიანის ანაზღაურებას.

ბას, რადგან ამ მოთხოვნების წარმოშობიდან 3 წლის გასვლის შემდეგ ორივე მოთხოვნა ხანდაზმულია (გსკ-ის 438-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 3, სსკ-ის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლა არ არის მოთხოვნის უფლება, შესაბამისად ის არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

გასვლა არის ე. წ. გარდაქმნითი უფლება, ცალმხრივი ნების გამოხატვა, რომელიც ერთ ურთიერთობას გადააქცევს მეორე ურთიერთობად – ნასყიდობას აქცევს მიღებულის ორმხრივად უკან დაბრუნების ურთიერთობად. თუმცა გერმანიაში მასზეც ვრცელდება ხანდაზმულობა გსკ-ის 218-ე პარაგრაფის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გასვლა არანამდვილია, თუ დამატებითი შესრულების მოთხოვნა, რომელსაც უპირატესობა ენიჭება, ხანდაზმულია და მეორე მხარე ამაზე მიუთითებს.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც გასვლა და ფასის შემცირება ამ დანაწესის მიხედვით გამორიცხულია, გსკ-ის 320-ე პარაგრაფიდან (სსკ-ის 369-ე მუხლიდან) წარმომდგარი შესაგებელის ადგილს იკავებს გასვლისა (გსკ-ის 438-ეს მე-4 ნაწილის მე-2 ნაწილიდან, 433-ე, 437-ეს Nr. 2 და 323-ე პარაგრაფი) და ფასის შემცირების (გსკ-ის 438-ეს მე-5, 433-ე, 437-ეს Nr. 2, 323-ე და 441-ე პარაგრაფი)³⁹ შესაგებელი, რომლის შეგეგებაც შეიძლება მეორე მხარისათვის. მაგ. „ხელშეკრულებიდან გასვლის შესაგებელის“ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია გადასახდელი ფასი არ გადაიხადოს, თუ ის უფლებამოსილი იქნებოდა, არ გადაეხადა ის ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე. იგივე წესი მოქმედებს ფასის შემცირების შესაგებლის შემთხვევაშიც. თუმცა ორივე შესაგებლის წინაპირობას წარმოადგენს მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემა და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს მყიდველს ამ შესაგებლის გამოყენების უფლება.

როგორც ჩანს, გერმანიაში უსამართლოდ მიიჩნეის ის ფაქტი, რომ მყიდველს, რომელმაც მიიღო ნაკლოვანი შესრულება და ჯერ არ გადაუხდია ფასი, მხოლოდ იმის გამო, რომ გაუშვა პირველადი და დამატებითი მოთხოვნებისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, დაეკისროს ამ ფასის გადახდის ვალდებულება. ამ გადაწყვეტის გადმოტანა ქართულ სამართალშიც აუცილებელია.

39 MüKo/WESTERMANN, § 438 Rn. 38.

კაზუსი: “სოკო”⁴⁰

შპს “სოკო” (გ) ვაჭრობს სხვა ყველაფერთან ერთად ხის მასალით. ამ მასალას მას უშუალოდ მწარმოებელი ინდ. მენარმე “ვ. ზ.” აწვდის, რომელიც აქტიურად არის დაკავებული მარტვილის ტყეების გაჩეხვით. ერთ დღესაც “სოკო” მიიღებს შეკვეთას კომპანია “ავეჯი იტალიიდან თქვენს სახლში – ტავოლა კალდა” (მ) 500 კვადრატული მეტრი წიფლის ხის მასალის მინოდებასთან დაკავშირებით. “სოკო” მინოდებულ მასალას შეუმომნებლად აწვდის “ტავოლა კალდას”. “ტავოლა კალდა” ამ ხის მასალისაგან დაამზადებს მაგიდებს და გაყიდის სხვადასხვა კერძო მყიდველებზე საკმაოდ ძვირ ფასად. თუმცა, ხის მასალის არასაკმარისი გამოშრობისა და დამუშავების გამო, მაგიდები პანტა-პუნტით იხსნება შუაზე, ხანდახან სტუმრების თვალწინაც კი. კლიენტები სთხოვენ ზიანის ანაზღაურებას “ტავოლა კალდას”. “ტავოლა კალდას” დირექტორი გიზო კი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას “სოკოსაგან”. შეაფასეთ “ტავოლა კალდას” მოთხოვნა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ნაკლი მასალის გულდასმით შემოწმების შედეგად დადგენადი იყო, მაგრამ ასევე იმ შემთხვევისათვის, როდესაც ეს შეუძლებელი იქნებოდა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 1641.

გამყიდველი პასუხს აგებს ნივთის დაფარული ნაკლისათვის, თუ ეს ნაკლი ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენებას შეუძლებელს ხდის ან ნივთის სარგებელს იმგვარად ამცირებს, რომ მყიდველი მას არ იყიდდა ან იყიდდა ნაკლებ ფასად, ამ ნაკლის შესახებ რომ სცოდნოდა.

მუხლი 1642.

გამყიდველი არ აგებს იმ ნაკლისათვის პასუხს, რომლის შემჩნევაც მყიდველს თავად შეეძლო.

მუხლი 1645.

თუ გამყიდველმა იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ, მაშინ მას, მიღებული ფასის უკან დაბრუნების გარდა, სრული მოცულობით ეკისრება ზიანის ანაზღაურება.

ა. ამოხსნა ფრანგული სამართლის მიხედვით

მ-ს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გ-ს მიმართ

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1641-ე და 1645-ე მუხლების მიხედვით, რომელიც მას მიადგა უხარისხო ხის მასალის მინოდებით, ანუ იმ ხარჯებისა, რისი გადახდაც მას, თავის მხრივ, მოუწია ცალკეული მყიდველებისათვის.

ხის არასათანადო გამოშრობა წარმოადგენდა ნაკლს, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ნივთით სარგებლობას და მყიდველი საერთოდ არ იყიდდა მას, ნაკლის შესახებ რომ სცოდნოდა. ნაკლისათვის პასუხისმგებლობა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1642-ე მუხლის შესაბამისად არ არის გამორიცხული, რადგან მყიდველს არ შეეძლო ამ ნაკლის შემჩნევა. თუმცა განსხვავებით გასვლისაგან (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1645-ე მუხლში ნახსენები ფასის დაბრუნება), ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, რომ გამყიდველმა იცოდეს ნაკლის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში შპს “სოკო”-მ და მისმა დირექტორმა ვ. ზ.-ს მიერ მინოდებული მასალის ნაკლის შესახებ არ იცოდნენ, თუმცა ფრანგული და ბელგიური სასამართლოების პრაქტიკის შესაბამისად პროფესიონალი გადამყიდველის არაკეთილსინდისიერება, რომელიც ყიდის ნაკლოვან ნივთს, ივარაუდება.

მაგალითად⁴¹: მოსარჩელემ (ფირმა Distrinet) იყიდა მოპასუხისაგან ბოთლები, რომელსაც ის შემდეგ ცალკეულ მყიდველებზე ყიდდა თავის მალაზიაში. ერთ-ერთი ბოთლი მყიდველის მიერ უბრალო შეხებისას გასკდა და დააზიანა მისი მცირეწლოვანი შვილი. ლიეჟის სააპელაციო სასამართლომ გამყიდველს დააკისრა ზიანის ანაზღაურება Distrinet-ის სასარგებლოდ, რის წინააღმდეგაც მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი.

ბელგიის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან: გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს უნაკლო ნივთი და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა იმისათვის, რათა აღმოაჩინოს ეს ნაკლი. თუ ნივთი აღმოჩნდა ნაკლოვანი, მაშინ გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს ამით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის

40 კაზუსი ნაწილობრივ გადმოღებულია GRAZIANO, Europäisches Vertragsrecht, 381 და შემდგომში.

41 Cour de cassation beige/Hof van cassatie, section française, le ch., 19.9.1997.

შეძლებს დაამტკიცოს, რომ ნაკლი იყო დაფარული. მოცემულ შემთხვევაში დამტკიცებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ გამყიდველმა მიიღო ყველა შესაძლო ზომა ნაკლის დასადგენად; შეამონმა ბოთლის მდგრადობა წნევის ქვეშ, რომელიც სცდებოდა კიდევ შემონმებისათვის გათვალისწინებულ აუცილებელ სტანდარტს. ის ფაქტი, რომ ნაკლი ამის შემდეგაც არ აღმოჩნდა, მეტყველებს მის დაფარულ ხასიათზე, რის გამოც, ფასის უკან დაბრუნების გარდა, გამყიდველი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზიანი.

მიუხედავად ამისა, პროფესიონალი გამყიდველი არ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერად დაფარულ ნაკლის გამო, თუ ამ ნაკლის აღმოჩენა შესაძლებელი იყო, თუმცა იმ ტიპის შემონმების შედეგად, რომელიც გამოიწვევდა ნივთის განადგურებას. მოცემულ შემთხვევაში მიწოდებული ხის მასალის სათანადო გამოშრობის დადგენა შეუძლებელი იყო მხოლოდ გარეგანი დათვალისწინებით, აუცილებელი იყო ფიცრების გაჩეხვა, ანუ მათი განადგურება. შესაბამისად, მასალის გამყიდველ “სოკოს” არ შეიძლება სცოდნოდა ამ დაფარული ნაკლის შესახებ, რის გამოც ის მოახერხებს ხსენებული ვარაუდის გაქარწყლებას და არ არის ვალდებული აუნაზღაუროს “ტავოლა კალდას” მიყენებული ზიანი.

შედეგი: “ტავოლა კალდას” არ აქვს “სოკოსაგან” ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ბ. ამოხსნა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით

გერმანიის სავაჭრო კოდექსი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>§377.</p> <p>თუ ნასყიდობა ორივე მხარისათვის წარმოადგენს სავაჭრო გარიგებას, მაშინ მყიდველმა მიწოდებისთანავე, რამდენადაც ეს შესაძლებელია გარიგების ჩვეული მიმდინარეობისას, უნდა გამოიკვლიოს ნივთი და თუ მას ნაკლი აღმოაჩნდა, განუცხადოს ამის შესახებ გამყიდველს.</p> <p>(1) თუ მყიდველი ნაკლის შესახებ არ განაცხადებს, მაშინ ნივთი ითვლება მონონებულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლი იყო შეუმჩნეველი.</p> <p>(2)</p>	<p>მუხლი 495. ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ.</p> <p>1. თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამონოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. 2. თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, მაშინ მას არ შეუძლია დაეყრდნოს ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.</p>

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

„ტავოლა კალდა“-ს შეიძლება ჰქონდეს “სოკო“-საგან ზიანის ანაზღაურების (პატარა ზიანის ანაზღაურების) მოთხოვნის უფლება გსკ-ის 437-ე Nr. 3-ის 1-ლი ალტერნატივისა და 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 494-ეს 1-ლი და 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად). „ტავოლა კალდას“ მოუწია ზიანის ანაზღაურება მაგიდის ყველა იმ მყიდველისათვის, რომლის თვალწინაც გადაიხსნა ეს მაგიდა. ეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თავის მხრივ, წარმოადგენს „ტავოლა კალდას“ ზიანს, რომლის მოთხოვნის უფლება მას შეიძლება ჰქონდეს „სოკოსაგან“

ნასყიდობიდან ზიანის ანაზღაურების პირველ წინაპირობას წარმოადგენს გამყიდველის მიერ ნაკლოვანი ნივთის მიწოდება. მოცემულ შემთხვევაში, არასათანადოდ გამომშრალი ხის მასალის მიწოდებით, ნივთობრივი ნაკლი სახეზეა გსკ-ის 434-ე პარაგრაფის (სსკ-ის 488-ე მუხლის) შესაბამისად.

თუმცა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოსაშობად ასევე აუცილებელია, რომ გამყიდველს მიუძღოდეს ბრალი ნაკლოვანი ნივთის გადაცემაში (გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება, სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება). შპს „სოკო“ არის არა ნივთის მწარმოებელი, არამედ მისი მხოლოდ გამყიდველი; მას თვითონაც მხოლოდ ნაკლოვანი ნივთი გადასცეს. საკითხავია, თუ რამდენად ეკისრება გამყიდველს სხვის მიერ წარმოებული ნივთის უნაკლოობის გადამოწმების ვალდებულება.

გამყიდველის მიერ გადასაყიდად გამზადებული ნივთის შემონმების ვალდებულების საფუძველი ვერ იქნება ვერც გერმანიის სავაჭრო კოდექსის 377-ე პარაგრაფი (სსკ-ის 495-ე მუხლი). რადგან ნორმა არ აკისრებს მყიდველს შემონმების პოზიტიურ ვალდებულებას, არამედ წარმოადგენს მხოლოდ ვალდებულებას „საკუთარი თავის წინაშე“ (ფაკულტატიური ვალდებულება) და არა ნამდვილ (ანუ მეორე მხარის მიერ გამოძღვად) ვალდებულებას მეორე მხარის წინაშე, ან მითუმეტეს მომდევნო მყიდველის წინაშე. ფაკულტატიური ვალდებულების შეუსრულებლობა აკარგვინებს გამყიდველს მეორად მოთხოვნებს, თუმცა არ ანიჭებს მეორე მხარეს მისი განხორციელების

მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, ამ „საკუთარი თავის წინაშე“ ვალდებულების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ მენარმე მყიდველისათვის მეორადი მოთხოვნების შენარჩუნება და არა, დამატებით, მომდევნო მყიდველის ინტერესების დაცვა იმგვარად, რომ გადამყიდველს შეუმონებლობა მის წინაშე ბრალად შეერაცხოს. გარდა ამისა, სავაჭრო კოდექსის 377-ე პარაგრაფის (სსკ-ის 495-ე მუხლი) მიერ შემოთავაზებული პარადიგმა არის იმგვარი, რომ თითოეულმა მყიდველმა-მენარმემ თავად უნდა იზრუნოს ნივთის შემონებაზე და ამ პარადიგმას არ შეესატყვისება წინაკაცისათვის მომდევნოს ინტერესებში ნივთის გამოკვლევის ვალდებულების დაკისრება და მისი განუხორციელებლობის მომდევნო მყიდველის წინაშე ბრალად შერაცხვა.

გერმანიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით⁴², გადამყიდველი, ანუ პირი, რომელიც პროფესიულად არის დაკავებული ნივთების ყიდვითა და მათი გადაყიდვით, არ არის ვალდებული შეამონმოს ნაყიდი ნივთი, რომლის გასხვისებასაც ის აპირებს მომხმარებელზე, თუ კონკრეტული გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ეს წესი მოქმედებს, პირველ რიგში, ინდივიდუალური ნივთის შეძენისას, თუმცა, თუ კონკრეტული გარემოებები ამის საპირისპიროდ არ მეტყველებს, იგივე წესი ვრცელდება გვაროვნული ნივთის შეძენაზეც. შემონების ვალდებულება არსებობს, თუ ეს სამოქალაქო ბრუნვაში, მოცემული პროდუქციისათვის, წესად იქცა⁴³.

მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სავაჭრო ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ხის მასალის მყიდველმა, მისი გარეგნული

დათვალიერების გარდა, ის სხვაგვარადაც უნდა გადაამონმოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ამ მასალის განადგურების გარეშე, მისი გამოშრობის ხარისხის დადგენა შეუძლებელია.

გადამყიდველმა „სოკომ“, არ მიუძღვის რა პირადად ბრალი ნივთის ნაკლოვანებაში და არც იყო ვალდებული აღმოეჩინა ეს ნაკლი, არ უნდა აუნაზღაუროს „ტავოლა კალდას“ ნივთის ამ ნაკლით გამონვეული ზიანი.

შედეგი: “ტავოლა კალდას” არ აქვს “სოკოსაგან” ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არც გერმანული (ქართული) სამართლის მიხედვით.

42 BGH NJW 1968, 2238.

43 ასევე, მაგალითად, BJH NJW 58, 86, ნების გამყიდველი მყიდველს შეპირდა გაუფრთხილებლობით ნივთის ისეთ თვისებებს, რომელიც ამ ნივთს არ ახასიათებდა. გამყიდველის პასუხისმგებლობა ამ დროს წარმოიშობა არა უშუალოდ ნასყიდობის, არამედ კონსულტაციის ხელშეკრულების დარღვევიდან. ამ შემთხვევაშიც გვაროვნული ნივთის შეპირებული თვისებების შემონების ვალდებულება მყიდველს არ ეკისრება.

ნაკლოვანი შესრულება	დამატებითი შესრულება	ზიანის ანაზღაურება	ფასის შემცირება	გასვლა	ნივთის შემოწმება მყიდველის მიერ	გადაწყვეტილის კალდებულება გადაამოწმოს ნივთი
გერმანია	წარმოადგენს უპირატესად გამოსაყენებელ მეორად მოთხოვნას და ყველა სხვა მოთხოვნის წინაპირობას.	ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად ორივე დამოკიდებულია მოვალის ბრალზე.	შესაძლებელია მხოლოდ "მეორე შანის" მიღების შემდეგ. მცირდება ნაკლოვანი შეჯეროვანი შესრულების ობიექტური ღირებულების შესაბამისად.	შესაძლებელია მხოლოდ "მეორე შანის" მიცემის შემდეგ.	ეკისრება ვაჭარს, ორმხრივი საგაჭრო გარიგებისას.	გადაამყიდველს არ ეკისრება.
საქართველო	წარმოადგენს უპირატესად გამოსაყენებელ მეორად მოთხოვნას და ყველა სხვა მოთხოვნის წინაპირობას.	ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად ორივე დამოკიდებულია მოვალის ბრალზე.	შესაძლებელია მხოლოდ "მეორე შანის" მიცემის შემდეგ. მცირდება ნაკლოვანი და ჯეროვანი შესრულების ობიექტური ღირებულების შესაბამისად.	შესაძლებელია მხოლოდ "მეორე შანის" მიცემის შემდეგ.	ეკისრება მენარმეს	-

საფრანგეთი	არ ენიჭება უპირატესობა სხვა მეორადი მოთხოვნების მიმართ (შეად. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1610-ე მუხლი).	დამოკიდებულია მოვალის ბრალზე.	გამორიცხულია, თუ გამყიდველი საკუთარი ინიციატივით ასწორებს ნაკლს. მცირდება ნაკლოვანი შესრულების ობიექტური ღირებულების შესაბამისად.	შესაძლებელია დაუყოვნებლივ.	იგარაუდება არაკეთილსინდისიერი გადაამყიდველის ცოდნა ნაკლის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლი აღმოუჩინა დიიყო.	-
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია სართაშორისი ნასყიდობის შესახებ	გართულებულია მისი გამოყენება ხელშეკრულების არსებითი დარღვევის წინაპირობით.	არ არის დამოკიდებული მოვალის ბრალზე და წარმოადგენს უპირატესად გამოსაყენებელ მეორად მოთხოვნას.	შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების "არსებითი დარღვევისას".	ეკისრება ნებისმიერ მყიდველს, როდესაც გარიგება ექცევა კონვენციის მოქმედების სფეროში.	-	-

კაზუსი: “მოტომობილი”

ცნობილი უსაქმური და დროსტარების მოყვარული მერაბი (მ) შეიძენს გიზოს მალაზიაში (გ) დიდი ხნის ნანატრ მოტოციკლს და მყისიერად შეუდგება დედაქალაქი მაცხოვრებლების აკლებას. მიუხედავად იმისა, რომ მოტოციკლი საჭიროზე მეტ გამონაბოლქვს გამოყოფს, მ-ს ეს სრულებითაც არ ანუხებს. პირიქით, ამაცობს კიდევ უკან დატოვებული გრძელი შავი ზოლით. თუმცა ერთ დღესაც რუსთაველზე გაგიჟებული რბოლისას მოტოციკლს მთლიანად მოძვრება მაყუჩი, რის გამოც მ წონასწორობას დაკარგავს, ხოლო უკვე გადმოვარდნილს მოტოციკლეთი ზევიდან დაეცემა და მოსტყეს ორივე ფეხსა და ორივე ხელს. საავადმყოფოდან გამოსული მ გ-საგან ითხოვს მოტოციკლის შეკეთებასა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. გ მომხდართ შეწუხებულია, თუმცა არაფრის ანაზღაურებას არ აპირებს და უთითებს იმ ფაქტზე, რომ ხელშეკრულებით გამყიდველის ნაკლიდან წარმომობილი პასუხისმგებლობა გამორიცხული იყო.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§434. ნივთობრივი ნაკლი.

(1) ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი რისკის გადასვლის მომენტისათვის შეთანხმებული თვისებების მქონეა. თუ თვისებები არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება, 1. თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ან 2. თუ იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, ხოლო თვისებები ცხადყოფს, რომ ისინი ჩვეულებრივია ანალოგიური ნივთების შემთხვევაში და მოსალოდნელია მყიდველისათვის ნივთის სახეობის გათვალისწინებით. მე-2 წინადადების #2 მიხედვით თვისებები მოიცავს ასევე ისეთ მახასიათებლებს, რომელსაც მყიდველი შეიძლება ელოდოს გამყიდველის, მწარმოებლის (“უხარისხო პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ” კანონის §4 1-ლი და მე-2 ნაწილები) ან მისი დამხმარის მიერ ნივთის ცალკეული თვისებების თაობაზე საჯაროდ გამოთქმული შეხედულებებიდან გამომდინარე, მათ შორის, ნივთის რეკლამაში თუ დამახასიათებელი ნიშნების აღწერისას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა არ იცოდა და, აგრეთვე, არ უნდა სცოდნოდა გამოთქმული შეხედულებების შესახებ ან ხელშეკრულების დადების მომენტში იგი შესწორებულ იქნა ეკვივალენტური ღირებულების მეთოდით ანდა მას არ შეეძლო ყიდვის გადანყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენა. (2) ნივთობრივი ნაკლი სახეზეა მაშინაც, როდესაც გამყიდველის ან ამ უკანასკნელის დამხმარის მიერ შეთანხმებული მონტაჟი არაჯეროვნად ჩატარდა. გარდა ამისა, მონტაჟისათვის გათვალისწინებულ ნივთთან დაკავშირებით ნივთობრივი ნაკლი სახეზეა მაშინაც, თუ სამონტაჟო ინსტრუქცია ნაკლის მქონეა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთი დამონტაჟებულ იქნა უშეცდომოდ. (3) ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს სხვა ნივთს ან ნივთს მცირე რაოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 488. ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

1. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. 2. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

§437. მყიდველის უფლებები ნაკლის არსებობისას.

თუ სახეზეა ქვემოთ მოცემული ნორმების წინაპირობები და თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, თუ ნივთი ნაკლის მქონეა, მყიდველს შეუძლია, 1. მოითხოვოს დამატებითი შესრულება §439 მიხედვით, 2. უარი თქვას ხელშეკრულებაზე §440, 323 და 326 მე-5 ნაწილის მიხედვით ან მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება §441 მიხედვით და 3. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება §440, 280, 281, 283 და 331ა მიხედვით ანდა უშედეგოდ განეულები ხარჯების ანაზღაურება §284.

§446. რისკისა და ვალდებულებების გადასვლა.

გაყიდული ნივთის გადაცემით მყიდველზე გადადის მისი შემთხვევით დაღუპვისა და შემთხვევით გაუარესების რისკი. გადაცემის მომენტიდან მყიდველს ეკუთვნის ნივთის სარგებელი და მას ეკისრება ნივთის უფლებრივი ტვირთი. გადაცემას უთანაბრდება, თუ მყიდველი აცილებს ნივთის მიღების ვადას.

§447. რისკის გადასვლა ნივთის გაგზავნით ნასყიდობის შემთხვევაში.

(1) თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა ექსპედიტორს, გადააბარა ან გადაზიდვისათვის განსაზღვრულ სხვა პირსა თუ ორგანიზაციას. (2) თუ მყიდველმა გასცა სპეციალური განკარგულება აგზავნის ხერხის შესახებ და გამყიდველმა არსებითი მიზეზის გარეშე არ შეასრულა ეს განკარგულება, მაშინ გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე ამის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის.

მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას.

1. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. 2. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები. 3. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. 4. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

მუხლი 482. ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა.

1. გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

2. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადააბარა ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

§439. დამატებითი შესრულება.

(1) მყიდველს დამატებითი შესრულების სახით შეუძლია თავისი არჩევანით მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან უნაკლო ნივთის მიწოდება. (2) გამყიდველს ეკისრება დამატებითი შესრულების მიზნით განეული აუცილებელი ხარჯები, კერძოდ, გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯები. (3) გამყიდველს შეუძლია უარი თქვას მყიდველის მიერ არჩეულ დამატებითი შესრულების სახეზე §275 მე-2 და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, თუ დამატებითი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო ხარჯებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, კერძოდ, უნაკლო მდგომარეობაში ნივთის ღირებულება, ნაკლის მნიშვნელობა და საკითხი იმის შესახებ, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი ალტერნატიული დამატებითი შესრულებისათვის მიმართვა მყიდველისათვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე. მყიდველის მოთხოვნის უფლება აღნიშნულ შემთხვევაში შეზღუდულია ალტერნატიული დამატებითი შესრულებით; გამყიდველის უფლება, უარი თქვას ალტერნატიულ დამატებით შესრულებაზე 1-ლი წინადადების წინაპირობის გათვალისწინებით, უცვლელი რჩება. (4) თუ გამყიდველი დამატებითი შესრულების მიზნით აწვდის უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველისგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთი §346-348 მიხედვით.

§13. მომხმარებელი. მომხმარებელს წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს გარიგებას იმ მიზნით, რომელიც არ განეკუთვნება მის სამენარეო ან პროფესიულ საქმიანობას.

მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას.

1. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. 2. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები. 3. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. 4. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

§14. მენარმე. (1) მენარმეს წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამენარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. (2) უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას წარმოადგენს ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

§474. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ცნება.

(1) თუ მომხმარებელი მენარმისგან ყიდულობს მოძრავ ნივთს (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა), დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული ნორმები. აღნიშნული არ მოქმედებს მეორადი ნივთების მიმართ, რომლებიც იყიდება საჯარო აუქციონზე, რომელშიც პირადად მონაწილეობა შეუძლია მომხმარებელს. (2) წინამდებარე ქვეტიტულში მოწესრიგებული ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ გამოიყენება §439 მე-4 ნაწილი იმ პირობით, რომ სარგებელი არ იქნა მიღებული ან შეცვლილი თავისი ღირებულებით. §§445 და 447 არ გამოიყენება.

§475. კანონის ნორმებისაგან განსხვავებული შეთანხმებები.

(1) მენარმეს არ შეუძლია მიუთითოს მისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც მომხმარებლის საზიანოდ §§433-435, 437, 439-443, ისევე როგორც წინამდებარე ქვეტიტულის ნორმებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს. 1-ლ წინადადებაში მითითებული ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ უვლიან გვერდს სხვაგვარი გაფორმებით. (2) §437 მითითებული მოთხოვნების უფლებების ხანდაზმულობის ვადა მენარმისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე არ შეიძლება გარიგებით შემცირდეს, თუ შეთანხმებას მიეყვანათ ორ წელზე ნაკლებ ხანდაზმულობის ვადამდე კანონისმიერი ხანდაზმულობის ვადის დაწყებიდან ან მეორადი ნივთების მიმართ, – ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადამდე. (3) მიუხედავად §§307-309 1-ლი და მე-2 ნაწილები არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების გამორიცხვისა თუ შეზღუდვისათვის.

§476. მტკიცების ტვირთის გადასვლა.

თუ რისკის გადასვლის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში ნივთობრივი ნაკლი თავად გამოვლინდა, მაშინ ივარაუდება, რომ ნივთი უკვე რისკის გადასვლისას ნაკლის მქონე იყო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ვარაუდი არ შეესაბამება ნივთის ან ნაკლის ბუნებას.

§139. ნაწილობრივი ბათილობა.

თუ ბათილია გარიგების ნაწილი, მაშინ მთლიანად გარიგებაც ბათილია, თუ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ბათილი ნაწილის გარეშე.

მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა.

გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. მოტოციკლის შეკეთების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მოტოციკლის შეკეთების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 437-ის Nr. 1-სა და 439-ის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივის (სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივის) მიხედვით. ამ მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს მ-სა და გ-ს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობა და გადაცემული ნივთის ნაკლი. გარდა ამისა, დამატებითი შესრულების მოთხოვნა არ უნდა იყოს გამორიცხული.

1. ნივთის ნაკლი

მ-სა და გ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია. ამის გარდა, ნივთი უნდა იყოს ნაკლოვანი გსკ-ის 434-ე პარაგრაფის (სსკ-ის 488-ე მუხლის) შესაბამისად. მ-სა და გ-ს არ შეუთანხმებიათ ნივთის თვისებები (გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება) და არც ხელშეკრულებით იყო ნივთის გამოყენების რაიმე მიზანი განსაზღვრული. ამიტომაც ნივთის ნაკლი განისაზღვრება გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების Nr. 2-ის (სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 ალტერნატივის) მიხედვით. ნივთს უნდა ახასიათებდეს ის თვისებები, რაც აუცილებელია ამ ნივთით ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. მოტოციკლს თავისით არ უნდა ძვრებოდეს მაყუჩი და თუ ძვრება, ეს მას გამოუსადეგარს ხდის ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნივთი არის ნაკლოვანი.

ნივთის ნაკლი სახეზე უნდა იყოს რისკის გადასვლის მომენტისათვის, ანუ, გსკ-ის 446-ე პარაგრაფის (სსკ-ის 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, ნივთის გადაცემის მომენტისათვის. მოცემულ შემთხვევაში იმის დადგენა, ახასიათებდა თუ არა მოტოციკლს ეს ნაკლი უკვე გადაცემის მომენტში, ცალსახად არ ხერხდება. თუმცა გერმანიაში მომხმარებლის სასარგებლოდ, თუ

ის მენარმისაგან იძენს ნივთს, ივარაუდება, რომ გადაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლი მას ახასიათებდა ასევე გადაცემის მომენტშიც (გსკ-ის 476-ე პარაგრაფი). მოცემულ შემთხვევაში გამყიდველი ვერ მოახერხებს ამ ვარაუდის გაქარწყლებას.

2. ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამორიცხვა

მართალია, ნივთი აღმოჩნდა ნაკლოვანი, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით, აქ, შესაძლოა, გამორიცხული იყოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ამ ნაკლისათვის. საკითხავია, ნამდვილია თუ არა ამ პასუხისმგებლობის გამორიცხვა. პასუხისმგებლობის გამორიცხვის ნამდვილობის საწინააღმდეგოდ შეიძლება მეტყველებდეს გსკ-ის 474-ის 1-ლი ნაწილი და 475-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება – სამომხმარებლო ნასყიდობისას მენარმეს არ აქვს უფლება მიუთითოს ნივთის ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე.

2.1. სამომხმარებლო ნასყიდობა

სამომხმარებლო ნასყიდობას გსკ-ის 474-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად წარმოადგენს მოძრავი ნივთის ნასყიდობა მენარმესა და მომხმარებელს შორის. გსკ-ის მე-14 პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მენარმე არის პირი, რომელიც დებს ნასყიდობას მისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში გამყიდველი პროფესიულად არის დაკავებული მეორადი ავტომანქანების გასხვისებით და, შესაბამისად, არის კიდევ მენარმე. გსკ-ის მე-13 პარაგრაფის მიხედვით, მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც ნასყიდობას არ დებს არც სამენარმეო და არც საკუთარი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. ამ შემთხვევაში მყიდველმა მოტოციკლი შეიძინა პირადი მოხმარებისათვის, რის გამოც ის არის მომხმარებელი და სახეზეა სამომხმარებლო ნასყიდობა.

2.2. ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამორიცხვა სამომხმარებლო ნასყიდობისას

გსკ-ის 475-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად, მწარმოებელს არ შეუძლია მიუთითოს ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე, რომელიც მომხმარებელს ართმევს გსკ-ის 437-ე და 439-ე პარაგრაფებიდან (სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან) წარმომდგარ უფლებებს, თუ მისი შეთანხმება მოხდა გამყიდველის მყიდველისათვის ნაკლის შესახებ გამხელის მომენტამდე.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით გამორიცხული იყო მყიდველის ნაკლიდან წარმოშობილი ყველა უფლება, მათ შორის დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებაც, გამყიდველის მხრიდან ნაკლის გაცხადების გარეშე, რის გამოც მყიდველს არ აქვს ნაკლის ამ გამორიცხვაზე მითითების უფლება.

შედეგი: მყიდველს აქვს გამყიდველის მიმართ, დამატებითი შესრულების ფარგლებში, ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 437-ეს Nr. 1 და 439-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივის (სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

მყიდველს შეიძლება ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამყიდველის მიმართ გსკ-ის 437-ეს Nr. 3-ისა და 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 494-ეს 1-ლი ნაწილისა და 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი დარღვევა, ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით, სახეზეა.

1. ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამორიცხვა

როგორც ზემოთ ვახსენეთ, მ-მ და გ-მ შეთანხმებით გამორიცხეს ნაკლიდან წარმოშობილი ყველა მეორადი მოთხოვნა და, მათ შორის, დამატებითი შესრულების მოთხოვნასთან ერთად (რაც იყო არანამდვილი) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც.

თუმცა ისევე, როგორც დამატებითი შესრულების მოთხოვნის გამორიცხვისას, შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც გამყიდველს არ ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვაზე მითითების უფლება გსკ-ის 474-ეს 1-ლი ნაწილისა და 475-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად. სამომხმარებლო ნასყიდობისას მწარმეს არ აქვს უფლება, გსკ-ის 475-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად, მიუთითოს მომხმარებელს პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე.

2. ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა

თუმცა, გსკ-ის 475-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა გსკ-ის 475-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად, არ ვრცელდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვაზე. გამყიდველსა და მყიდველს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გამორიცხონ ნივთის ნაკლიდან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. საკითხავია, გამყიდველის მიერ მეორადი მოთხოვნის სრული გამორიცხვა, მიუხედავად იმისა, რომ სრულად ვერ იქნება ნამდვილი, რჩება თუ არა ძალაში ზიანის ანაზღაურების ნაწილი.

პასუხისმგებლობის სრულ გამორიცხვაზე შესაძლებელია დასაშვები იყოს გსკ-ის 139-ე პარაგრაფის (სსკ-ის 62-ე მუხლის) გამოყენება, რომლის მიხედვითაც ის ზიანის ანაზღაურების ნაწილში მაინც შენარჩუნდება.

მოცემული დანაწესის პირდაპირი გამოყენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ დანაწესი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც გარიგების ნაწილი არანამდვილია და არა შემთხვევას, როდესაც სადავოა, გარიგების ნაწილის ნაწილი (პასუხისმგებლობის გამორიცხვა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით) უნდა დარჩეს თუ არა ნამდვილი. თუმცა გერმანიის უმაღლესი სასამართლო მაინც იყენებს მოცემულ შემთხვევებზე გსკ-ის 139-ე პარაგრაფს (სსკ-ის 62-ე მუხლს) ანალოგიით. ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრება იმავე შედეგამდე მიდის “ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებით”,

ანუ ხელშეკრულებაში იმ, არგათვალისწინებული, პირობის ჩამატებით, რომელსაც მხარეები გაითვალისწინებდნენ, ამის აუცილებლობა წინასწარ რომ განეჭვრიტათ. გადამწყვეტია, მოცემულ შემთხვევაში მყიდველი და გამყიდველი შეათანხმებდნენ თუ არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვას, თუ წინასწარ განჭვრეტდნენ იმას, რომ პასუხისმგებლობის სრული გამორიცხვა იქნებოდა არანამდვილი.

ორივე მოსაზრება მოცემულ შემთხვევაში ერთი და იმავე შედეგამდე მიდის, პასუხისმგებლობის სრული გამორიცხვის დათქმის მხოლოდ ნაწილობრივი ბათილობის ან “ხელშეკრულების შემავსებელი განმარტების” მეშვეობით, შესაძლებელია ამ დათქმის მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ნაწილში შენარჩუნება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა არის ნამდვილი და მყიდველს არ აქვს მისი მოთხოვნის უფლება.

საბოლოო შედეგი: მყიდველს აქვს მხოლოდ ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება.

§ 3 ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად

ლიტერატურა: ACKERMANN, Schadensersatz statt der Leistung: Grundlagen und Grenzen, JuS 2012, 866; CANARIS, Begriff und Tatbestand des Verzögerungsschadens im neuen Leistungsstörungenrecht, ZIP 2003, 321; DAUNER-LIEB/DÖTSCH, Schuldrechtsreform: Haftungsgefahren für Zwischenhändler nach neuem Recht? DB 2001, 2535; EMMERICH, Rechtsprechungsübersicht, JuS 1994, 527; Bamberger/Roth/FAUST, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 1: §§ 1 - 610 CISG³ (2012), § 437 Rn. 55; HAAS/MEDICUS/ROLLAND/SCHÄFER/WENDTLAND, Das neue Schuldrecht (2002), Rn. 235; LORENZ, Grundwissen - Zivilrecht: Schadensarten bei der Pflichtverletzung, JuS 2008, 204; LORENZ/RIEHM, Lehrbuch zum neuen Schuldrecht (2002), Rn. 185; LOOSCHELDERS, Schuldrecht AT⁶ (2008), Rn. 575; KÖHLER/ST. LORENZ, Schuldrecht I - Prufe Dein Wissen²⁰ (2006); Palandt/HEINRICHS, BGB⁶⁷, § 280 Rn. 18.

მოვალემ, რომელიც ბრალეულად არღვევს თავის ვალდებულებას უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს, გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი და სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამით გამონეული ზიანი. თუმცა გერმანული დანაწესი თავის მე-2 და მე-3 ნაწილებში მიუთითებს დამატებით წინაპირობებზე ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის (გსკ-ის 286-ე პარაგრაფი, სსკ-ის მე-400 მუხლის ბ) ქვეპუნქტი). ეს არის გაფრთხილება. ასევე შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც (გსკ-ის 281-283-ე პარაგრაფები, სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები) მხოლოდ დამატებითი შესრულებისათვის ვადის მიცემის შემდეგაა შესაძლებელი.

ამ ორივე დათქმის მიზანი მდგომარეობს მოცემული ტიპის ზიანის ანაზღაურებადობის გართულებაში ამ დამატებითი წინაპირობების დანესების გზით⁴⁴. მოვალეს უნდა შეუნარჩუნდეს ვერგანხორციელებული შესრულების კიდევ ერთი შანსი ისე, რომ არ დასჭირდეს ზიანის ანაზღაურება და საბოლოოდ არ ჩაიშალოს გარიგებით დასახული მიზანი. ამგვარად, შესაძლებელია სამი ტიპის ზიანზე საუბარი. ესენია: „მარტივი“ ზიანის ანაზღაურება, ვადის გადაცილებით გამონეული ზიანის ანაზღაურება და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. პირველი ორი ტიპის ზიანი ერთიანდება „შესრულებასთან ერთად“ მოსათხოვი ზია-

44 ACKERMANN, JuS 2012, 865.

ნის ცნებაში⁴⁵ (ასევე: „შესრულების გვერდით“ მოსათხოვი ზიანის ანაზღაურება) და დიქტომიურ მიმართებაშია „შესრულების ნაცვლად“ ზიანის ანაზღაურებასთან. ამგვარი დიქტომია უკეთ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ პირველ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესრულების მოთხოვნას ძალაში ტოვებს და მის პარალელურად მიმდინარეობს, ხოლო მეორე მოთხოვნა კი შესრულების ფუნქციურ ჩამნაცვლებელს წარმოადგენს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

§280. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას. ...

მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას.

(1) თუ მოვალე არღვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე თავის ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

(2) ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ §286 დამატებითი პირობის გათვალისწინებით. (3) ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ §281, §282 ან §283 დამატებითი პირობების გათვალისწინებით.

§281. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას.

მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას.

(1) იმდენად, რამდენადაც მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მას, კრედიტორს შეუძლია §280 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მან უშედეგოდ დაუდგინა მოვალეს ვალდებულების შესრულების ან ჯეროვანი შესრულებისათვის გონივრული ვადა. ...

...

2. მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

(2) ვადის დანიშვნა ზედმეტია, თუ მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ უარს ამბობს ან თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების შედეგად ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაუყოვნებლივ რეალიზაციას.

3. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას.

(4) ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, როგორც კი კრედიტორმა მოითხოვა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

(5) თუ კრედიტორი ითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, მაშინ მოვალე უფლებამოსილია §§346-348 მიხედვით შესრულებულის უკან დაბრუნებაზე.

45 ACKERMANN, JUS 2012, 866; Bamberger/Roth/FAUST, § 437 Rn. 55.

§283. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება გამორიცხულია.

თუ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ვალდებულება §275 1-3 ნაწილების თანახმად, მაშინ კრედიტორს შეუძლია §280 1-ლი ნაწილის პირობების შესრულების გათვალისწინებით შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად გამოიყენება §281 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 ნაწილები.

§286. მოვალის მიერ ვადის გადაცილება.

(1) თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას კრედიტორის მხრიდან გაფრთხილებისას, რომელიც წარედგინება ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ, მაშინ იგი გაფრთხილების შეტყობინების შედეგად ითვლება ვადაგადაცილებულად. გაფრთხილებას უთანაბრდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა, ასევე – გადახდის ბრძანების ჩაბარება დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმის წარმოების პროცესში. (2) გაფრთხილება საჭირო არ არის, თუ 1. ვალდებულების შესრულებისათვის კალენდარული ვადა არის დადგენილი,

მუხლი 404. კრედიტორის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე.

კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 400. ცნება.

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა. შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ. შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

ქართული დანაწესი სიტყვასიტყვით არ იმეორებს გერმანულ გადანყვეტას, თუმცა შინაარსობრივად მაინც იმავე პარადიგმის ფარგლებში რჩება. საქართველოშიც, ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობას მოვალის გაფრთხილება წარმოადგენს, ხოლო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისას – ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის დანესება. მხოლოდ ვადის დანესების შემდეგ უთითებს კრედიტორი მოვალეს ცალსახად იმ ფაქტზე, რომ მას ამ ვადის ამონურვის შემდეგ აღარ შეუძლია ჰქონდეს იმედი, რომ

მარტოოდენ შესრულება იქნება საკმარისი კრედიტორის ინტერესის დასაკმაყოფილებლად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავდაპირველ ჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით⁴⁶. ამ მომენტიდან კრედიტორს უკვე შეუძლია აირჩიოს ნატურით შესრულებასა და მის მაგივრად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შორის.

1. გამიჯვნა „შესრულების ნაცვლად“ და „შესრულებასთან ერთად“ მოსათხოვ ზიანს შორის

პრობლემური პუნქტი კი „შესრულების ნაცვლად“ ზიანის დეფინიციასა და მასსა და „შესრულებასთან ერთად“ ზიანს შორის ზუსტი მიჯნის გავლებაში მდგომარეობს, რადგან არ არსებობს ერთიანი პასუხი შეკითხვაზე, თუ რა ჩაითვლება იმ საბოლოო მომენტად, რომლის შემდეგაც დამატებითი შესრულება უკვე შეუძლებელია. მთელ რიგ შემთხვევებში ეს შეიძლება იყოს გარეგანი ხდომილება, რომელიც საერთოდ შეუძლებელს ხდის შესრულების განხორციელებას (გსკ-ის 283-ე და 331ა პარაგრაფის მე-2 ნაწილი). სხვა შემთხვევაში კი, თავად კრედიტორის გადანყვეტილება, რომლის წინაპირობასაც უკვე ხსენებული ვადის დანესება წარმოადგენს. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში მოვალე, რომელიც არ ასრულებს, არ იმსახურებს მეორე შანსს, რის გამოც შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი⁴⁷.

გავრცელებული დეფინიციის თანახმად, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ემსახურება კრედიტორის „ექვივალენტურობის ინტერესის“ დაცვას (საკუთარი შესრულების სანაცვლოდ მიიღოს ექვივალენტური საპირისპირო შესრულება), ხოლო „შესრულებასთან ერთად მოსათხოვი ზიანი“ კი მისი „ინტეგრირირების ინტერესის“ (უკვე არსებული სიკეთეების შენარჩუნების ინტერესი) დაცვას; არაჯეროვანმა შესრულებამ არ უნდა დააზიანოს მისი სხვა, სახელშეკრულებო სფეროს მიღმა მდებარე სამართლებრივი სიკეთეები. ყველაზე სტანდარტული და ხშირად გამოყენებადი დეფინიცია „შესრულების ნაცვლად“ ზიანი-

46 ACKERMANN, JUS 2012, 866.

47 ACKERMANN, JUS 2012, 867.

სა შემდეგია: საქმე ეხება ზიანს, რომელიც დგება შესრულების საბოლოოდ ჩაშლის ან არაჯეროვნად განხორციელების გამო. მისგან განსხვავებით ზიანი, რომელიც დგება დამოუკიდებლად ჯეროვანი შესრულებისა, ანუ რომლის რეალიზებას ჯეროვანი შესრულებაც კი ვერ უშლის ხელს, წარმოადგენს შესრულებასთან ერთად ასანაზღაურებელ ზიანს, ანუ ზიანს შესრულებასთან ერთად.

მაგალითი⁴⁸: მყიდველის მიერ შეძენილი საჯიშე მამრი კატა აღმოჩნდება სოკოვანი ინფექციით დაავადებული და ამ დაავადებას მის სხვა ცხოველებს გადასდებს. მყიდველი ითხოვს როგორც ახალნაყიდი კატის, ასევე, სხვა ცხოველების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. პირველი წარმოადგენს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების საგანს, რადგან ის არ დადგებოდა, გამყიდველს დაპირებული შესრულება ჯეროვნად რომ შეესრულებინა – მიეწოდებინა უნაკლო ნივთი ან დამატებითი შესრულების ფარგლებში მოერჩინა დაავადებული კატა (გსკ-ის 439-ე პარაგრაფის 1-ლი, სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აქედან გამომდინარე, ეს ზიანი მყიდველს მხოლოდ მაშინ უნაზღაურდება გსკ-ის 437-ეს Nr. 3, 280-ეს 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადებისა და 281-ე პარაგრაფების (სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლის 1-3 ნაწილების) ურთიერთკავშირის საფუძველზე, თუ მყიდველმა მანამდე გამყიდველს დაუთქვა ვადა ვალდებულების შესრულებისათვის⁴⁹. რაც შეეხება სხვა ცხოველების მკურნალობის ხარჯებს, მათ ჯეროვანი შესრულების განხორციელების შემთხვევაშიც არაფერი ეშველება, ამიტომაც მათი მოთხოვნა უნდა მოხდეს შესრულებისაგან დამოუკიდებლად, ანუ შესრულებასთან ერთად. პირველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ექვივალენტურობის ინტერესის დარღვევა, მეორეში – ინტეგრირების.

შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურებას შორის მიჯნის დადება ყოველთვის ასე მარტი-

ვი არ არის და არ ხერხდება მხოლოდ ცნებების დონეზე ზიანის ტიპოლოგიური დაყოფით, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული ტიპის ზიანი ყოველთვის „შესრულებასთან ერთად“ ან „შესრულების ნაცვლად“ მოსათხოვ ზიანს განეკუთვნება. ამგვარი დაყოფისას მიუღებელი შემოსავალი ყოველთვის „შესრულების ნაცვლად“ ზიანს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან მისი ვერრეალიზება სწორედ ექვივალენტის ინტერესის დარღვევას წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, უფრო დამაჯერებელი მოსაზრება გერმანული დოქტრინაში გასამიჯნად იშველიებს ჰიპოთეტურ შეკითხვას – ჯერ კიდევ შესაძლებელია თუ არა ჯეროვანი შესრულებით ზიანის თავიდან აცილება⁵⁰? ამ გადაწყვეტის მიხედვით, ერთი და იმავე სახის ზიანი შეიძლება, ერთ შემთხვევაში, წარმოადგენდეს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების საგანს, ხოლო მეორეში – შესრულებასთან ერთად ასანაზღაურებელ ზიანს. მაგალითად⁵¹, იმ შემთხვევაში, როდესაც სეზონურ პროდუქტს ეხებოდა საქმე, მისი მიუწოდებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავალი სეზონის გასვლის შემდეგ უკვე შესრულებასთან ერთად ასანაზღაურებელ ზიანს წარმოადგენს (მას მიწოდების შემთხვევაშიც უკვე არაფერი ეშველება), ხოლო სეზონის განმავლობაში, როდესაც მისი მიწოდება ჯერ კიდევ შესაძლებელია, – შესრულების ნაცვლად მოსათხოვ ზიანს და მის მოსათხოვად ვადის დაწესება აუცილებელია.

2. ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი ნაკლოვანი შესრულებისას

ცხარე კამათის საგანს წარმოადგენს ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის საკითხი. ცალსახაა, რომ აუცილებელია ვადის გადაცილების წინაპირობების (გსკ-ის 286-ე პარაგრაფი, სსკ-ის მე-400 და მომდევნო მუხლები) არსებობა, თუ მოვალეს არ შეეარაცხება ბრალი თავდაპირველი ნაკლოვანი შესრულების მიმართ. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს

48 BGH, NJW 2007, 2619.

49 LORENZ, JUS 2008, 204.

50 LORENZ, JUS 2008, 204.

51 შდრ. KÖHLER/ST. LORENZ, Schuldrecht I - Prufe Dein Wissen, Fall 36.

მხოლოდ დამატებითი შესრულების ვადის გადაცილება (404).⁵² ამის საპირისპიროდ, არაცალსახაა თავდაპირველი ნაკლოვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ბედი – ასევე ისიც, უნდა ანაზღაურდეს თუ არა ის, როგორც ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი. ამ კონტექსტში პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. საწარმოს გაჩერების ან ზოგადად სარგებლის ვერმიღებით მიყენებულ ზიანს.

მაგალითი:⁵³ ა უკვე თავს თავისი რესტორნისათვის მწარმოებელ ბ-ს გაზქურას. მოგვიანებით ბ-ს მიერ მიწოდებული ქურის საწარმო დეფექტის გამო, რომელიც ბ-სათვის შესამჩნევი იყო, ქურა ორი კვირის შემდეგ ფუჭდება და რესტორნის სამზარეულოს პარალიზებას იწვევს, რის გამოც, ა იძულებულია დროებით დახუროს რესტორანი. ბ გაზქურის გამართვას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას ახერხებს მხოლოდ ორდღიანი შეკეთებითი სამუშაოების შემდეგ, თუმცა მთელი ამ დროის განმავლობაში რესტორნის დახურვის გამო ა ნახულობს ზიანს 20 000 ლარის ოდენობით, რომლის ანაზღაურებასაც ის ბ-საგან ითხოვს.

ცალსახაა, რომ საწარმოს გაჩერებით გამოწვეული ზიანი არ განეკუთვნება შესრულების ნაცვლად ასანაზღაურებელ ზიანს. ამის საპირისპიროდ საკამათოა ანაზღაურდება თუ არა ის პირდაპირ – რა თქმა უნდა, მოვალის ბრალის არსებობის შემთხვევაში – გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), თუ დამატებით აუცილებელია მოვალის მხრიდან ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობა. ერთი მოსაზრებით,⁵⁴ აქ ვადის გადაცილება აუცილებელი არ არის, გსკ-ის 280-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი და 286-ე პარაგრაფი (სსკ-ის 404-ე მუხლი) ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ზიანი უშუალოდ შესრულების დაყოვნებით არის გამოწვეული, რაც აქ სახეზე არ გვაქვს. შემთხვევა, როდესაც მოვალე შესრულების ვადის მოსვლის შემდეგ არაფერს აკეთებს და როდესაც ის ამ ვადის მოსვლის მომენტისთვის ნაკლოვან შესრულებას აწვდის

52 Bamberger/Roth/FAUST, § 437 Rn. 69.

53 DAUNER-LIEB/DÖTSCH, DB 2001, 2535.

54 Palandt/HEINRICHS, § 280 Rn. 18

კრედიტორს, ორი განსხვავებული შემთხვევაა. ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით მოვალე საფრთხის შემცველად იჭრება კრედიტორის ქონებრივ სიკეთეთა სფეროში. გარდა ამისა, გაფრთხილება, რომელიც აუცილებელია ვადის გადაცილების დასაფუძნებლად, ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში აზრს მოკლებულია. მას აქვს მოვალისათვის გამაფრთხილებელი სიგნალის მნიშვნელობა, რომელმაც, შესაძლებელია, შესრულების მყარად დადგენილი ვადის არარსებობის გამო, არ იცოდეს, რომ მეორე მხარეს სასწრაფოდ ესაჭიროება შესრულების საგანი. უნაკლო შესრულების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ასეთი გაურკვევლობა არ არსებობს.⁵⁵ საბოლოო არგუმენტის სახით მოჰყავთ ის გარემოება, რომ ამ ზიანის მოსათხოვად ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს კრედიტორს, რადგან გაფრთხილება, ჩვეულებრივ, მხოლოდ ზიანის ანაზღაურების შემდეგ ხდება ხოლმე – ნაკლი მანამდე, როგორც წესი, საერთოდ შეუმჩნეველია – რის გამოც, ეტაპობრივად დამდგარი ზიანის შემთხვევაში არსებობს თვითნებური დიფერენცირების საფრთხე იმისდა მიხედვით, ზიანი გაფრთხილებამდე დადგა თუ გაფრთხილების შემდეგ.

სხვა მოსაზრების⁵⁶ თანახმად, კანონმდებელმა შეგნებულად არ გამიჯნა ერთმანეთისაგან გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებაში (სსკ-ის 487-ე მუხლი) ნაკლოვანი შესრულება და შეუსრულებლობა, რის გამოც, საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, აუცილებელია ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობა. გამომდინარე იქიდან, რომ უნაკლობა მოვალის შესრულების ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს, ნაკლოვანი ნივთის მიწოდება ამავდროულად ყოველთვის არის უნაკლო შესრულების დაყოვნება. ის არგუმენტი, რომ მოვალე ნაკლოვანი შესრულებით საფრთხის შემცველად იჭრება კრედიტორის ქონებრივი სიკეთეების სფეროში, არ ამართლებს ამ ორი შემთხვევის განსხვავებულად გადანყვევებას. არსებული სიკეთეების დაზიანება შეიძლება წარმოადგენდეს დამცავი ვალდებულების ხელყოფას და ამართლებდეს ინტე-

55 CANARIS, ZIP 2003, 323.

56 LOOSCHELDERS, Schuldrecht AT, Rn. 575; DAUNER-LIEB/DÖTSCH, DB 2001, 2535.

გრიტეტის ინტერესის ანაზღაურებას გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, მაგრამ არა შესრულების ინტერესის ანაზღაურებას და არ წარმოადგენს, ამგვარად, საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს. გარდა ამისა, გაფრთხილების აუცილებლობა არ არის აზრს მოკლებული ასევე ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაშიც, რადგან მოვალემ შეიძლება არ იცოდეს საკუთარი შესრულების ნაკლის შესახებ. მიუხედავად ამ არგუმენტებისა, პირველი მოსაზრება უფრო ჰარმონიულად თავსდება ზიანის ანაზღაურების სისტემატიკაში. მაგალითად, არ დგება შემდეგი წინააღმდეგობრივი გადაწყვეტის წინაშე: თუ ბ-ს ქურა აფეთქდებოდა და გააფუჭებდა ა-ს სხვა მოწყობილობებს, რაც იქნებოდა რესტორნის გაჩერების რეალური მიზეზი, მაშინ ბ პასუხს აგებდა მხოლოდ გსკ-ის 280-ე პარაგრაფი 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, ხოლო ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში კი ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობა აუცილებელია.

კაზუსი: „პორშე 911-ის სპეციალური მოდელი“⁵⁷

ავთო (ა), რომელიც მანქანების გადაყიდვითა დაკავებული, საქმიან ურთიერთობაში იმყოფება პორშეს დისტრიბუტორ ბესოსთან (ბ). სს პორშე (პ) ატყობინებს ბ-ს, რომ სამომავლოდ იგეგმება პორშე 911-ის სპეციალური მოდელის შეზღუდული რაოდენობით გამოშვება და აინტერესებს, არის თუ არა ბაზარზე ამ მოდელის მიმართ ინტერესი. ბ შეატყობინებს ა-ს ამის შესახებ, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი შეუკვეთავს მას ამ მოდელს “მიწოდების დროისათვის არსებული ფასის შესაბამისად”. მოდელის კონკრეტული დეტალები – ფერი და ცალკეული მონაცემები, მიწოდებამდე უნდა შეათანხმონ. მანქანის მიწოდება უნდა მოხდეს მისი თავისუფალ გაყიდვაში გამოჩენასთან ერთად.

მოგვიანებით სს პორშე გადაწყვეტს, რომ ახალი მოდელი, რომელსაც მხოლოდ 200 ცალს გამოუშვებს, აღარ გაყიდოს დისტრიბუტორების მეშვეობით და პირდაპირ “ფაბრიკიდან” მიყიდოს წინასწარ გადამონმებულ კლიენტებს. ა-ს მოთხოვნას მანქანის მიწოდებასთან დაკავშირებით ბ უარყოფს პორშეს ამ გადაწყვეტილებაზე მითითებით. ბ ასევე არ არის მზად იყიდოს ეს მოდელი ბაზარზე, სადაც მას შეუსაბამოდ ძვირს აფასებენ. ა მანქანის გადაყიდვის შემთხვევაში მოიგებდა 363.000 ევროს, რომლის ანაზღაურებასაც ის ბ-საგან ითხოვს. ბ-ს არ უცდია პ-ს დარწმუნება მანქანის მიწოდებასთან დაკავშირებით.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 280-ეს 1-ლი და მე-3 ნაწილისა და 283-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3 ნაწილების) შესაბამისად ვალდებულების შეუძლებლობის⁵⁸ გამო

⁵⁷ შედგენილია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების (BGH NJW 1994, 515) მიხედვით.

⁵⁸ განსხვავებით ქართულისაგან, გერმანული სამართალი ცალკე ანესრიგებს (გსკ-ის 283-ე პარაგრაფი) შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია და ზედმეტად მიიჩნევა ამ დროს დამატებითი ვადის განსაზღვრას. ქართული სამართალი ამ შემთხვევას ცალკე არ გამოყოფს დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესების არააუცილებლობის (სსკ-ის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილი) სხვა შემთხვევებისაგან, რის გამოც მოთხოვნის საფუძველად სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3 ნაწილის მითითებასთან

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ე 1-ლი და მე-3 ნაწილისა და 283-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3 ნაწილების) შესაბამისად ვალდებულების შეუძლებლობისა და გამო. ამისათვის აუცილებელია მათ შორის წარმოშობილიყო ვალდებულებითი ურთიერთობა. ეს შეიძლება მომხდარიყო ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით, რისთვისაც, თავის მხრივ, აუცილებელია, რომ მხარეები შეთანხმებულიყვნენ ნასყიდობის საგანსა და ფასზე.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე ნასყიდობის საგანი საკმარისად იყო განსაზღვრადი. ნივთის ფასად მისი საბაზრო ღირებულების შეთანხმება მინოდების მომენტისათვის ასევე წარმოადგენს ჩვეულ სავაჭრო პრაქტიკას და ამგვარად არ უშლის ხელს ხელშეკრულების ნამდვილობას. ასევე ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ნასყიდობის საგანი საერთოდ არ არსებობდა, არ აქცევს ამ ვალდებულების შესრულებას შეუძლებლად, თუმცა ვალდებულების თავდაპირველი შეუძლებლობაც კი არ იქნებოდა მისი არანამდვილობის საფუძველი (გსკ-ის 311ა პარაგრაფი).

2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ბ-სათვის შესრულება შეიძლება გამხდარიყო შეუძლებელი, რადგან პორშე აღარ აპირებს გაყიდოს შეპირებული მოდელი დისტრიბუტორების გავლით, მათ შორის არც ბ-ს მეშვეობით. თუმცა, საკითხავია, დასაშვებია თუ არა გვაროვნული ნივთის მიწოდების ვალდებულება გახდეს შეუძლებელი.

2.1. ნამდვილი შეუძლებლობა

ნამდვილი შეუძლებლობა იწვევს მოვალის ვალდებულების გაქარწყლებას, დამოუკიდებლად მისი ბრალისა ამ შეუძლებლობა-

ერთად, აუცილებელია დაკონკრეტება, რომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი მდგომარეობს ვალდებულების შეუძლებლობაში, რათა განვასხვაოთ ეს მოცემულობა იმ შემთხვევებისაგან, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრა ასევე არ არის საჭირო.

ბის გამონკვევაში. მოცემულ შემთხვევაში მიყიდული ავტომანქანა ჯერ კიდევ მოიპოვება ბუნებაში, არ მომხდარა მისი არც კონკრეტიზაცია (რაც გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულებას ინდივიდუალური ნივთით შესრულების ვალდებულებად გადააქცევდა) და გარიგება არ ყოფილა არც აბსოლუტურად მყარად ფიქსირებულთარილიანი (რომლის გასვლის შემდეგაც ვალდებულების შესრულება ასევე შეუძლებელი იქნებოდა), რის გამოც ნამდვილი შეუძლებლობის შემთხვევა სახეზე არ გვაქვს.

გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულებიდან გამომდინარე, გამყიდველის ვალდებულება, რომელიც ნივთის შოვნასაც მოიცავს (გსკ-ის 276-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტი, სსკ-ის 382-ე და 397-ე მუხლები), აქ არ გაქარწყლებულა გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

2.2. „ფაქტობრივი შეუძლებლობის“ შესაგებელი

გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი მიხედვით, მოვალეს, რომელიც ipso iure არ გათავისუფლდა ნამდვილი შეუძლებლობის გამო, შეუძლია კრედიტორის მოთხოვნას შეაგებოს „ფაქტობრივი შეუძლებლობის“ შესაგებელი და ამით დააღწიოს თავი ვალდებულების შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში ნივთის შოვნის ვალდებულება შეიძლება გაქარწყლებულიყო, რადგან შეპირებული მანქანის ყიდვა მხოლოდ პორშეს ოფიციალური წარმომადგენლისაგან არის შესაძლებელი, რაც, კაზუსის თანახმად, შეუსაბამოდ ძვირი ჯდება.

საკითხავია, განეკუთვნება თუ არა ეს შემთხვევა გსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების სფეროს.

ა) გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი მოვალეს ანიჭებს შესრულებაზე უარის თქმის უფლებას, თუ ეს შესრულება მოითხოვს შეუსაბამო ხარჯებს, რომლებიც, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესს მნიშვნელოვნად აღემატება. ბ-მ ვალდებულების შეს-

რულების შემაფერხებელ გარემოებაზე მითითებით ეს შესაგებელი წარადგინა.

ბ) გარდა შესაგებლის წარდგენისა, აუცილებელია, რომ ფაქტობრივი შეუძლებლობის განმარტობებელი ფაქტორი რეალურად არსებობდეს, ანუ მოვალის მიერ შესრულებისათვის გასაწევი ხარჯები, რომელიც მოიცავს ასევე მის სამუშაო ძალასა და პირად დანახარჯებს, მნიშვნელოვნად აღემატებოდეს კრედიტორის ინტერესს შესრულების მიღებასთან დაკავშირებით. კრედიტორის ინტერესი შესრულების მიმართ განისაზღვრება (სულ მცირე) შესრულების საბაზრო ღირებულების მიხედვით, რაც ნიშნავს იმას, რომ პორშეს მოდელის გაძვირება ვერასოდეს გახდება გსკ-ის 275-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის გამოყენების წინაპირობა, რადგან, მანქანის მოსაპოვებლად მოვალის მიერ გასაწევ ხარჯებთან ერთად, იზრდება ასევე კრედიტორის ინტერესიც⁵⁹. ანუ გაზრდილ საბაზრო ღირებულებასთან ერთად იზრდება ასევე კრედიტორის ინტერესი შესრულების მიმართ. ამგვარად, სახეზე არ გვაქვს საერთოდ არანაირი, არათუ უხეში შეუსაბამობა.

ა-ს არ აქვს გსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით შესრულების შეუძლებლობაზე მითითების უფლება და ამგვარად შესრულების მოთხოვნაც არ გაქარწყლებულა.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 280-ე 1-ლი და მე-3 ნაწილისა და 281-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3 ნაწილების) შესაბამისად

1. ვალდებულებითი ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულების სახით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახეზეა.

2. ვალდებულების დარღვევა

ბ-მ შეიძლება არ შეასრულა და ამგვარად დაარღვია ნასყიდობიდან გამომდინარე მანქანაზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის ვალდებულება (გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწი-

ლის 1-ლი ნაწილი), სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

თუმცა ეს ვალდებულება შეიძლება გაქარწყლებული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე. გასვლის საფუძველს მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს ხელშეკრულების საფუძვლის დარღვევა სსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

2.1. გამყიდველისათვის ნივთის მიწოდება, როგორც ხელშეკრულების საფუძველი

ხელშეკრულების ორივე მხარისათვის შეცნობად საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბ თავად იყო დამოკიდებული სს პორშეს მიერ მანქანების მიწოდებაზე. ის, რომ ეს ასე არ მოხდა, ნიშნავს ხელშეკრულების საფუძველად ქცეული მხარეთა ამ წარმოდგენების გაცუდებას (გსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის, სსკ-ის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ხელშეკრულების საფუძვლის დარღვევის ინსტრუმენტის გამოყენებისათვის ასევე აუცილებელია, რომ დაუშვებელი იყოს ბ-საგან ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შესრულების მოთხოვნა. აქ, უპირველს ყოვლისა, ხელშეკრულების ფარგლებში რისკების გადაწინააღმდეგება გასათვალისწინებელი. ხელშეკრულების მხარე იმ რისკს, რომელიც მხოლოდ მის სფეროში ექცევა, ვერ გადააკისრებს მეორე მხარეს, მაშინაც კი, როდესაც ეს რისკი მეორე მხარისათვისაც ხელშეკრულების დადების მომენტში უკვე შეცნობადი იყო⁶⁰. ამგვარად, ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება⁶¹ გსკ-ის 313-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა (სსკ-ის 398-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა) და გასვლის უფლება გსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის) შესაბამისად გამორიცხულია, თუ შესრულების რისკის მხოლოდ ბ-ს სფეროში ექცეოდა.

60 შდრ. ამასთან დაკავშირებით კაზუსი: „გაუზომელი მინის ნაკვეთი“.

61 საქართველოში მისადაგების მოთხოვნა არ წარმოადგენს სასამართლო წესით განხორციელებად მოთხოვნას, შდრ. ამასთან დაკავშირებით კაზუსი: „გაუზომელი მინის ნაკვეთი“.

59 Palandt/HEINRICH, § 275 Rn. 28.

2.2. ნივთის „შოვნის“ ვალდებულება

ჩვეულებრივ, გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულება მოიცავს, ამავდროულად, ამ ნივთის შოვნის ვალდებულებასაც. „ნივთის შოვნა“, ამგვარად, ცალსახად გამყიდველის რისკის სფეროს განეკუთვნება. თუმცა სასამართლო პრაქტიკა აქედან გამონაკლისს უშვებს იმ შემთხვევისათვის, როდესაც, წინასწარ განუჭვრეტელი გარემოებების გამო, ვალდებულების შესრულება იმდენად გართულებულია, რომ ეს მოვალეს აღარ შეიძლება მოეთხოვოს.

მიუხედავად ამ გამონაკლისის დაშვებისა, შოვნის ვალდებულება ზოგადად მაინც ძალაში რჩება, ამიტომაც ეს საგამონაკლისო შემთხვევა მკაცრ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. მყიდველის მხრიდან მხოლოდ იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ გამყიდველს ნივთი ჯერ თავად აქვს მოსაპოვებელი, ამ უკანასკნელს არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებს. გამონაკლისის დაშვებისათვის აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობა. მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც გამყიდველი იმიტომ ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, რომ ჩაბმულია მწარმოებლის სადისტრიბუციო ქსელში და მწარმოებელი მას ნივთს არ აწვდის. ამ დროს მას შეუძლია მიენდოს მწარმოებლის საიმედოობას⁶², რადგან დისტრიბუტორების მიერ დადებული ხელშეკრულებების ჩაშლის შემთხვევაში, ამ უკანასკნელსაც ელახება რეპუტაცია. ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვირადღირებული ავტომობილების შემთხვევაში, თუმცა მოცემულ გარემოებაზე გამყიდველს მხოლოდ მაშინ აქვს მითითების უფლება, როდესაც მისი გამოთიშვა მწარმოებლის სადისტრიბუციო ქსელიდან მისთვის მოულოდნელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვაქვს რისკის გაცნობიერებულად აღება საკუთარ თავზე, რაც გამორიცხავს მოგვიანებით ხელშეკრულების საფუძვლის დარღვევის ინსტრუმენტის გამოყენებას.

2.3. „შოვნის“ ვალდებულების შესრულების მცდელობა

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველისათვის მოულოდნელი იყო მწარმოებლის მხრიდან მისთვის მანქანის მიწოდებაზე უარის თქმა, მას მაინც უნდა გამოეყენებინა მის

62 EMMERICH, JUS 1994, 527.

ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა მოეპოვებინა სასურველი ნივთი. ამ ბერკეტებს განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ავტომანქანის მიწოდების დაჟინებული მოთხოვნა მწარმოებლისაგან, მიუხედავად ამ უკანასკნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, აღარ გაყიდოს მანქანები დისტრიბუტორთა მეშვეობით.

ეს დამატებითი მოთხოვნა ასე ცალსახად უიმედო არ იყო, რადგან ბ სს პორშეს სადისტრიბუციო ქსელს განეკუთვნებოდა, თავად სს პორშემ მოსთხოვა მას გამოერკვია არსებობდა თუ არა ინტერესი ამ მოდელის მიმართ, რაც გულისხმობს მათ შორის გარკვეული ნდობის მომენტის არსებობას. მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს, თუ რამდენად შეეცადა ბ საკუთარი „შოვნის“ ვალდებულების შესრულებას. ის ფაქტი, რომ თავად სს პორშე არ აპირებდა პირდაპირ ა-სთან ნასყიდობის დადებას (ა, როგორც ჩანს, არ იყო პორშეს მიერ ამორჩეულ 200 მყიდველში), არ ათავისუფლებდა ბ-ს ვალდებულებისაგან, მოეხდინა ზემოქმედება პორშეზე, მისთვის მანქანის მიწოდების მიზნით, რათა მას ამ გზით შესძლებოდა ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

მოცემულ შემთხვევაში გსკ-ის 276-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტის (სსკ-ის 382-ე მუხლის) მიხედვით, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოვალემ საკუთარ თავზე აიღო ნივთის შოვნის რისკი, რის გამოც ის, საბოლოო ჯამში, პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე. ეს შოვნის რისკი სწორედ რომ მოიცავს ყველა იმ ქმედების განხორციელებას, რამაც, შესაძლებელია, ნაკისრი (მიწოდების) ვალდებულების შესრულებას შეუწყოს ხელი.

ბ-ს სულ მცირე კიდევ ერთხელ უნდა ეცადა ზემოქმედება მოეხდინა ა-ზე, რადგან, მაგალითად, რეგრესული მოთხოვნების წაყენებით დამუქრება, თავიდანვე უიმედოდ არ გამოიყურებოდა⁶³. იმის გამო, რომ მან ეს არ გააკეთა, პორშეს მიერ მანქანის მისთვის მიწოდებლობა, ისევე მისი რისკის სფეროს განეკუთვნება.

ბ-ს საკუთრების გადაცემის ვალდებულება არ გაქარწყლებულა გასვლის შედეგად.

63 BGH NJW 1994, 516.

3. ბ-ს მიუძღვის ასევე **ბრალი** ვალდებულების დარღვევაში, რადგან მან საკუთარ თავზე აიღო ნივთის „შოვნის“ რისკი (გსკ-ის 280-ეს 1-ლის მე-2 და 276-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 394-ეს 1-ლის მე-2 წინადადება, 395-ეს 1-ლი ნაწილის მე-2 ვარ. და 382-ე მუხლები).

4. დამატებითი შესრულების ვადის დაწესება

4.1. ვადის დაწესების აუცილებლობა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისას

საკითხავია, უნდა მიეცა თუ არა ა-ს ბ-სათვის დამატებითი შესრულებისათვის შესაბამისი ვადა მანამ, სანამ ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა გსკ-ის 280-ეს მე-3 და 281-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად). ეს დამოკიდებულია იმაზე, მიუღებელი შემოსავალი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, თუ ზიანის ანაზღაურებას შესრულებასთან ერთად, ანუ ზიანის ანაზღაურებას, რომლის მოთხოვნაც ხდება შესრულების მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად. განსხვავებით პირველისაგან, ამ უკანასკნელის მოთხოვნის წინაპირობას არ წარმოადგენს დამატებითი შესრულებისათვის ვადის დათქმა.

ერთი მოსაზრების თანახმად⁶⁴, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ცნების ქვეშ ერთიანდება ყველა ის ზიანი, რომელიც ეხმიანება მყიდველის ინტერესს მიიღოს სრული ღირებულების მქონე ნივთი, ვარგისი ხელშეკრულებით წინასწარ გამიზნული სარგებლობისათვის (ექვივალენტურობის ინტერესი). ამ შემთხვევაში ეს (მიუღებელი) შემოსავალი სწორედ ჯეროვანი შესრულებით მისაღები სიკეთე იქნებოდა და შესრულების ნაცვლად ზიანის ცნებაში მოექცეოდა.

შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად ზიანის ამგვარი გამიჯვნის შემთხვევაში, ამ უკანასკნელი ცნების ქვეშ გაერთიანდებოდა ის ზიანი, რომელიც მყიდველის სხვა სამართლებრივ სიკეთეებს ადგება ნაკლოვანი ნივთიდან გამომდინარე – ე. წ. ინტეგრირების ინტერესის დარღვევა.

64 BGHZ 77, 218.

სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს გაბატონებული მოსაზრება⁶⁵, უდგება რა მას ტელეოლოგიური კუთხით. ამ მოსაზრების მიხედვით, შესრულების ნაცვლად და შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების გამიჯვნისათვის გადამწყვეტია, აქვს თუ არა აზრი დამატებითი ვადის დანიშვნას, ანუ: შესაძლებელი იყო თუ არა კონკრეტული ზიანის თავიდან აცილება, ჰიპოთეტურად დაშვებული, დროული დამატებითი შესრულებით.

ნაკლოვანი შესრულების თანმდევი ტიპიური ზიანი, რომელიც ადგება კრედიტორის სხვა სამართლებრივ სიკეთეებს, ერთიანდება გსკ-ის 280-ეპარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) ქვეშ – შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება, რადგან მათ დროული შესრულებითაც უკვე არაფერი ეშველება.

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას კი განეკუთვნება ნივთის შემცირებული ღირებულება, მისი შეკეთების ხარჯები და მიუღებელი შემოსავალი.

გამიჯვნის ორივე კრიტერიუმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი შესრულების ნაცვლად ზიანის ცნების ქვეშ ექცევა, რადგან სავარაუდოა, რომ ა ჯერ კიდევ მიიღებდა მას ბ-ს მხრიდან დროული შესრულებით და გარდა ამისა, ეს ზიანი გამომდინარეობს იქიდან, რომ მყიდველმა დროულად ვერ მიიღო ჯეროვანი შესრულება და არა ამ შესრულებით მისი სხვა ნივთების დაზიანებიდან.

4.2. ვადის დაწესების არასავალდებულობა

მიუხედავად მიუღებელი შემოსავლის შესრულების ნაცვლად ზიანის ცნების ქვეშ გაერთიანებისა, შესაძლებელია, ვადის დაწესება მაინც არ იყოს სავალდებულო და ა-ს მის გარეშეც შეეძლოს ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ეს შემთხვევა მაშინ გვაქვს სახეზე, თუ გსკ-ის 281-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2) ნაწილით გათვალისწინებული ვადის დაწესება ზედმეტი

65 LORENZ/RIEHM, Schuldrecht, Rn. 185; HAAS/MEDICUS/ROLLAND/SCHÄFER/WENDTLAND, Das neue Schuldrecht, Rn. 235 და შემდგომი გვერდი.

იქნებოდა, გსკ-ის 281-ე პარაგრაფის მე-2 (სსკ-ის 394-ე მუხლის მე-3) ნაწილის მიხედვით, იმ მიზეზით, რომ ის აშკარად უშედეგოდ დარჩებოდა.

მოცემულ შემთხვევაში ბ-მ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მისთვის შეპირებული მანქანის შოვნა (სუბიექტურად) შეუძლებელი იყო და ნაკლებსავარაუდო იყო, რომ უახლოეს მომავალში ამასთან დაკავშირებით რამე შეიცვლებოდა. ამით მან ცხადყო, რომ დამატებითი ვადის დაწესებას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რაც მის დაწესებას, როგორც ზიანის ანაზღაურების წინაპირობას, ზედმეტად აქცევს.

საბოლოო შედეგი: ა-ს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 280-ე 1-ლი და მე-3 ნაწილისა და 281-ე პარაგრაფის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-3 ნაწილების) შესაბამისად.

მოთხოვნის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება გსკ-ის 249-ეს 1-ლი ნაწილისა და 252-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 408-ეს 1-ლი ნაწილისა და 411-ე მუხლის 1-ლი წინადადების შესაბამისად).

ამასთან, გერმანულ სამართალში მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნისას მოქმედებს ე. წ. ზიანის აბსტრაქტული დაანგარიშების ხერხი (გსკ-ის 252-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადება), რომლის მიხედვითაც მოთხოვნის წარმდგენს მტკიცების ტვირთი უმსუბუქდება. საქართველოში ეს 411-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან ასე ცალსახად არ გამომდინარეობს. ეს წინადადება უფრო მიუღებელი შემოსავლის დეფინიციას წარმოადგენს, ვიდრე მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას.

§ 4 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

ლიტერატურა: Bamberger/Roth/Hau/Poseck/LORENZ, BeckOK BGB⁵⁰ (2019), § 313; EMMERICH, Das Recht der Leistungsstörungen⁶, München 2005, § 27 Rn. 5 ff.; MüKo/FINKENAUER, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil §§ 241-432⁶ (2012), § 313 Rn. 20 ff.

„გარიგების საფუძვლის დარღვევა“ წარმოადგენს სამართლის ინსტიტუტს, რომელიც კოდიფიცირებული ფორმით მხოლოდ გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. ეს ინსტიტუტი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც მხარეს ან მხარეებს ხელშეკრულების უცვლელი პირობებით დაცვა არ შეიძლება მოეთხოვოთ, რადგან გარემოებები, რომელიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, შეიცვალა ან მხარეებმა ხელშეკრულება დაუკავშირეს წარმოდგენას, რომელიც შემდგომში არასწორი აღმოჩნდა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§313. გარიგების საფუძვლის დარღვევა. (1) თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი იმ ფარგლებში, რომლებშიც – ცალკეული შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით, კერძოდ კი, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რისკის განაწილება, – ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა. (2) გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. (3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია ან მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ამაზე დათანხმება, მაშინ დაზარალებულ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 398. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. 2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. 3. მხარეები ვერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

„გაუზომელი მიწის ნაკვეთი“⁶⁶

ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულებით ა-მ ქალაქის მერიის წინაშე იკისრა ვალდებულება გადაეცა მისთვის გაუზომელი მიწის ნაკვეთი „დაახლოებით 28.699 კვ.მ.“, რომელიც მონიშნული იყო ხელშეკრულებისათვის თანდართულ ნახაზზე. ამის საპირისპიროდ, ქალაქი გადასცემდა მას გაზომილ, 28.699 კვ.მ. მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების პუნქტში „პასუხისმგებლობა ნაკლისათვის“ მხარეებმა გამორიცხეს ნივთობრივი ნაკლიდან წარმოშობილი უფლებები და დაადგინეს, რომ არც ერთი მხარე არ კისრულობდა გარანტიას მიწის ნაკვეთის ზომასა და სხვა თვისებებთან დაკავშირებით.

ა-ს ნაკვეთის გაზომვის შედეგად მისი მოცულობა განისაზღვრა 18.632 კვ.მ.-ით, რის შემდეგაც ქალაქმა მოსთხოვა ა-ს, რომელიც უკვე დარეგისტრირებული იყო საადგილმამულო წიგნში, როგორც მესაკუთრე, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მას შემდეგ, რაც ა-საგან უარი მიიღო, როგორც ხელშეკრულების მისადაგებასთან დაკავშირებით, ასევე ყველა დანარჩენ წინადადებაზე, ქალაქმა განაცხადა ხელშეკრულებიდან გასვლა.

ქალაქი ითხოვს სასამართლო წესით საკუთრების უკან გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებით 18.120.60 ევროს გადახდას.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის დაბრუნების მოთხოვნა

მერიას შეიძლება ჰქონდეს ა-ს მიმართ ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის დაბრუნების მოთხოვნა გსკ-ის 313-ეს მე-3 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

1. ნასყიდობის ხელშეკრულება

ამისათვის აუცილებელია, რომ ა-სა და ქალაქის მერიას შორის დადებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება ვერ დაიდებოდა, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ

ნასყიდობის საგანზე. თუ ხელშეკრულების საგანი, ან რაიმე სხვა არსებითი ან არაარსებითი პირობა არაცალსახაა, აუცილებელია განმარტების მოშველიება. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა ნასყიდობის საგნის იდენტიფიცირებისათვის გამოიყენეს ორი ურთიერთგამომრიცხავი კრიტერიუმი – მიწის ნაკვეთი, რომელიც მონიშნულია საკადასტრო რუკაზე და მიწის ნაკვეთი, რომელიც არის „დაახლოებით 28.699 კვ.მ.“. ეს ორი შეთანხმება ერთმანეთს გამორიცხავს – საკადასტრო რუკაზე დატანილი მიწის ნაკვეთი არ არის დაახლოებით 28.699 კვ.მ. ფართობის მქონე. რადგან ნასყიდობის საგნის აღმნიშვნელი ეს ორი დათქმა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, შესაძლებელია, ნასყიდობის საგანი არ ჩაითვალოს შეთანხმებულად, ხოლო ნასყიდობა – დადებულად. თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული „დაახლოებით 28.699 კვ.მ.“ მიწის ნაკვეთი და ასევე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკადასტრო მონახაზი ამ მიწის ნაკვეთისა, არათანაბარი ძალისაა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა, არ იწვევს ხელშეკრულების არანამდვილობას მისი საგნის გაურკვევლობისდა გამო. მხარეთა ნების განმარტების შედეგად ცალსახაა, რომ ამ ორი შეთანხმების ურთიერთაცდენის შემთხვევაში გადამწყვეტი უნდა იყოს ის, რაც ნახაზზეა დატანილი. მართალია, მოსარჩელისათვის (ქალაქის მერიისათვის) გადამწყვეტი იყო მიწის ნაკვეთის ფართობი და ის იმედოვნებდა, რომ ეს ფართობი იქნებოდა 28,699 კვ.მ., მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მის მიერ ობიექტურად გამოხატული ნება უკავშირდებოდა ნახაზზე არსებულ მიწის ნაკვეთს. ის გარემოება, რომ ეს ნების გამოხატვა განპირობებული იყო შეცდომით, შესრულების საგნის განსაზღვრისათვის უმნიშვნელოა. მხარეებს შორის დაიდო ნამდვილი ნასყიდობა.

2. გარიგების საფუძვლის მოშლა

2.1. კონკურენცია ნივთის ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან

ქალაქის მერიას შეიძლება ჰქონდეს ამ ნამდვილი ნასყიდობის შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებისა ან ხელშეკრულებით

⁶⁶ BGH, Urt. v. 30.09.2011 – V ZR 17/11.

ბიდან გასვლის მოთხოვნა, თუ სახეზეა გსკ-ის 313-ე პარაგრაფის (სსკ-ის 398-ე მუხლის) წინაპირობები. თუმცა გსკ-ის 313-ე პარაგრაფი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ შეუძლებელია სხვა, უფრო სპეციალური, დანაწესის მოშველიება. გარიგების შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების ინსტიტუტი არ გამოიყენება, როდესაც შესაძლებელია, მაგალითად, ნაკლოვანი ნივთის გამო პასუხისმგებლობის წესების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გსკ-ის 437-ე და მომდევნო პარაგრაფებით (სსკ-ის 488-ე და მომდევნო მუხლებით) გათვალისწინებული რისკის გადაწინააღმდეგება ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის წესების მიხედვით შეიცვლებოდა. მაგალითად, ნასყიდობის დარღვევისას მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხოლოდ დამატებითი ვადის მიცემის შემდეგ აქვს. ამ დამატებითი ვადის აუცილებლობის გვედრის ავლით მან ვერ უნდა შეძლოს პირდაპირ გასვლის ან მისადაგების მოთხოვნა გარიგების საფუძვლის დარღვევის გამო. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მხარეთა შეთანხმებით პასუხისმგებლობა ნაკლისათვის გამორიცხულია – სწორედ იმიტომ გამორიცხავენ მხარეები პასუხისმგებლობას ნაკლისათვის, რომ არ აგონ პასუხი ნივთის ნაკლისათვის, არა მხოლოდ ნასყიდობის სამართლით, არამედ ასევე არც სხვა დანაწესების მიხედვით.

მაგრამ ნაკლისათვის პასუხისმგებლობას უპირატესობა ენიჭება მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს გარემოება მართლაც წარმოშობდა ამ პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში ნაკლი საერთოდ არ გვაქვს სახეზე, რადგან შეთანხმებულ ნივთად ითვლება ნახაზზე მონიშნული მინის ნაკვეთი და ეს ნაკვეთი არ არის ნაკლოვანი. ამ შემთხვევაში ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა და გარიგების საფუძვლის დარღვევა არ კონკურირებს, რის გამოც შესაძლებელია ამ უკანასკნელი ინსტრუმენტის გამოყენება.

2.2. გარიგების საფუძვლის დარღვევის წინაპირობები

გსკ-ის 313-ე პარაგრაფის (სსკ-ის 398-ე მუხლის) წინაპირობებია:

1. გარემოება, რომელიც შეიცვალა, ან მხარეების წარმოდგენა, რომელიც გაცუდდა უნდა გამხდარიყო გარიგების საფუძველი (ე. წ. ფაქტობრივი ელემენტი):

გარიგების სუბიექტურ საფუძველს განეკუთვნება მხარეთა საერთო წარმოდგენები, ან ერთი მხარის წარმოდგენა, რომელიც მეორე მხარისათვის ცხადი გახდა და უკავშირდება რაიმე სამომავლო განსაზღვრული გარემოების დადგომა-არდადგომას, რომელსაც ემყარებოდა გარიგების ნება. ამ საერთო საფუძველს არ განეკუთვნება გარემოებები, რომელიც ექცევა მხოლოდ ერთი მხარის რისკის სფეროში. კერძო ავტონომია გულისხმობს არა მხოლოდ თავისუფლებას, არამედ ასევე პასუხისმგებლობასაც, მხარემ უნდა ატაროს რისკი, რომელიც მომდინარეობს მისი სფეროდან. მაგალითად, თუ ერთი მხარე იმედოვნებდა, რომ უახლოეს მომავალში ფულს იშოვნიდა და გადაიხდიდა ამით ნასყიდობის ფასს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ეს წარმოდგენა მეორე მხარისათვისაც ნათელი იყო, ის მაინც არ განეკუთვნება საერთო წარმოდგენას და არ იქცევა გარიგების საფუძველად.

მოცემულ შემთხვევაში მხარეებს ჰქონდათ საერთო წარმოდგენა, რომ მინის ნაკვეთი იყო გარკვეული ფართობის მქონე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ნაკვეთი აღმოჩნდა საგრძნობლად პატარა, შეიძლება ხვდებოდეს მოსარჩელის (ქალაქის) რისკის სფეროში, რომელმაც თვითონ თქვა უარი ნაკლის შემთხვევაში მოვალის პასუხისმგებლობაზე. ნივთის ფართობი ამ შემთხვევაში ექცეოდა მოპასუხის, ანუ ქალაქის, ინტერესების სფეროში. ნივთის თვისებები – მათი არსებობა-არარსებობა – არის გამყიდველის ინტერესებში იმდენად, რამდენადაც ის პასუხს აგებს ამ თვისებასთან დაკავშირებით. მაგრამ, თუ მეორე მხარე გამორიცხავს ამ პასუხისგებას, ანუ თანახმაა შეიძინოს ნივთი ისეთი, როგორიც არის თავისი ნაკლითურთ, მაშინ გამყიდველს აღარ აინტერესებს, თუ რა თვისებისაა ნივთი; ეს აინტერესებს მხოლოდ მყიდველს. შესაბამისად, ზოგადი წესია, რომ ვისაც რა აინტერესებს, ის უნდა გადაამონოს კიდევ. თუმცა მოცემულ შემთხვევაში საერთო წარმოდგენების გაცუდება არ წარმოადგენს ნაკლს, შესაბამისად, ვერ იქნება რისკის მყიდველისათვის გადაკისრების საფუძველი. საერთო წარმოდგენა უკავშირდებოდა ამ შემთხვევაში არა ნივთის კონკრეტულ თვისებებს, არამედ ექვივალენტურობას გაცვლილ მინის ნაკვეთებს შორის. შესაბამისად, წარმოდგენა მოპასუხის მინის ნაკვეთის ფართობთან

დაკავშირებით გახდა კიდევ გარიგების საფუძველი. გარიგების საფუძველი დაირღვა, რადგან მხარეთა საერთო მოლოდინი გაცვლილი ნივთების ფართობების თანაფარდობასთან დაკავშირებით გაცუდა.

2. მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას, თუ გაცუდებული წარმოდგენა მათთვის თავიდანვე ცხადი იქნებოდა (ე. წ. ჰიპოთეტური ელემენტი).

3. გარიგების საფუძვლის დარღვევიდან წარმომდგარი უფლებების უკანასკნელ წინაპირობას წარმოადგენს ე. წ. ნორმატიული ელემენტი – მხარეს არ უნდა მოეთხოვებოდეს ხელშეკრულების პირობების უცვლელად დაცვა. მოცემულ შემთხვევაში ქალაქს არ შეიძლება მოეთხოვოს, თავისი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ დასჯერდეს 10 000 კვ. მ.-ით ნაკლებ მიწის ნაკვეთს.

გარიგების საფუძვლის დარღვევისას დაინტერესებულ მხარეს აქვს გარიგების მისადაგების მოთხოვნის უფლება, რომლის შეუძლებლობის შემთხვევაში შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც გარიგების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისათვის წარმოადგენს სასამართლო წესით განხორციელებად უფლებას, საქართველოში, სსკ-ის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილში, მისადაგება მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუ მეორე მხარე არ ეთანხმება მისადაგებას, მაშინ დაინტერესებულ მხარეს აქვს მხოლოდ გასვლის უფლება. გერმანიაში მისადაგებას შეუძლებელს არ ხდის ის გარემოება, რომ ერთი მხარე მასზე უარს ამბობს. ერთი მხარის უარი მისადაგებაზე მეორე მხარეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ანიჭებს უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ის ჯერ უნდა შეეცადოს სასამართლო წესით განხორციელოს თავისი უფლება. ამისაგან განსხვავებით, საქართველოში მხარის უარი მისადაგებაზე საკმარისია პირდაპირ გასვლის „მოთხოვნაზე“ გადასასვლელად.

თუმცა გერმანიაშიც მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშე-

თანხმებით გავიდნენ ხელშეკრულებიდან, მისადაგების ეტაპის გამოტოვებით. მეორე მხარის თანხმობა, რომელიც მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას გავიდეს ხელშეკრულებიდან ითვლება კონკლუდენტურად გაცხადებულად, თუ ის სასამართლოზე მხოლოდ გსკ-ის 313-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილის (სსკ-ის 398-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის) წინაპირობებს ხდის სადაოდ. მოცემულ კაზუსი სწორედ ასეთი შემთხვევა გვაქვს სახეზე, რადგან მოპასუხემ სადავო გახდა მოსარჩელის მხოლოდ ის უფლებები, რომელიც მას შეიძლებოდა წარმოშობოდა ნაკვეთების ფართობებს შორის სხვაობიდან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის უფლება გსკ-ის 313 პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით არსებობდა, მას არც ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი შედეგები და არც გასვლის ნამდვილობა (მისადაგების მოთხოვნის გამოყენების გარეშე) არ გაუპროტესტებია.

საბოლოო შედეგი: მერიას აქვს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ამ ხელშეკრულებით მიღებულის, მიწის ნაკვეთზე საკუთრებისა და მფლობელობის, უკან მოთხოვნის უფლება გსკ-ის 313-ეს მე-3 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 398-ეს მე-3 და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

კაზუსი: „კაროლინის კუნძულები“⁶⁷

კარლ ბიდერმაიერი (კ) ვაჭრობს საკოლექციო მარკებით. ერთ დღესაც ის უგზავნის თავის კლიენტს ჰანსს (ჰ) სერიიდან „გერმანული კოლონიები“ მარკას – „კაროლინის კუნძულები“ – თანდართული წერილით:

„გიგზავნით შესანიშნავ მარკას თქვენი კოლექციის შესავსებად. ნამდვილი ფასი: 1900 ევრო, მაგრამ თქვენთვის, როგორც მუდმივი კლიენტისათვის – 1500 ევრო. მარკის დასათვალისწინებლად გაქვთ ორი კვირა, თუ ამ დროის განმავლობაში მას უკან არ გამოგიგზავნით, ჩემი შემოთავაზება ჩაითვლება მიღებულად.“

ჰანსი, მარკის თანდართული წერილით მისვლის მომენტისათვის, სახლში არ იმყოფება. მისი ცოლი კლარა, ამ მარკას მოათავსებს ჰანსის სანერ მაგიდაზე და შემდეგ გავმგზავნება დასასვენებლად მეგობრებთან ერთად. ჰანსი, რომელიც მხოლოდ საღამოს დაბრუნდება სახლში, იპოვის რა საკუთარ მაგიდაზე მარკას, ვერ შეამჩნევს იქვე დადებულ ანგარიშსა და წერილს და მიიჩნევს მას ცოლის საჩუქრად. დაღლილობის მიუხედავად, გადახედავს თავის მარკების კოლექციას, მოათავსებს ახალ მარკას „მარიანას კუნძულებისა“ და „გერმანული ახალი გვინეის“ გვერდით და, საოცრად კმაყოფილი „გერმანული კოლონიების“ სერიის შევსებით, დაიძინებს.

მეორე დღეს კ ერთ-ერთი რიგითი კატალოგის დათვალისწინებისას აღმოაჩინებს, რომ მის მიერ ჰ-სათვის გაგზავნილი მარკა იყო ძალზე იშვიათი ცთომილი მარკა, მასზე გამოსახულ გერმანულ გემს ორი ანძის მაგივრად აქვს სამი, რის გამოც მისი ფასი ბაზარზე როგორც მინიმუმ 15000 ევროა. კ საღამოსვე უკავშირდება ჰ-ს, აუწყებს შეცდომის შესახებ და სთხოვს მარკის უკან დაბრუნებას. თუმცა ჰ, რომელმაც ამასობაში აღმოაჩინა, რომ მარკა არ წარმოადგენდა ცოლის საჩუქარს, სხვა აზრზეა და მზად არის იშვიათი მარკის შენარჩუნებას 15000 ევროც კი შესწიროს. ეს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს კ-ს, რომელსაც უკვე გამოუჩნდა ცთომილი მარკების შემგროვებელი ამერიკელი კლიენტი, რომელიც ნებისმიერ სხვა კლიენტთან შედარებით ორჯერ მეტს იხდის.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

67 კაზუსი და მისი ამოხსნაც ნაწილობრივ შედგენილია ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორ ფილიპო რანიერის 1992 წლის ზაფხულის სემესტრის საგამოცდო კაზუსის მიხედვით, საგანში: „სავარჯიშოები სამოქალაქო სამართალში“.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§241ა. შეკვეთის შეუსაბამო შესრულებები.

(1) მენარმის მიერ მომხმარებლისათვის შეუკვეთავი ნივთების მიწოდება ან შეკვეთის შეუსაბამო სხვა შესრულების განხორციელება არ წარმოშობს ამ უკანასკნელისადმი მოთხოვნის უფლებას. (2) კანონის მიერი მოთხოვნის უფლებები არ არის გამორიცხული, თუ ვალდებულების შესრულება მიმღებლისათვის არ იყო განკუთვნილი ან იყო იმ მცდარი წარმოდგენის შედეგი, რომ ადგილი ჰქონდა შეკვეთას და მიმღებმა იცოდა ამის შესახებ ან მას შეეძლო სცოდნოდა, სამოქალაქო ბრუნვაში სათანადო მზრუნველობა რომ გამოეჩინა. (3) შეკვეთის შეუსაბამო შესრულებას ადგილი არა აქვს, თუ მომხმარებელს შეკვეთილი შესრულების ნაცვლად სთავაზობენ ხარისხისა და ფასის მიხედვით ეკვივალენტური ღირებულების შესრულებას და მას მიეთითა, რომ იგი ვალდებული არ არის შეთავაზების მიღებაზე და მას არ ეკისრება უკან გამოგზავნის ხარჯების ანაზღაურება.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. კ-ს მოთხოვნა გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ალტერნატივის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) მიხედვით

კ-ს შეიძლება ჰქონდეს ჰ-საგან შესრულების კონდიქციით ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ალტერნატივის (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტის) მიხედვით.

ამისათვის აუცილებელია, ჰ-ს მოეპოვებინა „რაიმე“, კ-ს შესრულებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ჰ-მ მოიპოვა სულ

მცირე მფლობელობა ნივთზე, კ-ს შესრულებით – სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შეესებით. საკითხავია, ნამდვილია თუ არა მოპოვების სამართლებრივი საფუძველი – ნასყიდობის ხელშეკრულება.

1. ნასყიდობის ხელშეკრულება

ა) ოფერტი

ნასყიდობის ხელშეკრულება კ-სა და ჰ-ს შორის შეიძლება დადებულიყო ოფერტისა და აქცეპტის გზით, გსკ-ის 145 და შემდგომი პარაგრაფები (სსკ-ის 329-ე მუხლი და შემდგომი). ოფერტი შეიძლება გადაეცემა კ-ს, მარკის გაგზავნით. მარკა თანდართული წერილით შეიცავდა ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და გაკეთებული იყო სამართლებრივი ბოჭვის ნებით, რის გამოც წარმოადგენდა ე. წ. რეალურ ოფერტს, როდესაც ხელშეკრულების დადება ხდება უშუალოდ შესრულების შეთავაზებით.

ბ) აქცეპტი

საკითხავია, მიიღო თუ არა ჰ-მ კ-ს აქცეპტი დუმილით. დუმილი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს სამართლებრივ ნულს. მართალია, მხარეებს შეუძლიათ მიანიჭონ მას განსხვავებული მნიშვნელობა ურთიერთშეთანხმებით, თუმცა კ-ს ცალმხრივი დათქმით ამის გაკეთება შეუძლებელია. ეს გამომდინარეობს ასევე გსკ-ის 241ა პარაგრაფის 1-ლი ნაწილიდან, რომლის მიხედვითაც, შეუკვეთავი ნივთის მიწოდებით ხელშეკრულება არ იდება. თუმცა კ-ს ოფერტი შეიძლო მიეღო კონკლუდენტური ქცევით – მარკების ჩანყობით. ეს ქცევა ობიექტური მიმღების თვალსაწიერადან აღიქმება, როგორც აქცეპტი, ის ფაქტი, რომ კ-ს ამ დროისათვის მარკა ჯერ კიდევ ცოლის საჩუქარი ეგონა, უმნიშვნელოა, რადგან აქცეპტი, როგორც მიღებასავალდებულო ნება, განიმარტება მიმღების თვალსაწიერადან, გსკ-ის 133-ე, 157-ე პარაგრაფები (სსკ-ის 52-ე, 337-339-ე მუხლები).

თუმცა აქცეპტის, როგორც მიღებასავალდებულო ნების, ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი მისვლა ოფერენტთან. მო-

ცემულ შემთხვევაში კ-ს ჰ-ს აქცეპტი არ მისვლია. გსკ-ის 151-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აქცეპტის მისვლა ოფერენტთან არის ზედმეტი, თუ ასეთი განცხადება არ არის მოსალოდნელი სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე ან ოფერენტმა უარი თქვა მასზე. მოცემულ შემთხვევაში კ-მ უარი თქვა საერთოდ აქცეპტის გამოხატვაზე, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობაზე. ამ უარით მოცულია ასევე უარი უკვე გამოხატული აქცეპტის მის წინაშე გაცხადებაზე.

ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო კ-სა და ჰ-ს შორის იმგვარად, რომ აქცეპტის მისვლა კ-სთან აუცილებელი არ იყო.

2. შეცილება

ა) შეცილების გაცხადება და ვადა

თუმცა დადებული ნასყიდობა შეიძლება არანამდვილი გამხდარიყო ex tunc-მოქმედებით, კ-ს შეცილების შედეგად, გსკ-ის 142-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

შეცდომაზე მითითებითა და მიყიდული ნივთის უკან მოთხოვნით კ-მ ჰ-ს განუცხადა კონკლუდენტური შეცილება გსკ-ის 143-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების) შესაბამისად, დააფიქსირა რა ნება, რომ გარიგების ნამდვილად დატოვება აღარ სურდა. შეცილება მოხდა შეცილების საფუძვლის შეტყობიდან დაუყოვნებლივ (გსკ-ის 121-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ბ) შეცილების საფუძველი

კ-მ შეცილების საფუძვლად მიუთითა შეცდომა მარკის თვისებასთან დაკავშირებით. „ცთომილობა“ წარმოადგენს მარკის თვისებას. გარდა ამისა, შეცდომა თვისებაში მხოლოდ მაშინ ითვლება შეცილების უფლების მომნიჭებლად (გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუ ის მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში, ანუ გავლენას ახდენს ნივთის ფასზე. ეს წინაპირობა მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

თუმცა შეცილების უფლება შესაძლებელია გამორიცხული იყოს სხვა ინსტიტუტის უპირატესი გამოყენებისდა გამო.

აა) შეცილების უფლების გამორიცხვა ნაკლოვანი შესრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის გამო

შეცილების უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს ნივთის ნაკლიდან წარმოშობილ, მყიდველის მეორად მოთხოვნებთან კონკურენციისას. თუ შეცილების უფლება კონკურირებს მყიდველის მეორად მოთხოვნებთან: 1. მყიდველმა პირდაპირ შეცილების უფლების გამოყენებით არ უნდა წაართვას გამყიდველს ჯეროვანი შესრულების მეორე შანსი (გსკ-ის 437-ე პარაგრაფის Nr. 1, სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), 2. გამყიდველმა – თავის მხრივ, შეცილების გაცხადებით – ვერ უნდა მოახერხოს ნაკლოვანი ნივთისთვის (ნასყიდობიდან) პასუხისმგებლობისაგან თავის დახსნა; 3. შეცილების უფლების გამოყენებით მყიდველმა გვერდი არ უნდა აუაროს ხანდაზმულობის სპეციალურ წესებს ნასყიდობისათვის (გსკ-ის 438-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 3).

თუმცა ნივთის ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა აწესრიგებს მხოლოდ მყიდველის სპეციალურ უფლებებს და არ კონკურირებს გამყიდველის სხვა უფლებებთან. გამყიდველის მხრიდან შეცილება მხოლოდ მაშინ არის გამორიცხული (გსკ-ის 242-ე პარაგრაფი, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი), თუ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ის ამით ცდილობს გაექცეს ნივთის ნაკლიდან წარმომდგარ საკუთარ პასუხისმგებლობას. სხვა შემთხვევაში ის დასაშვებია.

შეცილების უფლება არ უნდა გამოირიცხოს ნაკლოვანი შესრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის გამო.

ბბ) შეცილების უფლების გამორიცხვა გარიგების საფუძვლის დარღვევის გამო

შეცილების უფლება შესაძლებელია გამორიცხული იყოს გარიგების საფუძვლის დარღვევის ინსტიტუტთან (გსკ-ის 313-ე პარაგრაფი, სსკ-ის 398-ე მუხლი) კონკურენციისას. საკითხავია, სახეზეა თუ არა ამ უკანასკნელის წინაპირობები. გარიგების

საფუძვლის დარღვევისათვის აუცილებელია: გარემოებები, რომლებიც გარიგების საფუძველი გახდა, შეიცვალოს, ან გაცუდდეს მასთან დაკავშირებული მხარეთა წარმოდგენები (რეალური ელემენტი); ამ გარემოების ცოდნის შემთხვევაში მხარეებს არ უნდა დაედოთ გარიგება მოცემული პირობებით (ჰიპოთეტური ელემენტი) და კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, დაუშვებელია მხარეებს მოეთხოვოთ ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შენარჩუნება (ნორმატიული ელემენტი).

მოცემულ შემთხვევაში შეცდომა მოუვიდა არა მხოლოდ გამყიდველ კ-ს, არამედ ასევე მყიდველ ჰ-ს, რაც არის ორმხრივი წარმოდგენების გაცუდება გსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით. ამ არასწორი წარმოდგენის გარეშე კ და ჰ არ დადებდნენ გარიგებას ამ პირობებით და კ-ს არ შეიძლება მოეთხოვოს ნივთის მიყიდვა მისი რეალური ღირებულების მეთედ ფასად.

ორმხრივი შეცდომის შემთხვევის გადაწყვეტა საკამათოა. გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ გარიგების საფუძვლის დარღვევის ინსტიტუტი შემდეგი არგუმენტების გამო:

1. ეს ინსტიტუტი წარმოადგენს სპეციალურ ინსტრუმენტს, რომელიც მოწესრიგებულია ვალდებულებით სამართალში, განსხვავებით გსკ-ის ზოგად ნაწილში მოწესრიგებული შეცილებისაგან. საფუძვლის დარღვევა სპეციალურია ასევე იმიტომაც, რომ ეხება მხოლოდ ორმხრივ შეცდომას, როგორც ორმხრივი წარმოდგენების გაცუდებას, განსხვავებით შეცილებისაგან, რომლის გამოყენებაც შეიძლება, როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი შეცდომის შემთხვევაში.

2. გარიგების საფუძვლის დარღვევა უფრო მოქნილია ვიდრე შეცილების ინსტიტუტი. საფუძვლის დარღვევის სამართლებრივ შედეგებს წარმოადგენს ხელშეკრულების მისადაგება, ან გასვლა ex nunc-მოქმედებით. ორივე შემთხვევაში გარიგება არ ხდება არანამდვილი დადების მომენტიდან, განსხვავებით შეცილებისაგან, რომლის შედეგების – ex tunc-არანამდვილობის – აღმოფხვრაც უფრო რთულია.

3. ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში შეცილებისა და შეცილებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი დანაწესის (გსკ-ის 122-ე პარაგრაფი, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამოყენებას აბსურდულ რეზულტატამდე მივიღვართ – შეცდომის გამო შემცილებელი უნაზღაურებს ზიანს მეორე მხარეს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ემსახურება მეორე მხარის დაცვას, რომელიც მიენდო თავისი კონტრაქტის ნების უშეცდომობას, რის გარეშეც არ დადებდა მასთან გარიგებას – ე.წ. „ნდობის ზიანი“. თუმცა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აზრს კარგავს, თუ ორივე მხარეს ეშლება. ამ დროს ორივე მხარეს აქვს შეცილების უფლება და მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, თუ რომელი გამოიყენებს მას პირველი და აანაზღაურებს ზიანს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იცავს მეორე მხარის ნდობას ხელშეკრულების (უშეცდომოდ) შედგომასთან დაკავშირებით, რომელიც არ იმსახურებს დაცვას, თუ ეს შეცდომა ორმხრივია.

თუმცა საბოლოო ჯამში ამ სამივე არგუმენტის გაქარწყლება შესაძლებელია:

1. ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში, საფუძვლის მოშლა მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს უფრო სპეციალური ვიდრე შეცილება. მართალია, ის ეხება მხოლოდ ორმხრივ და არა ცალმხრივ შეცდომას, მაგრამ ასევე შეცილება ეხება არა ნებისმიერი წარმოდგენის გაცუდებას, ანუ უბრალო შეცდომას, არამედ მხოლოდ არსებით შეცდომას თვისებაში, რის გამოც სწორედ შეცილება უნდა გამოვიყენოთ თვისებაში (თუნდაც ორმხრივი) შეცდომისას.

გარდა ამისა, ქართველმა კანონმდებელმა თავად დაუშვა ორმხრივი შეცდომის შემთხვევაშიც შეცილების გამოყენების შესაძლებლობა – სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნაწილიდან გამორიცხავს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას თუკი მეორე მხარემაც იცის შეცდომის შესახებ და არ გამორიცხავს შეცილების შესაძლებლობას.

2. ამასთანავე თუ კანონი გარკვეული ტიპის შეცდომებისას მხარეს აღჭურავს უფლებით, აქციოს გარიგება დადების მო-

მენტიდანვე არანამდვილი, ეს უფლება მას არ უნდა წაერთვას მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მხარესაც შეეშალა. შეცილების ხისტი შედეგები თვისებაში შეცდომისას წარმოადგენს კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილებას ვერ გაანეიტრალებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს შეცდომა ორმხრივია.

3. მიუხედავად ორმხრივი შეცდომისა შეცილების უფლებას გამოიყენებს მხოლოდ ის მხარე, რომლის ინტერესებშიცაა გარიგების ex tunc-მოქმედებით არანამდვილობა და შესაბამისად მხოლოდ ის იქნება ვალდებული აანაზღაუროს ზიანი, რაც სამართლიანია.

საქართველოში მეორე მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც მთავარი არგუმენტი ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში შეცილების უფლების წინააღმდეგ, საქართველოში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება. მხოლოდ ის მხარეა ვალდებული აანაზღაუროს ზიანი, რომელსაც შეცდომა დაუდევრობით მოსდის (სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი ნაწილიდან). თუ პირს დაუდევრობით მოსდის შეცდომა, მაშინ გამართლებულია, რომ მან მეორე მხარეს აუნაზღაუროს კიდევ აქედან წარმოშობილი ზიანი.

გერმანიაში გსკ-ის 122-ე მუხლის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ნეგატიურ ინტერესზეც, ანუ შემცდარმა მხარემ მეორე მხარე, რომელმაც დაიჯერა გარიგების არასაცილობა, უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იქნებოდა, გარიგება საერთოდ რომ არ დაედო⁶⁸. მეორე მხარის ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგება შეცდომისდა მიუხედავად დარჩენილიყო ნამდვილი (პოზიტიური ინტერესი) დაცული არ არის. განსხვავებით გერმანიისაგან, საქარ-

68 შდრ. პოზიტიური და ნეგატიური ზიანის გამიჯვნისათვის რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, კაზუსი: „ხელიდან გაშვებული წიგნი“.

თველოში კონტრარგუმენტს, რომ ყოველთვის ის მხარე გამოიყენებს შეცდომების უფლებას, რომლისათვისაც ეს მომგებიანია, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ. ქართველი კანონმდებელი იცავს არა მხარის ნეგატიურ ინტერესს, ანუ ნდობას გარიგების არდადებასთან დაკავშირებით, არამედ პოზიტიურ ინტერესს, ანუ ნდობას იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგება დარჩება ნამდვილი – “გარიგების ბათილობით გამონვეული ზიანი”. ეს ნდობა მოიცავს შეცდომის უფლების არგამოყენებასთან დაკავშირებულ ნდობასაც, ანუ ნდობას იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად შეცდომისა, გარიგება მაინც დარჩება ნამდვილი – იმიტომ რომ ანაზღაურდება არა შეცდომის შედეგები, არამედ გარიგების ბათილობის შედეგები და გადამწყვეტი არ არის, დაიდებოდა თუ არა გარიგება შეცდომის გარეშე. შესაბამისად გამართლებულია, რომ მხარემ, რომელიც გარიგებას არანამდვილად აქცევს, მეორე მხარეს აუნაზღაუროს პოზიტიური ინტერესი, რადგან მეორე მხარის ნდობა გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით, მიუხედავად ორმხრივი შეცდომისა, მაინც იმსახურებს დაცვას.

შეცდომების უფლება არ არის გამორიცხული გარიგების საფუძვლის დარღვევის ინსტიტუტის უპირატესი გამოყენების გამო.

გგ) შეცდომების უფლების გამორიცხვა უფლების ბოროტად გამოყენების გამო

თუმცა შეცდომების უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს, თუ ერთი მხარე მას ბოროტად იყენებს (გსკ-ის 242-ე პარაგრაფი). როდესაც მეორე მხარე თანახმაა იმ პირობაზე, რა პირობითაც მეორე მხარე დადებდა გარიგებას შეცდომა რომ არ მოსვლოდა, მაშინ შეცდომების უფლება გამორიცხულია. შეცდომება მხარეს ანიჭებს შეცდომის შედეგების შესწორების უფლებას და არ უნდა მისცეს მას მეორე შანსი დადოს უფრო სარფიანი გარიგება სხვასთან.

სსკ-ის 77-ე მუხლის შესაბამისად, შეცდომით დადებული

ნების გამოვლენა არ შეიძლება გახდეს საცილო. თუკი მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება შემცილებლის სურვილის შესაბამისად. შემცილებლის სურვილის ქვეშ საქართველოშიც, ისევე, როგორც გერმანიაში, არ იგულისხმება მისი ნამდვილი სურვილი, დადოს მაქსიმალურად სარფიანი გარიგება, არამედ მისი ჰიპოთეტური სურვილი, რომელიც მას ექნებოდა ნივთის თვისებაში რომ არ შემცდარიყო. ეს გადამწყვეტია გერმანიაში გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ნეგატიური ინტერესი ანაზღაურდება მხოლოდ პოზიტიური ინტერესის მაქსიმალური ოდენობით – ანუ შემცილებლის კონტრაქტული ვერ მიუთითებს, რომ შემცილებელმა დააკარგვინა მას უფრო სარფიანი გარიგება, ვიდრე ეს იქნებოდა უშეცდომოდ დადებული გარიგება. შეცდომის დამშვებ შემცილებელს არ უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი შეცდომიდან უფრო მეტი სარგებელი მიიღოს, ვიდრე მიიღებდა უშეცდომოდ დადებული გარიგებიდან. ეს გადამწყვეტია ძალაშია ქართული სამართლისათვისაც, სადაც პირდაპირ პოზიტიური ინტერესი ანაზღაურდება.

კ-ს შეცდომების უფლება გამორიცხულია, რადგან ჰ მზადა გადაიხადოს მარკაში მისი რეალური ღირებულება.

შედეგი: ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის არანამდვილი შეცდომების გამო და, შესაბამისად, გამდიდრება არ არის მოპოვებული უსაფუძვლოდ, რაც გამორიცხავს შესრულების კონდიქციის გამოყენებას.

II. კ-ს მოთხოვნა გსკ-ის 985-ე პარაგრაფის (სსკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) შესაბამისად

კ-ს შეიძლება ჰქონდეს ჰ-საგან მარკის ვინდიკაციით გამოთხოვის უფლება გსკ-ის 985-ე პარაგრაფის (სსკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით. ამისათვის აუცილებელია, რომ კ იყოს ნივთის მესაკუთრე და ჰ მფლობელი მფლობელობის უფლების გარეშე.

1. კ-ს საკუთრება ნივთზე

თავდაპირველად ნივთის მესაკუთრე იყო კ. თუმცა მას შეეძლო დაეკარგა ეს საკუთრება, მისი ჰ-სათვის გადაცემის გზით, გსკ-ის 929-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) შესაბამისად. ამის წინაპირობას წარმოადგენს შეთანხმება საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით (სანივთო გარიგება) და ნივთის გადაცემა.

საქართველოში საკუთრების მოპოვების დამატებითი წინაპირობას სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ნამდვილი ვალდებულებითი გარიგება (კაუზა) წარმოადგენს, რაც აქ სახეზე გვაქვს.

ა) სანივთო გარიგება

კ და ჰ შეთანხმდნენ საკუთრების გადასვლაზე, ისევე, როგორც ნასყიდობასთან დაკავშირებით, ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით – მარკის გაგზავნა წარმოადგენდა ოფერტს, ხოლო მისი აღბოძრება ჩაწყობა აქცეპტს. კ-ს ნების, ობიექტური მიმღების თვალსაწიერიდან განმარტებისას, ცალსახაა, რომ კ-ს ოფერტი და მის საფუძველზე დადებული სანივთო შეთანხმება შედგა პირობადებულად (გსკ-ის 145-ე, 929-ე, 158-ე პარაგრაფები, სსკ-ის 188-ე მუხლი). შეთანხმების ნამდვილობის პირობას წარმოადგენდა მარკის ნასყიდობის დადება კ-სა და ჰ-ს შორის. თუმცა ნასყიდობის დადებასთან ერთად, საბოლოოდ ნამდვილი გახდა ასევე სანივთო გარიგებაც. შეთანხმება საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით ნამდვილია.

ბ) შეცილება

სანივთო გარიგებაც ნასყიდობის მსგავსად შეიძლება გამხდარიყო ex tunc-მოქმედებით არანამდვილი შეცილების შედეგად, გსკ-ის 142-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება).

შეცილების საფუძველს მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს ისევე და ისევე შეცდომა ნივთის თვისებაში, თუ ის

გახდა არა მხოლოდ ვალდებულებითი, არამედ ასევე სანივთო გარიგების დადების საფუძველიც. ჩვეულებრივ, შეცდომა, რომელიც განაპირობებს ვალდებულებითი გარიგების დადებას, არ განაპირობებს ასევე სანივთო გარიგების დადებასაც. შეცდომით დადებული ვალდებულებითი გარიგების შესასრულებლად სანივთო გარიგება, ჩვეულებრივ, უშეცდომოდ იდება; მხარეს უკვე აღარ ეშლება, თუ რა საგანზე გადასცემს საკუთრებას – სანივთო გარიგებას დებს იმ საგანზე, რომელთან დაკავშირებითაც თავი დაივალდებულა ვალდებულებითი გარიგების ფარგლებში. ის ფაქტი, რომ გამსხვივებელს ნასყიდობა უშეცდომოდ დადებულად მიაჩნდა, წარმოადგენს მხოლოდ უმნიშვნელო მოტივს სანივთო გარიგებისათვის.

გარდა ამისა, შეცილების უფლება სანივთო გარიგების შემთხვევაშიც გამორიცხულია ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გამო – ჰ მზად არის დადოს ნასყიდობა და მისი შესრულების სანივთო გარიგება იმ პირობებით, რა პირობებითაც კ მას დადებდა შეცდომა რომ არ მოსვლოდა.

შეთანხმება საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით დარჩა ნამდვილი. კ-მ გადასცა ჰ-ს ასევე მფლობელობა ნივთზე.

შედეგი: ჰ გახდა ნივთის მესაკუთრე, რაც გამორიცხავს კ-ს მოთხოვნის უფლებას გსკ-ის 985-ე პარაგრაფის (სსკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

კაზუსი: „ნარუმატებელი ქორწინება“⁶⁹

სიმამრა (ს) აჩუქა დამწყებ ადვოკატ ზურაბ ვეშაპიძეს (ზ. ვ.) მის ქალიშვილთან შეუღლებამდე 10 000 დოლარი. შემდეგში წყვილი დაქორწინდა ისე, რომ სპეციალური ქონებრივი რეჟიმი არ შეუთანხმებიათ. ქორწინება ნარუმატებელი აღმოჩნდა და წყვილი რვა თვეში განქორწინდა. სიმამრი უკან ითხოვს ნაჩუქარ 10 000 დოლარს.

ა. ამოხსნა ფრანგული სამართლის მიხედვით:

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 931. ყველა აქტი, რომელიც შეიცავს ცოცხალ პირთა შორის ნაჩუქრობას, უნდა დამონმდეს ნოტარიულად, ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი ფორმით და ნოტარიუსთან უნდა დარჩეს მათი ორიგინალი; წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არარაა.

მუხლი 1235. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას: ვალდებულების გარეშე გადახდილი უკან უნდა დაბრუნდეს. რესტიტუცია დაუშვებელია ნატურალური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შესრულდა ნებაყოფლობით.

მუხლი 1376. ვინც იღებს შეცდომით ან გააზრებულად იმას, რაც მას არ ეკუთვნის, ვალდებულია დაუბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული გამცემს.

მუხლი 1377. პირს, რომელსაც შეცდომის საფუძველზე საკუთარი თავი მიაჩნდა მოვალედ და ამის გამო გადაიხადა ვალი, უფლება აქვს მიმღებს მოსთხოვოს ვალის დაბრუნება.

⁶⁹ BGH v. 3.2.2010 - XII ZR 189/06.

I. ს-ს 10 000 დოლარის, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების, მოთხოვნა

ს-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-საგან 10 000 დოლარის, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების, უკან მოთხოვნის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს გენერალურ დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, რომლის მიხედვითაც უსაფუძვლოდ მიღებული უნდა დაბრუნდეს და უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნების მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს აწესრიგებს (დღპლტიტიონ დე ლ'ინდუ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1376-1381-ე მუხლები), დღესდღეობით, ეს ცალკეული შემთხვევები გამოხატავენ მათ უკან მდგომ ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც არავის აქვს უფლება სხვის ხარჯზე გამდიდრდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (სანს ცაუსე ან სანს ცაუსე ლღვიტიმე). ე. წ. "ოუდიერ"-ის შემთხვევის შემდეგ ფრანგულმა საკასაციო სასამართლომ ამ პრინციპის საფუძველზე დაუშვა "ზოგადი სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრებიდან" (ენრიცჰისსემენტ სანს ცაუსე), რომელიც მოიცავდა ასევე კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევებსაც.

ეს უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი სარჩელი მოიცავს უსაფუძვლო გამდიდრების ყველა შემთხვევას, იქნება ეს შესრულებით, მითვისებით თუ მესამე პირის მიერ შესრულებით. მის წინაპირობებს წარმოადგენს: 1. "გადახდა", რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც ფულად, ისე სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ შესრულებაში; 2. შემსრულებელი არ (ან აღარ) უნდა იყოს ვალდებული შეასრულოს; 3. მოთხოვნა არ უნდა იყოს გამორიცხული, მაგალითად, მოვალის მორალური ვალდებულების გამო (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1235-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

1. "გადახდა" (paiement)

მოცემულ შემთხვევაში "გადახდა" ცალსახად სახეზეა, ზ. ვ.-მ ს-საგან ფულადი შესრულების სახით მიიღო 10 000 დოლარი.

2. ვალდებულების გარეშე

“გადახდა” უნდა მოხდეს ვალდებულების გარეშე, ანუ უსაფუძვლოდ. ასეთ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ს-სა და ზ. ვ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

საკითხავია, ნამდვილია თუ არა 10 000 დოლარის ჩუქება.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის სამივე წინაპირობა – ქმედუნარიანი მხარეები შეთანხმდნენ ჩუქების საგანთან დაკავშირებით. ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლი დამატებით ითვალისწინებს ნოტარიალურ დამონშვებასა და ხელშეკრულების ორიგინალის შენახვას ნოტარიუსთან. კაზუსიდან არ ჩანს, დაიცვეს თუ არა მხარეებმა ეს ფორმა, თუმცა ფრანგული დოქტრინის მიხედვით (ისევე, როგორც გერმანიაში), რეალურად შესრულებული ჩუქება ნამდვილია ზემოთ ხსენებული ფორმის დაცვის გარეშეც.

ჩუქება შესაძლოა იყოს არანამდვილი, თუ სახეზე არ არის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლით გათვალისწინებული მე-4 წინაპირობა – ხელშეკრულების კაუზა. სიმამრი ს-ს მიერ სიძისათვის მოცემული თანხის ჩუქების ნამდვილ მოტივსა და ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა არა მისი პერსონალური გამდიდრების სურვილი, არამედ ზ. ვ-სა და მისი ქალიშვილის თანაცხოვრების ფინანსური უზრუნველყოფა და განხორციელდა იმ იმედით, რომ ეს ქორწინება გაგრძელდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არ შეწყდებოდა 8 თვის შემდეგ. განქორწინებასთან ერთად აღარ არსებობს ამ ჩუქების კაუზა, რომლის გარეშეც ის არანამდვილია.

ს-მ 10 000 დოლარი გადაიხადა შესაბამისი ვალდებულების გარეშე და, ამგვარად, უსაფუძვლოდ.

3. არ არსებობს უკან მოთხოვნის უფლების გამომრიცხავი გარემოება.

შედეგი: ს-ს აქვს ზ. ვ-საგან 10 000 დოლარის, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების, უკან მოთხოვნის უფლება.

ბ. ამოხსნა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით:

1. ს-ს მოთხოვნა ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის გამო

ს-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ-საგან 10 000 დოლარის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 313-ეს 1-ლი, მე-3 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 398-ეს 1-ლი და მე-3, 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, თუ მოიშალა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველი და თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, ან მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ამაზე დათანხმება.

1. ჩუქების ხელშეკრულება და მისი საფუძვლის მოშლა (ობიექტური ელემენტი)

ს-სა და მ-ს შორის დაიდო ნაჩუქრობის ხელშეკრულება, რომლის არანამდვილობის წინაპირობები არ არსებობს. თუმცა ამ ხელშეკრულების საფუძველი უდავოდ იყო ზ. ვ-სა და მის მეუღლეს შორის თანაცხოვრების გაგრძელება, რომლის შეწყვეტასთან ერთად ხელშეკრულებას მოეშალა საფუძველი.

2. მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას (პიპოთეტური ელემენტი)

ს და ზ. ვ. არ დადებდნენ ჩუქების ხელშეკრულებას, ოჯახური თანაცხოვრების ასე მოკლე პერიოდში დამთავრება რომ გაეთვალისწინებინათ.

3. ხელშეკრულების უცვლელად შენარჩუნების დაუშვებლობა (ნორმატიული ელემენტი)

გსკ-ის 313-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 398-ეს 1-ლი და მე-3, 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) შესაბამისად, მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების უცვლელად დაცვის შეუძლებლობა – ერთ-ერთ მხარეს მაინც არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შენარჩუნება.

გერმანიის ფედერალური სასამართლო სწორედ ამ წინაპირობის გათვალისწინებით გამოიციხავდა მსგავს შემთხვევებში უკან მოთხოვნის უფლებას შემდეგი არგუმენტაციით: ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დაშვებით ყოფილ სიძეს ორმაგად მოუწევდა პასუხისგება ერთი და იმავე თანხის გამო.

გერმანული სამართლის მიხედვით, თუ მეუღლეები ქორწინებისას სპეციალურ ქონებრივ რეჟიმს არ შეათანხმებენ, მაშინ მათ შორის წარმოიშობა კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმი, ე. წ. „ნამატი ქონების რეჟიმი“ (გსკ-ის 1363-ე და შემდგომი პარაგრაფები). ამ დროს მეუღლეთა ქონება არ წარმოადგენს საერთო ქონებას. ისინი არიან იმ ქონების ინდივიდუალური მესაკუთრეები, რომელიც მათ გააჩნდათ ქორწინებამდე და რომელიც თითოეულმა შეიძინა ქორწინების პერიოდში (გსკ-ის 1363-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება). განქორწინებით თანაცხოვრების დამთავრების დროს ორივე მეუღლის საწყისი და საბოლოო ქონება უპირისპირდება ერთმანეთს და თუ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი აღემატება მეორის მიერ შექმნილ ქონებას, მაშინ მას აქვს ნამატი ქონების ნახევრის მოთხოვნის უფლება (გსკ-ის 1378-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი და 1373-1375-ე პარაგრაფები). ამ მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისათვის გადაამწყვეტია, სიმამრის ნაჩუქარი 10 000 ლარი ზ. ვ.-ს საწყის ქონებას მიეკუთვნება თუ საბოლოოს. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში განეკუთვნებოდა ის ნამატს და გათვალისწინებული იქნებოდა მეუღლის მოთხოვნის უფლების დაანგარიშებისას. ჩვეულებრივ, ნაჩუქრობა, გსკ-ის 1374-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განეკუთვნება მეუღლეთა საწყის ქონებას, მაგრამ განსხვავებული წესი მოქმედებს ე. წ. ქორწინებასთან დაკავშირებული ჩუქების შემთხვევაში (ehebedingte Zuwendungen). მეუღლეთა შორის ნაჩუქრობა, გერმანიის ფედერალური სასამართლოს მოსაზრების მიხედვით, არ წარმოადგენს ჩუქებას გსკ-ის 516-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რადგან

მას აკლია მთავარი სუბიექტური ელემენტი – უსასყიდლობა. მას გერმანიაში უწოდებენ ე. წ. „უსახელო“ ან „ქორწინებიდან გამომდინარე“ ჩუქებას, რომელსაც მჩუქებელი მეუღლე თანაცხოვრების გაგრძელებას უკავშირებს და ასევე შესაძლებლობას – თანაცხოვრების განმავლობაში თვითონაც ისარგებლოს ნაჩუქარი ნივთით.

იგივე პრინციპს ავრცელებდა გერმანიის ფედერალური სასამართლო მეუღლეთა მშობლების მიერ ნაჩუქარ საგანზე, რადგანაც ისინიც მხოლოდ ზემოხსენებული მოსაზრებებიდან გამომდინარე ჩუქნიან შვილის მეუღლეს ნაჩუქარს და არ გადასცემენ ამ საგანს თავისუფალი განკარგვის მიზნით. ეს წესი მოქმედებდა ქორწინებამდე გაკეთებული ნაჩუქრის მიმართაც, რის გამოც მეუღლეთა მშობლების ნაჩუქრები ემატებოდა არა საწყის, არამედ საბოლოო ქონებას და, ამრიგად, უნდა გავითვალისწინოთ მეუღლეთა ნამატი ქონების გამოთვლისას. ამგვარი გამოთვლით მშობლების ნაჩუქარი ნებისმიერ შემთხვევაში ნაადგება მათ შვილს, რადგან ზრდის მეორე მეუღლის ნამატს და თუ ეს ნამატი აღმატება შვილის ნამატს, ანიჭებს მას ნამატის ნახევრის მოთხოვნის უფლებას, ან, თუ შვილის ნამატი ქონება მაინც აღემატება მეუღლის ნამატ ქონებას, ამცირებს მათ შორის სხვაობასა და მეორე მეუღლის მოთხოვნის უფლებას. ს-ის ნაჩუქრის ნამატში გათვალისწინების გარდა, თუ დაფუძვებით ამ ნაჩუქრის უკან მოთხოვნის შესაძლებლობას ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე, მაშინ ზ. ვ.-ს ორჯერ მოუწევდა ერთი და იმავე ნაჩუქრისათვის პასუხისგება. ამიტომაც, გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, მსგავსი ტიპის შემთხვევებში, საფუძვლის მოშლის გამო უკან მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იყო დასაშვები, როდესაც დასაჩუქრებულ მეუღლეს მეორე მეუღლის მხრიდან ნამატის გაყოფის მოთხოვნის წაყენება არ ემუქრებოდა. ყველა სხვა შემთხვევაში საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე მოთხოვნა გამოირიცხებოდა. მოცემულ შემთხვევაშიც ეს მოთხოვნა უნდა გამოირიცხულიყო, რადგან არ არსებობდა

საოჯახო-სამართლებრივი მოთხოვნის გამორიცხვის საფუძველი.

თუმცა დღესდღეობით ეს მოსაზრება გერმანული სასამართლოს მიერ უკუგდებულია იმ არგუმენტით, რომ, განსხვავებით მეუღლეთა შორის ნაჩუქრობისაგან, როდესაც მჩუქებელი მეუღლეს ნივთს ჩუქნის ამ ნივთის შემდგომი გამოყენების იმედით, მეუღლის მშობლები ნაჩუქარ ნივთს სამუდამოდ ემშვიდობებიან, რის გამოც ამ ორ შემთხვევას შორის პარალელი არადამაჯერებელია. მეუღლის მშობლის საჩუქარიც უნდა ჩაითვალოს საჩუქრად გსკ-ის 516-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით და უნდა მიემატოს მეუღლის საწყის ქონებას. ამგვარი გადაწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტი – საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოიშვას ქონების განაწილების მოთხოვნის ფარგლების დადგენამდეც (გსკ-ის 1384-ე მუხლი), რაც შეამცირებდა დასაჩუქრებული მეუღლის ქონებრივ ნაშაბს და არაპირდაპირი გზით შეამცირებდა მეორე მეუღლის მოთხოვნის უფლებას. ამგვარად, სიმამრის საჩუქარი ისევე მის შვილს დაუბრუნდებოდა ცუდად. ამის გამო ეს ნაჩუქრობა უნდა მიემატოს მეუღლის საწყის და არა საბოლოო ქონებას. არ არსებობს რა ერთი და იმავე საჩუქრის გამო ორმაგად პასუხისგების საფრთხე, საოჯახო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება არ გამორიცხავს ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან წარმოშობილ მოთხოვნას.

ქართულ სამართალში სპეციალური ქონებრივი რეჟიმის შეთანხმების გარეშე მეუღლეთა შორის წარმოიშობა კანონით დადგენილი ქონებრივი რეჟიმი (სსკ-ის 1158-ე და შემდგომი მუხლები), რომლის დროსაც, მეუღლეთა ინდივიდუალური ქონებისა (ქორწინებამდე კუთვნილი ქონება, ჩუქებით და მემკვიდრეობით მიღებული ქონება) და ინდივიდუალური სარგებლობის ნივთების გარდა, ყველა სხვა ქონება განეკუთვნება მეუღლეთა საერთო საკუთრებას. ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციის გამო, უნდა მივიჩნიოთ რა სიმამრის საჩუქარი ჩუქებად სსკ-ის 534-ე მუხლის შესაბამისად, ის წარმოადგენს დასაჩუქრებული

მეუღლის ქონებას და არა საერთო საკუთრებას. მისი უკან მოთხოვნა შესაძლებელია, ასევე, ქართულ სამართალში, ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის გამო.

ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე სიმამრის მოთხოვნის უფლება გამორიცხული არ არის.

4. საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი

გსკ-ის 313-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-3 ნაწილების (სსკ-ის 398-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-3 ნაწილების) შესაბამისად, თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, მაშინ მხარეებს ენიჭებათ ხელშეკრულების მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლისა და მიღებული დაბრუნების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 352-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ს-ს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების რაიმე ფორმით მაინც მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და ყოფილი სიძისათვის სრული თანხის ან თანხის ნაწილის დატოვება. ჩუქება არ წარმოადგენს გრძელვადიან ურთიერთობას და, შესაბამისად, გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლა.

გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 352-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, ზ. ვ.-მ უნდა დააბრუნოს ნაჩუქარი თანხა და რეალურად მიღებული სარგებელი (პროცენტები), როგორც “მიღებული”; ასევე მიუღებელი პროცენტები გსკ-ის 347-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, რადგან დიდი თანხის გადაცემისას, მოცემული დანაწესების მიხედვით, საგნის სათანადო გამოყენებას წარმოადგენს თანხიდან პროცენტების მიღება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, კანონისმიერი გასვლის უფლების შემთხვევაში, მიმღები ანაზღაურებს მხოლოდ სარგებელს, რომელიც მან არ მიიღო, არ გამოიჩინა რა მზრუნველობა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში.

შედეგი: ზ. ვ.-მ უნდა დააბრუნოს ნაჩუქარი თანხა და მისგან მიღებული პროცენტები ასევე მიუღებელი პროცენტები, რომელ-

საც ის მიიღებდა საკუთარ საქმეებში ჩვეული მზრუნველობის გამოჩენით.

II. ს-ს მოთხოვნა გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 ალტერნატივის შესაბამისად (სსკ-ის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) – *condictio ob rem*

ს-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-ს მიმართ 10 000 დოლარის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 ალტერნატივის შესაბამისად (სსკ-ის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, *condictio ob rem*), თუ შესრულებით დასახული მიზანი არ განხორციელდა.

*განსხვავებით მისი ადრინდელი სასამართლო პრაქტიკისაგან, გერმანიის ფედერალური სასამართლო ამ მოთხოვნის უფლებას არ გამორიცხავს იმაზე მითითებით, რომ საფუძვლის მოშლასთან დაკავშირებული დანაწესები უფრო მოქნილ ხასიათს ატარებს და კონკურენციისას გამოიყენება ამ კონდიქციის გამოყენებას. დღეს *condictio ob rem* გამოიყენება საფუძვლის მოშლასთან ერთად, თუ სახეზეა მისი წინაპირობები.*

მიზანი, რომელიც დასახული იყო სიმამრის მიერ, შეიძლება იყოს მისი შვილისა და დასაჩუქრებულის ოჯახური თანაცხოვრების გაგრძელება. თუმცა ამ კონდიქციური მოთხოვნისათვის აუცილებელია ამ მიზნის შეთანხმება; მიმღებმა უნდა იცოდეს მიზნის შესახებ და სულ მცირე კონკლუდენტურად ეთანხმებოდეს მას. საკმარისი არ არის მხოლოდ ცოდნის ვალდებულება. ამიტომაც, ეს მიზანი მოცემულ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ვერც გაცხადებულად და ვერც კონკლუდენტურად შეთანხმებულად.

ზემოთ ხსენებული მოთხოვნის უფლება არ არსებობს.

საბოლოო შედეგი: ს-ს შეუძლია ზ. ვ.-ს მოსთხოვოს 10 000 ლარის დაბრუნება გსკ-ის 313-ეს 1-ლი, მე-3 და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (სსკ-ის 398-ეს 1-ლი, მე-3 და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

§ 5 ხელშეკრულებიდან გასვლა

ლიტერატურა: Bamberger/Roth/FAUST, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 1: §§ 1 - 610 CISG³ (2012), § 435 Rn. 15; BEALE/KÖTZ/HARTKAMP/TALLON, Contract Law (2002), 749-756; CANARIS, Schuldrechtsmodernisierung [Einl. zum Materialienband], XXIV; Deutscher Bundestag - Drucksachen 14/6040, 187; GRUNEWALD, Kaufrecht (2006), § 15 I 4 (323); Palandt/ELLENBERGER, BGB⁶⁷ (2008), § 99 Rn. 3, § 346 Rn. 1, 13b; Jauernig/STADLER, Bürgerliches Gesetzbuch¹⁴ (2012) § 346, Rn. 7; KÖHLER/FRITZSCHE, Fälle zum neuen Schuldrecht (2002), Rn. 43 (87); LANGELS, Schuldrecht AT² (2008), § 26 4 f.; LORENZ/RIEHM, Neues Schuldrecht (2002), Rn. 425, Rn. 505; LOOSCHELDERS, Schuldrecht Allgemeiner Teil⁹ (2011), 283-293; MüKo/WESTERMANN, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 3: Schuldrecht Besonderer Teil I §§ 433-610⁶ (2012), § 435 Rn. 7; MUSCHELER/BUER/HUH/OLEJNIK/ROTH/SCHWEWE, Fälle und Lösungen zum Bürgerlichen Recht I (2013), 247; MüKo/GAIER, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil §§ 241-432⁶ (2012) § 346 Rn. 51; Staudinger/MATUSCHKE-BECKMANN, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch¹⁴ (2004), § 435 Rn. 13; Staudinger/KAISER, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch¹⁵ (2012), § 346 Rn. 170; TIEDTKE/REINICKE, Kaufrecht⁸ (2009), Rn. 253; WAGNER, Mortuus Redhibetur im neuen Schuldrecht? FS U. Huber, 591; WERTENBRUCH, Gewährleistung beim Kauf von Kunstgegenständen nach neuem Schuldrecht, NJW 2004, 1977 ff.; Westermann/Bydlinski/Weber/WEBER, BGB-Schuldrecht Allgemeiner Teil⁸ (2014), Rn. 10/34.

I. გერმანია

როგორც ზემოთ არაერთხელ ვიხილეთ, გარკვეული წინაპირობების არსებობისას კანონი მხარეებს ანიჭებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის, უფლებას. გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავებენ კანონისმიერ და ხელშეკრულებისმიერ გასვლის უფლებებს. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხარეებმა თვითონ შეათანხმონ ხელშეკრულებაში. არ არის აუცილებელი, რომ ხელშეკრულებისმიერი გასვლის უფლება ხელშეკრულებაში

ამგვარად იყოს მოხსენიებული, ნებისმიერი დათქმა, მათ შორის, მაგალითად, დათქმა „თავისუფალია“, „ალარ არის ვალდებული“ და ა. შ. შეიძლება განიმარტოს, როგორც ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლება. გერმანულ სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლა მონესრიგებულია გსკ-ის 323-326-ე და 346-354-ე პარაგრაფებში. განსხვავებით, მაგალითად, შეცილებისაგან, გასვლა არ ხდის ხელშეკრულებას არანამდვილს, არამედ გარდაქმნის მას ე. წ. მიღებულის უკან დაბრუნების ურთიერთობად (Rückgewährschuldverhältnis). მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ შესრულებით მიღებული და სარგებელი (§ 346 I გსკ). თუ საქმის სათანადო გაძღოლის წესების საწინააღმდეგოდ მოვალე არ იღებს საგნიდან სარგებელს, მაშინ მას მაინც ეკისრება სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება (§ 347 I გსკ). ხანგრძლივი ვადით დადებულ ხელშეკრულებებში გასვლას ანაცვლებს ხელშეკრულების მოშლა. ხელშეკრულებიდან გასვლა არ გამოირიცხავს ზიანის ანაზღაურების უფლებას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

§323. ხელშეკრულებაზე უარი თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო.

(1) თუ ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში მოვალე არ ასრულებს ვადაშესრულებას ან ასრულებს მას ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ უშედეგოდ განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლის ან დამატებითი შესრულების შემდეგ. (2) დამატებითი ვადის დადგენა შეიძლება, თუ: 1. მოვალე შესრულებაზე გადაიჭრება და საბოლოოდ ამბობს უარს, 2. მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღამდე ან განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულებაში შესრულებისადმი მისი ინტერესის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას, ან 3. არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც

მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას.

1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. 2. არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ: ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადა-

ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ამართლებს ხელშეკრულებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმას. (3) თუ ვალდებულების დარღვევის ბუნების გამო ვადის დადგენა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ მის ადგილს იკავებს გაფრთხილება. (4) კრედიტორს შეუძლია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგენა ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობებია. (5) თუ მოვალემ განახორციელა ნაწილობრივი შესრულება, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი არა აქვს. თუ მოვალემ შესრულება განახორციელა ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ ვალდებულების დარღვევა არაა არასებითია. (6) ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამოირიცხვია, თუ მხოლოდ კრედიტორი ან უმთავრესად იგი არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა ანდა თუ იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს.

ში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; გ. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა. 3. ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ: ა. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა; ბ. დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; გ. ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი; დ. მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ. 4. კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგენა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველებია. 5. მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.

§324. ხელშეკრულებაზე უარი თქმა §241 მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო.

თუ ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში მოვალე არღვევს §241 მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მას აღარ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების შენარჩუნება. §325. ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებაზე უარი თქმა ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უფლება ხელშეკრულებაზე უარის თქმით არ გამოირიცხება.

§325. ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებაზე უარი თქმა.

ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უფლება ხელშეკრულებაზე უარის თქმით არ გამოირიცხება.

მუხლი 407. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას.

1. ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. 2. ეს ნესი არ გამოიყენება, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

§326. საპასუხო დაკმაყოფილებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შესრულების ვალდებულების გამოირიცხვის შემთხვევაში.

(1) თუ მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ გამოირიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება; ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება §441 მე-3 ნაწილი. 1-ლი ნაწილიდან არ მოქმედებს, თუ მოვალეს ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე. (2) თუ კრედიტორი იმ გარემოებისათვის, რომლის საფუძველზეც მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მხოლოდ ის ან უმთავრეს სად თავად არის პასუხისმგებელი ანდა თუ იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს, _ მაშინ მოვალე ინარჩუნებს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის მის ანგარიშში ჩათვლა, რასაც იგი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად ზოგავს ან საკუთარი სანარმოო ძალების სხვაგვარი გამოყენების შედეგად იქნეს ანდა ბოროტი განზრახვით არ იქნეს. (3) თუ კრედიტორი §285 თანახმად ითხოვს ვალდებულების საგნისათვის მიღებული საზღაურის დაბრუნებას ან საზღაურის მოთხოვნის დათმობას, მაშინ იგი რჩება ვალდებული საპასუხო დაკმაყოფილებაზე. თუმცა, ეს უკანასკნელი მცირდება იმდენად, რამდენადაც საზღაურის ღირებულება ან საზღაურის მოთხოვნის უფლება §441 მე-3 ნაწილის თანახმად რჩება ნაკისრი ვალდებულების

შესრულების ღირებულებაზე ნაკლები. (4) იმდენად, რამდენადაც წინამდებარე ნორმის თანახმად სრულდება ის საპასუხო დაკმაყოფილება, რომელიც არ ყოფილა ნაკისრი, ის, რაც შესრულებულ იქნა, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უკან §346-348 მიხედვით. (5) თუ მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე; შესაბამისად გამოიყენება §323 იმ პირობით, რომ ვადის განსაზღვრა ზედმეტია.

მუხლი 406. საპასუხო შესრულების მიღების უფლება.

1. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას. 2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ საპასუხო შესრულების საფუძველი იმ დროს დადგა, როცა კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას.

§346. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ძალა.

(1) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ხელშეკრულებით დათქვა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ან თუ მას აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლება, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი ექვემდებარება დაბრუნებას. (2) დაბრუნების უზრუნველყოფის ან დაბრუნების ნაცვლად, მოვალემ უნდა აანაზღაუროს ღირებულება იმდენად, რამდენადაც 1. მიღებულის ბუნების გამო დაბრუნების უზრუნველყოფა ან დაბრუნება გამოირიცხულია, 2. მიღებული საგანი მან გამოიყენა, გაასხვისა, უფლებრივად დატვირთა, გადაამუშავა ან გადააკეთა; 3. მიღებული საგანი გაფუჭდა ან განადგურდა; თუმცა, დანანადო შესაბამისი გამოყენებით გამოწვეული გაუარესება მხედველობაში არ მიიღება. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საპასუხო შესრულება, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება საზღაურის თანხის გამოანგარიშების საფუძველად; თუ გადახდილ უნდა იქნეს საზღაური სესხით სარგებლობისათვის, შეიძლება დადასტურებულ იქნეს, რომ სარგებლობის ღირებულება მცირე იყო. (3) საზღაურის გადახდის ვალდებულება არ არსებობს, 1. თუ ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, გამოაშკარავდა მხოლოდ ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს; 2. იმდენად, რამდენადაც საგნის გაფუჭებისა თუ განადგურებისათვის პასუხისმგებელია კრედიტორი ან ზარალი მაინც დადგებოდა, საგანი რომც დარჩენილიყო კრედიტორთან; 3. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის გაფუჭებას ან განადგურებას ადგილი ჰქონდა უფლებამოსილ პირთან მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში. დარჩენილი ზედმეტობა ექვემდებარება დაბრუნებას. (4) კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო §280-283 მიხედვით ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 352. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები.

1. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). 2. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ: ა. შექმნილის ხასიათიდან გამომდინარე, გამოირიცხულია მისი დაბრუნება; ბ. მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს; გ. მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა; სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება. 3. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით. 4. ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ: ა. საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა; ბ. საგნის გაფუჭება ან დაიღუპა კრედიტორის ბრალით მოხდა; გ. საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს. 5. ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

§347. საგნის გამოყენების შედეგად სარგებელი და საგანზე განუყოფელი ხარჯები ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ.

(1) თუ საქმის სათანადო გაძღოლის წესების საწინააღმდეგოდ მოვალე არ იღებს საგნიდან სარგებელს, თუმცა, მას ამის შესაძლებლობა ექნებოდა, მაშინ იგი ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი. ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთი მზრუნველობისათვის, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში. (2) თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს ან ანაზღაურებს ღირებულებას ანდა თუ §346 მე-3 ნაწილის ##1 ან 2 მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია, მაშინ მას უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ განუყოფელი აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს იმ ფარგლებში, რომელშიც კრედიტორი მათ შედეგად გამდიდრდა.

§348. ვალდებულებების ერთდროულად შესრულება.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი მხარეთა ვალდებულებები უნდა შესრულდეს ერთდროულად. შესაბამისად გამოიყენება §320, 322 ნორმები.

§349. განცხადება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის გაკეთებული განცხადებით.

§350. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაუქმება ვადის დადგენის შემდეგ.

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო უფლების რეალიზაციის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ უფლებამოსილ პირს შეიძლება ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს უფლების რეალიზაციისათვის სათანადო ვადა. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უქმდება, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული.

მუხლი 353. მოვალის ვალდებულება საგნის სათანადო გამოყენებისწესების დარღვევის გამო სარგებლის მიუღებლობისას.

1. თუ მოვალე არ იღებს სარგებელს საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო, თუმცა მას სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა, მაშინ იგი ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი. 2. თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ანაზღაურებს ფულით ან, თუ §352-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების მიხედვით დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ მას უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორმა მათ საფუძველზე სარგებელი მიიღო.

მუხლი 354. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულება.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად.

მუხლი 355. შეტყობინების ვალდებულება ხელშეკრულებიდან გასვლისას.

ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

მუხლი 356. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა.

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული.

§351. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განუყოფლობა.

თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა პირი მიერ და ყველა პირის მიმართ. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება უქმდება დანარჩენი პირებისათვისაც.

§352. გაქვითვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემდეგ. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მოვალეს გაქვითვის გზით შეეძლო გათავისუფლებულიყო ვალდებულებისაგან და ის ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ აცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

§353. ხელშეკრულებიდან გასვლა საჯარიმო თანხის სანაცვლოდ.

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეთანხმებულია საჯარიმო თანხის სანაცვლოდ, ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ საჯარიმო თანხა არ იქნა გადახდილი განცხადების წარდგენამდე ან განცხადების წარდგენისას და ხელშეკრულების მეორე მხარე აღნიშნული საფუძველით დაუყოვნებლივ უარს ამბობს განცხადებაზე. თუმცა, განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ საჯარიმო თანხა გადაიხდება დაუყოვნებლივ უარის შემდეგ.

§354. ხელშეკრულებიდან გამოდინარი უფლებების დაკარგვის შესახებ დათქმა.

თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები უნდა დაკარგოს, თუ იგი თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, მაშინ კრედიტორი ამ შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია გაეიდეს ხელშეკრულებიდან.

მუხლი 357. ხელშეკრულებიდან გასვლა რამდენიმე პირის მიერ.

თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის, მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქარწყდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება

მუხლი 358. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა.

დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

მუხლი 359. კრედიტორის უარი ხელშეკრულებაზე.

თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუ იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს ამ შემთხვევის დადგომისას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

კაზუსი: „ძველი BMW 316i⁷⁰“

ქალბატონმა მ-მ იყიდა გ-საგან პირადი მოხმარებისათვის მეორადი BMW 316i 4100 ევროდ, რომელსაც გავლილი ჰქონდა 174 000 კილომეტრი. ყიდვის შემდეგ დათვლიერებისას მანქანა აღმოჩნდა ნაავარები, რის გამოც დაზიანებული ჰქონდა კორპუსი. დაზიანებული ნაწილების შესაცვლელად გამოყენებული ნაწილები (საბურავები, დისკები, გამონაბოლქვის მაყურჩი), არ იყო დაშვებული საგზაო მოძრაობის წესების შესაბამისად. მ-მ მანქანის შეძენის შემდეგ გაიარა 10 000 კილომეტრი. ნაკლის აღმოჩენის შემდეგ მ-მ მოსთხოვა გ-ს ნაკლოვანი მანქანის იმავე მარკისა და მონაცემების უნაკლო მანქანით შეცვლა, ძველი მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მანქანის შეცვლისათვის დათქმული ვადის გასვლის შემდეგაც ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო, განუცხადა გ-ს ხელშეკრულებიდან გასვლა. მ-მ მოითხოვა ნასყიდობის ფასის 4.100 ევროს დაბრუნება მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ, რაზეც გ-მ უარი თქვა. იმ შემთხვევისათვის, თუ მას მაინც მოუწევდა ფასის უკან დაბრუნება, გ-მ გამოთქვა მზადყოფნა დაებრუნებინა ფასის მხოლოდ ნაწილი, დანარჩენს კი დაიტოვებდა, როგორც ამ დროის განმავლობაში გადაცემული მანქანიდან მიღებული სარგებლის საპირწონეს. სარგებლის გამოთვლისას გ-მ გაყო მანქანის სავარაუდო ფუნქციონირების პერიოდი ნასყიდობის ფასზე, რის შედეგადაც მიიღო 8 ცენტი გარბენილ კილომეტრზე და მყიდველის მიერ მანქანიდან მიღებული სარგებელი შეაფასა 800 ევროთი. მ-ს აზრით გ-ს შეეძლო მოეთხოვა ნივთის შემცირებული ღირებულების საზღაური, თუმცა იმის გამო, რომ მანქანა უკვე საკმაოდ გაცვეთილი იყო და ის საკმაო გულისხმიერებით ეპყრობოდა მას, ეს თანხა არ შეიძლება ყოფილიყო დიდი. მ-მ ასევე მოითხოვა გადაცემული ფულიდან პროცენტების ანაზღაურება.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. ფასისა და მისი პროცენტების დაბრუნების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ნასყიდობის ფასის – 4.100 ევროსა და მისი პროცენტების დაბრუნების მოთხოვნა გსკ-ის

70 BGH, Urt. v. 16. 9. 2009 – VIII ZR 243/08; NJW 2010, 148.

437-ეს Nr. 2, 323-ეს 1-ლი და 346-ეს 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 491-ე, 405-ეს 1-ლი და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

1. ნასყიდობის ხელშეკრულება გ-სა და მ-ს შორის სახეზეა.
2. ნივთი უნდა ყოფილიყო რისკის გადასვლის მომენტისათვის (გსკ-ის 446-ე პარაგრაფი, სსკ-ის 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ნაკლოვანი (გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ნასყიდობის საგნის თვისებები მხარეებს არ შეუთანხმებიათ გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების) შესაბამისად. ეს არც იყო აუცილებელი, რადგან მოსალოდნელი თვისებები მანქანის შემთხვევაში მისი გამოყენების მიზნიდან გამომდინარეობს.

მანქანის გამოყენება, მართალია, შესაძლებელია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, მაგრამ მას არ ახასიათებს მყიდველის მიერ მოსალოდნელი თვისებები (გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების Nr. 2-ის შესაბამისად). მეორადი მანქანის შემთხვევაშიც, თუ გამყიდველი არ მიუთითებს მყიდველს ავარიანზე, მყიდველი მოელის, რომ მანქანა არანაავარიებია – არ გადაუტანია ავარია, რომელიც სცდება წვრილმანი ავარიის ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში, კორპუსის დაზიანება სცდება წვრილმანი ავარიის ფარგლებს. გარდა ამისა, ავარიის შედეგად დაზიანებული მანქანის ნაწილების გამოცვლა მოხდა მოძრაობის წესების შესახებ კანონის მიხედვით დაუშვებელი ნაწილებით, რაც ასევე წარმოადგენს ნაკლს გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების Nr. 2-ის შესაბამისად. ეს ნაკლი სახეზე იყო რისკის გადასვლის მომენტისათვის.

განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების Nr. 2-ში გამიჯნულია ჩვეულებრივ სარგებლობასა და ანალოგიური ნივთების შემთხვევაში მოსალოდნელ თვისებებს შორის, სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება ამგვარი განსხვავების გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ამიტომაც, საქართველოში, მანქანის ავარიის შედეგად დაზიანება და შეკეთებისას დაუშვებელი ნაწილების გამოყენება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

3. მოცემული უნდა იყოს ასევე გასვლის წინაპირობები. ეს წინაპირობები სახეზეა გსკ-ის 323-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, თუ გამყიდველმა, როგორც მოვალემ, არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება მისი შესრულების მომენტისათვის, მყიდველმა დაუთქვა მას შესრულებისათვის ვადა და ეს ვადა ამოიწურა უშედეგოდ.

3.1. დამატებითი შესრულების მოთხოვნა

ხელშეკრულებიდან გასვლამდე მყიდველმა გამყიდველს უნდა მისცეს “მეორე შანსი”, მოსთხოვოს მას ჯერ დამატებითი შესრულება (გსკ-ის 437-ეს Nr. 1, სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ნაკლის გამოსწორება, ან უნაკლო ნივთის მიწოდება. ნაკლის გამოსწორება მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია (გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი), ნაავარიებ მანქანას ვერავინ აქცევს არანაავარიებად.

თუმცა ასევე უნაკლო ნივთით ჩანაცვლების მოთხოვნა შეიძლება იყოს შეუძლებელი, რადგან ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა მეორადი BMW 316i – ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი –, რომლის შეცვლაც შეუძლებელია სხვა, იმავე თვისებების მქონე ნივთით. თუმცა გერმანიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად⁷¹, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო ინდივიდუალური ნივთის ნასყიდობა, დამატებითი შესრულება ახალი იმავე ხარისხისა და მონაცემების მქონე ნივთის მიწოდებით მაინც დასაშვებია და სწორედ ეს შეესატყვისება კანონმდებლის მიზანს, რომელმაც გსკ-ის 439-ე პარაგრაფის მიხედვით დამატებითი შესრულების მოთხოვნას მიანიჭა უპირატესობა ყველა სხვა ინსტრუმენტთან მიმართებაში. კანონმდებლის ამ გადაწყვეტილების გვერდის ავლა არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მეორადი ნივთის ყიდვისას მისი გამოცვლა სხვა

მეორადი ნივთით შეუძლებელი იყოს, რაც ამ გადაწყვეტას მთელ რიგ შემთხვევებში ამაოდ აქცევდა. განსხვავებულად უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც მყიდველს მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტული მეორადი ნივთის მიმართ აქვს ინტერესი. თუმცა ნასყიდობის ფარგლებში მხოლოდ მეორადი მანქანის შეთანხმება არ შეტყვევებს ცალსახად იმ დაშვების სასარგებლოდ, რომ მყიდველს ზუსტად ეს ნივთი უნდა. ჩვეულებრივ, მას უნდა დაახლოებით ამ თვისებებისა და ფასის მქონე ნივთი. მოცემულ შემთხვევაში მყიდველმა თავად მოსთხოვა გამყიდველს ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლება, შესაბამისად, ის თანახმაა მიიღოს სხვა, მსგავსი თვისებების მქონე მანქანა. ნივთის ჩანაცვლება არ გამხდარა შეუძლებელი ინდივიდუალური ნივთის შეთანხმების გამო.

საქართველოში ამ გერმანულ გადაწყვეტას სავარაუდოდ ვერ გავითვალისწინებთ, რადგან, სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ გვაროვნული ნაკლოვანი ნივთის ჩანაცვლება შეიძლება უნაკლოთი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია განვიხილოთ ამ დანაწესის ტელეოლოგიური დავიწროება. კერძოდ, ნორმის მიზანს წარმოადგენს, ერთის მხრივ, მყიდველის ინტერესების დაცვა – თუ მას ჰქონდა ინტერესი კონკრეტული ინდივიდუალური ნივთის მიმართ, არ უნდა მოვთხოვოთ მის სანაცვლოდ მსგავსი ნივთის მიღება, თუმცა საპირისპირო შემთხვევაში – როდესაც კონკრეტული ნივთის მიმართ ინტერესი არ ჰქონია – ის დაცვას არ საჭიროებს.

გარდა ამისა, დანაწესი ემსახურება ასევე გამყიდველის დაცვას, რომელსაც, შესაძლებელია, გაყიდული ნივთი მხოლოდ ერთი ცალი მოეპოვებოდა და მსგავსის შოვნა მისთვის შეუძლებელი იქნებოდა არის დაკავშირებული (ან საერთოდ შესაძლებელია). თუ კონკრეტულ შემთხვევაში, არც მყიდველი არ საჭიროებს დაცვას და არც გამყიდველისათვის არ წარმოადგენს პრობლემას იმავე მონაცემების ნივთის შოვნა, ტელეოლოგიურად უნდა დავიწროვოთ სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება.

⁷¹ BGH NJW 2006, 2839.

ნების სფერო იმგვარად, რომ დამატებითი შესრულების ფარგლებში ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნა გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ დამატებითი შესრულების შესაძლებლობის დაშვებით არაფერი იცვლება, რადგან გამყიდველმა არ შეასრულა ის და მყიდველს გზა გაეხსნა გასვლისაკენ. თუ ამ დამატებითი შესრულებას თავიდანვე შეუძლებლად მივიჩნევდით, მყიდველს პირდაპირ შეეძლებოდა ხელშეკრულებიდან გასვლა (გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი), დამატებითი ვადის დაწესების გარეშეც, გსკ-ის 323-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის) მიხედვით.

4. გასვლის გაცხადება გსკ-ის 349-ე პარაგრაფის (სსკ-ის 355-ე მუხლის) შესაბამისად სახეზეა.

5. გასვლის შემდეგ მყიდველს შეუძლია გამყიდველს მოსთხოვოს ფასის დაბრუნება, მისგან მიღებული სარგებლითურთ (გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). გსკ-ის მე-100 და 99-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, ფულიდან მიღებულ სარგებელს წარმოადგენს ამ ფულიდან მიღებული მოგება და, მათ შორის, პროცენტები⁷². ამის გამო, გამყიდველმა ნასყიდობის ფასის დაბრუნებასთან ერთად უნდა დააბრუნოს მისგან მიღებული პროცენტები, რადგან ივარაუდება, რომ ის ფულს პროცენტების მომტანად დააბანდებდა ან ამ ფულით საკუთარ პროცენტიან ვალს შეამცირობდა, ანუ პროცენტებს დაზოგავდა.

II. მოთხოვნის განხორციელება

მყიდველის ფასისა და მისი პროცენტების უკან დაბრუნების მოთხოვნა განხორციელებადია მხოლოდ ერთდროულად, მის მიერ შესასრულებელ საპირისპირო ვალდებულებასთან – მანქანისა და მისგან მიღებული სარგებლის დაბრუნებასთან – ერთად (გსკ-ის 348-ე პარაგრაფი, სსკ-ის 354-ე მუხლი).

72 Palandt/ELLENBERGER, § 99 Rn. 3.

III. საპირისპირო მოთხოვნათა გაქვითვა

მყიდველის მიერ მოსათხოვი თანხა შეიძლება შემცირებულიყო გამყიდველის მიერ გაცხადებული გაქვითვის საფუძველზე, გსკ-ის 387-ე პარაგრაფი (სსკ-ის 442-ე მუხლი). გამყიდველის განცხადება, რომ ის დაიტოვებს ფასის ნაწილს, როგორც მანქანიდან მიღებული სარგებლის კომპენსაციას, შეიძლება აღქმული იყოს, როგორც გაქვითვის გაცხადება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთგვაროვანი ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების გაქვითვა. შესაბამისად, საკითხავია, აქვს თუ არა გამყიდველს ფულის გადახდის მოთხოვნა მყიდველის მიმართ.

1. სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა

ნამდვილი გასვლა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახეზეა და ორივე მხარეს წარმოემოხა ვალდებულება დააბრუნოს მიღებული სარგებლითურთ. შესაბამისად, მყიდველმაც უნდა დააბრუნოს მანქანა და მისგან მიღებული სარგებელი გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, რაც ფულად ვალდებულებაში გამოიხატება.

2. სარგებლის მოთხოვნის გამორიცხვა

თუმცა სარგებლის მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამორიცხული იყოს გსკ-ის 346-ე პარაგრაფის (სსკ-ის 352-ე მუხლის) ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის დირექტივის შესაბამისად განმარტების საფუძველზე. სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება მომხმარებლის მიერ ნივთის გამოცვლის შემთხვევაში გამორიცხულია, რადგან ის ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივას⁷³, რომლის მიხედვითაც სარგებლის დაბრუნება არ უნდა იქცეს ხელშემშლელ გარემოებად (მომხმარებელი) მყიდველისათვის ნაკლოვანი ნივთის შეცვლის მოთხოვნისას. მყიდველი არ უნდა დააფრთხოს სარგებლის ანაზღაურების

73 EuGH NJW 2008, 1433.

ვალდებულებამ და არ ააღებინოს ხელი ნაკლოვანი ნივთის ჯეროვანით ჩანაცვლების მოთხოვნის გამოყენებაზე. გერმანელმა კანონმდებელმა დააფიქსირა კიდევ ეს პრინციპი გსკ-ის 474-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილში.

თუმცა ეს გადაწყვეტა და მის საფუძვლად მდებარე მოსაზრება ნამდვილია მხოლოდ დამატებითი შესრულების ფარგლებში ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნის მიმართ და არა გასვლის შემთხვევაში⁷⁴. გასვლისას, ნივთის სარგებლის დამბრუნებელი თვითონაც იბრუნებს საკუთარ შესრულებას და მისგან მიღებულ სარგებელს. სწორედ ამით არის კომპენსირებული მისი სარგებლის დაბრუნების ვალდებულება.

სარგებლის დაბრუნება მოცემულ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამორიცხული.

3. სარგებლის დაბრუნების ფარგლები

მანქანიდან მიღებული სარგებლის დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, რის გამოც, უნდა ანაზღაურდეს მისი ღირებულება გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 1 (სსკ-ის 352-ე მუხლის Nr. 2-ის ა) ქვეპუნქტი).

საკითხავია, თუ როგორ უნდა მოხდეს სარგებლის ღირებულების გამოთვლა. შემოთავაზებული ვარიანტები შემდეგია:

1. *ნასყიდობის ფასი იყოფა ნივთის ფუნქციონირების სავარაუდო პერიოდზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არის 8 ცენტი ყოველ გავლილ კილომეტრზე⁷⁵. სარგებლის გამოთვლის ეს მეთოდი ემთხვევა გამყიდველის მიერ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულს.*

2. *სარგებლის ღირებულების გამოთვლის მეორე მეთოდის მიხედვით, სარგებელი გამოითვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად ახდენს ცვეთა ფასზე გავლენას⁷⁶. ახალი მანქანის შემთხვევაში ცვეთა საკმაოდ სწრაფად აისახება*

74 BGHZ 174, 273, Tz. 34; 178, 243.

75 BGHZ 115, 54.

76 შეადარე Palandt/ELLENBERGER, § 346 Rn. 10 და იქ მითითებული ლიტერატურა.

ფასზე. რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლის შემდეგ, მანქანა უკვე აღარ ითვლება ახლად და მისი ფასიც საგრძნობლად კლებულობს. ეს ასე არ არის უკვე გაცვეთილი მანქანის შემთხვევაში; ამ დროს, მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვეთა აისახება ფასზე. მოცემულ შემთხვევაში მყიდველის მიერ გავლილი 10 000 კილომეტრის, როგორც მანქანიდან მიღებული სარგებლის, ღირებულება იქნებოდა საკმაოდ მცირე, რადგან ამ 10 000 კილომეტრით უკვე 174 000 კილომეტრგავლილი მანქანის ღირებულება მხოლოდ უმნიშვნელოდ მცირდებოდა.

3. *სარგებლის გამოთვლის მესამე წესის მიხედვით, ის გამოითვლება იმავე ნივთის ქირავნობის სავარაუდო საფასურის მიხედვით. თუმცა ამ წესის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არასწორია – ვისაც ნივთის ყიდვა სურს, არ სურს მისი ქირაობა, შესაბამისად, ნივთის ყიდვით ის ზოგავს არა მისი ქირაობის ხარჯებს, არამედ სხვა, მსგავსი ნივთის ცვეთის ხარჯებს, რომელსაც ის ამ კონკრეტული ნივთის არშეძენის შემთხვევაში იყიდდა.*

გამყიდველის მიერ სარგებლის ღირებულების გამოთვლის მეთოდს იყენებს ასევე გერმანული სასამართლო. ამ მეთოდის მიხედვით სარგებლის ღირებულება შეადგენს 800 ევროს.

ეს გადაწყვეტა მოცემულ შემთხვევაში უპრიანი ჩანს, რადგან უკვე მეორად მანქანასთან გვექონდა საქმე, თუმცა მისი გამოყენება გაუმართლებლად გვესახება ახალი მანქანის შემთხვევაში. ამ დროს გამოთვლის მეორე ხერხის გამოყენება ჩანს მართებული.

ზოგადად, არანამდვილი ნასყიდობის (ან სხვა ვარიეტების უკუქცევისას, რომლის მიზანსაც ნივთის საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს) უკუქცევისას სარგებელი განსხვავებულად გამოითვლება მოძრავი და უძრავი ნივთების შემთხვევაში. მოძრავი ნივთების შემთხვევაში, უახლესი

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,⁷⁷ სარგებელი – 154-ე მუხლის გაგებით – გამოითვლება არა მისი ქირავნობის ხარჯების მიხედვით, არამედ ნივთით სარგებლობის დაწყებამდე და სარგებლობის დამთავრების შემდეგ ღირებულებათა თანაფარდობათა შესაბამისად, ანუ ამორტიზების შედეგად შემცირებული ღირებულების მიხედვით⁷⁸ – თუ პირს უნევს, მაგალითად, გასვლის შემდეგ მანქანისა და მისგან მიღებული სამთვიანი სარგებლის დაბრუნება, ეს სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ ის ნასყიდობის უკან დაბრუნებული ფასით სამი თვის შემდეგ იყიდის ახალ მანქანას და მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი თვის გაცვეთილი მანქანა უნდა ჰყავდეს, გაუცვეთ მანქანას ფლობს. ანუ სარგებელი მდგომარეობს „დაზოგილ ცვეთაში“.

ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულია იმით, რომ ერთი და იმავე ნივთის ქირაობა და ყიდვა არ არის იდენტური ეკონომიკური დატვირთვის მქონე; ვინც იღებს გადაწყვეტილებას იყიდოს თხილამურები, მან არ უნდა აანაზღაუროს ამ თხილამურებიდან მიღებული სარგებელი იმ ნიხრით, რისი გადახდაც მოუწევდა მათი თვიურად/დღიურად ქირავნობისას; წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმეთვიანი ფლობის შემდეგად მიღებული სარგებელი რამოდენიმეჯერ გადააჭარბებდა ფასს.⁷⁹

განსხვავებულად გამოითვლება სარგებელი უძრავი ნივთის შემთხვევაში. მინის ნაკვეთიდან მიღებული სარგებლის საზომად მიჩნეულია ამ ან მსგავსი ნაკვეთის ქირა.⁸⁰ ზემოთ მოყვანილი გამოთვლის ხერხი – სარგებლის გამოთვლა ამორტიზების შედეგად დაკარგული ღირებულების მიხედვით – უკუგდებულია იმ არგუმენტით, რომ მინის ნაკვეთი დროში შეუზღუდავ სარგებლობის პოტენციალს ფლობს და სარგებლობის შედეგად მისი ღირებულება არ

მცირდება.⁸¹ გარდა ამისა, უძრავი ნივთის ყიდვა და ქირავნობა – განსხვავებით მოძრავი ნივთისაგან – სარგებლობის ეკონომიკურად იდენტური ფორმებია, რის გამოც გერმანიაში არა მხოლოდ მინის ნაკვეთის, არამედ ასევე ბინიდან ან კერძო სახლიდან მიღებული სარგებელიც მისი ქირის მიხედვით იზომება.

საქართველოში ბინისა და ზოგადად შენობა-ნაგებობის შემთხვევაში ამ პრინციპის გაზიარება შეუძლებელი ჩანს, გამომდინარე იქიდან, რომ აქ ბინის ქირავნობა და ყიდვა ეკონომიკურად სრულებით არათანაზომიერ სარგებლობის ფორმებს წარმოადგენს. ამიტომაც, ამ შემთხვევაში ისევ ნივთის ამორტიზების მიხედვით გამოთვლილი ღირებულება უნდა იყოს გადამწყვეტი.⁸²

გამყიდველს შეუძლია ამ თანხის ფარგლებში გაქვითოს საპირისპირო მოთხოვნის უფლება.

საბოლოო შედეგი: გაქვითვის შედეგად მყიდველს აქვს მხოლოდ ნასყიდობის ფასის (3.300 ევროს) და ამ თანხიდან მიღებული პროცენტების მოთხოვნის უფლება.

77 BGH NJW 1991, 2484; BGH NJW 1995, 2161; NJW-RR 1995, 365; BGH NJW 1996, 252.

78 BGH NJW 1991, 2484; BGH NJW 1995, 2161; BGH NJW-RR 1995, 365.

79 BGH NJW 2006, 1582.

80 MÜKo/STRESEMANN, § 100 Rn. 11.

81 MÜKo/STRESEMANN, § 100 Rn. 11.

82 BGH NJW 2006, 53.

კაზუსი “ქართველი ვაჟკაცი”

გელა (გ) მიჰყიდის მურთაზს (მ) თავის მეორად ავტომანქანას, როგორც “გამართულ მდგომარეობაში მყოფსა და არანაავარიებს”, 5 000 ლარად. ორი თვის შემდეგ მურთაზს, რომელსაც, როგორც ქართველ ვაჟკაცს, სიჩქარის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, რასაც მის წინა მანქანასთან ერთად ორი წინა კბილიც ემსხვერპლა, სიჩქარის გადაჭარბების გამო მოუსრიალდება მანქანა და შეასკდება შუქნიშნის ბოძს. მანქანა ხდება ჯართში ჩასაბარებელი, ხოლო თვითონ მურთაზს დასჭირდება ყბა-სახის გადაუღებელი ოპერაცია. ნარკოზიდან გამოსვლისთანავე მურთაზს მისი ერთ-ერთი მეგობართაგანი ჩააწვთებს ყურში, რომ მანქანა უკვე ნაავარიები იყო და მისი ღირებულება მხოლოდ 2 000 ლარს შეადგენდა (ავარიის გარეშე მანქანის ფასი 6 000 ლარი იქნებოდა). საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ კი უკვე გელასთან არ წყდება მურთაზის ზარები, რომელიც მას ფულის დაუყოვნებლივ დაბრუნებას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარად დალაპარაკების პერსპექტივით. მურთაზისათვის, რა თქმა უნდა, არადამაჯერებელია ის ფაქტი, რომ თვითონ გელამაც მანქანა უკვე მეორად მდგომარეობაში იყიდა და ავარიის შესახებ არაფერი იცოდა. ფულის სანაცვლოდ ის თანახმაა დაუბრუნოს მას ჯართად ქცეული მანქანა, თუ გ თავად წაიღებს ამ ჯართს. აქვს თუ არა მურთაზს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ნასყიდობის ფასის უკან მოთხოვნის უფლება?

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 437-ეს Nr. 2, 326-ეს მე-5 ნაწილის, 323-ესა და 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 491-ეს 1-ლი ნაწილის, 405-ეს მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტისა და 1-ლი ნაწილის, 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

1. ამისათვის გ-სა და მ-ს შორის უნდა დადებულიყო **ნასყიდობის ხელშეკრულება**, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

2. ხელშეკრულებიდან გასვლა

მოთხოვნის უფლების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლა.

2.1 ხელშეკრულებიდან გასვლისათვის აუცილებელია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილიდან და 323-ე პარაგრაფიდან (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტიდან და 1-ლი ნაწილიდან).

2.2 გასვლის პირველ წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევა.

გ-ს მიერ გადაცემული ნასყიდობის საგანი, რისკის გადასვლის მომენტში (გსკ-ის 446-ე პარაგრაფი, სსკ-ის 482-ე მუხლი), არ არის შეთანხმებული თვისების მქონე გსკ-ის 434-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ვალდებულების დარღვევა სახეზეა.

2.3 გასვლის უფლების გამოყენების შემდეგი წინაპირობაა დამატებითი შესრულებისათვის ვადის დანიშვნა გსკ-ის 439-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

თუმცა ნაკლის („ნაავარიები“) გამოსწორება არის შეუძლებელი (გსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო ინდივიდუალური ნივთის შეცვლა დამატებითი შესრულების ფარგლებში, როგორც წესი, შეუძლებელია⁸³. ამის გამო, დამატებითი შესრულებისათვის ვადის დანიშვნა ზედმეტია (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი).

2.4 გასვლის გამომრიცხავი გარემოებები (მაგ. გსკ-ის 326-ეს მე-5 ნაწილის მე-2 ვარიანტისა და 323-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის მე-2 ნაწილიდან და მე-6 ნაწილის/სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა)-ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად) არ არის სახეზე, რადგან არც ნაკლია არაარსებითი და არც მყიდველი არ არის მხოლოდ ან უმთავრესად პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს.

2.5 გასვლის ნამდვილობის შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს

⁸³ LORENZ/RIEHM, Neues Schuldrecht, Rn. 505-ე და შემდგომნი; CANARIS, Schuldrechtsmodernisierung [Einl. zum Materialienband], XXIV.

მისი გაცხადება (გსკ-ის 349-ე პარაგრაფი, სსკ-ის 355-ე მუხლი).

გაცხადებას არ სჭირდება რაიმე ფორმის დაცვა და შეიძლება მოხდეს კონკლუდენტური მოქმედებითაც⁸⁴. მოცემულ შემთხვევაში მ-ს მიერ ნასყიდობის ფასის უკან მოთხოვნა, მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ, უნდა განიმარტოს (გსკ-ის 133-ე, 157-ე პარაგრაფების, სსკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით), როგორც კონკლუდენტურად გაცხადებული გასვლა, რომლის გაცხადებაც მოხდა დროულად (გსკ-ის 218-ე და 438-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად).

2.6 გსკ-ის 346-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, მ-ს შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ფასი და ის სარგებელი (პროცენტები), რომელიც გ-მ ამ თანხიდან მიიღო.

მიუღებელი სარგებელი მ-მ უნდა დააბრუნოს გსკ-ის 347-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. მნიშვნელოვანი ოდენობის თანხის შემთხვევაში საქმის სათანადო გაძღოლას წარმოადგენს ამ თანხიდან პროცენტების მიღება⁸⁵, რაც უნდა დააბრუნოს კიდევც გ-მ ნასყიდობის ფასთან ერთად.

II. მოთხოვნის **გამომრიცხავი შესაგებელი** არ არის სახეზე.

III. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი

1. ერთდროულად შესრულების შესაგებელი

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ ერთდროულად შესრულების შესაგებელი გსკ-ის 348-ე და 320-ე პარაგრაფების (სსკ-ის 354-ე მუხლის) შესაბამისად, თუ მას თავის მხრივ მ-ს მოთხოვნას ნასყიდობის ფასისა და სარგებლის დაბრუნებასთან დაკავშირებით შეუძლია დაუპირისპიროს შესაბამისი მოთხოვნა.

84 Palandt/GRÜNEBERG, § 349 Rn. 1.

85 LANGELS, Schuldrecht AT 2, § 26 4 f.

1.1 მანქანაზე საკუთრების დაბრუნების მოთხოვნა

მ-ს მოთხოვნა მანქანაზე საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებით გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) არ არსებობს, რადგან მანქანის განადგურების შემდეგ ეს შეუძლებელია (გსკ-ის 346-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3).

1.2 მანქანის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ მანქანის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული საგანი გაფუჭდა ან განადგურდა, დაბრუნების ნაცვლად მოვალემ უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება (გსკ-ის 346-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3, სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის 1-ლი ვარიანტი). მოცემულ შემთხვევაში მანქანის განადგურების შემდეგ მ-ს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მისი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება. ღირებულების გამოთვლას, გსკ-ის 346-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-3 ნაწილის) შესაბამისად, საფუძვლად უნდა დაედოს საპასუხო შესრულების ანუ ნასყიდობის ფასი.

საკამათოა, გულისხმობს თუ არა ეს ფასი ნაკლის შედეგად შემცირებულ ნამდვილ ფასს⁸⁶ (2 000 ლარს), თუ მისი გამოთვლა უნდა მოხდეს ნასყიდობისას ფასის შემცირების ნესების შესაბამისად⁸⁷ (აქ: დაახლოებით 1700 ლარი). ამ მეორე გადაწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტი: რადგან ხელშეკრულება ნამდვილია, მის ფარგლებში მოპოვებული პოზიციები მხარეებს უნდა შეუნარჩუნდეთ ასევე რესტიტუციული ურთიერთობის ფარ-

86 LORENZ/RIEHM, Neues Schuldrecht, Rn. 425.

87 KAISER, JZ 2001, 1057, 1059; KÖHLER/FRITZSCHE, Fälle zum neuen Schuldrecht, Fall 8. გსკ-ის 441-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ფასის შემცირების შემთხვევაში, ნასყიდობის ფასი უნდა შემცირდეს, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, უნაკლო და ნაკლოვანი ნივთების ღირებულებათა თანაფარდობის შესაბამისად.

გლებშიც. მიიღველმა მოახერხა რა საკუთარი მარიფათის ნყალობით შეეძინა მანქანა მისი სავარაუდო ღირებულების 5/6 ფასად, ასევე გასვლის შემდეგ უნდა აანაზღაუროს ღირებულების მხოლოდ 5/6 ნაწილი.

1.3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვა

თუმცა, დამოუკიდებლად ღირებულების გამოთვლის ზუსტი კრიტერიუმისა, ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს გსკ-ის 346-ე მუხლის მე-3 ნაწილის Nr. 3 (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) შესაბამისად, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის გაფუჭებას ან განადგურებას ადგილი ჰქონდა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში (diligentia quam in suis).

მოცემულ შემთხვევაში გასვლა ხორციელდება კანონისმიერი უფლების საფუძველზე. ნივთი განადგურდა გასვლის უფლებამოსილ პირთან, მ-სთან, რომელიც მას ისეთივე უყურადღებობით ექცეოდა, როგორც თავის წინა მანქანას და რაც შეიძლება ჩაითვალოს მისთვის „ჩვეული მზრუნველობის“ მასშტაბად. თუმცა დაუშვებელია რესტიტუციის მოვალის (Rückgewährschuldner⁸⁸) პრივილეგირება განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. ვინც საკუთარ საქმეებში გამოჩენილი მზრუნველობის მიხედვით აგებს პასუხს, არ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (გსკ-ის 277-ე მუხლი) და მითუმეტეს განზრახვისათვის. როდესაც მოვალე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ანადგურებს საკუთარ ნივთებს, მას მაინც ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარად განადგურებული ნივთისათვის, თუ ეს ნივთი ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ უნდა დაებრუნებინა.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში სიჩქარის გადაჭარბების მი-

ზეზით ნივთის განადგურება, მ-ს მხოლოდ ჩვეულებრივ გაუფრთხილებლობად შეიძლება ჩაეთვალოს, რასაც ის ჩვეულებრივ იჩენს კიდევ საკუთარ საქმეებში. ამის გამო, ის თავისუფლდება გსკ-ის 346-ე მუხლის მე-3 ნაწილის Nr. 3 (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) შესაბამისად ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

1.4. გ-ს მოთხოვნა მანქანიდან მიღებული სარგებლის დაბრუნებასთან დაკავშირებით

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-ს მიმართ მანქანიდან მიღებული სარგებლის დაბრუნების მოთხოვნა გსკ-ის 346-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილის Nr. 2 (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. გსკ-ის 346-ეს 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, რესტიტუციის მოვალემ უნდა დააბრუნოს მიღებული სარგებელი. მოცემულ შემთხვევაში მიღებულ სარგებელს შეადგენს მანქანის გამოყენების შედეგად მიღებული უპირატესობა (გსკ-ის მე-100 პარაგრაფი). მანქანიდან მიღებული სარგებლის დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, რის გამოც მ-მ უნდა აანაზღაუროს მათი ღირებულება გსკ-ის 346-ე მუხლის მე-2 ნაწილის Nr. 1.

გერმანულ სამართალში მიღებული სარგებლის გამოსათვლელად სამი მეთოდის გამოყენებაა შესაძლებელი: 1. სარგებლის გამოთვლისას ნასყიდობის ფასი იყოფა ნივთის ფუნქციონირების სავარაუდო პერიოდზე და მრავლდება მოვალის მიერ მისი გამოყენების პერიოდზე (ავტომანქანის შემთხვევაში, მისი ფასი, რომელიც გამოითვლება ზემოთ მოყვანილი წესების შესაბამისად, იყოფა ავტომანქანის მიერ სავარაუდოდ გასავლელი კილომეტრების რაოდენობაზე და მიღებული განაყოფი მრავლდება მოვალის მიერ გავლილ კილომეტრებზე⁸⁹). 2. სარგებლის ღირებულება გამოითვლება ნივთის ცვეთისა და ფასის თანაფარდობის მიხედვით⁹⁰. 3. სარგებლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ნივთის ქირა, რომელიც მრავლდება მოვალის მიერ მისი გამოყენების პერიოდზე. მესამე მოსაზრება არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ის, ვინც ნივთს ყიდულობს, არ აპირებს მის

88 Rückgewährschuldner-ად მოიხსენიება გასვლის შემდეგ მხარეებს შორის წარმოშობილი რესტიტუციური ურთიერთობის მოვალე.

89 BGHZ 115, 47, 54; HÖPFNER, NJW 2010, 128; FAUST, JUS 2009, 1052.

90 BGH UrT. v. 16. 9. 2009 (VIII ZR 243/08), NJW 2010, 148.

ქირაობას და შესაბამისად მისთვის მიღებულ სარგებელს წარმოადგენს არა დაზოგილი სავარაუდო ქირა, არამედ ნივთით უსასყიდლოდ (რადგან მასში გადახდილ ფასს უკან იბრუნებს) სარგებლობის შესაძლებლობა. თუმცა პირველი და მეორე მოსაზრების ნაკლი არის ის, რომ უცვლელი ან ძნელად ცვლადი ნივთების შემთხვევაში შეუძლებელი ხდება სარგებლის ოდენობის დადგენა. სარგებლის ანაზღაურების ვალდებულების მიზანს კი წარმოადგენს არა მხოლოდ დამდგარი ცვლადის კომპენსირება, არამედ იმ მხარის, რომელიც აბრუნებს ფულსა და მის პროცენტებს, ნივთის უკან დაბრუნებასთან ერთად ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, როგორშიც იქნებოდა, მთელი ამ დროის განმავლობაში კუთვნილი ნივთით რომ ესარგებლა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში მანქანა არ წარმოადგენს უცვლელ ნივთს და შესაბამისად სარგებლის გამოთვლისას შესაძლებელია პირველი ან მეორე მეთოდით ხელმძღვანელობა (იხ. ამასთან დაკავშირებით უფრო დეტალურად წინა კაზუსში).

მ-მ უნდა დააბრუნოს ამ ორი მეთოდიდან ერთ-ერთის შესაბამისად გამოთვლილი სარგებელი.

1.5. ვალდებულების შესრულების დაყოვნების შესაგებელი გსკ-ის 273-ე მუხლის შესაბამისად

ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლების წინაპირობას წარმოადგენს ურთიერთკავშირი ორ დაპირისპირებულ მოთხოვნას შორის. მოცემულ შემთხვევაში მ-ს მოთხოვნას ფასისა და მისი პროცენტების დაბრუნებასთან დაკავშირებით შეიძლება უპირისპირდებოდეს ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 280-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა მ-ს არ დაურღვევია თავისი ვალდებულება გ-ს წინაშე, რადგან გასვლის საფუძვლის შეტყობამდე და მეორე მხარის მიერ მის გაცხადებამდე, მას არ აწევდა არც ნივთზე საკუთრების უკან დაბრუნების ვალდებულება და არც ნასყიდობიდან წარმოშობილი დამატებითი ვალდებულება ნივთის მოვლისა.

შედეგი: მ-ს შეუძლია მოსთხოვოს გ-ს ნასყიდობის ფასისა და მისი პროცენტების დაბრუნება ავტომატურად მიღებული სარგებლის დაბრუნების სანაცვლოდ (შესაძლებელია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაც).

კაზუსი: „ავთო (მატყუარა) სინალაგმა და ნადირობის ტრფიალი გოგი“⁹¹

ავთო სინალაგმა (ა. ს.), რომელსაც, რაც თავი ახსოვს, მეორადი მანქანებით ვაჭრობდა, მიყიდის გოგის (გ.) მეორად ქ316ი-ს (10.10.2012). მანქანის, რომელიც გარეგნულად საკმაოდ კარგად გამოიყურება, დათვალეირების შემდეგ გოგის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ხომ არ ახასიათებს მას რაიმე ნაკლი, ავთო ჩვეულებისამებრ პასუხობს, რომ „ასეთი შესანიშნავი მანქანა მას ჯერ არ ჰყოლია“ და ის „რა თქმა უნდა, სრულებით უნაკლოა“. სინამდვილეში ავთომაც მხოლოდ ორი დღის წინ შეიძინა ის და მისი ასავალ-დასავლის შესახებ არაფერი იცის. ხელშეკრულების ფორმულარში მხარეები მიუთითებენ: „წინა მესაკუთრის განცხადების თანახმად, უნაკლო“, რის შემდეგაც გოგი ავთოს უხდის მანქანის ფასს, 6000 ლარს.

2013 წლის თებერვალში, ნადირობის სეზონის გახსნასთან ერთად, გოგი თავისი ახალნაყიდი მანქანით გაემართება სანადიროდ. დანიშნულების ადგილზე მისასვლელად საკმაოდ ციცაბო გორაკზე აძრომისას, რომელზეც, წესით, მსუბუქი მანქანით არ უნდა ავიდეს კაცი, თუმცა რომელზეც გოგი, როგორც გამოცდილი მძღოლი, თავისი ყოფილი მანქანითაც (ფოლკსვაგენ გოლფი) ყოველთვის წარმატებულად ძვრებოდა ხოლმე, ნახევარზე ასული ჩამოსრიალდება და მანქანის უკანა ნაწილს მთლიანად გამოანგრევს, რისი გაკეთებაც 3000 ლარი ჯდება და რასაც გოგი მალევე მიივიწყებს.

მხოლოდ 2015 წლის აპრილში ხელოსნის მიერ მანქანის დათვალეირებისას გაირკვევა, რომ ის ყოფილ პატრონს არა ერთხელ, არამედ სულ მცირე სამჯერ გადაუტრიალდა და კორპუსი საფუძვლიანად მონჯღრეული აქვს. მიუხედავად ამისა, გოგი მიიჩნევს რა, რომ ნასყიდობის დადებიდან სამი წლის თავზე მას ავთოს მიმართ ყველა უფლება დაკარგული აქვს, არ ინუხებს თავს მასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2016 წლის იანვარში დიდთოვლობის გამო ოთხი კვირით ყაზბეგში, მონადირის ქოხში, სრულებით მოწყვეტილი აღმოჩნდება გარესამყაროსაგან. თუმცა 2016 წლის აპრილში მას უცხოეთიდან ჩამოსული მეგობარი ისე, სხვათა შორის, მოუყვება, თუ როგორ აგებინა პასუხი ელექტრომადულარის მატყუარა გამყიდველს ნასყიდობის დადებიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგაც კი, რაც გოგის იმავს გაკეთების სურვილს აღუძრავს. სხვადასხვა ფორუმების გადაქექვის შემდეგ მივა იმ აზრამდე, რომ შესაძლებელია ჯერ ყველაფერი დაკარგული არ იყოს. უკავშირდება ავთოს და აუწყებს მანქანის

ნაავარიებობის შესახებ. ავთო შეიცხადებს. ის მზად არის გამოცვალოს მანქანა იმავე მონაცემების მქონე მეორადი მანქანით, თუმცა ეს უკანასკნელი ხასხასა ყვითელი ფერისაა და უფრო მეტი განარბენი აქვს. გოგის არც ერთი მოსწონს და არც მეორე, რის გამოც მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდება.

საბოლოოდ, 2016 წლის ივნისში გოგი მანქანის ნაკლოვანების მოტივით ხელშეკრულებას მოშლილად მიიჩნევს და უკან ითხოვს ნასყიდობის ფასს, ხოლო ავთო კი თვლის, რომ მას სანადიროდ ნასვლამდე უნდა ეფიქრა მოთხოვნების წაყენებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მას მაინც მოუწევს მანქანის უკან ნაღება, ის ითხოვს ზიანის ანაზღაურების სახით 3000 ლარს და 1000 ლარს, როგორც მანქანიდან მიღებული სარგებლის კომპენსაციას.

კაზუსის ამოხსნა:

(ქართული სამართლის მიხედვით)

I. ნაწილი: გ-ს მოთხოვნები

1. კონდიქციური მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდობის ფასის, 5 000 ლარის, უკან მოთხოვნის უფლება 976 I ა) მუხლის მიხედვით.

მართალია, კაზუსის ამოხსნისას ის უნდა დავიწყოთ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებების შემონახვით, თუმცა, თუ შეცილების გაცხადებას ეხება საქმე, მაშინ 59 II და 976 I ა) მუხლებიდან გამომდინარე უკუქცევითი ეფექტის გამო, სწორედ კონდიქციური მოთხოვნა მოწმდება პირველ ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გასვლის წინაპირობებისა და შედეგების შემონახვა ამაო გამხდარიყო, თუ სახეზე გვექნებოდა ნამდვილი შეცილება, რომელიც დადების მომენტიდან გააქარწყლებდა ხელშეკრულებას.

⁹¹ ძირითადად შედგენილია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების (BGH NJW 2006, 2839) საფუძველზე.

1.1. რაიმეს მოპოვება

ა. ს.-ს უნდა მოეპოვებინა რაიმე 976 I მუხლის გაგებით. რაიმეს ქვეშ ამ დანაწესის მიხედვით იგულისხმება ნებისმიერი სარგებლის მომტანი სამართლებრივი სიკეთე. მოცემულ შემთხვევაში ა. ს.-მ მოიპოვა საკუთრება და მფლობელობა 6 000 ლარზე.

1.2. შესრულებით

ა.ს-ს ფულზე საკუთრება და მფლობელობა უნდა მოეპოვებინა გ-ს შესრულებით. შესრულება არის სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსება.

1.3. სამართლებრივის საფუძვლის გარეშე

საკითხავია, მოხდა თუ არა შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სამართლებრივი საფუძველი აქ შეიძლება ყოფილიყო ა. ს.-სა და გ-ს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობა.

1.3.1. შეცილება

ა. შეცილების გაცხადება

თუმცა დადებული ნასყიდობა შეიძლება არანამდვილი გამხდარიყო ex tunc-მოქმედებით გ-ს შეცილების შედეგად, 59 II მუხლი. შეცილების გაცხადება არის ცალმხრივი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომლის განმარტებაც უნდა მოხდეს მიმღების ჰორიზონტიდან (52). შეცილების ნების გამოხატვის დასაშვებად არ არის აუცილებელი სიტყვა „შეცილების“ გამოყენება, საკმარისია, თუ მიმღებს შეუძლია შეიცნოს, რომ მეორე მხარეს აღარ სურს ხელშეკრულების ნამდვილობა. მოცემულ შემთხვევაში გ-მ განაცხადა, რომ მას არ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება, რადგან ა. ს.-მ მას დაუმალა ავარიის ფაქტი.

საკითხავია, ხომ არ უნდა გავიგოთ ა-ს ნების გამოხატვა, უპირატესად, როგორც გასვლის და არა შეცილების გაცხადება. გამომდინარე იქიდან, რომ აქ გ-ს ხელთ ჰქონდა ორივე „გარდაქმნითი უფლების“ (როგორც გასვლის, ისე შეცილების) გამოყე-

ნების შესაძლებლობა, მისი განცხადების რეალურად ნასურვები მნიშვნელობა განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს. ამ შემთხვევაში გ-ს ნების განმარტება, როგორც გასვლის გაცხადებისა, ერთი მხრივ, მომგებიანია, რადგან მას არ უნევს ზიანის ანაზღაურება 79 II 1 მუხლის მიხედვით; განსხვავებით შეცდომის საფუძვლით შეცილებისაგან. თუმცა, ამის საპირწონედ, გასვლის განმცხადებელი, თავის მხრივ, ასევე ვალდებულია უკან დააბრუნოს მიღებული 352-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, – შეცდომის საფუძველზე შეცილებისაგან განსხვავებით – მოტყუების საბაზით შეცილებისას მას ზიანის ანაზღაურება არ ეკისრება, ხოლო თუ მიღებული მასთან განადგურდა, არ ეკისრება არც ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.⁹² მოცემულ შემთხვევაში კი ყველაზე სავარაუდოა გ-ს მიერ ნაავარიულობის გაუმყლავნებლობის, ანუ მოტყუების, გამო შეცილების უფლების გამოყენება, რის გამოც მისთვის უფრო მომგებიანია, თუ ნების გამოხატვას, როგორც შეცილების გაცხადებას ისე განვმარტავთ.

ბ. შეცილების საფუძველი

ნამდვილი შეცილებისათვის აუცილებელია შეცილების საფუძვლის არსებობა.

აა. შეცდომა თვისებაში

მოცემულ შემთხვევაში შეცილების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს შეცდომა თვისებაში 74 II მუხლის მიხედვით, ანუ ისეთ თვისებასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში, გავლენას ახდენს ფასზე. თუმცა შეცილების უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს ნივთის ნაკლიდან წარმომობილ მეორად მოთხოვნებთან კონკურენციისას. თუ შეცილების უფლება კონკურირებს მყიდველის მეორად მოთხოვნებთან, მან პირდაპირ შეცილების უფლების გამოყენებით არ უნდა წაართვას გამყიდველს ჯეროვანი შესრულების მეორე

⁹² იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად *რუსიაშვილი/ვენატაშვილი*, კაზუ-სები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 162.

შანსი (490 I მუხლი), ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ თავის დახსნის გზით და გვერდი არ უნდა აუაროს ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების სამწლიან ხანდაზმულობის ვადას.⁹³ აქედან გამომდინარე, თვისებაში შეცდომის მოტივით შეცილების გამოყენება გამორიცხულია.

ბბ. მოტყუება

თუმცა შეცდომის საფუძვლით შეცილების გარდა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხულია, უნდა განვიხილოთ შეცილება მოტყუების საფუძვლით (81 I, II).

მოტყუებაზე დაფუძნებული შეცილება, განსხვავებით შეცდომის საბაზით შეცილებისგან, შეიძლება კონკურირებდეს ასევე ნაკლოვანი შესრულებით გამოწვეულ პასუხისმგებლობასთან. მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს გარიგების დადებისას განზრახ უმაღლეს ნივთის ნაკლს, ამ უკანასკნელს აქვს, როგორც მოტყუების გამო შეცილების უფლება, ასევე ნასყიდობიდან წარმომდგარი მეორადი მოთხოვნები (490-ე და მომდევნო მუხლები). გამყიდველი, რომელიც იტყუება, არ იმსახურებს იმას, რომ პასუხი აგოს პრივილეგირებულად, მხოლოდ ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის შესაბამისად და შეინარჩუნოს, მაგალითად, შესრულების „მეორე შანსი“.

1. მცდარი წარმოდგენის შექმნა

მოტყუება შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ორივე მიზნად უნდა ისახავდეს მეორე მხარისათვის მცდარი წარმოდგენის შექმნას, მის გამყარებას, ან უკვე შექმნილი წარმოდგენის უბრალოდ არ გაქარწყლებას და ამასთან მოტყუება უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ და არა მხოლოდ შეფასებით მტკიცებას.

მოცემულ შემთხვევაში ა. ს.-მ დაუდასტურა გ-ს, რომ მანქანა

იყო არანაავარიები და თითქმის სრულებით ახალი, მიუხედავად იმისა, რომ ის მნიშვნელოვნად დაზიანდა წინა მფლობელთან. ამგვარად, სახეზე გვაქვს ობიექტურად მცდარი წარმოდგენის შექმნა ა. ს.-ს მხრიდან. თუმცა ეს პირად საუბარში გაცხადებული თავდაპირველი ცნობა ა. ს.-მ ნაწილობრივ შეარბილა ნასყიდობის ფორმულარში, მიუთითა რა, რომ მანქანის ნაავარიებობა გამორიცხული იყო მხოლოდ წინა მფლობელის (ანუ მისი) სუბიექტური მოსაზრების თანახმად. თუმცა სინამდვილეში ასევე ფორმულარის მეშვეობით დადებული გარიგებების განმარტება უნდა მოხდეს 52-ე მუხლის მიხედვით. ამგვარად, სტანდარტული ფორმულირება არ აქარწყლებს ხელშეკრულების დადებამდე მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობას და არ გამორიცხავს მასზე მითითების შესაძლებლობას.

2. მოტყუების განზრახვა

მოტყუების ობიექტური შემადგენლობის გარდა 81-ე მუხლის წინაპირობების შესრულებისათვის სუბიექტურ დონეზე აუცილებელია მომტყუებლის შეგნებული გადაწყვეტილება, ე. წ. „მოტყუების განზრახვა“. მომტყუებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ მის მიერ მიწოდებული მცდარი ცნობით, ან სწორი ცნობის დამალვით, კონტრაჰენტს უქმნის არასწორ წარმოდგენას ან ამყარებს უკვე შექმნილ წარმოდგენას და სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მეორე მხარის ნების გამოხატვას. გარდა ამისა, აუცილებელია ამ არასწორ წარმოდგენასა და გარიგების დადებას შორის კაუზალური ბმის გაცნობიერება, რაც იკითხება ფორმულირებიდან – „გარიგების დადების მიზნით მოტყუება“.

დუმილით მოტყუებისას აუცილებელია, რომ პირმა, რომელსაც ეკისრება გამჟღავნების ვალდებულება იცოდეს, ან სულ მცირე უშვებდეს, რომ მეორე მხარე მის მიერ დაფარული გარემოებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. აქ გამყიდველმა არა მხოლოდ დაფარა მანქანის ნაკლი დუმილით, არამედ დაუფარავად განაცხადა, რომ მანქანა არ იყო ნაავარიები. მიუხედავად ამისა, მას შეიძლება მაინც არ შეერაცხებოდეს მოტყუების განზრახვა, რადგან მან თავადაც არ იცოდა ამ ნაკლის შესახებ. თუმცა მო-

⁹³ დარჯანია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 74 ველი 20.

ტყუებისათვის საკმარისია, თუ მომტყუებელი, რომელიც აცნობიერებს, რომ მის მიერ მიწოდებული ცნობა შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს, მაინც „ჰაერში ისვრის სიტყვებს“⁹⁴. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ა. ს.-მ არ იცოდა, რომ მანქანა ნაავარიები იყო, თუმცა მაინც ყოველგვარი დაფიქრების გარეშე და გადაჭრით უმტკიცებდა მეორე მხარეს სანინაალმდეგოს.

3. მიზეზ-შედეგობრიობა

იმისათვის, რათა მოტყუებულ მხარეს ჰქონდეს 81-ე მუხლის მიხედვით გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება, აუცილებელია, რომ მოტყუება გახდეს გარიგების დადების გადამწყვეტი მოტივი, ანუ აშკარა იყოს, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. დუმილით მოტყუების შემთხვევაში საკმარისია ჰიპოთეტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მოტყუებული თავს შეიკავებდა გარიგების დადებისაგან – რადგან, განსხვავებით აქტიური ქმედებით მოტყუებისაგან, დუმილით მოტყუებისას ყოველთვის აბსოლუტური სიზუსტით ვერ დამტკიცდება ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში მოტყუებულის მხრიდან გარიგების არდადების ფაქტი.

მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ ცალსახაა, რომ გ არ იყიდდა ნაავარიებ მანქანას. მიზეზ-შედეგობრიობა შექმნილ მცდარ წარმოდგენასა და გარიგების დადებას შორის სახეზეა.

4. შეცილების ვადა

მიღებასავალდებულო ნების გამოხატვისას მოტყუებულს შეცილების უფლების გამოყენება შეუძლია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც უნდა შეეტყო ამ თავისი უფლების შესახებ. ამგვარად, ვადის დინება იწყება მოტყუებულის მიერ შეცდომისა და იმ გარემოების აღმოჩენის შემდეგ, რომ ეს შეცდომა მეორე მხარის ტყუილით იყო განპირობებული. დანანესი

94 BGH NJW 2006, 2839.

მოითხოვს პოზიტიურ ცოდნას, რასაც გაუფრთხილებლობით არცოდნას ვერ გაუფრთხილებლობით. საკმარისი არ არის არც უბრალო ეჭვი მეორე მხარის ტყუილთან დაკავშირებით, ისევე, როგორც მხოლოდ ნივთის ნაკლის შესახებ ცოდნა; აუცილებელია, მოტყუების ფაქტის გაცნობიერება, თუმცა, თავის მხრივ, არ არის აუცილებელი მისი თითოეული დეტალის ცოდნა.

ამ შემთხვევაში გ-მ მანქანის ნაავარიებობის შესახებ 2015 წლის აპრილში შეიტყო, რასთან ერთადაც მისთვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ ა. ს.-მ მას არასწორი ცნობები მიაწოდა და, ამგვარად, ირიბი განზრახვით მაინც მოატყუა. ის ფაქტი, რომ ნასყიდობის დადებიდან სამი წლის თავზე მას გამყიდველის მიმართ ყველა უფლება დაკარგულად მიაჩნდა, არაფერს არ ცვლის. შეცილების ერთწლიანი ვადის დინება იწყება შეცილების უფლების მომნიჭებელი ფაქტობრივი გარემოებებისა და არა ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი დეტალების გამორკვევის მომენტიდან. ამგვარად, ხსენებული ერთწლიანი ვადა 2016 წლის მაისში ამონურულად უნდა ჩაითვალოს, რაც ამ უფლებას გააქარწყლებდა და 2016 წლის ივნისში მისი გამოყენება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დინება რაიმე მიზეზით იქნებოდა შეჩერებული.

ასეთ მიზეზად შეიძლება გვევლინებოდეს 132 ბ) მუხლით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალა – ვადა ჩერდება, თუ შეცილების გაცხადებას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა. თუმცა მოცემული დანანესი პირდაპირ მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა აიგივებს 84-ე მუხლით გათვალისწინებულ გამომრიცხავ ვადას ხანდაზმულობის ვადასთან⁹⁵, სინამდვილეში ეს ორი ერთმანეთისაგან სრულებით განსხვავებული ვადაა⁹⁶. განსხვავებით ხანდაზმულობის ვადის გასვლისაგან, გამომრი-

95 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 სექტემბრის № ას-886-929-2011 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის № ას-586-551-2010 განჩინება.

96 *დარჯანია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 79 ველი 20; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 84 ველი 8.

ცხადი ვადის ამონურვა მოთხოვნას არა მხოლოდ განუხორციელებელს ხდის, არამედ სრულებით აქარწყლებს მას, რის გამოც სასამართლო ამ ვადას ამონმებს არა მხოლოდ მეორე მხარის შესაგებელის საფუძველზე, არამედ საკუთარი ინიციატივით. თუმცა გამომრიცხავ ვადაზეც ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ ხანდაზმულობის შესახებ დანაწესები, მათ შორის ასევე 132 ბ) მუხლიც, რომლის თანახმადაც ვადა ჩერდება, თუ შეცილების გაცხადებას აბრკოლებს განსაკუთრებული და, მოცემულ პირობებში, აუცდენელი დაუძლეველი ძალა. დამოუკიდებლად იმისა, წარმოადგენს თუ არა მონადირის ქოხში დიდთოვლობის გამო გამოკეტვა დაუძლეველ ძალას ზემოთ მოყვანილი ნორმის გაგებით, ეს გ-ს მაინც ვერაფერში დაეხმარება, რადგან მან არა სამი კვირა, არამედ მთელი ორი თვე გაუშვა.

ამგვარად, 2016 წლის ივნისში გაცხადებული შეცილება ამ დროს უკვე მოკლებული იყო შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, რადგან ის უკვე გაქარწყლებული იყო 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის ამონურვის გამო.

შუალედური შედეგი: შეცილებისათვის აუცილებელი ვადის დაუცველობის გამო ნასყიდობა არ არის არანამდვილი 84 I, II მუხლის მიხედვით. ხელშეკრულება რჩება ძალაში.

შედეგი: ხელშეკრულების ნამდვილობასთან ერთად სახეზე გვაქვს მიღებული საფასურის შენარჩუნების საფუძველი 976 I ა) მუხლის შესაბამისად, რასაც გ კონდიქციით უკან ველარ გამოითხოვს.

2. გასვლიდან წარმოშობილი რესტიტუციული მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს ა. ს.-ს მიმართ ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება 491 I, 405 II ა), I, 352 I მუხლების მიხედვით. ამისათვის გ-სა და ა. ს.-ს შორის უნდა დადებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მოთხოვნის უფლების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლა.

2.1. გასვლის გაცხადება

ამისათვის აუცილებელია გასვლის გაცხადება (355). შეცილების გაცხადების მსგავსად გასვლაც წარმოადგენს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოხატვას, რომლის განმარტებაც უნდა მოხდეს 52-ე მუხლის მიხედვით. გ-მ ცალსახად ნათელყო, რომ აღარ სურდა გარიგების ნამდვილობა. გამომდინარე იქიდან, რომ ნასყიდობის გაქარწყლება შეცილების მეშვეობით ვერ მოხერხდა, გ-ს ნების გამოხატვა უნდა გავიგოთ როგორც გასვლის გაცხადება.

2.2. გასვლის საფუძველი

ხელშეკრულებიდან გასვლისათვის აუცილებელია გასვლის უფლება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს 405 I მუხლიდან.

2.3. ვალდებულების დარღვევა

გასვლის პირველ წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევა. ა. ს.-ს მიერ გადაცემული ნასყიდობის საგანი რისკის გადასვლის მომენტში (482) შეიძლება არ იყოს შეთანხმებული თვისების მქონე (488 I). ა. ს.-მ და გ-მ ნასყიდობის ფარგლებში შეათანხმეს, რომ მანქანა იქნებოდა უნაკლო მდგომარეობაში და „თითქმის ახალი“. გამომდინარე იქიდან, რომ მიყიდული მანქანა სინამდვილეში ნაავარიებია, მას არ ახასიათებს ეს (შეთანხმებული) თვისებები. ნივთობრივი ნაკლი 488 I მუხლის გაგებით სახეზეა. გ-ს თავისი ვადამოსული ვალდებულება დროულად არ შეუსრულებია.

2.4. ვადის დათქმა

გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს დამატებითი შესრულებისათვის ვადის დანიშვნა (405 I მუხლი). მართალია, გ 2016 წლის აპრილში დაუკავშირდა ა. ს.-ს და აუნყა მანქანის ნაკლის შესახებ, თუმცა ამ მომენტში მას ცალსახად და გადაჭრით არ მოუთხოვია მისგან უნაკლო შესრულება, რის გამოც დამატებითი შესრულებისათვის ვადის დანესება

ჯერ კიდევ არ გვაქვს სახეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ვადის დათქმა არ გვაქვს სახეზე, ის შეიძლება არც კი იყოს სავალდებულო. მართალია, 405 II ბ)-გ) მუხლის აქ არ გამოგვადგება, თუმცა ვადის დაწესება შეიძლება არასავალდებულო იყოს 405 II ა) მუხლის მიხედვით. მოცემული დანაწესი გამსვლელ მხარეს ათავისუფლებს ვადის დაწესების ვალდებულებისაგან, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოყვება. თუ დამატებითი შესრულება – იქნება ეს ნაკლის გამოსწორება, თუ უნაკლო ნივთის მიწოდება (490 I მუხლი) – უკვე საერთოდ შეუძლებელია, მაშინ მას ვერც ვადის დაწესება გახდის შესაძლებლად, რაც აქარწყლებს მის აუცილებლობას.

2.4.1. ნაკლის გამოსწორების შეუძლებლობა

ნაკლის („ნაავარიები“) გამოსწორება შეუძლებელია, რის გამოც 490 I მუხლით გათვალისწინებული დამატებითი შესრულების ეს ფორმა იმთავითვე გამოირიცხა.

2.4.2. ნაკლოვანის უნაკლოთი ჩანაცვლება

ინდივიდუალური ნივთის შეცვლა დამატებითი შესრულების ფარგლებში, როგორც წესი, შეუძლებელია. იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება აბსოლუტურად გაბატონებულად გვევლინება⁹⁷. თუმცა, ამ მოსაზრების გასამყარებლად არ გამოგვადგება 381-382-ე მუხლები⁹⁸, რადგან 381-ე მუხლი გამორიცხავს მხოლოდ კრედიტორის დავალდებულების შესაძლებლობას, მიიღოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გარდა სხვა ნივთი და მის მიზანს არ წარმოადგენს მყიდველისათვის ერთი ნაკლოვანი მეორადი ნივთის მაგივრად იმავე მონაცემე-

97 ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 170; ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 10.09.2016, მუხ. 490 ველი 18.

98 თუმცა შდრ. ჩაჩავა (სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 10.09.2016, მუხ. 490 ველი 18).

ბის მქონე სხვა ნივთის მიღების შანსის წართმევა. ამიტომაც, ეს დანაწესი ავტომატურად კი არ აქარწყლებს დამატებითი შესრულების ფარგლებში ნივთის ჩანაცვლების მოთხოვნას, როდესაც მეორად ნივთს ეხება საქმე, არამედ მხოლოდ კრედიტორის შესაბამისი შესაგებლის საფუძველზე. თუმცა მთავარი არგუმენტი მეორადი ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ თავად 490 I მუხლიდან გამომდინარეობს, რომელიც ამ შესაძლებლობას მხოლოდ გვაროვნული ნივთის შემთხვევაში უშვებს.

მიუხედავად კანონის ცალსახა ფორმულირებისა, მაინც არის შესაძლებელი განვიხილოთ ამ დანაწესის ტელეოლოგიური დავინროება. კერძოდ, ამ ნორმის მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ მყიდველის ინტერესების დაცვა – თუ მას ინტერესი ჰქონდა კონკრეტული ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიმართ, მას არ უნდა მოეთხოვოთ სანაცვლოდ მსგავსი ნივთის მიღება. თუმცა მყიდველი არ საჭიროებს ამ დაცვას, თუ მას ამგვარი ინტერესი არ ჰქონია. გარდა ამისა, დანაწესი ემსახურება ასევე გამყიდველის დაცვას, რომელსაც, შესაძლებელია, გაყიდული ნივთი მხოლოდ ერთი ცალი ჰქონდა და მსგავსის შოვნა მისთვის შეუსაბამო სირთულეებთან არის დაკავშირებული ან საერთოდ შესაძლებელია. თუ კონკრეტულ შემთხვევაში არც მყიდველი არ საჭიროებს დაცვას და არც გამყიდველისათვის არ წარმოადგენს პრობლემას იმავე მონაცემების ნივთის შოვნა, ტელეოლოგიურად უნდა დავავინროვოთ სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების სფერო იმგვარად, რომ დამატებითი შესრულების ფარგლებში ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნა გამოვიყენოთ მაშინაც, როდესაც ნასყიდობის საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია⁹⁹.

თუმცა დამატებითი შესრულების ფარგლებში ინდივიდუალური ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობის ზოგადი დაშვებით, არ არის დასაბუთებული მისი რეალური დასაშვებობა კონკრეტულ შემთხვევაში. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტელეოლოგიური დავინროება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის 99 შდრ. გერმანულ სამართალში ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით BGH NJW 2006, 2839; Roth, NJW 2006, 2953.

ორივე მხარის, როგორც მყიდველის, ისე გამყიდველის ინტერესებს ეხმიანება. თუ ერთ-ერთი მხარის ინტერესებს აზიანებს დამატებითი შესრულების მოთხოვნის სახით ამ სავალდებულო ბარიერის აღმართვა, მაშინ ეს დავინროება გამოირიცხვება. სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში. ა. ს.-ს შეუძლია გ-ს შესთავაზოს მხოლოდ მისთვის უსიამოვნო ფერის მანქანა და ისიც გაცილებით დიდი განარბენით. ერთიც და მეორეც გ-სათვის მიუღებელია, რის გამოც, აქ ჩანაცვლების შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს.

ამგვარად, როგორც ნაკლის გამოსწორება, ისე დამატებითი შესრულება შეუძლებელია და შესაბამისად, 405 II ა) მუხლის მიხედვით ვადის დაწესება ზედმეტია.

2.5. გასვლის გამორიცხვა

გასვლის გამომრიცხავი გარემოებები (მაგ. 405 III ა)-ბ) პუნქტების შესაბამისად არ არის სახეზე, რადგან არც ნაკლია არაარსებითი და არც მყიდველი არ არის მხოლოდ ან უმთავრესად პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს.

2.6. გასვლის არანამდვილობა

გასვლის გაცხადება უნდა ყოფილიყო ნამდვილი. ამ ნამდვილობას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ის ფაქტი, რომ ნაკლის აღმოჩენის მომენტიდან სამ წელზე მეტია გასული. გ-მ ნაკლი აღმოაჩინა 2013 წლის თებერვალში, ხოლო გასვლა მხოლოდ 2016 წლის ივნისში განაცხადა.

ნასყიდობიდან წარმოშობილ მეორად მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის ზოგადი წესები 128-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. 129 I მუხლის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, რომელიც იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (130). მოცემულ შემთხვევაში მყიდველის მიერ ნაკლის შესახებ შეტყობიდან სამ წელზე მეტია გასული.

თუმცა საკითხავია, შეიძლება თუ არა გასვლის უფლება გახდეს ხანდაზმული და ამით გამოირიცხოს მისი გამოყენების შესაძლებლობა. 128 I მუხლის მიხედვით ხანდაზმულობას ექვემდებარება მხოლოდ მოთხოვნები (სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება). ამის საპირისპიროდ, გასვლა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებას, არამედ წარმოადგენს ე. წ. გარდაქმნით უფლებას – უფლებას, რომლის გამოყენების შემდეგაც სამართლებრივი მდგომარეობა ცალმხრივი ნების გამოხატვით ავტომატურად იცვლება. ნამდვილი გასვლა ხელშეკრულებას გარდაქმნის რესტიტუციულ ურთიერთობად.¹⁰⁰ გარდაქმნით უფლებაზე მოთხოვნის უფლების მიმართ მოქმედ დანაწესს პირდაპირ ვერ გავავრცელებთ. მიუხედავად ამისა, დაუშვებელია, რომ ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველს ნაკლის აღმოჩენიდან ნებისმიერი დროის გასვლის შემდეგაც ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საშუალება. გასვლის უფლების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში, ზუსტად ისე, როგორც ეს სახელშეკრულებო პირველადი თუ მეორადი უფლებების შემთხვევაში ხდება. ამისათვის ყველაზე მიზანშეწონილი ჩანს გასვლის უფლებაზე ანალოგიით გამოვიყენოთ 145-ე მუხლი, რომელიც მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას ასევე დამატებით მოთხოვნაზეც ავრცელებს, მიუხედავად იმისა, რომ გასვლა საერთოდ არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებას. ამ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ გ-ს მიერ ნაკლის შესახებ შეტყობიდან მხოლოდ წელიწადნახევარია გასული, მის მიერ გაცხადებული გასვლა ჯერ კიდევ დროულია.

შედეგი: გ-ს აქვს ა. ს.-ს მიმართ ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება 491 I, 405 II ა), I, 352 I მუხლების მიხედვით, მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ (354).

100 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 2ბ/2845-12 გადაწყვეტილება; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 352 ველი 4.

II. ნაწილი: გ-ს მოთხოვნები

1. გასვლიდან წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს ა. ს.-ს მიმართ ამ უკანასკნელის მიერ მანქანის დაზიანების შედეგად მისი შემცირებული ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 3000 ლარის ოდენობით 352 II გ) მუხლის მიხედვით.

1.1 რესტიტუციული ურთიერთობა

ა. ს.-სა და გ-ს შორის, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახეზეა რესტიტუციული ურთიერთობა, რის საფუძველზეც გ ვალდებულია დააბრუნოს ნაყიდი მანქანა.

1.2 ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 352 II გ) მუხლის მიხედვით

რადგან 352 II მუხლის ა)-ბ) ქვეპუნქტებში მოცემული შემთხვევა ცალსახად არ გვაქვს სახეზე, ა. ს. შეიძლება ჰქონდეს მანქანის შემცირებული ღირებულებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მხოლოდ 352 II გ) მუხლის მიხედვით. ეს დანაწესი რესტიტუციის მოვალეს აკისრებს, ნივთის გაფუჭების ან დაღუპვის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურების ბრალისაგან დამოუკიდებელ ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში მანქანის უკანა ნაწილის მონგრევა, რომლის გაკეთებაც 3000 ლარი ღირს, შეგვიძლია მივიჩნიოთ მისი სუბსტანციისა და ფუნქციურობის მხოლოდ ნაწილობრივ დაზიანებად, რის გამოც ის გაფუჭებულად (და არა განადგურებულად) ჩაითვლება. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ გაფუჭება არ წარმოადგენდეს სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთის შედეგს (352 II გ) 2. ვარ.). თუმცა ეს გამომრიცხავი გარემოება ეხება მხოლოდ საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებისას შემცირებულ ღირებულებას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.

1.3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვა 352 IV გ) მუხლის მიხედვით

თუმცა ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს 352 IV გ) მუხლის მიხედვით, თუ, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის გაფუჭებას ან განადგურებას ადგილი ჰქონდა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იჩენს საკუთარ საქმეებში (diligentia quam in suis)¹⁰¹. ამ შემთხვევაში, 395 I მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მასშტაბისაგან განსხვავებით, მოქმედებს არა ობიექტური, არამედ მოვალის ჩვეულებრივი ქცევის (სუბიექტური) მასშტაბი. რესტიტუციის მოვალე, თუ ისეთივე უგულისყურობით ექცევა დასაბრუნებელ ნივთს, როგორც თავის სხვა ნივთებს და ეს ნივთი მასთან ნადგურდება, თავისუფლდება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან. თუმცა დაუშვებელია რესტიტუციის მოვალის პრივილეგირება განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში¹⁰². მოვალეს, რომელიც განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ანადგურებს საკუთარ ნივთებს, მაინც ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარად განადგურებული ნივთისათვის, თუ ეს ნივთი ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ კრედიტორისათვის უნდა დაებრუნებინა. უხეში გაუფრთხილებლობა სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც პირი არღვევს ან უგულებელყოფს მითითებას, რომელსაც მოცემულ სიტუაციაში ნებისმიერი პირი სავალდებულოდ მიიჩნევდა¹⁰³. ამ შემთხვევაშიც არ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ობიექტური მასშტაბი, არამედ გასათვალისწინებელია ასევე სუბიექტური, მოქმედი პირის პიროვნული მახასიათებლებით განპირობებული, გარემოებები.

101 *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 352 ველი 22.

102 შდრ. ამ გერმანული სამართლიდან მოპოვებულ არგუმენტთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 352 ველი 22.

103 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის №28/1882-14 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის № ას-237-223-2010 განჩინება; განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, s. v. ბრალეულობა, http://library.court.ge/gil/index.php?term_id=183 (24.09.2018).

გოგი შეეცადა მსუბუქი ავტომანქანით ასულიყო გორაკზე, რომლიც საკმაოდ ციცაბო იყო და რასაც წინდახედული მძლო-ლი არ გააკეთებდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს გოგისათვის გზის ჩვეული მონაკვეთი იყო, რომელიც მას არაერთხელ გადაულახავს წარმატებით სხვა მსუბუქი ავტომანქანით, მასზე ვრცელდება 352 IV გ) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პრივილეგირებული მასშტაბი. ამასთან, მიუხედავად წინდახედულობის ნორმების გარკვეული, არაუმნიშვნელო, ხარისხით დარღვევისა მას ბრალად მაინც ვერ შეერაცხება უხეში გაუფრთხილებლობა. გოგი თავისუფლდება გაფუჭებული საგნის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

შედეგი: ა. ს.-ს არ აქვს მანქანის დაზიანების შედეგად შემცირებული ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 352 II გ) მუხლის მიხედვით.

2. გასვლიდან წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა

ა. ს.-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მანქანის გაფუჭების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 3000 ლარის ოდენობით, 352 V, 394 I მუხლების მიხედვით.

2.1. მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა

ზოგადად, მიიჩნევა, რომ რესტიტუციის ურთიერთობის მოვალემ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ უნდა დააბრუნოს ნივთი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იქნებოდა ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი გამოყენების შემთხვევაში. დაბრუნების შეუძლებლობისა და დაყოვნების, ასევე, გაუარესებულ მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაში სახეზეა ვალდებულების დარღვევა.

ჩვეულებრივ, გასვლიდან წარმოშობილი, ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა 352 V, 394 I მუხლების მიხედვით გამოიყენება ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის (352 II გ) მუხლის) გვერდით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში პრობლემუ-

რია ის ფაქტი, რომ გ-მ მანქანა გასვლის გაცხადებამდე დააზიანა. საკითხავია, შესაძლებელია თუ არა გასვლის გაცხადებამდე, ანუ რესტიტუციული ურთიერთობის წარმოშობამდე ამ ვალდებულების წინმსწრებად დაზიანება.

ერთი მოსაზრებით, ამგვარი შესაძლებლობა – რესტიტუციული ვალდებულების წინმსწრებად დაზიანებისა – უკუგდებულია იმ არგუმენტით, რომ თავად რესტიტუციული ვალდებულება გასვლის გაცხადების შემდეგ წარმოიშობა. გარდა ამისა, ეს იქნებოდა ზიანისა და ღირებულების ანაზღაურებებს შორის დიქოტომიის გვერდის ავლა¹⁰⁴.

თუმცა მოცემულ მოსაზრებას შეიძლება შევაგებოთ კონტრარგუმენტი, რომ რესტიტუციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა სახეზეა ყოველთვის, როდესაც უკან დაბრუნების მოვალეობა არ სრულდება¹⁰⁵. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ნივთი რესტიტუციის მოვალესთან გასვლის გაცხადებამდე ნადგურდება. ანუ შესაძლებელია, ნივთის განადგურება ხელშეკრულებიდან გასვლამდე, გასვლის შემდეგ დაკვალიფიცირდეს ვალდებულების დარღვევად, რის გამოც მოვალემ უნდა აანაზღაუროს ზიანი. პარალელი შეიძლება გაივლოს ზოგადი ვალდებულებითი სამართლის სხვა ინსტიტუტებთან – ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაც, რომელიც ხელშეკრულების დადებამდეა წარმოშობილი, ხელშეკრულების დადების შემდეგ ვალდებულების დარღვევად ითვლება¹⁰⁶.

2.2. 394 I მუხლის წინაპირობები

352 V მუხლი უთითებს 394 I მუხლზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემული უნდა იყოს ასევე ამ დანაწესის წინაპირობები.

ვალდებულებითი ურთიერთობა რესტიტუციული ურთიერთობის სახით და მისი დარღვევა ნაკლოვანი შესრულებით სახეზეა, რადგან გ-ს ა. ს.-სათვის მხოლოდ დაზიანებული მანქანის უკან დაბრუნება შეუძლია. 352 V მუხლი 394-ე მუხლზე მითითებით, ვალდებულების დარღვევის გარდა, ზიანის ანაზღაურების წინა-

104 Staudinger/KAISER, § 346 Rn. 194.

105 MüKo/GAIER, BGB, § 346, Rn. 60.

106 MüKo/GAIER, § 346, Rn. 61.

პირობად აყენებს ასევე მოვალის ბრალს. თუმცა ისევე, როგორც 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილით პასუხისგებისას, ამ შემთხვევაშიც, ეს ბრალი ივარაუდება.

საკითხავია, მოახერხებს თუ არა გ ამ ვარაუდის გაქარწყლებას. ჩვეულებრივ, მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის (395 I), თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ რესტიტუციულ ურთიერთობას ეხება საქმე, შესაძლებელია პასუხისმგებლობის მასშტაბის მოდიფიცირება. გ-მ მანქანის დაზიანებისას არ იცოდა მისთვის გასვლის უფლების მომნიჭებული გარემოების არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში კი რესტიტუციის მოვალეს შეუძლია ივარაუდოს, რომ მიღებული საგანი სამუდამოდ ხდება მისი ქონების ნაწილი, რაც მას ათავისუფლებს საგნის მოვლის ვალდებულებისაგან კრედიტორის მიმართ.

გ-ს არ შეეცალება ბრალი, რაც გამორიცხავს მისი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას 394 I მუხლის მიხედვით.

3. გასვლიდან წარმოშობილი სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს ა. ს.-ს მიმართ მანქანიდან მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა 352 I, II ა) მუხლის მიხედვით 1000 ლარის ოდენობით.

3.1. რესტიტუციული ურთიერთობა

რესტიტუციული ურთიერთობა, რომლის ძალითაც გ ვალდებულია დააბრუნოს მანქანა, სახეზეა (ი. ზ.).

3.2. 352 I, II ა) მუხლის წინაპირობები

როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, გ-მ მანქანის გამოყენებით მიიღო სარგებელი 1000 ლარის ოდენობით. ამ სარგებლის დაბრუნება ნატურით, მისი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია, გ ვერ დააბრუნებს მანქანით გარბენილ კილომეტრებს.

ამგვარად, გ-მ უნდა აანაზღაუროს მანქანით სარგებლობის ღირებულება, 352 I, II ა) მუხლის მიხედვით.

3.3. გამომრიცხავი საფუძვლის არარსებობა

მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება სახეზე არ გვაქვს. მაშინ, როდესაც, დამატებითი შესრულების მოთხოვნისას, ამ დამატებითი შესრულების მოვალისათვის ნაკლოვანი ნივთიდან მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება წინააღმდეგობაში მოდის დამატებითი შესრულების უსასყიდლოების პრინციპთან¹⁰⁷, ეს პრობლემა გასვლის შემთხვევაში არ დგება.

შედეგი: გ-ს აქვს მანქანით სარგებლობის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 1000 ლარის ოდენობით, 352 I, II ა) მუხლის მიხედვით.

¹⁰⁷ BGH NJW 2006, 3200.

კაზუსი: დამწვარი „ემშაკნი“

რუსისტი და რუსული ლიტერატურის კოლექციონერი მიშა (მ) შეუკვეთს თავის ძველ ნაცნობ ბუკინისტს გივის (გ) 5000 ლარად დოსტოევსკის „ემშაკნი-ს“ 1885 წელს გამოცემული ექვსტომეულიდან (საბაზრო ფასი: 3000 ლარი), რომლის თბილისში ერთადერთი ეგზემპლარის პატრონიც ორი დღის წინ გარდაიცვალა. გ დაუყოვნებლივ განუცხადებს თავის თანხმობას, გადაუგზავნის ხელშეკრულების ფორმულარს და წიგნის სამ დღეში შოვნას დაჰპირდება, რასაც პირნათლად შეასრულებს. ზამთრის სუსხიან დილით მ ხელმოწერილი ხელშეკრულებით გაემართება გ-ს მაღაზიისაკენ წიგნის წამოსაღებად. მაღაზიაში შესვლისთანავე გამოეგებება გ და თაროდან, „გადაიკითხეთ ბუმბერაზი ოკუპანტები“, დასათვალისწინებლად გადმოუღებს დაპირებულ წიგნს. როგორც ეს ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, მ-ს შეუძლია ერთი კვირის განმავლობაში დაიტოვოს წიგნი დასათვალისწინებლად ისე, რომ არ გახდეს მისი მესაკუთრე. მ გადაშლის წიგნს და დაიწყებს კითხვას, მოგვიანებით კი ჩვეულებისამებრ ბუხრის თავზე შემოდებს და საუბარს გაუბამს გ-ს. სანამ ძველი ნაცნობები ერთმანეთის მოკითხვით არიან გართული, ბუხრიდან ამომძვრალი ალი გადაედება წიგნს და ააგიზგიზებს. მართალია, გამყიდველიც და მყიდველიც მალევე შეამჩნევენ ამას, მაგრამ გ-ს ცეცხლმქრობი არ მოუმარაგებია, რადგან მაღაზიის ძველებურ ინტერიერს ცუდად ეხამებოდა და ახლა გაშტერებული შეჰყურებს ცეცხლს. მ კი სხვას ვერაფერს მოიფიქრებს, გარდა იმისა, რომ დასტაცოს წიგნს ხელი და მანამდე იქნოს, სანამ სრულებით არ დაანახშირებს (მ-მ მანამდე სახლში ამგვარად დაანახშირა ცეცხლმოკიდებული ძველი აბაჟური, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა). ამის შემდეგ გ და მ კარგა ხანი უტყვად დგანან და ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებენ, გრძნობენ რა საკუთარ დანაშაულს. თუმცა ენას მაშინვე ამოიდგამენ, როგორც კი გაირკვევა, რომ გ ჯერ კიდევ ელოდება მ-საგან 5000 ლარს (სწორედ ამიტომ იდგა დარცხვენილი), ხოლო მ-ს წიგნის განადგურებასთან ერთად ხელშეკრულების მიმართ არანაირი ინტერესი აღარ აქვს და გ-ს ხელშეკრულებიდან გასვლას უცხადებს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. ნასყიდობის ფასის მოთხოვნა

გ-ს შესაძლებელია ჰქონდეს მ-საგან 5000 ლარის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად.

1. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის აუცილებელია, რომ ეს მოთხოვნის უფლება წარმოშობილიყო, რის წინაპირობასაც, თავის მხრივ, წარმოადგენს გ-სა და მ-ს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობა. მ-მ იყიდა გ-საგან დოსტოევსკის რომანი „ემშაკნი“ 5000 ლარად, რის საფუძველზეც გ-ს წარმოეშვა ამ ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება.

2. მოთხოვნის მოსპობა

თუმცა შესაძლებელია ეს მოთხოვნის უფლება უკვე აღარ არსებობდეს.

1.1. მოთხოვნის მოსპობა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე

შესრულების მოთხოვნის უფლება შეიძლება აღარ არსებობდეს გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილისა და 346-ე პარაგრაფის (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტისა და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით, თუ მ გავიდა ხელშეკრულებიდან.

ა) ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი

გ-ს ნასყიდობის ხელშეკრულებით ეკისრებოდა მ-სათვის წიგნზე მფლობელობისა და საკუთრების გადაცემა. ნასყიდობის სა-

განს წარმოადგენდა მეორადი და, შესაბამისად, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომელიც განადგურდა, რის შემდეგაც გ-სათვის საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის ვალდებულების შესრულება გახდა შეუძლებელი, გსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

საკითხავია, ამ შემთხვევაში გ-ს გასვლის უფლება პირდაპირ გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის 1-ლი ალტერნატივიდან და 275-ე პარაგრაფიდან (სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლებიდან) გამომდინარეობს თუ გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილიდან და 437-ე, 439-ე და 275-ე პარაგრაფებიდან (სსკ-ის 491-ე და 352-ე მუხლებიდან). გსკ-ის 326-ე მე-5 ნაწილის 1-ლი ალტერნატივისა და 275-ე პარაგრაფის შესაბამისად, მ-ს მაშინ ექნებოდა გასვლის საფუძველი, თუ გ, თავის მხრივ, გათავისუფლდებოდა შესრულების ვალდებულებისაგან. ამის საპირისპიროდ, გსკ-ის 326-ეს მე-5 ნაწილისა და 437-ე, 439-ე და 275-ე პარაგრაფების შესაბამისად, მ მაშინ გათავისუფლდებოდა შესრულების ვალდებულებისაგან, თუ გ-სათვის დამატებითი შესრულება გახდებოდა შეუძლებელი. გ-ს მ-სათვის საკუთრება არ გადაუცია, გადასცა მხოლოდ მფლობელობა. გერმანულ ლიტერატურაში საკამათოა, წარმოადგენს თუ არა საკუთრების არგადაცემა ნივთის უფლებრივ ნაკლს (ანუ შესრულება ითვლება უფლებრივად ნაკლოვნად) თუ შესრულება საერთოდ არ გვაქვს სახეზე. გაბატონებული მოსაზრების¹⁰⁸ მიხედვით, საკუთრების არგადაცემა ითვლება არა ნაკლოვან შესრულებად, არამედ შეუსრულებლობად. ამ დროს მყიდველის უფლებების შემოფარგვლა მხოლოდ ნასყიდობიდან წარმოშობილი მეორადი მოთხოვნებით (გსკ-ის 438-ე და 442-ე პარაგრაფების შესაბამისად) არ არის გამართლებული, რადგან გამყიდველსაც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მოვალეს, თანაბრად უნდა დაეკისროს ძირითადი შესრულების ვალდებულება. მ-ს ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გსკ-ის 326-ე მუხლის მე-5 ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად.

108 Bamberger/Roth/FAUST, § 435 Rn. 15; Staudinger/MATUSCHE-BECKMANN, § 435 Rn. 13, MüKo/WESTERMANN, § 435 Rn. 7.

ბ) გასვლის გაცხადება

მ-მ განაცხადა ხელშეკრულებიდან გასვლა გსკ-ის 349-ე პარაგრაფის (სსკ-ის 355-ე მუხლის) შესაბამისად, რასაც უნდა გამოეწვია გ-ს მოთხოვნის უფლების მოსპობა.

გ) გასვლის გამორიცხვა

თუმცა საკითხავია, თუ რა შედეგი მოჰყვება იმ ფაქტს, რომ მ-მ საკუთარი არამოკრძალებული წვლილი შეიტანა წიგნის განადგურებაში იმით, რომ დადო ის ბუხრის თავზე და შემდეგ იმდენი ხანი იქნია, სანამ არ დაანახშირა.

აა. ბრალისაგან დამოუკიდებელი გასვლის უფლება

ზოგადად, გასვლა გსკ-ის 326-ე მუხლის მე-5 ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის) მიხედვით არის ბრალისაგან დამოუკიდებელი. შესაბამისად, მ-ს უნდა ჰქონდეს გასვლის უფლება გასვლის საფუძვლის არსებობისას, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ამ საფუძვლის დადგომაში.

ბბ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამორიცხვა

თუმცა შესაძლებელია, გ-ს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მოცემულ შემთხვევაში გამორიცხული იყოს გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-6 ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) შესაბამისად. გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის 1-ლი ალტერნატივის (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად, შესრულების შეუძლებლობით გამომწვეული გასვლის შემთხვევაში გამოიყენება გსკ-ის 323-ე პარაგრაფი (405-ე მუხლი) იმ პირობით, რომ ვადის განსაზღვრა არის ზედმეტი. თუმცა გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-6 ნაწილის 1-ლი ალტერნატივა შეიცავს ასევე დანაწესს, რომელიც გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლას. გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მითითებით 323-ზე პარაგრაფზე მოცულია ასევე ეს დანაწესიც. გსკ-ის 323-ე მუხლის მე-6 ნაწილის (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლის გ) ქვეპუნქტის) შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა გამორიცხულია, თუ კრედიტორი თვითონ არის უმთავრესად პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა, ანდა იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების მომენტში. მოცემული დანაწესი პირდაპირ არ მიესადაგება ზემოთ აღწერილ შემთხვევას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ გ-მ დაუდევრად შემოდო ნიგნი ბუხრის თავზე და ასეთივე დაუდევრობა გამოიჩინა ცეცხლის ჩაქრობაში, ნიგნი არ განადგურდებოდა გ-ს მალაზიაში ცეცხლმქრობი რომ აღმოჩენოდა. ამის გამო, ნიგნის განადგურებაში ბრალი ორივე მხარეს დაახლოებით თანაბრად მიუძღვის. ორმხრივი ბრალეულობის შემთხვევა არ არის მოცული გსკ-ის 323-ე მუხლის მე-6 ნაწილის 1-ლი ალტერნატივით (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით). ის ფაქტი, რომ გერმანიაში 2001 წელს ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა “მეტწილად იგი არის პასუხისმგებელი”, რაც კანონმდებელმა გაამძაფრა იმით, რომ კანონში ჩანერა “უმთავრესად იგი არის პასუხისმგებელი”¹⁰⁹, ცალსახად მეტყველებს მის განზრახვაზე, ამ დანაწესს მოეცვა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მარტო კრედიტორს ეკისრება პასუხისგებლობა ვალდებულების დამდგარ შეუძლებლობაზე.

იგივე ითქმის სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტში დაფიქსირებულ – „მთლიან ან უმთავრეს“ – პასუხისმგებლობაზე. ეს ორმაგი ხაზგასმა ნათელყოფს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი არც მთლიანად და არც უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისათვის, მოცემული შეზღუდვა არ მოქმედებს.

მ არ არის უმთავრესად პასუხისმგებელი დამდგარ შეუძლებლობაზე, შესაბამისად, ის ინარჩუნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. გასვლა ხელშეკრულებას, თავისი პირველადი შესრულების მოთხოვნის უფლებებით, გარდაქმნის ე. წ. უკან დაბრუნების ურთიერთობად (Rückgewährschuldverhältnis), რის გამოც

109 BT-Drucks 14/6040, 187.

გ-ს მოთხოვნის უფლება ა-ს მიმართ 5000 ლარის გადახდასთან დაკავშირებით მოისპო გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მე-5 და 346-ე პარაგრაფების (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად.

II. გ-ს მოთხოვნა მ-საგან ნიგნის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება მ-ს მიმართ განადგურებული ნიგნის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 326-ეს მე-5 ნაწილისა და 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3 (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტისა და 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) მიხედვით¹¹⁰.

1. მოთხოვნის წარმოშობა

გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 3 (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) შესაბამისად, საგნის დაბრუნების ნაცვლად მოვალემ უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება, თუ მიღებული საგანი გაფუჭდა ან განადგურდა. მ-ს მიერ ნაყიდი ნიგნი განადგურდა. შესაბამისად, ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშვა.

2. მოთხოვნის მოცულობა

საკითხავია, თუ რა ოდენობით უნდა დაეკისროს მ-ს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება გამოიყენება საზღაური თანხის გამოანგარიშების საფუძვლად. მოცემული დანაწესი გამართლებულია, როდესაც ნივთის ფასი ჩამოუვარდება მის ნამდვილ ღირებულებას ან შეესატყვისება ამ ღირებულებას, რადგან გამყიდველმა არ უნდა მიიღოს უფრო

110 ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად, რაც ცალსახად არის გამყარებული გსკ-ის 325-ე პარაგრაფში (სსკ-ის 407-ე მუხლში).

მეტი ღირებულების ანაზღაურების ფარგლებში, ვიდრე მიიღება და სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებში. იგივე წესი მოქმედებს მოცემულ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება აჭარბებს ნივთის ნამდვილ ღირებულებას. გამყიდველს უნდა შეუნარჩუნდეს სარფიანი ნასყიდობის დადებით რეალიზებული მოგება¹¹¹. შესაბამისად, შესაძლო ანაზღაურებადი ღირებულება უნდა განისაზღვროს 5000 ლარით.

3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა

თუმცა ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია გამორიცხული იყოს.

1.1. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა

გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3-ის მე-2 ალტერნატივის (352-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის) მიხედვით, საგნის ჩვეულებრივი გამოყენებით გამოწვეული გაუარესება მხედველობაში არ მიიღება, ანუ არ წარმოშობს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას. თუმცა ამ დანაწესით არ არის მოცული შემთხვევა, როდესაც ნივთი სრულებით ნადგურდება. შესაბამისად, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ არის გამორიცხული მოცემული დანაწესით.

1.2. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა

გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 2-ის 1-ლი ალტერნატივის (352-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის) მიხედვით, საზღაურის გადახდის ვალდებულება არ არსებობს იმდენად, რამდენადაც საგნის გაფუჭებისა თუ განადგურებისათვის პასუხისმგებელია კრედიტორი. ანუ მოცემულ შემთხვევაში ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გა-

მოირიცხებოდა, თუ საგნის დაღუპვა გამოწვეული იქნებოდა გ-ს ბრალით. გ-მ არ შეიძინა ცეცხლმქრობი, რის გამოც მას მ-ს თანაბარი ბრალი მიუძღვის საგნის განადგურებაში. თუმცა შემთხვევა, როდესაც როგორც ღირებულების ანაზღაურების კრედიტორი, ასევე მოვალე პასუხს აგებენ ნივთის განადგურებისათვის, ზემოთ ხსენებული დანაწესით მოცული არ არის.

I მოსაზრება: შესაძლებელია, ეს დანაწესი განვმარტოთ იმგვარად, რომ კრედიტორის ნებისმიერი ტიპის ბრალეულობა გამოირიცხავს მის მოთხოვნას, რაც ამ ნორმის სიტყვა-სიტყვით განმარტებასთან ყველაზე ახლოს დგას. ღირებულების ანაზღაურება გამოირიცხებოდა და კრედიტორს დარჩებოდა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც, თავის მხრივ, შემცირდებოდა მისი თანაბრალეულობის შესაბამისად, გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (სსკ-ის 415-ე მუხლის) მიხედვით.

II მოსაზრება: თუმცა შესაძლებელია გსკ-ის 254-ე მუხლის პირდაპირი გამოყენებაც და, ზიანის ანაზღაურების მოცულობის მსგავსად, ანაზღაურებადი ღირებულების მოცულობის განსაზღვრა. გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით¹¹², გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (სსკ-ის 415-ე მუხლის) პირდაპირი გამოყენება იმით არის გამართლებული, რომ ეს ნორმა წარმოადგენს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის სპეციალურ გამოხატულებას, რომლის წინაშეც სცოდავს ის მხარე, რომელიც, მიუხედავად მისი ბრალეულობისა საგნის განადგურებაში, მაინც სრული ოდენობით ითხოვს ღირებულების ანაზღაურებას, რაც წამოადგენს venire contra factum proprium-ს – საკუთარ წინარე მოქმედებასთან შეუსაბამო საქციელს.

III მოსაზრება: თუმცა მესამე და ყველაზე უფრო დამაჯერებელი მოსაზრების¹¹³ მიხედვით, კრედიტორის თანაბრალეულობის გათვალისწინება უშუალოდ გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 2-ის 1-ლი ალტერნატივის (352-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის) საფუძველზეა შესაძლებელი.

¹¹¹ გამონაკლისის კანონმდებელი ითვალისწინებს მხოლოდ სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში.

¹¹² MünchKomm/GAIER, § 346 Rn. 51; Jauernig/STADLER, § 346, Rn. 7; Tiedtke/REINICKE, Kaufrecht, Rn. 253; Westermann/Bydliński/Weber/WEBER, Rn. 10/34.

¹¹³ Staudinger/KAISER, § 346 Rn. 170; JurisPK Zivilrecht/FAUST, § 346 Rn. 60.

ბელი, რომელიც მხოლოდ “იმდენად”, ანუ იმ რაოდენობით გამოორიცხავს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას, რამდენადაც კრედიტორს თავად მიუძღვის ბრალი ნივთის განადგურებაში. მიუძღვით რა კრედიტორსა მოვალეს თანაბარი ბრალი ნივთის განადგურებაში, კრედიტორს შეუძლია ნივთის ღირებულების მხოლოდ ნახევრის უკან მოთხოვნა – ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება მცირდება კრედიტორის ბრალის პროპორციულად. ეს მოსაზრება ცალსახად უფრო დამაჯერებელია, რადგან პირდაპირ გამომდინარეობს მოცემული დანაწესიდან და არ ცდილობს გსკ-ის 254-ე მუხლის (სსკ-ის 415-ე მუხლის), რომელიც პირდაპირ მხოლოდ ზიანისა და არა ღირებულების ანაზღაურების შემთხვევას მიესადაგება, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებაზე მორგებას.

1.3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა *diligentia quam in suis* საფუძველზე

გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3-ის (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის გაუფუჭებას ან განადგურებას ადგილი ჰქონდა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში (*diligentia quam in suis*).

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით მინიჭებულ უფლებას. მართალია, ნივთი განადგურდა ასევე მ-ს ბრალითაც, როდესაც მან ჯერ ბუხრის თავზე შემოდო და შემდეგ აღმოდებული წიგნი დანახშირებამდე იქნია, მაგრამ ის ზუსტად ამგვარად ექცეოდა თავის ნივთებსაც, ანუ იყო რა წიგნებს ბუხრის თავზე და იქნევდა აბაჟურს დანახშირებამდე. მ-მ ისეთივე მზრუნველობა გამოიჩინა უკან დასაბრუნებელი ნივთის მიმართ, როგორსაც ის თავისი ნივთების მიმართ იჩენს ხოლმე. მ მოქმედებდა გაუფრთხილებლად, თუმცა უხეში გაუფრთხილებლობა, რომლის დროსაც მას მაინც დაეკისრებო-

და პასუხისმგებლობა (გსკ-ის 277-ე მუხლი), სახეზე არ არის.

თუმცა, საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში საერთოდ უნდა გამოვიყენოთ თუ არა ზემოთ ხსენებული დანაწესით გათვალისწინებული პრივილეგია. გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3 (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) მიზნად ისახავს იმ მხარის პრივილეგირებას, რომელმაც შეიძინა ნივთი, მიაჩნდა ეს ნივთი სამუდამოდ შეძენილად და იყენებდა მას, როგორც მის კუთვნილ სხვა ნივთებს. ვისაც კანონი ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას (განსხვავებით ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლებისაგან), შეუძლია მიენდოს იმას, რომ ნივთი სამუდამოდ მოპოვებულია და მიეკუთვნება მის ქონებას¹¹⁴. ამის გამო, შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში ამ პრივილეგიის გამოყენება არ იყოს უპრიანი, რადგან გამყიდველს მყიდველისათვის ჯერ არ გადაუცია საკუთრება და მ-ს არ ჰქონდა საფუძველი, მიეჩნია ნივთი სამუდამოდ შეძენილად.

თუმცა ამ მოსაზრების საპირისპიროდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტი: 1. გ-მ მ-ს გადასცა ნივთზე მფლობელობა (მ-ს შეეძლო დაეთვალა ნივთი არა მარტო მალაზიაში, არამედ ნამოელი კიდეც თან). შესაბამისად, გამყიდველს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად უნდა გადაეცა მხოლოდ საკუთრება. ამის გაკეთება გ-ს შეეძლო იმგვარად, რომ უკან არ დაებრუნებინა ნივთზე მფლობელობა. შესაბამისად, ნივთზე მფლობელობა მ-ს შეეძლო ჩაეთვალა სამუდამოდ მოპოვებულად. 2. ამ რეზულტატის საპირისპიროდ არ მეტყველებს არც ის ფაქტი, რომ გ-მ მ-ს ნივთი მხოლოდ “დასათვალისწინებლად” გადასცა. ეს ნასყიდობა არ წარმოადგენდა მოწონების პირობით დადებულ ხელშეკრულებას გსკ-ის 454-ე პარაგრაფის (სსკ-ის 520-ე მუხლის) შესაბამისად, რომლის დროსაც, საეჭვოობისას, ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მოწონების გადადების პირობით. ნასყიდობის შედეგების დადგომა არ იყო დამოკიდებული მ-ს მოწონება-არმოწონებაზე. განმარტების მეშვეობით დგინდება, რომ მხარეებმა – “ნივთის დასათვალისწინებლად გადაცემის” პირობით – შეთანხმეს ჩვეულებრივი, არაპირობადებული ნასყიდობა, რომლის

¹¹⁴ Palandt/GRÜNEBERG, § 346 Rn. 13b.

ფარგლებშიც გამყიდველი პასუხისმგებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთი არ აღმოჩნდებოდა შეთანხმებული თვისების მქონე (მაგ., ნივთი იქნებოდა გამოშვებული სხვა წელს ან იქნებოდა უფარგის მდგომარეობაში)¹¹⁵, მაგრამ გ-ს არ შეეძლო ჩაეშალა ნასყიდობა მხოლოდ იმის გამო, რომ გადაიფიქრა და აღარ მოსწონდა შეთანხმებული თვისებების მქონე ნივთი.

გარდა ამისა, ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით¹¹⁶, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების მხარემ იცის საკუთარი კანონისმიერი გასვლის უფლების შესახებ და ჭოჭმანობს გამოიყენოს თუ არა ის, მასზე მაინც ვრცელდება ზემოთ ხსენებული პრივილეგია, რადგან მას უნდა ჰქონდეს “ჭოჭმანის უფლება”. ანუ, იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით გადაწყვეტს დაიტოვოს ნივთი და გამოიყენოს ნივთის ნაკლიდან წარმოშობილი სხვა უფლებები (მაგ., ზიანის ანაზღაურება, დამატებითი შესრულება ან ფასის შემცირება), უნდა ჰქონდეს უფლება ჭოჭმანის პერიოდშიც ისე მოექცეს ნივთს, როგორც საკუთარს¹¹⁷. ეს გადაწყვეტა ძალაშია მოცემულ შემთხვევაშიც.

გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3-ით (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტით) გათვალისწინებული პრივილეგია არ არის გამორიცხული იმის გამო, რომ მ-ს ნივთზე საკუთრება არ მოუპოვებია.

შედეგი: იჩენდა რა მ ნივთის მიმართ ისეთივე მზრუნველობას, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში, არ არის ვალდებული აანაზღაუროს ამგვარი მზრუნველობის შედეგად განადგურებული ნივთის ღირებულება.

115 GRUNEWALD, Kaufrecht, § 15 I 4 (323); იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნასყიდობა დადებული იქნებოდა მოწონების პირობით, გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3-ით გათვალისწინებული პრივილეგიის გამოყენება არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული – თუ კანონმდებელი მყიდველს ანიჭებს უფლებას, საკუთარი ნება-სურვილით გადაწყვიტოს ნასყიდობის ბედი, მაშინ მასზე უნდა გავრცელდეს ის კანონისმიერი პრივილეგია, რომელიც გავრცელდებოდა, ხელშეკრულება და მის საფუძველზე გადაცემული ნივთი სამუდამოდ შექენილი რომ ყოფილიყო.

116 Palandt/GRÜNEBERG, § 346 Rn. 13b.

117 ეს პრივილეგია, რა თქმა უნდა, არ მოქმედებს, თუ მხარე შეგნებულად გაუფრთხილებლად ექცევა ნივთს, რომლის დაბრუნებაც გადაწყვეტილი აქვს.

III. გ-ს მოთხოვნა მ-საგან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 326-ეს მე-5, 346-ეს მე-4, 280-ეს მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 283-ე პარაგრაფის (სსკ-ის 405-ეს მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის, 352-ეს მე-5 და 394-ეს მე-2 და მე-3 ნაწილების) მიხედვით. გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გასვლიდან წარმოშობილ ურთიერთობაზე გამოიყენება ზოგადი დანაწესები და მათ შორის ვალდებულების დარღვევით გამომწვეული ზიანის ანაზღაურების წესები, გსკ-ის 280-ე და შემდგომი პარაგრაფები (სსკ-ის 394-ე მუხლი).

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლიდან წარმოშობილი ვალდებულებაც მ-ს შეიძლება დაერღვია, არის გასვლის შედეგად წარმოშობილი „მიღებულის დაბრუნების ურთიერთობა“.

2. ვალდებულების დარღვევა

მ-ს მხრიდან ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნივთის დაბრუნების შეუძლებლობაში.

3. ბრალი

საკითხავია, ეკისრება თუ არა მ-ს ამ ვალდებულების დარღვევისათვის ბრალი, რაც ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა. მ-მ თანაბრალეულად გამოიწვია ნივთის განადგურება, რამაც მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მიანიჭა. შესაბამისად, ის პასუხს აგებს შესრულების შეუძლებლობისათვისაც. თუმცა ეს რეზულტატი საკმაოდ უცნაურია. ნივთის განადგურების მომენტისათვის არ არსებობდა ის ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლიდან წარმოშობილ ვალდებულებასაც მ ბრალეულად დაარღვევდა. მ-ს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევი-

სათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მან იცოდა ან შეეძლო სცოდნოდა, რომ სახეზე იყო გასვლის წინაპირობები. გსკ-ის 311ა პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს მოვალის პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულებისათვის ხელის შემშლელი გარემოების ხელშეკრულების დადებამდე არსებობისას, ანუ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ხელშეკრულების დარღვევა ფაქტობრივად ხდება მის დადებამდე, ზიანისათვის პასუხს აგებინებს მხოლოდ იმ მოვალეს, რომელმაც ვალდებულების შესრულებისათვის ხელის შემშლელი გარემოების შესახებ იცოდა, ან ბრალეულად არ იცოდა. ამგვარი სპეციალური დანაწესი, რომელიც გაითვალისწინებდა გასვლის შედეგად წარმოშობილი დაბრუნების ურთიერთობის მოვალის პასუხისმგებლობას იმ გარემოებებისათვის, რომლებიც გასვლამდე დადგა, არ არსებობს. მ არ აგებს პასუხს ვალდებულების დარღვევისათვის, რის გამოც გ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ არსებობს.

IV. გ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მ-ს მიმართ

გ-ს შეიძლება ჰქონდეს მ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 326-ე მე-5, 346-ეს მე-4, 280-ეს 1-ლი და 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 405-ეს მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის, 352-ეს მე-5 და 394-ეს 1-ლი და 316-ეს მე-2 ნაწილის) შესაბამისად.

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

როგორც ზემოთ ვახსენეთ, მ-სა და გ-ს შორის გასვლის შემდეგ წარმოიშვა „მიღებულის დაბრუნების/რესტიტუციული ურთიერთობა“, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებით ურთიერთობას გსკ-ის 280-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

2. ვალდებულების ბრალეული დარღვევა

მ-ს უნდა დაერღვია ვალდებულება გსკ-ის 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად. მ-ს

გასვლამდეც ეკისრებოდა გამყიდველის მიმართ ე. წ. “დამცავი ვალდებულებები” გსკ-ის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, ვალდებულებითი ურთიერთობა თითოეულ მხარეს აკისრებს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას. მ-ს ეკისრებოდა ვალდებულება, გ-ს საკუთრებისა და ქონების მიმართ გამოეჩინა შესაბამისი გულისხმიერება და არ გაენადგურებინა ის. ეს ვალდებულება არსებობდა გასვლის გაცხადებამდეც (განსხვავებით გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-3 ნაწილებიდან და 283-ე პარაგრაფიდან წარმოშობილი ვალდებულებისაგან). მ-მ ბრალეულად დაარღვია ის, როდესაც გაუფრთხილებლად გაანადგურა ნივთი, გამოიწვია რა ამით გ-ს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რომელმაც გ-ს, საბოლოო ჯამში, საკუთრებასთან ერთად დააკარგვინა ასევე ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლებაც. ვალდებულების ბრალეული დარღვევა სახეზეა.

3. თანაბრალეულობის გათვალისწინება

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოცულობას, გ-ს თანაბრალეულობა ზიანის დადგომისას, რომელიც მ-ს ბრალთან მიმართებით თანაბარი წონისაა, ამცირებს ზიანის ანაზღაურების მოცულობას 50%-ით გსკ-ის 254-ე პარაგრაფის შესაბამისად. გსკ-ის 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი იცავს არა მხოლოდ გ-ს ინტერესს, საკუთრების უვნებლად შენარჩუნებასთან დაკავშირებით (Integritätsinteresse), არამედ ასევე მის ინტერესს ნასყიდობიდან რეალიზებული მოგების მიღებასთან დაკავშირებით (Äquivalenzinteresse), ამიტომაც მ-მ გ-ს უნდა აუნაზღაუროს არა ნივთის ობიექტური ღირებულების, არამედ ნასყიდობის ფასის 50% - 2500 ლარი.

4. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვა diligentia quam in suis საფუძველზე

საკითხავია, არის თუ არა გ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr.

3-ის (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის) მიხედვით გამორიცხული, ისევე, როგორც მანამდე ამ დანაწესის შესაბამისად ნივთის ღირებულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხა.

მოცემული პრივილეგიის გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ პრივილეგირება აზრს დაკარგავდა¹¹⁸, თუ მიუხედავად ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვისა, მოვალე მ მაინც აგებდა პასუხს განადგურებული ნივთისათვის, როგორც მიყენებული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისეთივე გულისხმიერებას იჩენდა ნივთის მიმართ, როგორც საკუთარი სხვა ნივთების მიმართ. თუმცა ამ პრივილეგიის ანალოგიით გამოყენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის არგუმენტი, რომ გსკ-ის 346-ე პარაგრაფი. სიტყვა-სიტყვითი განმარტების შესაბამისად მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნაზე გამოიყენება და არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმართ. გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილი მიუთითებს 280-ე და შემდგომ პარაგრაფებზე, თუმცა არ ითვალისწინებს ამ ღირებულების ანაზღაურებისათვის მოქმედი სპეციალური დანაწესის მათზე გადატანას. როგორც კანონის დასაბუთებაშია მითითებული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე უნდა გავრცელდეს მხოლოდ ზოგადი ვალდებულებითი სამართლის დანაწესები. თუმცა კონტრარგუმენტები, საერთო ჯამში, მაინც არადადამაჯერებელია. გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების Nr. 3-ით გათვალისწინებული პრივილეგია იქნება ფუჭი, თუ გამორიცხავდა მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების და არ გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას¹¹⁹. გაუგებარია, თუ რატომ უნდა სცდებოდეს ერთმანეთს პასუხისმგებლობის ჩარჩოები უკან დაბრუნების ურთიერთობის ფარგლებში და ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, რომელიც თავისი მოცულობით შესაძლებელია აღემატებოდეს კიდევ ღირებულების ანაზღაურების – რომლის მასშტაბსაც ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური წარ-

მოადგენს – მოთხოვნას¹²⁰. ვიყენებთ რა ამ პრივილეგიას მოცემული შემთხვევაში, ის გამორიცხავს გ-ს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობისათვის.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არის გამორიცხული, რადგან მ ისეთივე მზრუნველობას იჩენდა ნივთის მიმართ, როგორსაც ის საკუთარ საქმეებში იჩენს.

შედეგი: გ-ს არ აქვს მ-ს მიმართ არც ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება და არც განადგურებული ნივთის გამო ღირებულების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

118 WAGNER, Mortuus Redhibetur im neuen Schuldrecht? FS Wagner, Tübingen 2006.

119 ეს კონტრარგუმენტი უცვლელად მიესადაგება ქართულ სამართალს.

120 MUSCHELER/BUER/HUH/OLEJNIK/ROTH/SCHWE, Fälle und Lösungen zum Bürgerlichen Recht I, 247.

კაზუსი: „ჩხენკელი და მისი ძმა“

ბატონი ზურაბ ვეშაპიძე (ზ. ვ.), სანამ ქალაქში ცნობილი ადვოკატი გახდებოდა, მანამდე ყოველთვის ადვოკატი არ ყოფილა. 1996-1999 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული ასპირანტი იყო. მიუხედავად დაძაბული გრაფიკისა, ის მუდმივად ზრუნავს ზოგადი განათლების გაღრმავებაზე და ამჯერად გადაწყვიტა ამ პროცესში მისი ბიუროს – „ვეშაპიძე და პარტნიორების“ – თანამშრომლებიც ჩართოს. ამისათვის, პირველ რიგში, ბიუროს შესაბამისი ბიბლიოთეკით აღჭურვა აქვს გადაწყვეტილი და რეგულარულად იძენს ხოლმე ბუკინისტ ბუკასაგან (ბ) წიგნებს. ერთ დღესაც ბუკა უკავშირდება და სთავაზობს მას იშვიათ წიგნს 500 ლარად, თუმცა ბატონი ვეშაპიძე, რომელიც ხეირიანად არავის უსმენს, მხოლოდ იმას გაიგებს, რომ წიგნი არის ვინმე ჩხენკელის და დამშვენებულია ავტორისეული ავტოგრაფით. ბუკას მიერ გადაგზავნილ წიგნის გარეკანისა და ავტოგრაფის სურათებს ვეშაპიძე დიდ ყურადღებას არ მიაქცევს, მას უბრალოდ უყვარს ცნობილი გვარები და მათი ავტოგრაფები, მაგრამ მოსაფიქრებლად მაინც დაიტოვებს დროს. სინამდვილეში საქმე ეხება კიტა ჩხენკელის მიერ ციურისში გამოცემული ქართულ-გერმანული ლექსიკონის პირველ ტომს და კიტა ჩხენკელი, განსხვავებით მისი უფროსი ძმის, აკაკი ჩხენკელისაგან, ცნობილი არ არის. ბუკას წიგნის გაყიდვა ეჩქარება და 1 თებერვალს ატყობინებს ბატონ ვეშაპიძეს, რომ შემოთავაზება მხოლოდ მისთვის და მხოლოდ 10 თებერვლამდეა ძალაში. საბოლოოდ ეს უკანასკნელი 6 თებერვალს მისწერს ბუკას, რომ თანახმაა და ელოდება წიგნს 11 თებერვალს. ბუკაც თანახმაა. თუმცა 13 თებერვალს წიგნი ჯერ კიდევ არ არის ჩაბარებული, რის გამოც ნერვებმოშლილი ვეშაპიძე ბუკას შემდეგ იმეილს უგზავნის:

„ჩემო ბუკა, შეგიძლია შენი წიგნი შენთვის დაიტოვო, მე შვეიცარიის ალპებში გავემგზავრე და მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დავბრუნდები.“

ბუკა ვეშაპიძის მონაწიერს ყურადღებას არ მიაქცევს და მეორე დღეს მაინც გააგზავნის წიგნს, რომელსაც ვეშაპიძის მდივანი 15 თებერვალს ჩაიბარებს. ალპებიდან დაბრუნებული ზ. ვ. დახედავს წიგნს, თვალში მოხვდება, რომ ეს ლექსიკონია და თან კიტა ჩხენკელზეც ბევრი არაფერი იძებნება ინტერნეტში – „ცნობილი ჩხენკელის“ ქვეშ ის აშკარად სხვა ჩხენკელს გულისხმობდა. თუმცა ამის აღიარების არც სურვილი აქვს და არც დრო. ამიტომაც მდივნის მეშვეობით ატყობინებს ბუკას, რომ მას შეუძლია გამოგზავნილი წიგნი უკან ნაილოს. 30 მარტს ბუკა სთხოვს ვეშაპიძეს ფასის გადახდას, ვეშაპიძე კი პასუხობს, რომ მან უკვე 13 თებერვალს განაცხადა ხელშეკრულებიდან გასვლა, რადგან წიგნი არ ეკუთვნოდა აკაკი ჩხენკელს.

ზ. ვ.-მ გამოარკვია, რომ თავიდან ბუკას, ვეშაპიძის გარდა, წიგნის სხვა კლიენტიც ჰყავდა მოძებნილი, რომელიც მას წიგნში 800 ლარსაც კი სთავაზობდა, თუმცა, საბოლოოდ, ნაეჩხუბა და ნასყიდობაც ჩაშალა.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

1. ბ-ს მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით

ბ-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-ს მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა გსკ-ის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით, რის წინაპირობასაც წარმოადგენს მათ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

1. ხელშეკრულების დადება

ბ-სა და ზ. ვ.-ს შორის შესაძლებელია დადებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება 6 თებერვალს, როდესაც ზ. ვ.-მ თანხმობა განაცხადა ნასყიდობაზე. სახეზეა ბ-ს მიერ გაკეთებული მხოლოდ ოფერტი გსკ-ის 145-ე და მომდევნო პარაგრაფების (სსკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლების) მიხედვით. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა კონკრეტული ნივთი, რომელიც კონკრეტიზებული იყო ავტორის სახელწოდებითა და ბ-სათვის გადაგზავნილი ფოტოსურათებით. ზ. ვ.-ს შეეძლო მიეღო ეს ოფერტი 6 თებერვალს გამოთქმული თანხმობით, თუმცა მან თანხმობა განაცხადა მოდიფიცირებული ფორმით – გამყიდველს დაუთქვა ვადა შესრულებისათვის და მოსთხოვა მას ოფერტით გაუთვალისწინებელი მოქმედების შესრულება (შდრ. გსკ-ის 269-ე პარაგრაფი და სსკ-ის 362-ე მუხლი) – ნივთის მიწოდება, ანუ მოითხოვა წამოღების ვალდებულების ნაცვლად გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება. დათქმით გაკეთებული ოფერტი წარმოადგენს თავდაპირველი ოფერტის უარყოფას და ახალ ოფერტს გსკ-ის 150-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

თუმცა ბ-მ, საბოლოოდ, მიიღო ეს ოფერტი, რის შემდეგაც ბ-სა და ზ. ვ.-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება.

2. ნასყიდობის საგანი „ჩხენკელის წიგნი“

საკითხავია, შეიცავს თუ არა ზ. ვ.-ს ნების გამოხატვა რაიმე მინიშნებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას „აკაკი ჩხენკელის წიგნის“ ყიდვა სურდა. შესაძლებელია, ბ-სა და ზ. ვ.-ს მოუვიდათ დაფარული დისენსუსი (გსკ-ის 155-ე პარაგრაფი, სსკ-ის 53-ე მუხლი), რადგან ისინი ხელშეკრულების საგნად სხვადასხვა წიგნს მოიაზრებდნენ. ნასყიდობის საგნის ქვეშ მხარეები მოიაზრებდნენ წიგნს, რომლის ფოტოებიც გაუგზავნა ბ-მ ზ. ვ.-ს. „ჩხენკელის წიგნი“ იყო არა ნივთის წარმომავლობის, როგორც თვისების, განმსაზღვრელი, ანუ სავარაუდო ნასყიდობის საგნებიდან ერთ-ერთის ამორჩევის კრიტერიუმი, არამედ უკვე შერჩეული წიგნის იდენტიფიცირების საშუალება. ამიტომაც, ვეშაპიძის ოფერტი ბ-ს, როგორც ობიექტური მიმღების, თვალსაწიერიდან (გსკ-ის 133-ე და 157-ე პარაგრაფები, სსკ-ის 52-ე და 337-339-ე მუხლები) აღიქმებოდა ოფერტად იმ წიგნთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. შესაბამისად, ზ. ვ.-ს ცალმხრივი წარმოდგენა, რომ წიგნი იყო „ცნობილი ჩხენკელის“ (ანუ აკაკის) წიგნი, არ გამხდარა ხელშეკრულების შინაარსი. ოფერტი და აქცეპტი გაკეთდა კიტას წიგნთან დაკავშირებით.

შედეგი: ორი ურთიერთმფარავი ნების გამოხატვით ბ-სა და ზ. ვ.-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება კიტა ჩხენკელის წიგნთან დაკავშირებით და ბ-ს წარმოეშვა ფასის გადახდის მოთხოვნა.

II. მოთხოვნის მოსპობა

ბ-ს მოთხოვნა შესაძლებელია მოგვიანებით მოსპობილიყო.

1. გასვლა

1.1. ბ-მ დროულად არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემისა, რაც ზ. ვ.-ს შეიძლება ანიჭებდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, გსკ-ის 323-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობას წარმოადგენს გასვლის გაცხადება გსკ-ის 349-ე პარაგრაფის (სსკ-ის 355-ე მუხლის) მიხედვით. ზ. ვ.-ს 13 თებერვალს ნივთის მიწოდებაზე უარის თქმით შეეძლო გაცხადებინა კონკლუდენტური გასვლა.

1.2. გასვლის ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენს მოვალისათვის „მეორე შანსის“ მიცემა, ანუ დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესება, გსკ-ის 323-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი (სსკ-ის 405-ე მუხლის Nr. 1). ზ. ვ.-ს არ მოუთხოვია ბ-საგან დამატებითი შესრულება, შესაბამისად, გასვლა მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუ მოცემულ შემთხვევაში დამატებითი ვადის დაწესება ზედმეტი იქნებოდა.

1.3. ბ-ს არ უთქვამს გადაჭრით და საბოლოოდ უარი შესრულებაზე (გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 1, სსკ-ის 405-ე მუხლის Nr. 2-ის ა) ქვეპუნქტი), რის გამოც დამატებითი ვადის დაწესება შეიძლება ყოფილიყო ზედმეტი გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 2-ის¹²¹ (სსკ-ის 405-ე მუხლის Nr. 2-ის ბ) ქვეპუნქტის) შესაბამისად. ისეთი გარიგებების შემთხვევაში, რომელთა შესრულების თარიღიც მყარად არის ფიქსირებული¹²² და კრედიტორს დაგვიანებული შესრულების მიმართ არანაირი ინტერესი აღარ აქვს, დამატებითი შესრულების ვადის დაწესება არის ზედმეტი – ე. წ. გარიგებები შესრულების რელატიურად ფიქსირებული თარიღით.

1.4. იმისათვის, რომ გარიგება ჩაითვალოს გარიგებად შესრულების რელატიურად ფიქსირებული თარიღით, საკმარისი არ არის, კრედიტორმა მოვალეს დაუთქვას ვადა შესრულებისათვის, აუცილებელია, მოვალისათვის გასაგები იყოს, რომ გარიგების შედგომა-არშედეგომა შესრულების დროულობაზეა დამოკიდებული.

¹²¹ ასევე გერმანიის სავაჭრო კოდექსის 376-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რადგან მოცემული ნასყიდობა ბუკასათვის სავაჭრო გარიგებას წარმოადგენს.

¹²² განსხვავებით გარიგებებისაგან, რომელთა შესრულების თარიღიც აბსოლუტურად მყარად არის ფიქსირებული და რომელთა დაგვიანებული შესრულებაც უკვე აღარ არის შესრულება გსკ-ის 362-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად, ამ მხოლოდ მყარად ფიქსირებულთარიღიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში შესრულების დაყოვნებით ავტომატურად არ დგება მისი შესრულების შეუძლებლობა. ამ დროს კრედიტორს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

ლი და არადროული შესრულების მიმართ კრედიტორს არანაირი ინტერესი აღარ აქვს. მართალია, ვეშაპიძემ მიუთითა მის დაგეგმილ შვებულებაზე აღპებში, მაგრამ წიგნის შექმნასთან ამ გარემოებას პირდაპირი კავშირი არ ჰქონია და ბუკასათვის არ იყო გასაგები, თუ რატომ უნდა დაეკარგა ნასყიდობას აზრი შვებულების გამო. ვადის დაწესება ამ მიზეზით არ იყო არანამდვილი.

1.5. თუმცა შესაძლებელია, ვადის დაწესების გარეშეც გარიგებიდან გასვლა ნამდვილი ყოფილიყო, თუ ეს მიზანშეწონილი იქნებოდა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით (გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 3, სსკ-ის 405-ე მუხლის Nr. 2-ის გ) ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში ბ-ს უკვე ჰყავდა მოძებნილი სხვა კლიენტი, რომელიც ზ. ვ.-ზე მეტ ფასს სთავაზობდა და ამ უკანასკნელთან გარიგების ჩაშლის შემდეგ მას შეეძლო, მიეღო ეს მეორე წინადადება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეს დანაწესი ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული, აუცილებელია მისი რესტრიქციული განმარტება, რათა არ აქციოს ვადის დაწესების აუცილებლობა მეტწილად ფუჭ მოთხოვნად. ამის გამო, ვადის დაწესება მხოლოდ მაშინ არის ზედმეტი, როდესაც კრედიტორს (და არა მოვალეს) ჩაეშლება გარიგება სხვა კლიენტთან პირველი გარიგების დროული შეუსრულებლობით გამოწვეული დაყოვნებით¹²³. მოცემულ შემთხვევაში სხვა კლიენტთან გარიგება ჩაეშალა მოვალე ბუკას სულ სხვა მიზეზით. ზ. ვ. ვერ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ბ-სათვისაც მომგებიანი იყო ხელშეკრულებიდან გასვლა ვადის დაწესების გარეშე.

დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესება არ იყო ზედმეტი.

შედეგი: გასვლა არანამდვილია, რადგან ზ. ვ.-მ მოვალეს არ განუსაზღვრა ვადა დამატებითი შესრულებისათვის.

2. შეცილება

ბ-ს ფასის გადახდის მოთხოვნა შეიძლება გამქრალიყო ზ. ვ.-ს შეცილების შედეგად გსკ-ის 142-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება) მიხედვით:

123 PALANDT, § 323 Rn. 22.

ა) მოცემულ შემთხვევაში შეცილების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ბ-ს მხრიდან ზ. ვ.-ს მოტყუება (გსკ-ის 123-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), როდესაც მან შესთავაზა ჩხენკელის წიგნის მიყიდვა და ამ უკანასკნელს ბოლომდე არ განუმარტა, რომ საქმე ეხებოდა არა აკაკი, არამედ კიკია ჩხენკელის ლექსიკონის პირველ ტომს, რითაც ვეშაპიძეს, შესაძლოა, შეუქმნა მცდარი წარმოდგენა წიგნზე. თუმცა მოტყუების წინაპირობას წარმოადგენს ბ-ს ბოროტი განზრახვა. ბ-ს უნდა ჰქონოდა განზრახული, გაეცურებინა ზ. ვ. არასწორი ფაქტების მიწოდებით ან სწორი ფაქტების დამალვით, რაც მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს. მას შეეძლო ევარაუდა, რომ, თუ ზ. ვ.-ს არ ეცოდინებოდა, თუ ვინ მოიაზრებოდა “ჩხენკელის” ქვეშ, ჩახედავდა მაინც მის მიერ გამოგზავნილ ფოტოებს და ამით შეიქმნიდა რეალურ წარმოდგენას წიგნზე. ამიტომაც, მოტყუება ვერ იქნება შეცილების საფუძველი.

ბ) შეცილების საფუძველი შეიძლება იყოს ზ. ვ.-ს შეცდომა წიგნის თვისებასთან დაკავშირებით, გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი (სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აა) თუმცა შეცდომიდან გამომდინარე შეცილების უფლება გამოირიცხება, თუ ის კონკურირებს გამყიდველის ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან¹²⁴: 1. გამყიდველს არ უნდა წაერთვას ჯეროვანი შესრულების მეორე შანსი (გსკ-ის 437-ე პარაგრაფის Nr. 1, სსკ-ის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მყიდველის მიერ პირდაპირ შეცილების უფლების გამოყენებით. 2. მყიდველმა ვერ უნდა მოახერხოს ნასყიდობიდან თავის დაძვრენა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნივთის ნაკლი მისთვის უცნობია უხეში გაუფრთხილებლობით (გსკ-ის 442-ე მუხლის მე-2 ნაწილი). 3. შეცილების უფლების გამოყენებით მყიდველმა გვერდი არ უნდა აუაროს ხანდაზმულობის სპეციალურ წესებს ნასყიდობისათვის (გსკ-ის 438-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის Nr. 3).

ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის წინაპირობას წარმოადგენს ნივთის ნაკლოვანება (გსკ-ის 434-ე პარაგრაფი, სსკ-ის 488-ე მუხლი), რაც გულისხმობს ნივთის რეალური მდგომარეობის მყიდველისათვის არასასურველ შეუსაბამობას ხელშეკრუ-

124 WERTENBRUCH, NJW 2004, 1977 ff.

ლებით გათვალისწინებულ მდგომარეობასთან (გსკ-ის 434-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება). მოცემულ შემთხვევაში ამგვარი შეუსაბამობა სახეზე არ გვაქვს, რადგან წიგნის წარმომავლობა საერთოდ არ გამხდარა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილი. ნასყიდობის საგანი იყო წიგნი, რომლის ფოტოებიც გადაეგზავნა ვეშაპიძეს და რომელიც იდენტიფიცირდა როგორც ჩხენკელის წიგნი.

ბბ) საკითხავია, არის თუ არა სახეზე შეცდომა ზემოთ ხსენებული დანაწესის შესაბამისად. თვისებაში შეცდომად მიიჩნევა შეცდომა ნივთის ისეთ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფასზე. შეცდომა თვისებაში შეიძლება ყოფილიყო ვეშაპიძის წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ წიგნი ეკუთვნოდა ცნობილ ჩხენკელს, ანუ აკაკის. წიგნის ავტორი არის არსებითი ამ წიგნის ღირებულების განსაზღვრისათვის, რის გამოც ეს წარმოადგენს თვისებას გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის (სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით. ის ფაქტი, რომ ასეთი წიგნი არ არსებობდა, უმნიშვნელოა, რადგან არარსებული თვისებაც თვისებაა. თუმცა საკითხავია, შეცდა თუ არა ზ. ვ. უშუალოდ წიგნის ავტორში, როგორც წიგნის თვისებაში, თუ შეცდა ავტორის თვისებაში, ანუ თვისების თვისებაში. სინამდვილეში ვეშაპიძემ არც აკაკი ჩხენკელი იცოდა და არც კიტა. მან უბრალოდ იცოდა, რომ ვიღაც ჩხენკელი იყო ცნობილი და მისთვის სულ ერთი იყო, იქნებოდა ეს ცნობილი ჩხენკელი აკაკი თუ მისი ძმა. საბოლოო ჯამში, მას შეეშალა არა უშუალოდ ავტორი, არამედ ამ ავტორის ცნობადობა, ანუ თვისების თვისება. შეცდომა თვისების თვისებაში არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომის უფლების მიმნიჭებლად. ამ დროს არ მართლდება არა მხოლოდ მყიდველის წარმოდგენა ნივთზე, არამედ მისი წარმოდგენა ნივთზე წარმოდგენაზე, რაც არის გარიგების ძალზე შორეული მოტივი, განსხვავებით უშუალოდ თვისებაში შეცდომისგან (რომელიც, გამონაკლისის სახით, მნიშვნელოვანი შეცდომაა მოტივში) და არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი, რადგან არ ახდენს პირდაპირ გავლენას ფასზე, ხოლო თუ ახდენს, მაშინ თვისების თვისება უშუალოდ

ღირებულება ყოფილა, რადგან ისეთი თვისების თვისება, რომელიც ღირებულებაზე პირდაპირ ახდენს გავლენას, შეიძლება მხოლოდ თვითონ ღირებულება იყოს. ღირებულებაში შეცდომა კი არის უმნიშვნელო შეცდომა მოტივში.

გგ) დამოუკიდებლად იმისა, ანიჭებს თუ არა მოცემული ტიპის შეცდომა ზ. ვ.-ს შეცილების უფლებას, საკითხავია, არის თუ არა სახეზე შეცილების სხვა წინაპირობები. შეცილების ნამდვილობისათვის აუცილებელია მეორე მხარისათვის მისი გაცხადება, გსკ-ის 143-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადება (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება). ამისათვის აუცილებელია, მეორე მხარისათვის ყოფილიყო შეცნობადი, რომ ვეშაპიძეს გარიგების ნამდვილობა აღარ სურს ნების ნაკლიდან გამომდინარე. არ არის აუცილებელი შეცილების ზუსტი მიზეზის მითითება, თუმცა მეორე მხარისათვის გასაგები უნდა იყოს (გსკ-ის 133, 157-ე პარაგრაფები, სსკ-ის 52-ე მუხლი), თუ რა წარმოადგენდა შეცილების ფაქტობრივ საფუძველს. ამის გამო 13 თებერვალს მიწერილი წერილი ვერ იქნებოდა შეცილების გაცხადება, რადგან არ შეიცავდა მინიშნებას შეცდომასთან დაკავშირებით – ეს შეცდომა ვეშაპიძემ თვითონაც მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა. ასევე დაუშვებელია 13 თებერვალს გაცხადებული გასვლის კონვერსია (გსკ-ის 140-ე პარაგრაფი, სსკ-ის 60-ე მუხლი) შეცილებად, რადგან შეცილების სამართლებრივი შედეგები უფრო შორს მიმავალია – შეცილების შედეგად გარიგება არანამდვილია ex tunc-მოქმედებით (გსკ-ის 142-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი), განსხვავებით გასვლისაგან, რომელიც ხელშეკრულებას გარდაქმნის უკან დაბრუნების ურთიერთობად.

თუმცა ზ. ვ.-ს შეეძლო 30 მარტს, ხელშეკრულებაზე მდივნის (როგორც შიკრიკის) მეშვეობით ნათქვამი უარით, გაეცხადებინა შეცილება. მას აქაც პირდაპირ არ უხსენებია სიტყვა შეცილება, შესაბამისად, მისი გაცხადება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ კონკლუდენტურად. ეს ნების გამოხატვა უკვე შეიცავდა არა მარტო ვეშაპიძის სურვილს გარიგების არანამდვილად ქცევასთან დაკავშირებით, არამედ ასევე მინიშნებას მის შეცდომაზე – ზ. ვ.-მ ცნობილი “ჩხენკელის” ქვეშ სხვა “ჩხენკელი” იგულისხმა.

ამ მომენტისათვის შეცილება იყო ჯერ კიდევ დროული. მართალია, შეცილება უნდა განხორციელდეს შეცდომის შეტყობიდან დაუყოვნებლივ (გსკ-ის 121-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, საქართველოში: ერთი თვის განმავლობაში – სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და ნიგნი ვეშაპიძის მდივანს ჩაჰბარდა 16-17 თებერვალს, რის შემდეგაც თვეზე მეტია გასული, თუმცა მდივნის მიერ ცოდნის მოპოვება არ შეერაცხება ვეშაპიძეს – მდივანი ამ შემთხვევაში არ იყო მისი წარმომადგენელი და გსკ-ის 166-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი არ გამოყენება. თვითონ ვეშაპიძემ შეცდომის შესახებ მხოლოდ მარტის დასაწყისში შეიტყო, როდესაც დაბრუნდა შვებულებიდან.

შეცილების სხვა წინაპირობები სახეზეა, თუმცა, მიუხედავად ამისა, შეცილება არანამდვილია, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისი საფუძვლის არარსებობის გამო.

3. ნაკლიდან წარმოშობილი შესაგებლები

მოთხოვნის გამაქარწყლებელ ან განხორციელების შემაფერხებელ შესაგებლებს (მაგალითად: ფასის შემცირება, გსკ-ის 437-ეს Nr. 2 და 441-ე პარაგრაფი, სსკ-ის 492-ე მუხლი) მოცემულ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან ნივთი არ იყო ნაკლოვანი.

საბოლოო შედეგი: ბ-ს ფასის გადახდის მოთხოვნა წარმოიშვა და ნამდვილია.

II. საფრანგეთი

საფრანგეთში ხელშეკრულების გაუქმებას (résolution), განსხვავებით გერმანიისაგან, აქვს რეტროსპექტიული ძალა, თუმცა შედეგები მეტწილად მსგავსია – ხელშეკრულება ითვლება დადების მომენტიდან არარად და მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუბრუნონ ამ ხელშეკრულებით მიღებული. ხანგრძლივი დროით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში საფრანგეთშიც, გერმანიის მსგავსად, ხელშეკრულებაზე უარის

თქმა ხდება სამომავლოდ და არა უკუქცევითი ძალით (résiliation), მაგრამ, განსხვავებით თავიდანვე არარა ხელშეკრულებისაგან, გასვლის შემდეგ დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისაგან ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ანუ ისევე, როგორც გერმანიაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და გასვლა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. საფრანგეთში არ არსებობს გრადაცია ჯერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის გამოყენებასა და მხოლოდ შემდეგ შესაძლებელ გასვლას შორის. გასვლა და შესრულება ერთ საფეხურზე დგანან. გამყიდველს საფრანგეთში ეკისრება საგარანტიო პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულებისათვის – როდესაც ნივთს აქვს შესაბამისი ნაკლი, მყიდველს შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვოს გასვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლის შემჩნევა თვითონაც შეეძლო. გერმანიისაგან განსხვავებით საფრანგეთში გასვლას უფრო ცოტა წინაპირობები აქვს, ვიდრე ზიანის ანაზღაურებას.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

მუხლის 1183. გაუქმების პირობა არის პირობა, რომელიც მისი დადგომის შემთხვევაში აუქმებს ვალდებულებას და უკუაქცევს მას ისე, რომ ვალდებულებას თითქოს არც უარსებია. ის არ აფერხებს ვალდებულების შესრულებას, ის მხოლოდ ავალდებულებს კრედიტორს, ამ პირობით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, დააბრუნოს ის, რაც მან მიიღო.

მუხლი 1184. სინალაგმატურ ხელშეკრულებაში ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ყოველთვის ითვლება გათვალისწინებულად იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთი მხარე არღვევს თავის ვალდებულებას. ამ დროს ხელშეკრულება არ არის ავტომატურად შეწყვეტილი. მხარე, რომლის წინაშეც დაირღვა ვალდებულება, უფლება აქვს, აიძულოს მეორე მხარე შეასრულოს თავისი ვალდებულება, თუ ეს შესაძლებელია, ან მოითხოვოს შეწყვეტა ან ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულების შეწყვეტას ადგენს სასამართლო და, გარემოებიდან გამომდინარე, მოვალეს შეიძლება მიეცეს გარკვეული დრო.

მუხლი 1641. გამყიდველი პასუხს აგებს ნივთის დაფარული ნაკლისათვის, თუ ეს ნაკლი ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენებას შეუძლებელს ხდის ან ამცირებს ნივთის სარგებელს იმგვარად, რომ მყიდველი მას არ იყიდდა ან იყიდდა ნაკლებ ფასად, ამ ნაკლის შესახებ რომ სცოდნოდა.

მუხლი 1642. გამყიდველი არ აგებს იმ ნაკლისათვის პასუხს, რომლის შემწევაც მყიდველს თავად შეეძლო.

მუხლი 1645. თუ გამყიდველმა იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ, მაშინ მას, მიღებული ფასის უკან დაბრუნების გარდა, ეკისრება სრული მოცულობით ზიანის ანაზღაურება.

საფრანგეთში ხელშეკრულების გაუქმება, ჩვეულებრივ, შეუძლებელია სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე, თუმცა შესრულების ვალდებულების სერიოზულმა დარღვევამ შეიძლება გაამართლოს ხელშეკრულების შეწყვეტა სარჩელის აღძვრის გარეშე.

მაგ. (Cass. Civ. 1re, 28.04. 1987): მოსარჩელესთან დაყენებული დაცვის სისტემა არ ფუნქციონირებდა გამართულად და გახდა მიზეზი არაერთი უსაფუძვლო განცხადებისა. მოპასუხე თანახმა იყო, რომ მხარეებს შეენწყვიტათ ხელშეკრულება. სასამართლომ, იმის გამო, რომ დაცვის სისტემის მონტაჟი განხორციელდა განსაკუთრებული უგულისყურობითა და შესაბამისი ნორმების დარღვევით, მიიჩნია, რომ გამართლებული იყო ამ დროს ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა თანხმობით, სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე.

III. ინგლისი

ინგლისში ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც წესი, არის სამომავლო. არაფეროვანი შესრულების კრედიტორს აქვს უფლება, უარი თქვას სამომავლოდ შესრულების მიღებაზე და თვითონაც არ შეასრულოს. მხარეს, რომელმაც მიიღო მომსახურება ხელშეკრულების (გამართლებული) შეწყვეტის მომენტამდე, შეუძლია შეწყვეტის შემდეგ უარი თქვას გადახდაზე. მართალია, ხელშეკრულების შეწყვეტას არ უკავშირდება აუცილებლობის ძალით გაცვლილი შესრულებების უკან დაბრუნება, თუმცა პრაქტიკაში, როგორც წესი, ხდება მათი უკუქცევა. ჩვეულებრივ, დაზარალებული მხარე ითხოვს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას. მხოლოდ საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მხარეს ეძლევა საშუალება მოითხოვოს გაცემულის უკან დაბრუნება და სანაცვლოდ დააბრუნოს მიღებული.

Sale of Goods Act 1893, 11. (2):

W

.....

(ბ) წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო დაპირება **ხელშეკრულების პირობას**, რომლის დარღვევაც იძლევა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, თუ წარმოადგენს მხოლოდ **გარანტიას**, რომელიც იძლევა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მაგრამ არა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, დამოკიდებულია ხელშეკრულების შინაარსზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. დაპირება შეიძლება იყოს პირობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია გარანტიად

**Hong Kong Fir Shipping Co Ltd v Kawasaki
Kisen Kaisha Ltd [1962] EWCA Civ 7:**

ფაქტობრივი გარემოებები: Hong Kong Fir Shipping-მა მიაქირავა Kawasaki Kisen Kaisha-ს თავისი გემი ორი წლის ვადით ლივერპულში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა გემის – “ტვირთის ჩვეული ტრანსპორტირებისათვის” – სრულებით გამართულ მდგომარეობაში გადაცემას. თუმცა ეკიპაჟი არ ფლობდა გემის მოძველებული ტექნიკის მართვის გამოცდილებას და, ამასთან ერთად, მთავარი ინჟინერი აღმოჩნდა ლოთი. ამის გამო, გემის ტექნიკა ლივერპულიდან ოსაკამდე ჩაღწევისას რამდენიმეჯერ გამოვიდა მწყობრიდან და გემი, საერთო ჯამში, გაჩერებული იყო ხუთი კვირის განმავლობაში. ოსაკაში ჩაღწევის შემდეგ გემს დასჭირდა თხუთმეკვირიანი სარემონტო სამუშაოები, სანამ მისი გამოყენება გახდებოდა შესაძლებელი. საერთო ჯამში, გემის გამოყენება შესაძლებელი იყო თავდაპირველი ორწლიანი პერიოდიდან მხოლოდ 17 თვის განმავლობაში. ოსაკაშივე ფრახტის პირობების გადაცილების გამო Kawasaki-მ შეწყვიტა ხელშეკრულება, რასაც არ დაეთანხმა მეორე მხარე.

Upjohn LJ: დათქმა “ზღვაოსნობისათვის გამოსადეგი” არ წამოადგენს ხელშეკრულების პირობას, რადგან მისი დარღვევა შესაძლებელია გემის ნებისმიერი წვრილმანი გაუმართაობით, მაგალითად, სამაშველო ნავში ერთი ფიცრის არარსებობით. ეს კი ეწინააღმდეგება საღ აზრს, რომ ამგვარი გაუმართაობის შემთხვევაშიც მხარეს უფლება ჰქონდეს მიიჩნიოს ხელშეკრულება დასრულებულად. მხარის ძალაუფლებაშია, რომ ხელშეკრულებაში ცალსახად დააფიქსიროს ან აუცილებელი გამომდინარეობის ძალით გაითვალისწინოს, რომ მეორე მხარის გარკვეული შეპირებები აღქმული უნდა იქნეს, როგორც ხელშეკრულების საფუძველი, რომლის დარღვევაც იწვევს მის დასრულებას. როდესაც მხარე არ აქცევს ცალკეულ შეპირებას ხელშეკრულების პირობად, მაშინ არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი შეპირება, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში, გახდა მისი არსებითი პირობა ან გარანტია. ასეთი შეპირების დარღვევის შემთხვევაში მხარის ინტერესი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საკმარისად არის დაცული. საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს მოცემულ შემთხვევაში, არის შემდეგი: არყევს თუ არა მხარის მიერ თავისი ცალკეული შეპირების შეუსრულებლობა ხელშეკრულების საფუძველს იმგვარად, რომ მისი შემდგომი შესრულება კომერციულად აზრს მოკლებულია და მთლიანი ხელშეკრულება ჩაშლილად უნდა გამოცხადდეს. მოცემულ შემთხვევაში გემის ზღვაოსნობისათვის გამოუსადეგრობის მიზეზი იყო მხოლოდ ეკიპაჟის სიმცირე და მისი არაკომპეტენტურობა, რაც არ არყევს ხელშეკრულების საფუძველს, რადგან ეკიპაჟის შეცვლა და შევსება შესაძლებელია.

Sellers LJ: დამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მისი დარღვევის აღმოფხვრა გრძელდება იმდენი ხანი ან სავარაუდოა, რომ გრძელდება იმდენ ხანს, რომ ხელშეკრულების კომერციულ მიზანს ჩაშლით ემუქრება. მართალია: მხარეს არ შეუძლია გამოისყიდოს ზიანის ანაზღაურებით შესრულების განუსაზღვრელი დროით დაყოვნება როდესაც ეს დაყოვნება იმდენ ხანს გრძელდება და ხელშეკრულების დარღვევა იღებს ისეთ მძიმე ხასიათს, რომ არღვევს ხელშეკრულების საფუძველს, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. რა არის ის კრიტერიუმი, რომლითაც უნდა გაიზომოს დაყოვნება? ამ დროს მხედველობაში მისაღები კრიტერიუმები დადის ორ მოსაზრებად ... “გონივრული ვადის ცნება და დაყოვნება, რომელიც დაზარალებდა დამქირავებელს მეორე კრიტერიუმი განსაზღვრულია ხანგრძლივი სასამართლო პრაქტიკით”.

Diplock LJ: ხელშეკრულების იმ დარღვევის შედეგები, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მასში, უნდა შეფასდეს იმ შედეგისა და მიხედვით, რომელიც გამოიწვია ამ დარღვევამ. გადამწყვეტია არა დაყოფა გარანტიად, რომელიც იწვევს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, და ხელშეკრულების პირობად, რომლის დარღვევაც არის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი, არამედ ის, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ დარღვევას. მაგალითად, გემის მეპატრონის მიერ მიცემული შეპირების დარღვევა, რომლითაც ის კისრულობდა ყველა შესაძლო გადაზიდვას, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველად, თუ ამ დარღვევის ხანგრძლივობამ ჩაშალა დაგეგმილი მოგზაურობა. ცალკეული დარღვევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გარანტია ან ხელშეკრულების პირობა, ნასყიდობის შესახებ 1893 წლის აქტის შესაბამისად, მის მიერ გამოწვეული შედეგის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე აპელირებს მეორის მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე, როგორც იმ გარემოებაზე, რომლის გამოც ის უნდა გათავისუფლდეს თავისი შესრულების ვალდებულებისაგან, მოსამართლის დისკრეციის სფეროში შედის იმის გადაწყვეტა, არსებითად კარგავს თუ არა დაზარალებული მხარე ამ დარღვევით სარგებელს და ამის გამო უნდა გათავისუფლდეს თუ არა საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან. მოცემულ შემთხვევაში ვერც დაყოვნება, რომელიც გამოწვეული იყო გემის ინჟინერთა უცოდინრობით და ვერც სარემონტო სამუშაოებით გამოწვეული დაყოვნება, ვერ ჩაითვლება იმ საფუძველად, რომელიც დააკარგვინებდა გემის დამქირავებელს მთელ სარგებელს ხელშეკრულებიდან.

მოცემული გადაწყვეტილებით სასამართლომ პირველად შე-

მოიტანა ე. წ. განუსაზღვრელი პირობის (Innominate terms) ცნება – ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობა მისი დარღვევით გამონვეული შედეგების მიხედვით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხელშეკრულების პირობა (Condition) ასევე გარანტია (Warranties).

ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია, როგორც სამართლებრივი სტაბილურობის დამრღვევი, რადგან გადამწყვეტია პირობის – არა მხარეთა მიერ შეთანხმებული – შინაარსი, არამედ მისი დარღვევით გამონვეული შედეგი, რომლის წინასწარ გამოთვლაც, როგორც წესი, შეუძლებელია.

გასვლა	წინაპირობები და გამომრიცხავი გარემოებები	შედეგები	ზიანის ანაზღაურება
გერმანია	ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა, მოვალის გაფრთხილება	ხელშეკრულება გარდაიქმნება უკან დაბრუნების ურთიერთობად.	შესრულების ნაცვლად ანაზღაურება – დამოუკიდებელი გასვლისაგან. შესრულებასთან ერთად – ანაცვლებს გასვლას.
საქართველო	ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა, მოვალის გაფრთხილება	ხელშეკრულება გარდაიქმნება უკან დაბრუნების ურთიერთობად.	შესრულების ნაცვლად ანაზღაურება – დამოუკიდებელი გასვლისაგან. შესრულებასთან ერთად – ანაცვლებს გასვლას.
საფრანგეთი	ხელშეკრულების დარღვევა	წარმოიშობა მიღებულის დაბრუნების ვალდებულება.	არაგამომრიცხავი კონკურენცია. ზიანის ანაზღაურება დამოუკიდებელია ბრალზე.
ინგლისი	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა მხოლოდ არსებითი პირობის დარღვევა.	მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების შესრულებისაგან სამომავლოდ.	ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია გარანტიის დარღვევის შემთხვევაშიც.

§ 6 მესამე პირი ხელშეკრულებაში

ლიტერატურა: BROX/WALKER, SchuldR AT³⁸ (2014), § 33 Rn. 6; 12; FLUME, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches II (1992), § 16 3 c; KANNOWSKI/ZELLER, Anfängerhausarbeit – Bürgerliches Recht: Sekundäranprüche beim Vertrag zugunsten Dritter, Jus 2006, 983; Looschelders, Schulrecht Allgemeiner Teil⁹ (2011), 361-371; MüKo/GOTTWALD, BGB Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil: §§ 241-432⁶ (2012), § 328 Rn.110; MüKo/EMMERICH, BGB Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil: §§ 241-432⁶ (2012), § 311 Rn. 259.

გერმანია

ჩვეულებრივ, მესამე პირის ადგილი ხელშეკრულებაში არ არის. ხელშეკრულება შეიძლება იყოს ორმხრივი, სამმხრივი, მრავალმხრივი, მაგრამ ამ ხელშეკრულების თითოეული მონაწილე ერთმანეთის მიმართ არის მხარე და აქვს შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები. მესამე პირი კი არის პირი, რომელიც ხელშეკრულებაში არ სარგებლობს მხარის სტატუსით. არ არის მხარე. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, მაინც აუცილებელია მასზეც გავრცელდეს ხელშეკრულებიდან წარმომდგარი ვალდებულებათა პროგრამა და ამ გავრცელებისათვის გერმანულმა სამართლის დოქტრინამ შეიმუშავა სპეციალური სამართლებრივი ფიგურები. გერმანიაში გამოყოფენ მესამე პირის სამი ტიპის მონაწილეობას სახელშეკრულებო ურთიერთობაში: 1. ე. წ. “ნამდვილი” ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, 2. ე. წ. “არანამდვილი” ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, 3. ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

§328. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

(1) ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ ისე, რომ მესამე პირი უშუალოდ იძენს შესრულების მოთხოვნის უფლებას. (2) სპეციალური დათქმის არარსებობისას საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს, უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა, მესამე პირის უფლება დაუყოვნებლივ წარმოიშობა თუ მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას და ხელშეკრულების მხარეები ინარჩუნებენ თუ არა უფლებას, გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

§329. განმარტების წესი ვალდებულების შესრულების კისრებისას.

თუ ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს მეორე მხარის კრედიტორი ვალდებულების გადაკისრების გარეშე, მაშინ საეჭვოობისას არ უნდა ჩაითვალოს, რომ კრედიტორმა უშუალოდ უნდა შეიძინოს მისგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 349. ცნება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 350. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება.

1. სპეციალური დათქმის არარსებობისას საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს: ა. უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა; ბ. ეს უფლება მას მაშინათვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას; გ. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე. 2. მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, მიუხედავად კონტრაპენტის თანხმობისა.


§330. განმარტების წესი სამისდღე-შიო რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში. თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩოს გადახდა შეთანხმებულია მესამე პირის მიმართ, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მესამე პირმა უშუალოდ უნდა შეიძინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. ანალოგიური წესი მოქმედებს, როდესაც ქონების უსასყიდლო გადაცემის შემთხვევაში, ქონების მიმღებს ეკისრება მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ვალდებულება ან ქონების მიღების შემთხვევაში, მიმღები პირის მიერ ხდება მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულების კისრება ვალდების დაფარვის მიზნით.

§333. მესამე პირის მიერ უფლებაზე უარი.


თუ მესამე პირი შემპირებლის მიმართ უარს ამბობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებაზე, მაშინ მიიჩნევა, რომ ეს უფლება არ ყოფილა შეძენილი.

მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე.

თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.



ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით, რომელიც სასამართლო პრაქტიკამ თავდაპირველად გსკ-ის 328-ე პარაგრაფის საფუძველზე განავითარა, დღესდღეობით ეფუძნება ხელშეკრულების ე. წ. "შემავსებელ განმარტებას" გსკ-ის 242-ე პარაგრაფის საფუძველზე. მესამე მოსაზრების მიხედვით, ამ გადაწყვეტის საფუძველს წარმოადგენს გსკ-ის 311 პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადება. თუმცა ამ სამ მოსაზრებას შორის განსხვავება უმნიშვნელოა, რადგან სამივეს მიხედვით, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას დამცავი ეფექტით ერთი და იგივე წინაპირობები აქვს, რომლებიც არც ერთი ზემოხსენებული ნორმიდან არ იკითხება. მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების წინაპირობებია: 1. ე. წ. "კრედიტორის სიახლოვე" – მესამე პირს ისევე უნდა ეხებოდეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი საფრთხეები, როგორც თვითონ კრედიტორს; 2. კრედიტორის ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით – კრედიტორს უნდა ჰქონდეს კანონით აღიარებული ინტერესი მესამე პირის დაცვის მიმართ; 3. "შეცნობადობა მოვალისათვის" – მოვალისათვის უნდა იყოს შეცნობადი ზემოხსენებული ორი ელემენტი, რათა მან შესაბამისად შეაფასოს რისკები; 4. მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას – მესამე პირს არ უნდა გააჩნდეს საკუთარი (სახელშეკრულებო) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ¹²⁵.



125 BGH NJW 2004, 3630, 3632.

კაზუსი: „გაშორებული ქმარი“

ზურაბ ვეშაპიძე (ზ. ვ.), მას შემდეგ, რაც თავის მეუღლეს ოცნლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდება და თავისზე 23 წლით უმცროს ნათიაზე (ნ) დაქორწინდება, გადაწყვეტს, ქალაქგარეთ ფეშენებელური ვილის შერჩევამდე, დროებით თბილისში იქირაოს ბინა. ამ ბინას იქირავენ გ-საგან და მალევე გადავა იქ თავის ახალ ცოლთან ერთად. თუმცა თანაცხოვრება ჩაუშხამდებათ. აბაზანის ქერზე დამაგრებული სარკე, რომელიც თავიდანვე არამყარად იყო დამაგრებული, ჩამოვარდება და ნათიას თავს გაუტყვს, რის შემდეგაც მას საავადმყოფოში ორი კვირის გატარება და თორმეტი ნაკერის დადება სჭირდება. სარკე არამყარად დაამაგრა გ-ს მიერ დაქირავებულმა ხელოსანმა, რომელსაც ამაში ბრალი არ მიუძღვოდა და რომელმაც სარკის არამყარად დამაგრების შემდეგ მალევე განუტყევა სული.

ნათიას, რომელსაც საშინლად ანუხებს უნინდელი მომხიბლაობის დაკარგვა, აინტერესებს, აქვს თუ არა ვინმესგან რაიმეს მოთხოვნის უფლება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§536. ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისა და ხარჯების ანაზღაურება.

(1) თუ §536 გაცემით ნაკლი არსებობს ხელშეკრულების დადების მომენტში ან თუ ასეთი ნაკლი მოგვიანებით წარმოიშობა იმ გარემოებების შედეგად, რომელთათვისაც პასუხისმგებელია გამქირავებელი ანდა ეს უკანასკნელი ნაკლის აღმოფხვრას აყვავებს, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, §536 გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საქართველო სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 537. ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.

1. თუ ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება.

§831. დავალების შემსრულებლის პასუხისმგებლობა.

(1) პირი, ვინც სხვა პირს ავალებს დავალების შესრულებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი დავალების შესრულებისას აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მარნმუნებელი იჩენს დაქირავებული პირის არჩევისას სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას, ხოლო თუ მან უნდა შეიძინოს მონყობილობები ან ხელსაწყოები ან უხელმძღვანელოს დავალების შესრულებას, – აუცილებელ ზრუნვას იჩენს შექმნისა თუ ხელმძღვანელობისას ანდა თუ ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც.

მუხლი 997. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

პირი ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. ნ-ს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ნ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 536 და 253-ეს მე-2 ნაწილის (სსკ-ის 537-ესა და 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, რომ ნ-სა და გ-ს შორის წარმოშობილიყო ვალდებულებითი ურთიერთობა. ნ ცხოვრობს გ-ს ბინაში, მაგრამ ბინას ქირაობს მისი მეუღლე, რომელიც არის კიდევ ამ ქირავნობის ხელშეკრულების მხარე.

თუმცა ნ-ს მოთხოვნის საფუძველი შესაძლებელია იყოს „მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების“ ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი თავდაპირველად განავითარეს გსკ-ის 328-ე პარაგრაფზე (მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება) დაყრდნობით. თუმცა ამ ორ ინსტიტუტს შორის არსე-

ბითი განსხვავებაა, მესამე პირს დამცავ ეფექტიანი გარიგებისას არ აქვს მოვალის მიმართ შესრულების მოთხოვნა. დღეს ეს ინსტიტუტი ეფუძნება ხელშეკრულების შემავსებელ განმარტებასა და კეთილსინდისიერების პრინციპს (გსკ-ის 242-ე პარაგრაფი, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგ მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების ნორმატიულ საფუძვლად გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ელ წინადადებასაც (სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მიიჩნევენ. თუმცა დამოუკიდებლად კონკრეტული ნორმატიული საფუძვლისა, ამ ინსტიტუტის წინაპირობები სამივე მოსაზრების მიხედვით ერთი და იგივეა.

1. ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით

იმისათვის, რომ ზურაბ ვეშაპიძესა და გამქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულება იყოს მესამე პირის – ნ-ს – მიმართ დამცავ-ეფექტიანი ხელშეკრულება, აუცილებელია: კრედიტორის სიახლოვე – ნ-ს ისევე უნდა ეხებოდეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი საფრთხეები, როგორც ეს ეხება უშუალოდ კრედიტორს; ამ მესამე პირთა წრე უნდა იყოს შემოზღუდული; მოვალეს უნდა ჰქონდეს ამ ორი ელემენტის შეცნობის საშუალება და მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას, ანუ არ უნდა ჰქონდეს მოვალის მიმართ საკუთარი დამოუკიდებელი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება. აქ ოთხივე ელემენტი სახეზეა. ქმარზე და ცოლზე ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრებისას თანაბრად ვრცელდება გაქირავებული ბინის ნაკლოვანებიდან წარმოშობილი რისკები. ქმარს აქვს ინტერესი ცოლის ამ რისკისაგან დაცვის მიმართ, ეს შეცნობადია ასევე მოვალისათვისაც. შეცნობადობისათვის არ არის აუცილებელი, რომ ქირავნობის ხელშეკრულებით დაშვებული და შეთანხმებული იყოს მესამე პირთა ცხოვრება ამ გაქირავებულ ბინაში. ქირავნობა არის ხანგრძლივი დროით დადებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებით დგინდება (თუ დამქირავებელი თავიდანვე სხვა რამეს არ განაცხადებს), რომ ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასაშვებია ბინაში იცხოვროს არა მხოლოდ დამქირავებელმა. მესამე პირი – ნათია – საჭიროებს დაცვას, რადგან მას

არ აქვს საკუთარი, ბრალისაგან დამოუკიდებელი, მოთხოვნის უფლება – მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ბრალზე დამოკიდებული დელიქტური მოთხოვნა, რითაც მისი დაცვა ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ არის¹²⁶.

მოთხოვნის დანარჩენი წინაპირობებიც სახეზეა. ნივთი იყო ნაკლოვანი გსკ-ის 536-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 535-ე მუხლის) შესაბამისად – ჭერზე არამყარად დამაგრებული სარკე ამცირებდა მის ვარგისიანობასა და გამოუსადეგარს ხდიდა ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ამ ნაკლმა მიაყენა კიდევ ნათიას ზიანი.

შედეგი: ნათიას აქვს გამქირავებლის მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 536 და 253-ეს მე-2 ნაწილის (სსკ-ის 537-ესა და 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის) მიხედვით.

II. ნ-ს მოთხოვნა გ-ს მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად.

ნ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მოთხოვნის უფლება ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად. დელიქტური პასუხისმგებლობის ამ დანაწესით, ზიანის მიმყენებელი პასუხს აგებს მისი დამხმარის მიერ ჩადე-

126 გარდა ამისა, დელიქტური პასუხისმგებლობისას, განსხვავებით სახელშეკრულებოსაგან, ბრალი არ ივარაუდება. გარდა ამისა, დელიქტური მოთხოვნა ამ დროს ზოგადად ვერ უზრუნველყოფს პირის სრულად დაცვას. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, თუ არ დავეშვებით მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით დადებულ ხელშეკრულებას, მაშინ არ არის მართლსაწინააღმდეგო, რომ ვიღაცას, რომელიც დამქირავებლის ნებისაგან დამოუკიდებლად ბინაში შემოვიდა, თავზე დაეცა სარკე – აქტიური ქმედებით სხვისი აბსოლუტური სიკეთის დაზიანებისას მართლწინააღმდეგობა ივარაუდება, მაგრამ მართლწინააღმდეგობა არ ივარაუდება უმოქმედობით სხვისი სიკეთის დაზიანებისას. უმოქმედობა მხოლოდ მაშინ არის მართლსაწინააღმდეგო, თუ არსებობს მოქმედების ვალდებულება. ეს მოქმედების ვალდებულება კი, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა – არ არსებობს ვალდებულება სარკის მყარად დამაგრების იმისათვის, რომ თავზე არ დაეცეს დაუპატიჟებელ სტუმარს და მეუღლე, მასზე, როგორც მესამე პირზე, დამცავი ვალდებულებების გავრცელების გარეშე, სწორედ „დაუპატიჟებელი სტუმრის“ სტატუსით სარგებლობს.

ნილი დელიქტისათვის, თუმცა შეუძლია თავი გაიმართლოს, თუ დაამტკიცებს, რომ მან დამხმარის შერჩევასა შესაბამისი გულისხმიერება გამოიჩინა. მოცემულ შემთხვევაში გამქირავებელი მოახერხებს ამის დამტკიცებას და გათავისუფლდება კიდევ პასუხისმგებლობიდანაც.

საბოლოო შედეგი: ნათიას აქვს მხოლოდ მესამე პირის მიმართ დამცავი ხელშეკრულების საფუძველით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

კაზუსი: „ზურაბ ვეშაპიძის აგარაკი“

ზურაბ ვეშაპიძე (ზ) დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვის მისთვის შესაფერის აგარაკს წყნეთში, რომლის პატრონი (გ) ფინანსური პრობლემების გამო მას სასწრაფოდ ყიდის. გ შეუკვეთს არქიტექტორ ა-ს დასკვნის მომზადებას სახლისა და კარ-მიდამოს რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ა პირდაპირ ზ-ს გადაუგზავნის. დასკვნის მიხედვით, აგარაკის ფასი მთლიანობაში 700 000 დოლარს შეადგენს.

აგარაკის ყიდვა ახალშეუღლებული მეუღლეების ურთიერთობაზე დადებითად არ აისახება და მორიგი ჩხუბის შემდეგ ზ-ს მტკიცედ აქვს გადამწყვეტილი დაუბრუნდეს ყოფილ ცოლს და გაყიდოს აგარაკი. მან ამასობაში სახლს ჩაუტარა საფუძვლიანი რემონტი, რის გამოც მის გაყიდვას, სულ მცირე, 1 000 000 დოლარად გეგმავს. თუმცა ამჯერად, უკვე მის მიერ დაქირავებული არქიტექტორი, საძირკველში ჩამდგარი წყლის გამო, რომელიც იქ ნასყიდობის დადებამდე იდგა, სახლის ღირებულებას მხოლოდ 400 000 დოლარად აფასებს. მას შემდეგ, რაც ზ გაყიდის კიდევ სახლს ამ ფასად, აინტერესებს, შეუძლია თუ არა არქიტექტორ ა-საგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების სახით 600 000 დოლარი, რადგან გ-მ ამასობაში ვალეები აიღო და უცხოეთში გადაიხვეწა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§311. გარიგების საფუძველზე დადგენილი ვალდებულებები და მსგავსი ვალდებულებები.

.....
(3) ვალდებულება §241 მე-2 ნაწილის მიხედვით ვალდებულებებით შეიძლება ასევე წარმოიშვას იმ პირების მიმართ, რომლებიც თავად არ უნდა გახდნენ ხელშეკრულების მხარეები. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა, კერძოდ, თუ მესამე პირი სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ნდობით და ამით მოლაპარაკებასა თუ ხელშეკრულების დადებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

ზ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ა-ს მიმართ

ზ-ს შეიძლება ჰქონდეს ა-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად.

ამისათვის აუცილებელია ზ-სა და ა-ს შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლიდან წარმოშობილ ვალდებულებასაც ა ბრალეულად დაარღვევდა. დასკვნის მომზადება არქიტექტორ ა-ს შეუკვეთა არა ზ-მ, არამედ გ-მ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზ-სა და ა-ს შორის შეიძლება წარმოშობილიყო დამოუკიდებელი ვალდებულებითი ურთიერთობა გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების საფუძველზე, როგორც იმ პირებს შორის, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არ ხდებიან ხელშეკრულების მხარეები, ანუ რჩებიან მესამე პირებად, სარგებლობენ მაღალი ნდობით ერთმანეთის მიმართ და ამ ნდობის საფუძველზე იღებენ ხელშეკრულებას. მოცემულ შემთხვევაშიც არქიტექტორმა ა-მ, სარგებლობდა რა საკუთარი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე მაღალი ნდობით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ხელშეკრულების ამ ფასად დადება.

თუმცა, მიუხედავად გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის არსებობისა, გერმანული სასამართლო მსგავს შემთხვევებში (მაგ., დასკვნის მომზადება) მაინც იყენებს მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების პრინციპებს, შემდეგი ორი არგუმენტით:

1. დასკვნის შემდგენელსა და შემკვეთს შორის წარმოშობილი ურთიერთობის გათვალისწინება იძლევა, განმარტებისა (§§ 133, 157 გსკ) და ნდობისა და კეთილსინდისიერების (§ 242 გსკ) საფუძველზე, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებისათვის ანგარიშის განწევის საშუალებას.

2. მხოლოდ ამ დროს არის შესაძლებელი დასკვნის შემდგენლის პასუხისმგებლობის შემოფარგვლა და მესამე პირის მიმართ შესაბამისი შესაგებელის მინიჭება (გსკ-ის 334-ე პარაგრაფი: შემპირებელს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალის შესაგებელი აქვს ასევე მესამე პირის მიმართაც).

გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის გამოყენების სფეროდ რჩება ისეთი შემთხვევები, როდესაც მესამე პირი სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ნდობით, მაგრამ არ არის სახეზე ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით, ან როდესაც მესამე პირს აქვს საკუთარი ინტერესი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულებების სამი წინაპირობა: კრედიტორის სიახლოვე, კრედიტორს ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით და შეცნობადობა მოვალისათვის, სახეზეა.

მოცემულ შემთხვევაში პრობლემური შეიძლება იყოს ამ ინსტიტუტის მხოლოდ მეოთხე წინაპირობა – გამორიცხავს თუ არა უშუალოდ გამყიდველის ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა ზ-სათვის, როგორც მესამე პირისათვის, ა-ს მიმართ მოთხოვნის უფლების მინიჭების აუცილებლობას. ზ-ს აქვს ა-ს მიმართ თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნები ნაკლოვანი შესრულებისდა გამო. თუმცა მესამე პირი დაცვას საჭიროებს მაშინაც, როდესაც ამ სხვა მოთხოვნას – რომელიც უშუალოდ კონტრაქტის წინააღმდეგ არის მიმართული – სხვა წინაპირობები აქვს¹²⁷. გამყიდველის ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა მიმართულია ნაკლის გასწორებისაკენ (წყალშემდგარი საძირკვლის მდგომარეობის გამოსწორება), ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ა-ს მიმართ – ნივთის ძვირად გაყიდვის გაშვებული შანსის კომპენსირებისაკენ.

ზემოთ ხსენებულის გამო, ზ-ს აქვს ა-ს მიმართ თავისი დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული მომსახურების ხელშეკრულებიდან.

შედეგი: ზ-ს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

127 BGH NJW 2004, 3630, 3632.

კაზუსი: “ნაჩუქარი BMW X6”

ცოლთან დაბრუნების შემდეგ, მის საბოლოოდ შემოსარიგებლად, ზურაბ ვეშაპიძე (ზ. ვ.) გადაწყვეტს აჩუქოს მას BMW X6, რომელსაც მალევე შეარჩევს გ-ს ავტოსალონში 30 000 დოლარად. მიუხედავად იმისა, რომ მანქანა მეორადია, გამყიდველის მტკიცებით, მას ყველა ძირითადი ნაწილი გამოცვლილი აქვს. გაყიდვების მენეჯერ აჩიკოსთან, რომელიც წარმოადგენს გამყიდველ კომპანიას (გ), ზურაბ ვეშაპიძე შეათანხმებს, რომ მანქანას მისი ცოლი ციალა (ც) წამოიყვანს. ც-ს უნდა გადასცენ ასევე მანქანის დოკუმენტებიც. თუმცა, როდესაც ც მეორე დღეს გ-ს ცენტრს მიადგება, ა მას უარს ეუბნება მანქანის ნაყვანაზე იმ მოტივით, რომ ზურაბ ვეშაპიძეს მანქანის საფასური ჯერ არ გადაუხდია. ციალას ეს დეტალები ნაკლებად აინტერესებს. აქვს თუ არა ციალას მანქანის წამოყვანის უფლება?

ვარიანტი: საბოლოოდ ზურაბ ვეშაპიძე იხდის მანქანის საფასურს და ც მას სახლში წამოიყვანს, თუმცა მალევე შეამჩნევს, რომ მანქანა სიარულისას უცნაურად ღმუის, ხელოსნის მიერ დათვალეირებისას კი აღმოჩნდება, რომ მაყუჩი არ იყო გამოცვლილი, მანქანის გამოშვებიდან და იმყოფებოდა გამოყენებისათვის უვარგის მდგომარეობაში. მისი გამოცვლა 800 ლარი ღირს. ც-ს აინტერესებს, შეუძლია თუ არა გ-საგან, რომელსაც არც ქმრისგან და არც ცოლისგან არაფრის გაგონება არ სურს, ამ თანხის მოთხოვნა.

ამოსავალი კაზუსის ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

მანქანაზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნა

ც-ს შეიძლება ჰქონდეს მანქანაზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება გ-ს მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ზ. ვ.-მ დადო ნასყიდობა ც-ს სასარგებლოდ გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 328-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 349-ე მუხლის) შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, რომ ზ. ვ.-ს დაედო “ნამდვილი” ხელშეკრულება მესამე პირის, ც-ს სასარ-

გებლოდ. წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულება, რომლითაც მესამე პირი იღებს სარგებელს, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ “ნამდვილ” თუ “არანამდვილ” ხელშეკრულებას, უნდა დადგინდეს განმარტების მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში განმარტების სპეციალური წესები (მაგ., გსკ-ის 330-ე მუხლი) არ გამოგვადგება, რადგან ეს ხელშეკრულება – ნასყიდობა – პირდაპირ არ ექცევა არც ერთი სპეციალური დანაწესის მოქმედების სფეროში. გერმანიაში საეჭვოობისას, გსკ-ის 329-ე პარაგრაფის მიხედვით, სახეზე გვაქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ “არანამდვილი” ხელშეკრულება. თუმცა, საკითხავია, სხვა რამ ხომ არ გამომდინარეობს ხელშეკრულების განმარტებიდან (სსკ-ის 350-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში ქმარ ზ. ვ.-ს უნდოდა სრულებით “გადაელოცა” ცოლისათვის ეს ხელშეკრულება. მართალია, ის რჩებოდა ხელშეკრულების მხარედ, მაგრამ მანქანის წამოყვანის, ასევე ნივთის ნაკლიდან წარმოშობილი მეორადი უფლებები და ასე შემდეგ, უნდა ჰქონოდა მის მეუღლესაც, რის წინაპირობასაც წარმოადგენს ციალას მიერ დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მოპოვება. ციალასათვის მანქანის გასაღებთან ერთად უნდა გადაეცათ ასევე მანქანის დოკუმენტები. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული “ნამდვილი” ხელშეკრულება.

ამ დროს კრედიტორსა (შესრულების შეპირების მიმღებსა) და მოვალეს (შესრულების დაპირების გამცემს) შორის წარმოიშობა საპირისპირო შესრულების ურთიერთობა – ჩვენს შემთხვევაში: ნასყიდობა – ხოლო შესრულების შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის – მოთხოვნის უფლების მომნიჭებელი ურთიერთობა –, მოცემულ შემთხვევაში: ჩუქების შეპირება (§§ 516, 518 I, II გსკ; მ. 524, 525 II, I სსკ) ზ. ვ.-სა და ც-ს შორის, რომლის ფორმის ნაკლის „მოჩენა“ მოხდა რეალური შესრულებით. ჩუქების შეპირების ფორმის ნაკლით დადება და არანამდვილობა, არ მოქმედებდა ნასყიდობის, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების, ნამდვილობაზე. ც-ს, როგორც მესამე პირს, წარმოეშვა დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება ა-ს წინააღმდეგ, მანქანაზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემასთან

დაკავშირებით.

თუმცა ზ. ვ.-ს მანქანის საფასური ჯერ სრულად არ გადაუხდია, რის გამოც გამყიდველს, მისი მოთხოვნის საპასუხოდ, ექნებოდა შეუსრულებელი ვალდებულების შესაგებელი გსკ-ის 320-ე პარაგრაფის (სსკ-ის 369-ე მუხლის) შესაბამისად. ამ შესაგებლის გადამისამართება ხდება ასევე მესამე პირის წინააღმდეგაც გსკ-ის 334-ე მუხლის მიხედვით.

შედეგი: ც მანქანის საფასურის სრულად დაფარვამდე გამყიდველისაგან მანქანას ვერ წამოიყვანს.

ვარიანტის ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

მანქანის ნაკლიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

გამყიდველმა ციალას გადასცა ნაკლოვანი ნივთი და ციალას, როგორც მესამე პირს, სურს ამ ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურება. საკითხავია, აქვს თუ არა მესამე პირს დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

გერმანული დოქტრინა მესამე პირის მეორადი მოთხოვნების საკითხს შემდეგნაირად წყვეტს¹²⁸: მესამე პირს აქვს ყველა ის მეორადი მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება მინიჭებული მოთხოვნის ფლობას. მაგ., შეუძლია გაფრთხილების შედეგად მოვალე აქციოს ვადაგადაცილებულად (§ 286 გსკ, მ. 400 სსკ); მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (§§ 280 II, 286 გსკ, მ. 404 სსკ); მოითხოვოს ვალდებულების საგნის სანაცვლოდ მიღებული (§ 285 გსკ); მოითხოვოს დამატებითი შესრულება (§ 437 Nr. 1, 439 გსკ, მ. 490 სსკ). ამისაგან განსხვავებით, მეორადი მოთხოვნები, რომლებიც გარდაქმნიან მხარის სტატუსს, აქვს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს: მაგ., ხელშეკრულებიდან გასვლა (§ 323, 346 გსკ, მ. 405, 352 სსკ).

128 KANNOWSKI/ZELLER, Jus 2006, 983.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გსკ-ის 437-ეს Nr. 3 და 280-ე და შემდგომი პარაგრაფების (სსკ-ის 494-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 394-ე მუხლი) მიხედვით, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს, რადგან ამ მოთხოვნის წარმომშობი თვისების შეთანხმება ხდება მხარეებს შორის.

ამ მოსაზრებას უპირისპირდება არაგაბატონებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მესამე პირს, როგორც შესრულების მიმღებს, აქვს შესრულების ნაკლიდან წარმოშობილი ყველა მეორადი მოთხოვნა, რადგან ზიანიც ადგება უშუალოდ მესამე პირს და თვითონ შეპირების მიმღების სურვილს შეესატყვისება, რომ მესამე პირმა სრული მოცულობით ისარგებლოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი პირველადი და მეორადი მოთხოვნებით. არსებობს შემარიგებელი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, მესამე პირს აქვს შესრულებასთან ერთად ზიანის მოთხოვნის უფლება, ხოლო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ შეპირების მიმღების თანხმობით. ეს უკანასკნელი მოსაზრება ყველაზე დამაჯერებელია. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურებას და ამ მოთხოვნის განხორციელება შეუძლია მესამე პირს – ციალას – კრედიტორის თანხმობისგან დამოუკიდებლად.

შედეგი: ციალას აქვს გამყიდველისაგან 800 ლარის, როგორც ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

კაზუსი: „გასეირნება ანტალიაში“

ზურაბ ვეშაპიძე (ზ. ვ.) სახლში დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა საბოლოოდ შემოირიგოს მეუღლე ციალა (ც) და ცოლ-შვილი ანტალიაში ტურზე გაუშვას. ტურისტული კომპანია ურჩევს მას მოგზაურობის მომწყობი შ-ს მომსახურებას. შ-ს მომსახურებაში შედის ავიარისები, ავტობუსით გადაადგილება სხვადასხვა ქვეყლების მოსაზრებლებად, სასტუმრო სრული პანსიონით. თუმცა მოგზაურობა თავიდანვე ცუდად იწყება. შ-ს მიერ დაქირავებულ თვითმფრინავში ც მოინამლება უხარისხო საკვებით და მოგზაურობის მთელ პერიოდს ლოგინში ატარებს. შ-ს თვითმფრინავის საიმედოობა ზოგადად გადამოწმებული ჰქონდა. თვითონ თურქულ სასტუმროშიც, მართალია, დასაწყისში ჩინებული საკვებით უმასპინძლებდნენ სტუმრებს, თუმცა გამომგზავრების ბოლოს წინა დღეს სასტუმროს მთავარი მზარეული გაემგზავრება შვედურებაში, რის გამოც იმ დღეს სადილი და ვახშამი უბრალოდ უგემურია. მიუხედავად ზ. ვ.-ს მიერ სასტუმროს დირექციასთან ჩივილისა, მეორე დღესაც იგივე მეორდება. ყველაფერთან ერთად სასტუმროს აუზის კიბეზე პატარა ზურაბს (პ. ზ.) აუსრიადდება ფეხი და ცხვირს გაიტყვს. კიბის საფეხურები ცვეთისაგან უკვე გამოუსადეგარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შ-ს, რომელმაც მხოლოდ ტელეფონით გადაამოწმა სასტუმროს საიმედოობა, პირადად არ შეუმოწმებია ის, წინააღმდეგ შემთხვევაში კიბის გამოუსადეგარობა თვალში მოსახვედრი იქნებოდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ზ. ვ.-ს ავინყდება, როგორც ტურის საფასურის გადახდა, ასევე შ-სათვის მოთხოვნის წაყენება, რასაც ის ცოლის დაჟინებული ჩიჩინის შედეგად მხოლოდ 60 დღის შემდეგ აკეთებს. ზ. ვ.-სა და ოჯახის წევრებს აინტერესებთ, აქვთ თუ არა რაიმე მოთხოვნები შ-ს წინააღმდეგ და ვალდებულია თუ არა ზ. ვ. გადაიხადოს მოგზაურობის სრული საფასური.

ამოხსნა:

(გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით)

I. შ-ს მოთხოვნები ზ. ვ.-ს მიმართ

1. მოგზაურობის საფასურის გადახდის მოთხოვნა

შ-ს შეიძლება ჰქონდეს ზ. ვ.-ს მიმართ მოგზაურობის საფასურის გადახდის მოთხოვნა გსკ-ის 651ა პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების (სსკ-ის 657-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების) შესაბამისად.

1.1. მოგზაურობის ხელშეკრულება

ხსენებული მოთხოვნისათვის აუცილებელია, ზ. ვ.-სა და შ-ს შორის დადებულიყო ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწყობი კისრულობს, გაუწიოს ტურისტს მოგზაურობასთან დაკავშირებული რამდენიმე მომსახურება. ტურისტი კისრულობს შესაბამისი საფასურის გადახდას. მოგზაურობასთან დაკავშირებული რამდენიმე მომსახურება გულისხმობს, სულ მცირე, ორი ტიპის მომსახურებას. მოცემულ შემთხვევაში მოგზაურობის მომწყობი შ კისრულობდა ორზე მეტ მომსახურებას შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, რის გამოც ტურისტული მომსახურების ეს ელემენტი სახეზეა.

ხელშეკრულების მხარეები არიან მოგზაურობის მომწყობი და მოგზაური. მოგზაურობის მომწყობი ასრულებს არაერთ მომსახურებას, პირადი პასუხისმგებლობით. მოგზაური არის პირი, რომელიც ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულებას დებს საკუთარი სახელით. არ არის აუცილებელი, რომ მან თავად მიიღოს მოგზაურობაში მონაწილეობა. მოცემულ შემთხვევაში შ-მ იკისრა დანიშნულების ადგილზე ჩაყვანა და დაბინავება. კაზუსიდან ნათელია, რომ შ არა მხოლოდ შუამავლობს თითოეული ამ მომსახურების შემთავაზებელთან, არამედ იღებს პირად პასუხისმგებლობას თითოეულ მომსახურებაზე. ისინი წარმოადგენენ ცალკეულ ელემენტებს შ-ს მიერ შეთავაზებული მთლიანი მომსახურებისა – “მოგზაურობა ანტალიაში”. ზ. ვ.-მ დაჯავშნა მომსახურება საკუთარი სახელით. ამის გამო ისინი არიან მოგზაურობის მომწყობი და ტურისტი.

შედეგი: შ-ს მოთხოვნის უფლება საფასურის გადახდასთან დაკავშირებით წარმოიშვა.

1.2. საფასურის მოთხოვნის ნაწილობრივ გაქარწყლება

შ-ს საფასურის მოთხოვნის უფლება შეიძლება ნაწილობრივ გაქარწყლებულიყო გსკ-ის 326-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებისა და 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) შესაბამისად. ერთი მოსაზრების

თანახმად, ტურისტული მომსახურების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება მხოლოდ მოგზაურობის დაწყების შემდეგ. მანამდე მხარეთა შორის არ არსებობს რაიმე ტიპის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელიც გაამართლებდა ხანმოკლე – ე. წ. მოთხოვნის გამორიცხვის – ვადის გამოყენებას გსკ-ის 651-ე ზ) პარაგრაფის შესაბამისად. თუმცა, ზოგადი ვალდებულებითი სამართლის დანაწესები ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, არ გამოიყენება, რადგან ტურისტულ მომსახურებას აქვს თავისი სპეციალური წესები ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნებისათვის; შეიცავს ამ მოთხოვნების გაქარწყლების მოკლე ვადებს, რადგან მოგზაურობის მომწყობისათვის, რომელსაც უწევს არაჯეროვანი მომსახურებისათვის პასუხისგება, დროის გასვლასთან ერთად, უფრო რთული ხდება, თავის მხრივ, საკუთარი მეორადი მოთხოვნების წაყენება მოგზაურობის ცალკეული ელემენტების შემთავაზებისათვის. გარდა ამისა, ტურისტული მომსახურების მომწესრიგებელი მუხლები, განსხვავებით, მაგალითად, ნასყიდობის სამართლისა, არ უთითებენ ზოგად ვალდებულებით სამართალზე, რაც უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ წარმოადგენენ ამომწურავ დანაწესებს და ზოგადი ვალდებულებითი სამართალი არ გამოიყენება არც მოგზაურობის დაწყებამდე და არც მის შემდეგ.

2. ფასის შემცირება

თუმცა საფასურის გადახდის მოთხოვნა შესაძლებელია თავისით შემცირებულიყო გსკ-ის 651(დ)-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 660-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით.

2.1. უხარისხო საკვები თვითმფრინავში

ფასი შეიძლება შემცირებულიყო თვითმფრინავში უხარისხო საკვებისდა გამო, რომელმაც მოწამლა ზ. ვ.-ს ცოლი. უხარისხო საკვები უნდა წარმოადგენდეს მოგზაურობის ხარვეზს გსკ-ის 651(ვ)-ე პარაგრაფის (სსკ-ის 659-ე მუხლის) მიხედვით. ხარვეზი სახეზეა, როდესაც მოგზაურობის ხარისხი ჩამოუვარდება შე-

თანხმებულს. მოგზაურობის ხელშეკრულებისას უნდა დავუშვათ კონკლუდენტურად შეთანხმებულ პირობად, რომ დანიშნულების ადგილზე გადაფრენისას საკვები ამ თვითმფრინავში, სულ მცირე, არამომწამლავია. ამგვარად, ხარვეზი სახეზეა.

ხარვეზიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა არ არის გამორიცხული ხარვეზის შესახებ შეუტყობინებლობის გამო (გსკ-ის 651(დ)-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 660-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რადგან ამ ნაკლის გამოსწორება მისი აღმოჩენის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო.

უხარისხო საკვები თვითმფრინავში წარმოადგენს საფასურის შემცირების საფუძველს.

2.2. პირველი უგემური საკვები სასტუმროში

რაც შეეხება უგემურ საკვებს სასტუმროში, ესეც წარმოადგენს მოგზაურობის ხარისხის შეპირებულ ხარისხთან შეუსაბამობას, ანუ ხარვეზს და ხარვეზის შესახებ გაცხადება ზედმეტია, რადგან მისი გამოსწორება, აღმოჩენის შემდეგ, უკვე შეუძლებელია. ეს ნაკლი ამცირებს საფასურის მოთხოვნას.

2.3. მეორე უგემური საკვები სასტუმროში

საკითხავია, გამოირიცხება თუ არა ფასის შემცირება მეორე უგემური ვახშმის გამო, (პირველი უგემური) ვახშმის შესახებ განუცხადებლობით (იხ. ზემოთ). ნაკლის შესახებ დროულმა შეტყობინებამ უნდა მისცეს მოგზაურობის მომწყობს შანსი, გამოასწოროს ეს ნაკლი. ზ. ვ.-მ დაიჩვილა უგემური საკვების შესახებ სასტუმროს ადმინისტრაციასთან. მოგზაურობის მომწყობთან პირადად დაჩვილება არ არის აუცილებელი, მთავარია, რომ მას მიეცეს შანსი ნაკლის გამოსწორებისა. თუმცა ადმინისტრაციასთან დაჩვილება ვერ იქნება საკმარისი, რადგან არ არის გარანტირებული, რომ სასტუმროს ადმინისტრაცია შეატყობინებს ამის შესახებ მოგზაურობის მომწყობს ან თავად გამოასწორებს ნაკლს.

ამიტომაც, საფასური არ მცირდება, რადგან, მიუხედავად

ნაკლის აღმოჩენისა, ზ. ვ.-ს არ განუცხადებია მის შესახებ მოგზაურობის მომწყობისათვის.

2.4. აუზის გაცვეთილი კიბე

აუზის გაცვეთილი კიბეც წარმოადგენს მოგზაურობის ნაკლს. შეტყობინების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ ნაკლის აღმოჩენის შემდეგ, რადგან მანამდე არ არსებობს გადამოწმების ვალდებულება.

2.5. საფასურის შემცირების გამორიცხვა

თუმცა ყველა ზემოთ ხსენებული მოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს, თუ გავიდა ამ მოთხოვნების წარდგენის ერთთვიანი ვადა გსკ-ის 651(დ)-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 663-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიხედვით. ეს ვადა მოცემულ შემთხვევაში მართლაც გავიდა, რის შემდეგაც ზ. ვ. ამ მოთხოვნებს ველარ წარადგენს და ვერ მოითხოვს ვერც ფასის შემცირებას ამ მოთხოვნათა გამო.

ხანდაზმულობის ვადისაგან (ხანდაზმულობისაგან) განსხვავებით, რომლის გასვლაც მხოლოდ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელს ანიჭებს მოვალეს და ამ უკანასკნელმა ჯერ უნდა წარადგინოს ის სასამართლო პროცესზე, სსკ-ის 663-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გამომრიცხავი ვადის გასვლა ავტომატურად აქარწყლებს მოთხოვნას და ეს გარემოება სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს.¹²⁹

II. ზ. ვ.-ს მოთხოვნები შ-ს მიმართ

ზ. ვ.-ს არ აქვს მოთხოვნები შ-ს მიმართ, რადგან ყველა მოთხოვნა გაქარწყლებულია მათი წარდგენის ერთთვიანი ვადის გაშვების გამო (გსკ-ის 651(გ)-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი).

¹²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული მუხლის სათაური არასწორად არის გადმოტანილი, ისევე, როგორც გსკ-ის ქართულ თარგმანში. ხანდაზმულობის ვადის გარდა ნახსენები უნდა იყოს გამომრიცხავი ვადა.

III. ოჯახის წევრების მოთხოვნები შ-ს წინააღმდეგ

ოჯახის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შ-ს წინააღმდეგ.

1. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ნამდვილი ხელშეკრულება

მოცემული ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულება არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ნამდვილი ხელშეკრულება, რომლიდანაც ოჯახის წევრები, როგორც მესამე პირები მოიპოვებენ შესრულების მოთხოვნის უფლებასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (გსკ-ის 651(ფ) პარაგრაფი, სსკ-ის 662-ე მუხლი) ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგზაურობის ხელშეკრულების დარღვევა სახეზეა.

2. მოგზაურობის მომწყობის ბრალი

მოგზაურობის მომწყობს შეეარაცხება მისი შესრულების დამხმარეების (ავიაკომპანიისა და სასტუმროს მეპატრონის) ბრალი გსკ-ის 278-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 396-ე მუხლის) თანახმად, რადგან ისინი მოქმედებდნენ მისი ნების შესაბამისად, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას. უშუალოდ შესრულების დამხმარეთა ბრალი ივარაუდება.

3. მოთხოვნის უფლებების გამორიცხვა

თუმცა ზემოთ ნახსენები გამორიცხვა გსკ-ის 651(გ)-ე პარაგრაფის (სსკ-ის 663-ე მუხლის) მიხედვით, მოქმედებს ასევე ხელშეკრულებაში ჩართულ მესამე პირთა მიმართაც. ამის გამო მათი სახელშეკრულებო მოთხოვნები, ისევე, როგორც ზ. ვ.-ს მოთხოვნები გამორიცხულია.

4. ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნა (გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 997-ე მუხლი)

საკითხავია, აქვთ თუ არა ოჯახის წევრებს, კერძოდ კი ც-სა და პ. ზ.-ს, მომწამლავე საკვებისა და გატეხილი ცხვირის გამო ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნის უფლება გსკ-ის 831-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 997-ე მუხლი) შესაბამისად.

შ შეიძლება პასუხს აგებდეს ავიაკომპანიისა და სასტუმროს მენეჯერის ქმედებისათვის, თუ ისინი არიან მისი დავალების შემსრულებელი გსკ-ის ხსენებული დანაწესის შესაბამისად. ამ გაგებით, დავალების შემსრულებელი არის პირი, რომელიც ექვემდებარება მთავარ შემსრულებელს შრომითი ან სხვა ურთიერთობის საფუძველზე. არც ავიაკომპანია და არც სასტუმრო, არ არის შ-ს დავალების შემსრულებელი, არ ექვემდებარებიან რა მის მითითებებს.

5. ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნა (გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება, სსკ-ის 992-ე მუხლი)

ოჯახის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ დელიქტური მოთხოვნის უფლება შ-ს მიმართ, მთავარი დელიქტური დანაწესის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების (სსკ-ის 992-ე მუხლის) შესაბამისად.

სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების სახით, სახეზეა. ეს სამართლებრივი სიკეთეები დაზიანდა შ-ს უმოქმედობით, რომელსაც შეეძლო ამ ორივე მომსახურების გადამონმებით თავიდან აეცილებინა ეს დაზიანება.

საკითხავია, არის თუ არა შ-ს უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო. უმოქმედობით მიყენებული ზიანისას, მართლსაწინააღმდეგობა დგინდება მოქმედების ვალდებულების დადგენით. საკითხავია, ჰქონდა თუ არა მოგზაურობის მომწყობს მოქმედების – მომსახურების საიმედოობის გადამონმების – ვალდებულება.

ეს ვალდებულება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დაზღვევის ვალდებულებას. ის, ვინც სამოქალაქო ბრუნვაში საფრთხის წყაროს ხსნის (აქ: მოგზაურობის მოწყობა), ვალდებულია შესაბამისად დააზღვიოს კიდევ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი.

რაც შეეხება გაცვეთილ კიბეს, ასეთ შემთხვევებში გერმანიის უმაღლესი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოგზაურების მომწყობი ვერ გადააკისრებს თავის გადამონმების ვალდებულებას უშუალოდ შემსრულებელს. მოცემულ სიტუაციაში შ-მ არ გადამონმა სასტუმროს საიმედოობა, რაც წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის „საკმარის“ უმოქმედობას, რომელიც არის მართლსაწინააღმდეგო. თვითმფრინავში მომწამვლელ საჭმელს რაც შეეხება, აქ საკმარისია, თუ ავიაკომპანია ჩაითვლებოდა საიმედოდ, რაც კაზუსის საფუძველზე დადგენილად უნდა მივიჩნიოთ. ამ დროს მოგზაურობის მომწყობი არ არის ვალდებული, გასინჯოს თითოეული მენიუ.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ამავე დროს ბრალეულ უმოქმედობას, კერძოდ, გაუფრთხილებლობით გამონვეულ უმოქმედობას. თუმცა ეს დელიქტური მოთხოვნაც შესაძლებელია გამორიცხული იყოს მისი ერთი თვის განმავლობაში წარუდგენლობისდა გამო (გსკ-ის 651(გ)-ე პარაგრაფი, სსკ-ის 663-ე მუხლი). მაგალითად, ქირავნობის სამართალში, ქირავნობის მეორადი მოთხოვნების მიმართ მოქმედი შემცირებული ხანდაზმულობის ვადა (გსკ-ის 548-ე პარაგრაფის 1-ლი წინადადების მე-2 ვარიანტი, სსკ-ის 573-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მოქმედებს ასევე დელიქტური მოთხოვნის მიმართაც. ეს გამართლებულია იმ ფაქტით, რომ, ჩვეულებრივ, ქირავნობის ხელშეკრულების დარღვევა წარმოადგენს ასევე დელიქტს და, თუ ეს ხანმოკლე ხანდაზმულობის ვადა არ იმოქმედებდა ასევე დელიქტური მოთხოვნის მიმართაც, საერთოდ აზრს დაკარგავდა. მხარეს ყოველთვის შეეძლებოდა ქირავნობის მეორადი მოთხოვნის გვერდის ავლით დელიქტური მოთხოვნის გამოყენება. ამგვარი გამართლება არ მოიძებნება მოგზაურობის ხელშეკრულების სპეციალური წესის დელიქტურ მოთხოვნაზე გავრცელებისათვის. განსხვავებით

ქირავნობისაგან, მოგზაურობის ხელშეკრულებისას მხარეები უშუალოდ არ ზემოქმედებენ ერთმანეთის აბსოლუტურ სიკეთეებზე და მოგზაურობის ხელშეკრულების დარღვევა, ჩვეულებრივ, არ წარმოადგენს ასევე დელიქტს და თუ გამოწვევის სახით წარმოადგენს – მაშინ დელიქტური მოთხოვნა უნდა განვიხილოთ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის რეჟიმისაგან დამოუკიდებლად, რადგან ამ დროს სახეზეა ისეთი ექსტრაორდინალური სიტუაცია, რომელიც მოგზაურობის ხელშეკრულების ვალდებულებითი პროგრამით არ არის მოცული.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ეს ერთთვის ვადა დელიქტურ მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელდეს.

ოჯახის წევრებს აქვთ შ-ს მიმართ დელიქტური მოთხოვნა.

საბოლოო შედეგი: ზ. ვ. ვალდებულია გადაუხადოს შ-ს მოგზაურობის მთლიანი საფასური, შ ვალდებულია აუნაზღაუროს მის ცოლ-შვილს მიყენებული ზიანი.

§ 7 წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა

ლიტერატურა: *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 23. Aufl. 2011, Rn. 300 ff.; *Kropholler*, Studienkommentar BGB, 13. Aufl. 2011, § 437 Rd-nr. 13; *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., München 2011, 68-74.

I. შესავალი

წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა (სიტყვასიტყვით: ბრალი მოლაპარაკებისას – culpa in contrahendo, c. i. c.) წარმოადგენს გერმანული იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ფიგურას, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2002 წელს ვალდებულებითი სამართლის ფარგლებში იქნა შემოტანილი, თუმცა ქართველმა კანონმდებელმა ის უკვე მანამდე გაამყარა ქართულ კანონში, იცნობდა რა სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებების მოტივებს. ამ სამართლებრივი ფიგურის გამართლება მდგომარეობს იმაში, რომ მთელ რიგ შემთხვევაში დელიქტური პასუხისმგებლობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სამომავლო ხელშეკრულების მხარეთა დაცვას ამ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე.

მაგალითი 1: გამყიდველის მაღაზიაში შესრულ მყიდველს თავზე დაეცემა თიხის ქოთანის ქოთანის თაროზე დაუდევრად შემოდო იქ დასაქმებულმა პირმა, რომელიც სხვა დროს უნაკლო ქცევით გამოირჩეოდა და რომლის შერჩევისასაც გამყიდველმა წინდახედულობის ყველა ზომა გამოიჩინა.

მოცემულ შემთხვევაში, დელიქტური წესით, გსკ-ის 831-ე მუხლით პასუხისმგებლობისას, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან ზიანის მიმყენებელს შეუძლია თავი გაიმართლოს, თუ მან დამხმარე პირის შერჩევისას შესაბამისი გულისხმიერება გამოიჩინა, რითიც ის თავს დააღწევს პასუხისმგებლობას.

გარდა ამისა, გერმანიაში დელიქტური ზანი მოიცავს მხოლოდ

აბსოლუტური უფლების დარღვევით გამოწვეულ ზიანს და არა „სუფთა“ სახით ქონებრივი ზიანს

მაგალითი 2: საგადასახადო მრჩეველი ურჩევს თავის მომავალ კლიენტს სახელშეკრულებო მოლაპარაკებების ეტაპზე, რომ არაფერი საჩქარო არ არის და შესაძლებელია ხელშეკრულების დადება ორი თვით გადადონ. ამ პერიოდში კი კლიენტს შემოსავლების სამსახური რამდენჯერმე დააჯარიმებს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

§ 831. დავალების შემსრულებლის (Verrichtungsgehilfe) პასუხისმგებლობა. (1) პირი, ვინც სხვა პირს ავალებს დავალების შესრულებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი დავალების შესრულებისას აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მარწმუნებელი იჩენს დაქირავებული პირის არჩევისას სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას, ხოლო თუ მან უნდა შეიძინოს მონყობილობები ან ხელსაწყოები ან უხელმძღვანელოს დავალების შესრულებას, – აუცილებელ ზრუნვას იჩენს შეძენისა თუ ხელმძღვანელობისას ანდა თუ ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც.

მუხლი 997. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება. პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

....

საქართველოში, მართალია, ზემოთ ხსენებული პირველი პრობლემა არ დგება, რადგან მუშაკის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული დელიქტისათვის პასუხისმგებლობისაგან დამსაქმებელი ვერ გათავისუფლდება დაქირავებული პირის არჩევისას გამოჩენილ აუცილებელ ზრუნვაზე მითითებით (997), თუმცა მეორე პრობლემა უცვლელად ნარჩუნდება – საქართველო-

შიც „სუფთა“ სახით ქონებრივი ზიანი, ჩვეულებრივ, აუნაზღაურებადია დელიქტური წესით მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო¹³⁰.

გარდა ამისა, მაგალითად, თუ არ დავუშვებთ უკვე წინარე სახელშეკრულებო ეტაპზე გარკვეული დამცავი (თუნდაც შეზღუდული შინაარსის) ვალდებულებების არსებობას, აბსოლუტური სიკეთეების დაცვაც კი მთელ რიგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება. მაგალითად, წინარე ურთიერთობის აღიარების გარეშე, დელიქტს არ იდენს სანტიქციკოსი, რომელიც გაუფრთხილებლობით ვერ შენიშნავს წყალგაყვანილობის მძიმე დაზიანებას და ხელშეკრულების დადების მაგივრად მხოლოდ ამშვიდეს კლიენტს, რომ ყველაფერი წესრიგშია, შემდგომ კი გამსკდარი მილიდან გადმოღვრილი წყალი მთელ სახლს დატბორავს. აქ სანტიქციკოსს მხოლოდ მაშინ შეერაცხება უმოქმედობა პასუხისმგებლობის განმაპირობებელ ქმედებად, თუ, მასსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების დადების გარეშეც, უკვე არსებობდა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის შინაარსსაც კლიენტის სიკეთეების დაცვა წარმოადგენდა, ეს კი მხოლოდ წინასახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება იყოს.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა ე. წ. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი (culpa in contrahendo), რომელიც მიზნად ისახავს მხარეთათვის, ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე, მათი ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად გულისხმიერების ვალდებულების დაკისრებას.

130 იხ. რუსთაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 199.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

§ 311. გარიგების საფუძველზე დადგენილი ვალდებულებები და მსგავსი ვალდებულებები.

.....
(2) ვალდებულება §241 მე-2 ნაწილის ვალდებულებებით ასევე წარმოიშობა 1. ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებით, 2. ხელშეკრულების მომზადებით, რომლითაც შესაძლო სახელშეკრულებო ურთიერთობის დადგენის მხედველობაში მიღებით ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ან ანდობს მათ ამ მხარეს ან 3. მსგავსი საქმიანი კონტაქტით.

§ 241. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები.

.....
(2) თავისი შინაარსის მიხედვით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას.

ამ ინსტიტუტის გამართლებად მიჩნეულია მხარეთა ნდობის დაცვა უკვე წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე, რადგან უკვე ამ მომენტში წარმოეშობა მხარეს ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ შევა გამყიდველის მალაზიაში, იქ ფეხი არ აუსრიალდება ახლად მოწმენდილ იატაკზე ან თავზე არ დაეცემა თუჯის ქოთანს, რომელიც გამყიდველმა წინა ღამით უყურადღებოდ შემოდო თაროზე. უკვე წინარე ურთიერთობებში უჩნდებათ მხარეებს მოლოდინი და ეხებიან ერთმანეთის სამართლებრივ სიკეთეებს უფრო მეტად, ვიდრე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე ორი სრულებით უცხო პირი და საჭიროებენ ერთმანეთის ზიანის მომტანი ზემოქმედებისაგან უფრო ინტენსიურ დაცვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 317. ვალდებულების წარმოშობის საფუძველები.

.....
2. 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას.

მუხლი 316. ცნება.

.....
2. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

II. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა

როგორც დეტალურად არის განერილი გსკ-ის ზემოთ მოყვანილ ნორმაში, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დაწყებით, ხელშეკრულების მომზადებით (მაგ., ოფერტის ჩამოყალიბება) ან სხვა მსგავსი საქმიანი კონტაქტით. ხელშეკრულების მომზადებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მხარის მიერ ზოგადი ინტერესის გამოთქმა სამომავლო გარიგებასთან დაკავშირებით. მესამე ჯგუფში – „სხვა მსგავსი საქმიანი კონტაქტი“ – ერთიანდება ყველა ის შემთხვევა, რომელიც ამ ორი ჯგუფიდან არც ერთს არ განეკუთვნება, მაგრამ ინტერესთა იდენტური გადანაწილება ახასიათებს. გადამწყვეტია, რომ ერთი მხარე მეორეს (ან ორივე მხარე ერთმანეთს) ანიჭებს მის სამართლებრივ სიკეთეებზე ზემოქმედების უფლებას. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ქრესტომათიულ შემთხვევას წარმოადგენს პოტენციური მყიდველის შესვლა გამყიდველის მალაზიაში. არ არის აუცილებელი კონკრეტული ნივთის ყიდვის განზრახვა. ამის საპირისპიროდ, წინარე ურთიერთობა, ჩვეულებრივ, არ გვაქვს სახეზე, თუ კლიენტი ავდრის გამო შეაფარებს თავს მალაზიას ან უბრალოდ გადაკვეთს მალაზიას სავაჭრო ცენტრში სხვა მალაზიისაკენ მიმავალ გზაზე. ამ მომენტში მიყენებული დაზიანებისათვის მას მხოლოდ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის (სსკ-ის 992-ე მუხლის) მიხედვით შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

RGZ 78, 231:
ფაქტობრივი გარემოებებიდან: ა შედის ბ-ს საშენი მასალების მალაზიაში, იატაკის მოსაპირკეთებელი მასალის საყიდლად და ამ დროს შემთხვევით ფეხზე დაეცემა ლინოლეუმის მოზრდილი გორგალი, რომელიც ცოტა ხნის წინ არამყარად მიაყუდა ბ-ს თანამშრომელმა (გ). ეს თანამშრომელი აქამდე სანიმუშო ქცევით გამოირჩეოდა და არც ერთი გორგალი არ მიუყუდებია არამყარად.

სასამართლოს მოტივებიდან: ავერაგებიანებს ბ-ს პასუხს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რადგან მათ შორის ხელშეკრულება არ დადებულია. დელიქტური პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხებოდა, რადგან ბ მოახერხებს თავის გამართლებას გსკ-ის 831-ე პარაგრაფის შესაბამისად. მართალია, აინარჩუნებს გ-ს მიმართ დელიქტურ მოთხოვნას, თუმცა ეს მოთხოვნა შესაძლებელია არაფრის ან მხოლოდ მცირედის მომცემი იყოს გ-ს გადახდის უზუნარობის გამო. ამიტომაც, პირდაპირ ბ-მ უნდა აგოს პასუხი ა-ს წინაშე culpa in contrahendo-ს წესებისა და 278-ე პარაგრაფის მიხედვით.

BGH ZIP 1998, 1134:

ფაქტობრივი გარემოებებიდან: სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზეზით სამშენებლო ფირმამ (ს. ფ.) მიმართა შემკვეთის (შ) დამფინანსებელ ბანკს (ბ), შეკვეთის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ბანკმა დაუდასტურა შემკვეთის ფინანსური საიმედოობა, თუმცა მოგვიანებით ბ-ს ის აღარ დაუფინანსებია. ამის შედეგად შემკვეთი გახდა გადახდისუუნარო და ს. ფ.-ს მიაღდა ზიანი 100.000 ევროს ოდენობით.

სასამართლოს მოტივებიდან: ს. ფ.-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ამ მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა და მოვალეს მიერ ამ ვალდებულების დარღვევა. ს. ფ.-სა და ბ.-ს შორის შესაძლებელია დადებულიყო ინფორმაციის მიწოდების კონკლუდენტური ხელშეკრულება. თუმცა ეს ხელშეკრულება უნდა გამოირიცხოს იმის გამო, რომ ის არ შეესაბამებოდა მხარეთა ნება-სურვილს და ასევე იმიტომ, რომ კონკრეტული თანამშრომელი, რომელმაც მიაწოდა ს. ფ.-ს ეს ინფორმაცია, არ ყოფილა შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი. მიუხედავად ხელშეკრულების არდადებისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის მაინც წარმოიშვა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც არ იყო მიმართული ხელშეკრულების დადებისაკენ და წარმოადგენდა “სხვა გარიგების მიერ ურთიერთობას” გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის Nr. 3-ის შესაბამისად.

III. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი

როგორც ამას ზემოთ მოყვანილი დანაწესები ითვალისწინებენ, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოდგება მხოლოდ დამცავი (გულისხმიერების) ვალდებულებები (გსკ-ის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შესრულების ვალდებულება (გსკ-ის 241-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

1. აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეების დაცვა

წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობით სისტემატიზირება შესაძლებელია დაცული ინტერესისა და მიხედვით. ერთი მხრივ, ამ ურთიერთობის ძალით მხარეები ვალდებული არიან არ ხელყონ ერთმანეთის აბსოლუტური სიკეთეები (საკუთრება, სხეული, ჯანმრთელობა და ა. შ.). სანტექნიკოსი, რომელიც შემოდის სახლში წყალგაყვანილობის სისტემის წინასწარი დათვალიერების მიზნით, ვალდებულია, არ გატეხოს იქ არაფერი და თუ მაინც გააკეთებს ამას, პასუხს აგებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმომდგარი ვალდებულების დარღვევისათვის. ამ გაგებით, ხელშეკრულების დადების მოცემულ სტადიაზე წარმოშობილ ვალდებულებათა წრე მსგავსია დელიქტურ სამართალში აღიარებული, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებისა და ძირითადად ეხება მხარის საქმიანობის ადგილზე უსაფრთხოების ზომების დაცვას, რაც მეორე მხარეს ზიანს აყენებს.

2. ქონების დაცვა

თუმცა ვალდებულებები წინასახელშეკრულებო ეტაპზე არ ამოიწურება მხოლოდ მეორე მხარის აბსოლუტური სიკეთეების დაცვის მიზნით, არამედ პირს ეკისრება ასევე სხვისი ქონების დაცვის ზოგადი ვალდებულება. მაგალითად, ადვოკატი, რომელიც კლიენტის ნდობით სარგებლობს, ვალდებულია, არ უთხრას მას გადაჭრით და ხელაღებით, რომ მისი საქმე საკამოდ მარტივი

მოსაგებია და ის პროფესიული იურიდიული მომსახურების გარეშეც გავა ფონს, თუ რეალურად საკამოდ რთულად სანარმოებელი საქმე გვაქვს სახეზე. მართალია, ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ შემდგარა, თუმცა უკვე მოლაპარაკებების მომენტიდან, როდესაც მათ შორის წარმოშობილმა ნდობამ ადვოკატს საშუალება მისცა კლიენტის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებისა, მას ევალუბოდა ისეთი რჩევა მიეცა კლიენტისათვის, რაც მის ქონებას არ დააზიანებდა.

ზემოთ მოყვანილ მაგალითზე უფრო მეტად გავრცელებულია შემთხვევა, როდესაც ქონების დაზიანება ხდება სარგებლიანი ხელშეკრულების არდადებით ან არასარგებლიანი ხელშეკრულების დადებით, წინარე ურთიერთობიდან წარმომდგარი ვალდებულების დარღვევის გამო. მართალია, ხელშეკრულების დადების მომენტამდე, თითოეული მხარე ატარებს რისკს, რომ მეორე მხარე უკანასკნელ წუთს გადაიფიქრებს მასთან ხელშეკრულების დადებას და, ზოგადად, ნდობა ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით არ არის დაცული, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, ხელშეკრულების არდადებებ მხარეს ეკისრება მეორე მხარის გაფრთხილება არდადების რისკთან დაკავშირებით.

BAG, JZ 1964, 324:
ფაქტობრივი გარემოებებიდან: ა-მ, რომელიც მუშაობდა ხმის ოპერატორად რადიოში, გადაწყვიტა, გამოეცვალა სამუშაო და ამ მიზნით დაუკავშირდა ოპერის ინტენდანტს ბ-ს. ბ შეჰპირდა მას ოპერაში დასაქმებას. ა-მ გააფრთხილა ის, რომ მას წინასწარ მოუწევდა რადიოსთან დადებული ხელშეკრულების მოშლა, რაზეც ბ-მ მიუგო, რომ მისი აყვანა უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო და ხელშეკრულების დადებას უბრალო ფორმალობადა ედგა წინ. ა-მ მოშალა რადიოსთან დადებული ხელშეკრულება, თუმცა ოპერაში ვეღარ დასაქმდა, ოპერის ბიუჯეტში შესაბამისი შტატის არგატვალისწინების გამო.
სასამართლოს მოტივებიდან: ბ-ს ეკისრებოდა ა-ს ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, რომ დასაქმების პერსპექტივა სათუო იყო და არ წარმოადგენდა უბრალო ფორმალობას. ამ ინფორმაციის ვალდებულების დაუცველობისდა გამო ბ-ს უნდა აენაზღაურებინა ა-სათვის სამუშაოს დაკარგვით გამოწვეული ზიანი.

შემთხვევა, როდესაც წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმაციის ვალდებულების დარღვევის შედეგად იდება მეორე მხარისათვის არახელსაყრელი ხელშეკრულება, ძირითადად მაშინ არის სახეზე, როდესაც გამყიდველი მყიდველს ნივთის თვისებების შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდის.

BGH, NJW, 1998, 302:
ფაქტობრივი გარემოებებიდან: მყიდველმა იყიდა ბ-საგან ბინა 150.000 მარკად. ნასყიდობის ფასის დასაფარად მას დასჭირდა ბანკიდან კრედიტის აღება, თუმცა გამყიდველმა ის დაამშვიდა იმით, რომ ბინის გაქირავებითა და საგადასახადო ვალდებულების შემცირებით, ის მალევე მოახერხებდა ამ სესხის გასტუმრებას. გამყიდველის დაპირება აღმოჩნდა ფუჭი. მყიდველი ყოველწლიურად იღებდა 2000 მარკით ნაკლებს, ვიდრე ეს დაგეგმილი ჰქონდა. გამყიდველმა შემოსავლის გამოთვლისას დაუშვა შეცდომა.
სასამართლოს მოტივებიდან: ასეთ შემთხვევებში გამყიდველმა მყიდველს უნდა აუნაზღაუროს ის ზიანი, რაც მას მიადგა არახელსაყრელი ხელშეკრულების დადებით. საკითხავია, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრა უნდა მოხდეს თუ არა ნატურით რესტიტუციის სახით (გსკ-ის 249-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით). ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისას მყიდველი საერთოდ არ დადებდა მისთვის არახელსაყრელ ხელშეკრულებას. ანუ ზიანის ანაზღაურების სახით უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაუქმება. ამიტომაც, საკამათოა, ხომ არ წარმოადგენენ გსკ-ის 123-ე და 124-ე პარაგრაფები ამომწურავ დანაწესებს და გამორიცხავენ სხვა ნორმების მიხედვით ხელშეკრულების დადების მომენტიდან უკუქცევის შესაძლებლობას.

კაზუსი: „ეზო ჭიშკრის გარეშე“¹³¹“

ქალბატონმა მ-მ იყიდა ქალბატონი გ-საგან 750 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული სახლი 300.000 ლარად. გამყიდველის მაგივრად სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს აწარმოებდა გ-ს ყოფილი ქმარი (ქ), რომელიც იყო შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი და რომელსაც უნდა მიეღო ნასყიდობის ფასის ნახევარი. მიწის ნაკვეთი იყო ხის ღობით შემოსაზღვრული. შემოღობვა მოიცავდა ასევე მეზობლის (ზ) მიწის ნაკვეთის ნაწილს (150 კვ.მ.) უბრალო დამკვირვებლის პოზიციიდან ნაკვეთის ეს ნაწილიც, შემოღობვის, მასზე გაშენებული ბალისა და წამომართული ოთხმეტრიანი ჭიშკრის გამო, აღიქმებოდა, როგორც გაყიდული მიწის ნაკვეთის ნაწილი და სახელშეკრულებო მოლაპარაკებისას ქ-მ ცალსახად მიუთითა ამ შემოღობვაზე. ხელშეკრულების დადებამდე ქ-მ მ-ს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, გადასცა დოკუმენტები საბანკო კრედიტის ასაღებად და კიდევ ერთი საქალაქო დამატებითი დოკუმენტებით. ამ დამატებით დოკუმენტებში ზუსტად იყო მითითებული გაყიდული მიწის ნაკვეთის ფართობი, მეზობელი ზ-ს ნაკვეთის გარეშე. თუმცა ეს გარემოება ქალბატონმა მ-მ ვერ შეამჩნია. ნასყიდობის შესრულების შემდეგ მ-მ შეიტყო, რომ 150 კვ.მ. არ ექცეოდა მიყიდული მიწის ნაკვეთის ფარგლებში. ასევე მეზობელი ზ არ იყო მზად გადაეცა მისთვის ხანგრძლივ სარგებლობაში ეს ტერიტორია. მ-ს აინტერესებს, რა მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ, თუ ის ამავდროულად ნაკვეთის შენარჩუნებას აპირებს.

ამოხსნა:

(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)

I. შესრულების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ზ-ს კუთვნილ 150 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზეც საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება გსკ-ის 433-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი) ნაწილის მიხედვით.

1. ნოტარიალურად დამონმებული ნასყიდობა დაიდო 750 კვ. მ. ფართობის გ-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც გადასცა კიდევ გ-მ მ-ს საკუთრება.

¹³¹ BGH Urteil vom 11. 11. 2011 (V ZR 245/10) NJW 2012, 846.

2. რაც შეეხება დამატებით, 150 კვ. მ. ფართობს, რომელიც მიყიდველმა ასევე მიათვალა ნასყიდობის საგანს, მხარეებს ის არ გაუთვალისწინებიათ ნოტარიალურად დამონმებულ გარიგებაში. თუმცა ეს არ გამოირიცხავს მის ჩართვას ამ ნასყიდობაში *falsa demonstratio non nocet*-პრინციპის მეშვეობით¹³², როდესაც ორმხრივად ნაგულისხმები, თუმცა გარიგებით პირდაპირ არგათვალისწინებული, მაინც ხდება გარიგების შინაარსი. მოცემული პრინციპის გამოყენება, ერთი (სადავო) მოსაზრების მიხედვით¹³³, შეიძლება ასევე ფორმალურად გარიგებების შემთხვევაშიც იმგვარად, რომ არა დამონმებული ტექსტი, არამედ ორმხრივად ნასურვები ხდება გარიგების შინაარსი.

თუმცა *falsa demonstratio*-ს პრინციპის გამოყენებისათვის აუცილებელია მხარეთა ურთიერთმფარავი ნების დადგენა. მოცემულ შემთხვევაში კი არც თავად გამყიდველს და არც მის წარმომადგენელს არ ჰქონია განზრახვა 750 კვ. მ.-ის გარდა დამატებით ასევე 150 კვ. მ.-ის მიყიდვისა. ის ფაქტი, რომ გამყიდველის წარმომადგენელმა მიყიდველს გადასცა დოკუმენტები, სადაც ზუსტად იყო აღნიშნული მიყიდული ნაკვეთის ზომა, ცალსახად მეტყველებს ამ განზრახვის საწინააღმდეგოდ.

ამგვარად, ნასყიდობის საფუძველზე გ-ს არ უკისრია დამატებითი ფართის მიყიდვა და უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ მოცემული ფართი მეზობელ ზ-ს ეკუთვნის, რომელიც სულაც არ აპირებს მის გაყიდვას.

II. წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

მ-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (გსკ-ის 280-ეს 1-ლი, 311-ეს მე-2 ნაწილის Nr. 1, 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 394-ეს 1-ლი, 317-ეს მე-2 და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი, *culpa in contrahendo*).

¹³² რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 165.

¹³³ Palandt/ELLENBERGER, § 133 Rn. 8, 19.

1. კონკურენცია ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან

ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ხსენებული დანაწესები, სადაც მონესრიგებულია წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები, არ განიდეგნოს ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარ მოთხოვნასთან კონკურენციისას.

ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები კონკურენციისას გამორიცხავენ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მომნესრიგებელი დანაწესების გამოყენებას. სრულებით ცალსახაა, რომ არასწორი ცნობები მიყიდული ნივთის თვისებებთან დაკავშირებით არ წარმოადგენს გამყიდველისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველს culpa in contahendo-დან. ამის მიზეზია გამყიდველისათვის ჯეროვანი შესრულების მეორე შანის შენარჩუნდება¹³⁴, ეს კი არ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ მყიდველს დაუყოვნებლივ შეეძლებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან. გამოწვევის სახით, გამყიდველი პასუხს აგებს ასევე culpa in contahendo-დან, თუ ის არაკეთილსინდისიერად იქცეოდა¹³⁵.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმე არ ეხება გამყიდველის ვალდებულებას ნივთის თვისებებთან დაკავშირებით. მიწის ნაკვეთის თვისება არ შეიძლება იყოს ის, რომ მოიცვას მეზობლის მიწის ნაკვეთი. ეს შეიძლება წარმოადგენდეს თვითონ ნასყიდობის საგანს და არა ნასყიდობის საგნის თვისებას. თუ ეს დამატებითი 150 კვ. მ. არ არის მიყიდული საგნის ნაწილი, ის ვერ იქნება, რა თქმა უნდა, ვერც მისი თვისება¹³⁶. შესაბამისად, culpa in contahendo-ს გამოყენება არ არის გამორიცხული ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან კონკურენციისას.

134 შდრ. იგივე არგუმენტი გარიგების საფუძვლის დარღვევასთან დაკავშირებით კაზუსი: „ავთო მატყუარა სინალაგმა“.

135 BGH NJW 2009, 2120.

136 შდრ. კაზუსი: „გაუზომელი მიწის ნაკვეთი“.

2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა და შინაარსი

გარდა ამისა, საკითხავია, წარმოიშვა თუ არა გ-სა და მ-ს შორის წინასახელშეკრულებო ურთიერთობა გსკ-ის 311-ეს მე-2 ნაწილის Nr. 1, 241-ე პარაგრაფის მე-2 (სსკ-ის 317-ეს მე-2 და 316-ე მუხლის მე-2) ნაწილის შესაბამისად და თუ წარმოიშვა, რა შინაარსით.

2.1. წარმოშობა

ხელშეკრულების მომზადება, როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი პირდაპირ არის გათვალისწინებული გერმანულ და ქართულ დანაწესში, რადგან ამ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს თავიანთ სიკეთეებზე უფრო ინტენსიური ზემოქმედების საშუალებას ანიჭებენ. მომზადების ეტაპზე წარმოშობილი ვალდებულება არ ქარწყლდება არც ხელშეკრულების დადებით. პირიქით, დადების შემდეგ მას დამატებითი ვალდებულებები ემატება.

ამგვარად, მ-სა და წარმომადგენელი ქ-ს მიერ წარმოდგენილ გ-ს შორის წარმოიშვა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა.

2.2. შინაარსი

საკითხავია, იყო თუ არა გამყიდველი ვალდებული, ეცნობებინა მყიდველისათვის, რომ ბალისა და ქიშკრის ნაწილი არ ეკუთვნოდა გაყიდულ მიწის ნაკვეთს და ის შეცდომით იყო მოქცეული ერთიანი შემოღობვის ფარგლებში.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს¹³⁷ პრაქტიკის მიხედვით, სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოებისას, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები ამოძრავებთ, მათ ეკისრებათ ვალდებულება, ხელშეკრულების მეორე მხარეს აცნობონ ისეთი გარემოებების შესახებ, რომელიც მყიდველისათვის ჩვეულებრივ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დადება-არდადებისათვის, თუ მათი გამხელა მოსალოდნელია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული

137 BGH NJW 2010, 858.

ნესების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში მინის ნაკვეთის შემოღობვა ქმნიდა ილუზიას, რომ საქმე გვექონდა ერთიან, მეზობელი ნაკვეთებისაგან გამიჯნულ, მინის ნაკვეთთან. ამ წარმოდგენას, გამყიდველის წარმომადგენლის, ქ-ს, მითითება ღობესა და ჭიშკარზე, მხოლოდ ამჟამად აღმოჩნდა, რის გამოც გამყიდველი ვალდებული იყო, ცალსახად გაერკვია მყიდველი საქმის რეალურ მდგომარეობაში – იმაში, თუ რა ფართობს მოიცავდა მიყიდული მინის ნაკვეთი.

3. წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულება

მართალია, გ-ს, წარმოდგენილს ქ-ს მეშვეობით, ეკისრებოდა მ-სათვის ნაკვეთის ნამდვილ ფართობთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცხადების ვალდებულება, თუმცა მას შეეძლო, ეს ვალდებულება უკვე დამატებით საქალაქო მოთავსებული დოკუმენტების გადაცემით შეესრულებინა, რომელიც, სხვა აუცილებელ საბუთებთან ერთად, შეიცავდა მინის ნაკვეთის აზომვით ნახაზს და ამგვარად მის ზუსტ ფართობსაც. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით¹³⁸, მხოლოდ დოკუმენტების გადაცემა საკმარისია, თუ გამყიდველს (ცალკეული გარემოებიდან გამომდინარე) შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მყიდველი არ აღიქვამს მას მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის შემცველად და გულდასმით გაეცნობა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ცნობების მოპოვების მიზნით (მაგ., უნაკლობასთან დაკავშირებული დასკვნა).

გონიერ და კეთილსინდისიერ გამყიდველსაც კი არ შეიძლება ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ საბანკო კრედიტის მოსაპოვებელ საბუთებთან ერთად გადაცემულ საქალაქო მყიდველი გადაქეპავს იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ზუსტი ინფორმაცია ნაკვეთის ფართობთან დაკავშირებით. ეს კონტრარგუმენტი განსაკუთრებით დამაჯერებელია, გამომდინარე იქიდან, რომ ღობითა და ჭიშკრით ნაკვეთის შემოსაზღვრაზე მითითების შემდეგ მყიდველს არ ჰქონდა საფუძველი ევარაუდა, რომ ამ შემოღობ-

ვაში მეზობლის ნაკვეთიც იქნებოდა მოქცეული და ეს ცალკე გადამონმზებას საჭიროებდა.

კაზუსის თანახმად, ასევე უნდა გამოვრიცხოთ გამყიდველის მხრიდან მყიდველის საქმის რეალურ მდგომარეობაში გარკვევის ვალდებულების სხვაგვარად შესრულება.

ამგვარად, გ-მ დაარღვია თავისი წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (გსკ-ის 311-ეს მე-2 Nr. 1, 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილები; სსკ-ის 317-ეს მე-2 და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილები) წარმოშობილი ვალდებულება გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი) ნაწილის მიხედვით.

4. ბრალი

ვალდებულების დარღვევის გარდა, აუცილებელია, რომ მოვალეს მიუძღოდეს ბრალი ამ ვალდებულების დარღვევაში, თუმცა, გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი) ნაწილის ფორმულირებიდან გამომდინარე, ეს ბრალი ივარაუდება და მისი გაქარწყლების ვალდებულება მოვალეს აწევს. მოცემულ შემთხვევაში გ ვერ მიუთითებს მისი ბრალის გამაქარწყლებელ გარემოებებზე, რის გამოც მას უხეში გაუფრთხილებლობა უნდა მივანეროთ. ბრალს არ გამოვრიცხავს არც მისი წარმომადგენლის, ქ-ის მოქმედებაზე მითითება, რადგან მოვალეს შესრულების დამხმარის მოქმედება შეერაცხება ისე, როგორც საკუთარი ბრალი (გსკ-ის 278-ე პარაგრაფი, სსკ-ის 396-ე მუხლი).

III. ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა

გსკ-ის 280-ე პარაგრაფის 1-ლი (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი) ნაწილის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, რომლის მოცულობაც განისაზღვრება გსკ-ის 249-ე პარაგრაფის 1-ელ (სსკ-ის 408-ე მუხლის 1-ელ) ნაწილში გამყარებული დიფერენციაციის ჰიპოთეზის მიხედვით. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ერთმანეთს უნდა შევუპირისპიროთ ამჟამინდელი მდგომარეობა, როდესაც მოვალემ ვალდებულება უკვე დაარღვია და ჰიპოთეტური მდგომარეობა ამ დარღვევის გარეშე. ფინანსური

138 BGHZ 188, 43.

სხვაობა ამ ორ მდგომარეობას შორის შეადგენს ანაზღაურებადი ზიანის ოდენობას.

ზიანად დამატებითი ფართობის ღირებულების მიჩნევა არასწორია, რადგან სწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაშიც მეზობელი არ იქნებოდა თანახმა მის მიყიდვაზე და მყიდველი მას მაინც ვერ შეიძენდა. ამის საპირისპიროდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაკვეთის რეალური ფართობის შესახებ შეტყობის შემთხვევაში მყიდველი ფასის შემცირებას მოითხოვდა (როგორც კაზუსიდან გამომდინარეობს, მას მაინც სურს ნასყიდობის საგნის შენარჩუნება) და მიაღწევდა კიდევ ამას. გამყიდველის მტკიცება, რომ ის ამ ფასის შემცირებას არ დაყაბულდებოდა, გერმანული სასამართლოს მიხედვით, აქ უმნიშვნელოა¹³⁹.

ის, თუ რამდენით მოახერხებდა მყიდველი ფასის შემცირებას, სასამართლომ საკუთარი შინაგანი რწმენიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს. მოცემულ შემთხვევაში მყიდველი იხდიდა 300 000 ლარს ნაკვეთში ამ დამატებითი ფართთან ერთად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ ფართზე არ მდებარეობდა რაიმე ნაგებობა და საბოლოო ჯამში არც ნაკვეთის ღირებულების შეფასებისას ჰქონდა მას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამიტომაც მასზე საკუთრების არგადაცემით გამოწვეული ზიანი მაქსიმუმ 10 000 ლარად უნდა შეფასდეს.

შედეგი: მ-ს აქვს გ-საგან ზიანის ანაზღაურების სახით 10 000 ლარის გადახდის მოთხოვნა.

139 BGH NJW 2001, 2877.